კობა წურწუმია

კლასიკური და თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

UDK (უაკ) 821.14'02+821.14'04+821.1|9
ნ – 897

ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის თორმეტი მწერალი: უილიამ ბლეიკი, ოსკარ უაილდი, ედგარ პო, ო.ჰენრი, ჯეკ ლონდონი, დევიდ სელინჯერი, სკოტ ფიცჯერალდი, ფრანც კაფკა, ალბერტო მორავია, სომერსეტ მოემი, ვირჯინია ვულფი, ჯონ სტაინბეკი. მათი მხატვრული ნააზრევი, მსოფლმხედველობა, ესთეტიკა და ლიტერატურული ხედვები.

რედაქტორი : ***ემა კილანავა***
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: ***მანანა პაიჭაძე***
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
თამარ ჯანგულაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

© ჯ. ნურნუმია, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-269-2

შესავალი



წინამდებარე ნაშრომში „კლასიკური და თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურა“ წარმოდგენილია უცხოელ მწერალთა ერთი ჯგუფი, რომელთა შემოქმედებამაც განსაზღვრეს დასავლური და ამერიკული ლიტერატურული პროცესების შემდგომი განვითარება.

წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა მსოფლმხედველობის, ეპოქისა და ქვეყნის თორმეტი მწერლი: უილიამ ბლეიკი, ოსკარ უაილდი, ედგარ პო, ო.ჰენრი, ჯეკ ლონდონი, დევიდ სელინჯერი, სკოტ ფიცჯერალდი, ფრანც კაფკა, ალბერტო მორავია, სომერსეტ მოემი, ვირჯინია ვულფი, ჯონ სტაინბეკი, რომელთა მხატვრულ შემოქმედებას, პუბლიცისტურ და ესეისტურ ნააზრევს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს.

მართებული ვიქნებით თუ დავძენთ, ამ მწერლების გარეშე წარმოუდგენელია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურული პროცესების განვითარება. თითეულ მწერალს გამორჩეული ხელწერა, სტილი, გადმოცემის მანერა, ესთეტიკური სამყარო და მსოფლმხედველობა გააჩნია. ისინი სხვადასხვა

ხედვის, მიმდინარეობის, ლიტერატურული სკოლის თუ დაჯგუფების წარმომადგენლები არიან.

ნაშრომის მიზანია ეპოქის ხასიათის ჩვენება, იმ ძირითადი ასპექტების წამოწევა, რომელმაც თავი იჩინა წარმოდგენილ მწერალთა შემოქმედებაში. ომის შემდგომი გახლეჩილი სამყაროს ბედი, პიროვნების ტრაგიზმი და გაუცხოება, სოციალური საკითხების სიმწვავე, „დიდი დეპრესიის" შედეგები, „ჯაზის საუკუნის" განწყობა, ხელოვანის ბედი, ზნეობრივი და ეთიკური საკითხების გააზრება, ადამიანისა და გარესამყაროს მუდმივი დაპირისპირება, სულიერების კრიზისი, აფსურდისა და ეგსისტენციალიზმის საკითხები, ამბოხი საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან. აი, ძირითადი თემები, რომლებიც წამოწეულია ნაშრომში.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო ხანგრძლივი ფიქრისა და კვლევის შედეგია. ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი დახმარებას გაუწევს ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს და საერთოდ, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲑᲚᲔᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲡᲛᲘᲣᲠᲘ ᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘ

„ზოგს გაუმართლებს და შვებისთვის დაიბადება,
ზოგს უსამართლო ღამისათვის უწევს მზადება...“
უილიამ ბლეიკი

უილიამ ბლეიკის მთელი ცხოვრება იდეებისაკენ სწრაფვა გახლდათ. ყმაწვილობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით, ხილვებით, შინაგანი სისავსით. ბავშვური უმანკოებით ჭვრეტდა პოეტურ სახეებს, ფუნჯით ქმნიდა იდუმალ სახეებს, გოტიკისათვის დამახასიათებელ მომნუსხველ ტილოებს, რომლებშიაც დარღვეული იყო პოეტური და მხატვრული ფორმები, ასახვისა და გადმოცემის მანერა. სინატიფე შეჰქონდა ლექსისა და ნახატის ტექნიკაში. თუმცა ფორმა და შინაარსი ერთმანეთთან ყოველთვის წინააღმდეგობაში მოდიოდა. მითოლოგიურ იდუმალებაში ცდილობდა შეჭრას, ამავე დროს, რელიგიური აზროვნებით იკვებებოდა მისი სული. შორიდან ჩაესმოდა ანგელოზთა იდუმალი ხმები, ფერების უიშვიათესი ზეიმი. ემოციების უსასრულო ნაკადი იფრქვეოდა მისი შემოქმედებიდან. ასეთი გახლდათ უილიამ ბლეიკის ცხოვრებაც, უჩვეულო, ბოჰემური და წინააღმდეგობებით აღსავსე.

ბლეიკის პოეზია მუდმივ დაკვირვება და ჩაღრმავებას მოითხოვს. ბლეიკი მთელი თავისი არსით სულ სხვა გალაკტიკაზე მოგზაურობდა და ესაა პოეზიის გალაქტიკა. მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა იყო ფერთა შერწყმის ხელოვნება და უიშვიათესი მხატვრული ტილოები, ე.წ. ფანტასმაგორიები. ბლეიკი მთლიანად ემორჩილება კოსმიურ ხილვებს. ბლეიკი, როგორც ხელოვანი, შორს მიდის, კოსმოს საკუთარ თავში ეძებს, და ძიების რეზულტატი სწორედ მისი პოეზიაა „უმანკოების სიმღერები“ და „გამოცდილების სიმღერები“.

ბლეიკი მთლიანად ეწინააღმდეგება ხელოვნებაში ათვისებულ და დამკვიდრებულ პოეტური პრინციპებს. ამავე დროს, ექსპერიმენტებითაა სავსე მისი სახელოვნო სივრცე. ბლეიკი თავისი პოეტური და სიმბოლური ნამუშევრებით ცხოვრების სიღრმეში იჭრება, ცხოვრება ხომ თავად სიურრეალისტურია თავისი მოულოდნელობებითა და ეგსისტენციალური შეგრძნებებით.

ცხადია, ბლეიკმა ფუნჯის დამორჩილებას შეალია წლები. იგი თავის სახელოსნოში მარტოდმარტო ერკინებოდა მაცდურ ანგელოზს, რომელიც მისგან ბევრს მოითხოვდა. თავისი ნაფიქრ–ნააზრევის გადმოსაცემად ალბათ დიდხანს წვალობდა, ეძებდა ფერებს, უფრო ფორმას. ზმანებები და ოცნებები თავი-

სას ითხოვდნენ. მის არსებაში დაბუდებული დემონი კი სასიკვდილო განაჩენს უმზადებდა და მარადისობისაკენ მიმავალ გზას მუდამ ლოდებით უხერგავდა.

ამბობენ, მისი ნეტარი სული მაშინ განეყო ხორცს, როდესაც დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ ილუსტრაციებზე მუშაობდა. ალბათ, დანტეს მსგავსად იმოგზაურა მიღმიურ სამყაროში და წინ მიუძღოდა დანტეს ღვთიური შუქით განათებული ლანდი პოეზიის უსაზღვრო სამყაროში. „იტალიური ენის შესწავლა იმისთვის დაიწყო, რომ დანტე დედანში წაეკითხა და მისი ხილვები საკუთარი მისტიური ნახატებით დაესურათებინა. ავადმყოფობით ღონემიხდილი და მისუსტებული, ბალიშების გროვაზე წამოჯდებოდა, მუხლებზე სახატავ რვეულს გადაიშლიდა და თავს ძალას ატანდა, ფურცლებზე იმ ნახატების მონახაზი გადაეტანა, რომლებიც ბოლო დროს იხილა... სული სიმღერით აღმოხდა, ისე, რომ კედლებს ზანზარი გაჰქონდათ; როგორც ყოველთვის, იმქვეყნიურ სამყაროს უმღერდა“ (9, 302).

უილიამ ბლეიკი მხატვარი გახლდათ. ამავე დროს, დიდი წარმოსახვის მქონე პოეტი, რომელიც ცდილობდა ფუნჯით შეექმნა როგორც მხატვრული ეზოთერული ტილოები, ისე პოეტური შედევრები. ზოგჯერ მხატვარი ბლეიკი ჩრდილავდა პოეტ ბლეიკს და პირიქით. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც მისი

ღვთაებრივი ფუნჯი იდუმალებით აღსავსე მისტიურ ტილოებს ქმნიდა: „იერუსალიმი“, „ნაბუქოდონოსორი“, „დრაკონი და ქალი მზის სამოსით“, „ადამი და ევა, რომლებმაც იპოვეს გარდაცვლილი აბელის სხეული“, „სიყვარულის შფოთვა“, „საშინელი სამჯავრო“, ილუსტრაციები „ძველი აღთქმიდან“ და „იობის წიგნიდან“, „მილტონი“ და სხვა მრავალი. ბლეიკის ნახატებში იგრძნობა მისტიკა და ფანტასტიკური კომპონენტების სიჭარბე, ბუნდოვანი აბსტრაქცია. ამავე დროს, ბიბლიური თემები სიღრმისეულადაა აღქმული და გააზრებული. შეიძლება ითქვას, რომ ბლეიკის ხილვები პოეზიასა და მხატვრობაში უკიდურესი სიურრეალიზმით ხასიათდება. სამწუხაროდ, ბლეიკის კოსმიური და ბიბლიური თემები სათანადოდ შესწავლილი არაა. ლონდონი აღფრთოვანებული არ ყოფილა ბლეიკის ენობრივი იდუმალებითა და კოსმიური ხილვებით. მაშინდელი ლონდონი, დიდ ხელოვანს, სასიკვდილო განაჩენს უმზადებდა.

ბლეიკი ზესაიდუმლო ფიქრებითაა აღტკინებული. მოლბერტზე ჯერ კიდევ დაუსრულებელი მისი ესკიზები აღუწერელ ემოციურ იდუმალებას გამოსცემდნენ. პალიტრას ამოვლებული ოქროსფერი ფუნჯი ქმნიდა უიშვიათეს პოეტურ თუ მხატვრულ სახეებს, მეტაფორებს, მინიატურებს. მისი თითეული პოეტური სტრიქონი სიღრმისეული და გულწრფე-

ლობით ნაკარნახევი იყო. ზეცა და მიწა უმანკოებით უმზერდა, ჭვრეტდა სიშორეს. მთელი მისი შემოქმედება მიწიურისა და ზეციურის ნაზავია. ტრანსცენდენტური ხილვები უფრო და უფრო ეწეოდნენ ზეცისაკენ. ალბათ, ინსპირაციებიც უხვად იყო.

ბლეიკის მხატვრობასა და პოეზიაში შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის სურნელი იფრქვევა, ბოტიჩელისა და ტიციანის ათრთოლებული ხელწერაც შეიმჩნევა. ყველაზე მეტად კი გოტიკის ელემენტები დაიძებნება ბლეიკის შემოქმედებაში. ბრიტანელმა ხალხმა ბლეიკის მხატვრული ნიჭი და უსაზღვრო პოეტური ფანტაზია სიცოცხლეშივე სათანადოდ ვერ დააფასა. სიცოცხლეშივე პოეტის არც ერთი წიგნი არ გაყიდულა და ყურადღებას არ აქცევდნენ როგორც ხელოვანს. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოხდა მისი „აღმოჩენა“.

შეიძლება ითქვას, რომ ბლეიკის მთელი შემოქმედება ეკლექტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. კონცეპტუალური და აბსტრაქტული აზროვნების მიღმა მის შემოქმედებაში ისადგურებს ნათელი ფერები, ლტოლვა - ზეცისაკენ, ანგელოზებისაკენ და ყოველივე ამას ბლეიკი ბავშვური უმანკოებით გადმოქვცემდა.

უილიამ ბლეიკი, უწუნარეს ყოვლისა, წმინდა რომანტიკული მოვლენა გახლდათ. რომანტიკულმა

ალუზიებმა მთლიანად შთანთქეს მისი პოეტური გონება. ბლეიკი მუდამ ფერად სიზმრებშია გახვეული, ჭვრეტს მიღმიურს, ხშირად მსტიფიკაციასაც მიმართავს, რომელიც პოეტურ საბურველშია გახვეული. ანგელოზები, დემონები და იდუმალი ძალები არ ასვენებდნენ, ზეციური ხილვები ხშირად უხმობდნენ. მუსიკა დაუსრულებლად შემოდიოდა მის სულში. ბლეიკის პოეტური და მხატვრული ხილვები მარადისობის განუყოფელი ნაწილი ხდება.

პოეტი და მხატვარი უილიამ ბლეიკი ნისლიან ლონდონში დაიბადა. ყმაწვილობიდანვე მისი სული მითოლოგიური და რელიგიური თემებით იკვებებოდა. შორიდან ჩაესმოდა ანგელოზთა იდუმალი ხმები. მშობლებს არ გამოპარვიათ შვილის უიშვიათესი მონაცემები და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს. ათი წლის ბლეიკი უკვე ხატვის ხელოვნებას ეუფლება, ხოლო 14 წლიდან გრავიურის ხელობას. 24 წლის ბლეიკი ქორწინდება. ბლეიკის არჩევანით მშობლები არ ყოფილან აღფრთოვანებული. ისინი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ, რადგან გოგონა სრულიად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ბლეიკმა მეუღლეს ყველაფერი შეასწავლა. (აქ უნებლიედ გვახსენდება ნოვალისი და სოფია ფონ კიუნი). მეუღლეებს შვილი არ უჩნდებოდათ, მაგრამ ამ ტკი-

ვილს უვსებდათ ბლეიკის უმცროსი ძმა რობერტი, რომელიც მათთან ცხოვრობდა და რომელსაც შვილივით ელოლიავებოდნენ. მოულოდნელად ბლეიკს ძმა გარდაეცვლება, რაც პოეტისათვის უმძიმესი აღმოჩნდება. მას ეწყება ხილვები. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს ხილვები მას ბავშვობიდანვე ჰქონდა. ბლეიკი ხშირად აღნიშნავდა, რომ მას ეცხადებოდა ძმის სული და ანგელოზები. 1788 წელს მან შექმნა ილუმინირებული წიგნი სპილენძის ფირფიტაზე, რომელიც ბლეიკის ლექსებითა და ნახატებით იყო გამშვენებული. პოეტმა განაცხადა, რომ ამ „აღმოჩენაში" დაეხმარა ძმის სული. სიკვდილის წინ მას ქონდა ხილვები. თითქოს ძმის სული და ანგელოზები მიუძღოდნენ სამოთხისაკენ.

თეთრი ანგელოზი არაერთხელ დაშვებულა ბლეიკის სასთუმალთან, რომელიც კარნახობდა პოეტურ თუ მხატვრულ სახეებს, ესკიზებს, ფერთა შერწყმის საიდუმლეობას. თეთრ ანგელოზს არა ერთგზის მიუტოვებია, მაგრამ არა სამუდამოდ. მის გვერდით მუდამ ქალი იყო - არაფრით გამორჩეული, რომელსაც სახეზე შიგა-შიგ განცვიფრება ეხატებოდა. ქალს თვალებში უცნაური ათინათი ჩასდგომოდა, რომელსაც მხოლოდ პოეტი ბლეიკი ამჩნევდა. მათმა ურთიერთობამ სულ სხვა განზომილება შეიძინა. ქალი უხ-

მოდ და მორჩილად შეჰყურებდა თეთრ ანგელოზთან მოსაუბრე მეუღლეს.

უილიამ ბლეიკი ინგლისური პროგრესული რომანტიზმის წინამორბედად გვევლინება. მის შემოქმედებაში უხვად ჭარბობს რომანტიკოსი პოეტებისათვის დამახასიათებელი განწყობილება, ასახვისა და გადმოცემის ესთეტიკა, ხილვები, სიზმრები, რელიგიური თემები, ბუნების კულტი, ღამის თემატიკა. ამავე დროს, ევროპელმა სიმბოლისტებმა უხვად შეისუნთქეს ბლეიკის პოეზიიდან და მხატვრული ტილოებიდან სიმბოლური განწყობილება. თუცა, ბლეიკის „უმანკოების სიმღერები“, რომლის ილუსტრაციები პოეტმა თვითონვე შექმნა, სცილდება რომანტიკულ-სიმბოლურ ესთეტიკას და ბლეიკი აქ ტიპიურ მოდერნისტ პოეტად გვევლინება. მაგრამ ხშირად ეს არ გამოსდის „მოდერნისტ“ ბლეიკს და რომანტიკული ჰანგების მთელ წყებას ქმნის. უფრო მართებული ვიქნებით თუ ვიტყვით: ბლეიკის მთელი შემოქმედება რომანტიზმისა და სიმბოლიზმის ნაზავია. ირლანდიელი უილიამ ბატლერ იეისტი კარგ და ზუსტ დასკვნებს გვთავაზობს ბლეიკის შემოქმედებაზე. იეისტი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის უილიამ ბლეიკის შემოქმედების კვლევასა და პოპულარიზაციაში, აღნიშნავდა: „იგი გახლდათ სიმბოლისტი, რომელსაც სიმბოლოთა გამოგონება უწევდა“. და

იქვე დასძენდა, ბლეიკი „თავის აზრებს მორიდებითა და ბუნდოვნად გამოხატავდა, ეს იმიტომ, რომ მის მიერ შეცნობილ სამყაროში თავისი სათქმელის შესაფერისი მოდელი ვერ ეპოვნა“ (8, 20).

ჰორაციუსი წერდა: „საქმე ისაა, რასაც ქმნი, იყოს მარტივი და მთლიანი!“ ბლეიკის პოეზია სადა და მარტივია. მაგრამ ამ სისადავის მიღმა ლექსისა და ნახატის მთლიანობაა განფენილი.

ჰორაციუსი იმასაც დასძენდა: „ზოგჯერ, შემთხვევის გამო, აუცილებელია იდუმალ ამბავთა გამჟღავნება ახლებური გადმოცემით; ეს სრულიად დასაშვებია და თუ ეს თავისუფლება გონივრულადაა გამოყენებული... უთუოდ კეთილ საქმეს გასწევს“ (10,15).

ბლეიკის მითოპოეტურ სამყაროში „იდუმალ ამბავთა გამჟღავნება“ ზოგჯერ ვერ ხერხდება იმ უიშვიათესი მეტაფორებისა და სიმბოლოების გამო, რომელსაც ბლეიკი მიმართავს. ბლეიკის პოეზია მხოლოდ რომანტიკული ალუზიებით არ საზრდოობდა. იქნებ მეტაფიზიკური პოეზიის წიაღში იშვა ბლეიკის პოეზია და ჯონ დონთან და მის პოეზიასთან უფრო მეტი ნათესაური კავშირები აქვს, ვინემ რომანტიკულ პოეზიასთან. ვფიქრობთ, მეტაფიზიკური და რომანტიკული ალუზიებითაა მდიდარი ბლეიკის პოეზია.

1789 წელს გამოდის უილიამ ბლეიკის პირველი

კრებული „პოეტური ჩანახატები“, რომელშიაც წამოწეულია ავტორის სუბიექტური მე. აქ თითქოს ყველაფერი ნათელი და ლამაზია, მაგრამ ამ მოჩვენებითი ტიპიური რომანტიკული განწყობის მიღმა ჩანს მეამბოხე ადამიანის დაპირისპირება საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან, ცხოვრებასთან. უილიამ ბლეიკის კვლევის ობიექტი ადამიანია, რომელიც მედგრად იბრძვის შინაგანი თავისუფლებისათვის.

უილიამ ბლეიკის პოეზია მდიდარია სიმბოლოებით. ბლეიკის პოეზიაში განსაკუთრებული სახე–სიმბოლოა „სიყვარულის ბაღო“. „სიყვარულის ბაღი“ არის სამოთხის სიმბოლო, ანგელოზებისა და ქერუბიმების სავანე. ამავე დროს, ბაღი არის გაზაფხულის, მარადისობის, განმარტოებისა და მედიტაციის სიმბოლო. აღმოსავლურ და ევროპულ პოეზიაში ბაღის სიმბოლოს დიდი დატვირთვა ენიჭებოდა. აღორძინების ეპოქამ კიდევ უფრო განავრცო ბაღის თემა. არსებობდა ძველი ელადის ბაღები, ასევე ბაბილონის სემირამიდას დაკიდული ბაღები. საღვთო წერილებში ხშირია საუბარი ბაღის მნიშვნელობაზე და სიმბოლურ გააზრებაზე. ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა ადამს ადა ევას ბაღში მიუჩინა ადგილი. ამ ბაღს ედემი ეწოდებოდა. „უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში“ (დაბ., 2,8). ეს ედემი იყო „სურნელოვან ყვა-

ვილთა ბაღი“ (ქებ.,6,1). თვით სიყვარული არის სწრაფვა უმაღლესისაკენ, სიკეთისა და სრულყოფილებისაკენ. „ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ რომ ღმერთი სიყვარულია“(1იოან., 4,8). აქ, ამ ბაღნარში პოეტს ეგულება „ტურფა ყვავილები“, „ნორჩი ყვავილები“, მაგრამ ნაცვლად „უტყვი ქვის ლოდები“ დახვდება. მწუხარება და ტრაგიზმი იკვეთება ლექსში. „სიხარულსა და სურვილებს ეკალ–ნარით მიღობავდნენ“,– გვანდობს პოეტი.

„სიყვარულის ბაღში ვიყავ და
აქ ვნახე საოცრება,
რაც მანამდე არ მენახა....
და ამ ბაღში, ამ ბაღნარში ნაცვლად
ტურფა ყვავილების
იდგნენ ქვის ლოდები....“ (6,190).

ბლეიკის უზადო პოეტურ სტრიქონებში ხშირად ჭარბობს მისტიკა და იდუმალება. ამავე დროს, მისი პოეზია სევდანარევი, ღრმა და ფიქრებ აღმძვრელია. ბლეიკი მუდამ ფერად სიზმრებშია გახვეული. ლექსში „ანგელოსი“ ბლეიკს ასეთი ხილვები აწუხებს:

„მესიზმრა სიზმარი, – უცნაური იგავი:
ვითომ ქალწული დედოფალი ვიყავი,
მფარვიდა ანგელოსი სათნო და კეთილი
და მქონდა ნაღველი გულში ჩაკვეთილი...“ (2,112).

მკითხველი გრძნობს, რომ ბლეიკის მთელი ცხოვრება უცნაური იგავი იყო. ხილვებით, სიზმრებითა და სევდით დათრგუნვილი, ადამიანის ხვედრზე და ამაოებაზე დაფიქრებული. ამ ზეაწეული სურვილების მიღმა იგრძნობა, რომ პოეტი გულით დაატარებს სევდას. „მქონდა ნაღველი გულში ჩაკვეთილი“. ალბათ, ეს ნაღველი, უწინარეს ყოვლისა, მისი პირადი ცხოვრებიდან გამომდინარეობდა. და ალბათ, ისიც აწუხებდა, რომ მის შემოქმედებას ინგლისის ელიტარული საზოგადოება უნდობლად უყურებდა. „მქონდა ნაღველი გულში ჩაკვეთილიო“, – გვანდობს პოეტი.

ბლეიკის ლექსი „სიმღერა“ გაჯერებულია ღრმა პოეტური რემინისცენციებითა და ხილვებით. ცის სილურჯეში ლირიკული გმირი თვალს მოჰკრავს „სიყვარულის მეუფეს“, რომელმაც ლირიკულ გმირს, როგორც თავად აღნიშნავს „თმაში ჩამაწნო ბღუჯა შროშანთა“, და იქვე: „ულამაზესი მანახა ბაღი“, ალბათ ედემის, „მაჩუქა წამი უდიადესი“. ამ ქვეყნად ამაზე მეტი სხვა ჯილდო რა უნდა პოეტს? მაგრამ ბლეიკმა, „დემონებთან მოსაუბრემ“ უწყის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ზმანება და ოცნებაა - თეთრი, ლამაზი, აუხდენელი:

„ვთხზავ ქვეყნის ჰანგებს არაფრისაგან,
იგი ყურს მიგდებს შვებით აღვსილი

ხელს ოქროს ფრთაზე გადამისვამს და
ჩემს მშვიდ და მონურ ყოფას დასცინის“ (3, 81).

ლექსი „ტყის ყვავილის სიმღერა“ თავისი შინაარსითა და ფორმით, სიმბოლოებითა და განწყობით, შეგვახსენებს ნოვალისის გრძნეული „ცისფერი ყვავილის“ სურნელს. ბარათაშვილის ველის ფაქიზ ყვავილს, რომელიც არის „მაცხოვლებელი სიცოცხლის სუნნელებითა აღვსილი“, და რომელსაც მარად ემუქრება განსაცდელი („დამქროლა ქარმან სასტიკმა“). ჯაკომო ლეოპარდის „წმინდა ყვავილს“, რომელსაც მსახვრალმა ბედმა უამრავი განსაცდელი მოუვლინა. „როს ბედისწერამ დამრია ხელი, მხოლოდ შენზე ვფიქრობდი, სიყრმის წმინდა ყვავილო, შენც მოგცელა მსახვრალმა ბედმა“ (ჯ.აჯიაშვილის თარგმანი).

ბლეიკის ლირიკულ გმირს უსიერ ტყეში ჩაესმის ნაზი ყვავილის ხვნეშა, რომელიც თავის ბედზე მოთქვამს, რადგან მწარედ დასცინეს, ჩააგდეს არად და უკეთურთაგან იქნა „მზებნელი“. ცხადია, ყვავილის სიმბოლური სახის გააზრება ქრისტიანული კულტურიდან იღებს სათავეს. ბლეიკის პოეზიის მასაზრდოებელი წყაროების ძიებას ბიბლიურ წიგნებთან მივყავართ. ბლეიკი მიმართავს ბიბლიურ სახე-სიმბოლოებს თავისი განწყობის გამოსახატავად. აი, როგორაა გადმოცემული ბლეიკთან ყვავილის პოეტური ხატი:

„მწვანით დაბურულ უსიერ ტყეში
ვეხეტებოდი ეულად ოდეს,
მომესმა - ნაზი ყვავილი ხვნეშის
და თავის ბედზე სიმღერით გოდებს“ (4, 17).

უილიამ ბლეიკს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა 1789 წელს დაწერილმა „უმანკოების სიმღერებმა“ და 1794 წელს – „გამოცდილების სიმღერებმა“. ეს პოეტური კრებულები ბლეიკის შემოქმედების აპოთეოზად შეიძლება ჩაითვალოს. აქ ბლეიკმა სრულად გამოავლინა თავისი პოეტური იდეები, ესთეტიზმი, კონცეპტუალური ხედვები.

„უმანკოების სიმღერების“ ძირითადი თემა უმანკოებაა. ნაწარმოები მთლიანად ქრისტიანული ეთიკითაა გაჯერებული. პოეტის მიერ სამყარო დანახულია ბავშვის უმანკოებით, სადაც ყველაფერი ნათელი, კამკამა, გამჭვირვალე და სუფთაა, როგორც ჩვილი, როგორც „ყრმა იესო“. ხოლო მეორე კრებულში გადმოცემულია გამოცდილებით მიღებული უმანკოების მსხვრევა. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სახე-სიმბოლო მთლიანად გასდევს ბლეიკის შემოქმედებას. ბლეიკის ლირიკული გმირი უპირისპირდება გარე სამყაროს. პოეტი ცდილობს ორი საპირისპირო ხასიათის ჩვენებით (უმანკოებისა და გამოცდილების გზით) სამყაროს შეცნობას.

დიახ, ბლეიკის სურვილია სამყაროს შეცნობა,

თავისი კეთილი და ბოროტი საწყისებით, პირველქმნილი უმანკოებიდან გამოცდილების (შემეცნების) ჩათვლით. ბლეიკს სურს მეტაფიზიკური სამყაროს ნაწილად იქცეს. ყველაზე მეტად გონების თავისუფლება სჭირდება, უფრო ჭვრეტა, რათა ამ გზით სამყარო შეიმეცნოს, სულის განწმენდის გზას დაადგეს, სულიერი და ღვთაებრივი მადლი იგრძნოს. „უმანკოებისა“ და „გამოცდილების“ სიმღერები სწორედ ამის დასტურია. ბლეიკთან სულიერი განზომილება უფრო მეტია, ვიდრე მატერიალური.

ბლეიკთან ბავშვი ქრისტეს სახე–სიმბოლოს ასოციაციას იწვევს. ბლეიკი „ბედისაგან განწირული – საკუთარ სახლში ბავშვის ლანდსაც ვერ იხილავს“ (9, 305), მაგრამ მისი უზადო პოეტური ფუნჯი ქმნის უმანკო ბავშვის პოეტურ ხატს, რომელიც ემიჯნება გარესამყაროს. ის კოსმოსის ნაწილი, მთლიანი და განუყოფელია. მარადიულია, როგორც ქრისტე. დიახ, ბლეიკთან ბავშვის სახე-სიმბოლო უაღრესად პოეტიზირებული და მთლიანად ქრისტიანული ეთიკითაა გამთბარი. აი, როგორ არის გადმოცემული ბლეიკისეული „უმანკოების სიმღერების“ ესთეტიკა.

„ჩვილი მეტს ნიშნავს, ვიდრე –
მხოლოდ სახვევებს ლამაზს,
ნებისმიერი ფერმერიც კი მიხვდება ამას.

ვინც ბავშვის რწმენას თაყვანსა სცემს
და სწამს ღმერთისა,
ის შეიქმნება შემმუსრავი ჯოჯოხეთისა...“ (5, 57).

ბლეიკი თავისი „უმანკო“ პოეზიითა და მისტიკური ტილოებით ცდილობდა სამყარო ხელახლა აღმოეჩინა.

არისტოტელე „პოეტიკაში“ წერდა: „სათქმელის ღირსებაა, რომ იგი იყოს ნათელი, მაგრამ არა ტლანქი“. და იქვე: „თუ სათქმელი შედგება მხოლოდ მეტაფორებისაგან, იგი გამოცანაა“ (1, 194). ბლეიკის პოეზია გამოცანაა. ბლეიკის პოეზია მდიდარია მეტაფორებით, ენიგმებით, სიმბოლოებით. „უმანკოებისა“ და „გამოცდილების“ სიმღერები მეტაფორული აზროვნების გამოხატულებაა.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ბლეიკის პოეზია ღრმა და ტევადია და, ბუნებრივია, ყველა ასპექტის გაანალიზება ერთ ნარკვევში, შეუძლებელი გახდა. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ ზოგადი და ძირითადი ასპექტების განხილვა. უილიამ ბლეიკის მთელი შემოქმედება მოგვაგონებს დიდ მხატვრულ ტილოს, სადაც უხვად ჭარბობს შუა საუკუნეების მისტიკა და გოტიკა, სიმბოლიზმი და აბსტრაქცია, აღორძინების ეპოქის მხატვრობა და კლასიკური ლიტერატურის სურნელი. ბლეიკი სიცოცხლეშივე უკვდავებას ჭვრეტდა, მაგრამ ლონდონს მაშინ სხვა

საზრუნავი გააჩნდა და ლონდონელი დენდი პოეტის სულის ფორიაქი და კოსმიური ხილვები ნაკლებ აინტერესებდა. მიუხედავად ამისა, ბლეიკის შემოქმედება სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება, რადგან ყოველი თაობა მასში ახალ-ახალ განწყობას და სულიერ საზრდოს პოულობს. თანამედროვე მკითხველი დღესაც აღტაცებაშია ბლეიკის პოეტური და კოსმიური ხილვების ნაირსახეობით. და ბოლოს, 2009 წლეს დიდ ბრიტანეთში ჩატარდა გამოკითხვა „ბრიტანელთა საყვარელი პოეტები", რომლის შედეგად, უილიამ ბლეიკს მეექვსე ადგილი ერგო (7, 21).

ბიბლიოგრაფია

1. არისტოტელე, პოეტიკა, თარგმანი ს.დანელიასი, თბ., 1979 წელი.
2. ბლეიკი უ., ანგელოსი, თარგმანი თ. ერისთავის. ჟურნალი „ცისკარი“, № 7, 1983 წელი.
3. ბლეიკი უ., სიმღერა, თარგმანი გ. ნიშნიანიძის, წიგნში: ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, თბ., 1985 წელი.
4. ბლეიკი უ., ტყის ყვავილის სიმღერა, თარგმანი ლ. ებრალიძის. წიგნში: ლირიკული მოზაიკა, ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები, თბ., 2006 წელი.
5. ბლეიკი უ., უმანკოების ნიშნები, თარგმანი გ. ჯოხაძის, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №22, 2011 წელი.
6. ბლეიკი უ., სიყვარულის ბაღი, თარგმანი მ.აბაშიძის, ჟურნალი „საუნჯე“, N5–6, 2001 წელი.
7. გაზეთი „24 საათი“, 2010 წელი,13 იანვარი.
8. იეისტი უ.ბ., უილიამ ბლეიკი და წარმოსახვა, თარგმანი მ. ზაალიშვილის, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, № 12 , 2011წელი.
9. ჯოისი ჯ., უილიამ ბლეიკი, თარგმანი ნ. ბუხრაძის, ჟურნალი „საუნჯე“, № 3, 1987.
10. ჰორაციუსი კ ფ., პოეტური ხელოვნებისათვის, თარგმანი ა. ურუშაძის, თბ., 1981წელი.
11. Kathleen Raine, William Blake, Oxford University, 1970.

ოსკარ უაილდის ლიტერატურული და ესთეტიკური სამყარო



„ახალგაზრდობა ხელოვნებაა“.
ოსკარ უაილდი

1910 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუწყებოდა: „შაბათს, 27 მარტს, ქართულ თეატრში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას მეტად საინტერესო თემაზე: „რელიგია მშვენიერებისა“ (შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა). აქვე ჟურნალი მკითხველს ლექციის პროგრამას (შინაარსს) აცნობდა. დასასრულს, რედაქცია მკითხველს ატყობინებდა: „ეს ლექცია ლექტორმა პირველად ქუთაისში წაიკითხა, სადაც დიდძალმა საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა იგი“ (5,14). გრიგოლ რობაქიძე იმ ხანად ევროპიდან დროებით ჩამოსული ახალგაზრდა კაცი იყო და ცდილობდა ქართველი საზოგადოების ევროპულ ლიტერატურულ პროცესებთან ზიარებას. ამ ლექციებს გრიგოლ რობაქიძე თავდაპირველად რუსულ ენაზე კითხულობდა, მოგვიანებით იწყებს ქართულ ენაზე ლექციების კითხვას. დავით კლდიაშვილიც გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე საინტერესო ჩანაწერებს გააკეთებს თავის მემუარებში: „იმ ხანებში იყო ქუთაისში

პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის. ხალხი თბილისშიაც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა"(4,320).

გრიგოლ რობაქიძე უაილდისადმი საგანგებოდ მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავდა: „იგი მშვენიერია, მაგრამ ამასთან მაცდური; იგი მომხიბლავია, მაგრამ ამასთან საშინელი... იგი ჰქმნის და ამსხვრევს მთელს ქვეყანას; მას შეუძლია მისწვდეს თვით მთვარეს ბროწეულის ყვავილის ფერი ძაფითა" (6,524).

„ცხოვრების მიზანი საკუთარი თავის გამოვლენაა",– ამბობს „დორიან გრეის" პერსონაჟი ლორდ ჰენრი. ოსკარ უაილდიც საკუთარი თავის გამოვლენას შეეცდება ლონდონის მაღალ და ჭრელ საზოგადოებაში.

ოსკარ უაილდმა სახიფათო „ექსპერიმენტები" წამოიწყო საკუთარ თავთან. ესთეტი და სილამაზის თაყვანისმცემელი, არაესთეტიკური ფორმების მიმართ მუდამ გულგრილი იყო. მისი მიზანი მხოლოდ ცხოვრების ფერადოვნების შეგრძნება იყო, რაც ვიქტორიანულ ინგლისს აღიზიანებდა. ლონდონის ფართო და ჭრელი აუდიტორია მასზე გაუთავებლად ჭორაობდა. დიდი ესეისტი ლონდონის ჭორებმა დაასნეულა. პატივაყრილი და შეურაცყოფილი გახდა. ხითხითებდნენ. კვიმატი და ენამწარე კრიტიკოსები ენამზეობდნენ. მასზე ურცხვად ქირქილებდნენ ლი-

ტერატურულ სალონებში. თუმცა, მაშინ მწერალმა კრიტიკოსთა მისამართით მეტად მწვავე კითხვა დასვა: „რატომ უნდა აწუხებდეს ხელოვანს კრიტიკის ყურისწამღები ღრიანცელი?“ (8,11), მაგრამ მისი კითხვა „წამხდარ ეპოქაში“ უპასუხოდ დარჩა.

„მშვენიერების კულტი“ გასდევს ოსკარ უაილდის მთელ შემოქმედებას. უაილდის კონცეფციის თანახმად, ხელოვნება ცხოვრებაზე მაღლა დგას. ადამიანს უნდა გააჩნდეს მშვენიერებისაკენ სწრაფვის უნარი. გონებისაგან შობილი ხელოვნება უკიდურესად დახვეწილი, კონცეპტუალური, ესთეტიკური, ღრმა, უსასრულო და მშვენიერია. უაილდი მოითხოვს, რომ ნაწარმოებს გააჩნდეს ესთეტიკური ღირებულება, ზემოქმედების ძალა, სრულყოფილება. ასეთად მიაჩნდა ძველი ელადის კულტურა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს ადამიანს თავისი უსაზღვრო მრავალსახეობით. ნაწარმოებს უნდა გააჩნდეს მტკიცე და გამოკვეთილი ფორმები. და ირლანდიელი დენდი ცდილობს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის სრულყოფას, სიღრმისეულ წვდომას. შემთხვევითი არაა ისიც, რომ უაილდი 1882 წელს მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც საუკეთესო ესეისტი.

ოსკარ უაილდი მოგვაგონებს ბერძნული მითოლოგიიდან მოცინარე ოქროს ფრთოსან ბიჭუნას, კუ-

პიდონს, რომელსაც ხელში უპყრია მშვილდ–ისარი. მშვილდ–ისარი არა, მაგრამ მზესუმზირის ყვავილით ხელში ხშირად გამოჩნდებოდა ბოჰემური საზოგადოების წინაშე. მუდამ თვალის მომჭრელი, თამამი, ლაღი, გულწრფელი. მისი გამოჩენა ვიქტორიანული ეპოქის სალონებში მუდამ აღტაცებას და ოვაციებს იწვევდა. ქარაგმებით საუბარში ტოლი არ ჰყავდა. მიუხედავად ამისა, ოსკარ უაილდი ზნეობრივ რისხვას ვერ გადაურჩა. მაშინდელმა ლონდონმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დიდ ესეისტს, მწერალსა და დრამატურგს. დიახ, ლონდონმა იმედები გაუცრუა. თუმცა, მაშინ მსუბუქი ქათინაურებიც იყო, თითქოს შებრალებაც, მაგრამ უმნიშვნელო.

მაშინდელი სკოლების გავლენებიც ბევრი იყო. უწინარეს ყოვლისა, ბერძნული მითოლოგიისა და გოტიკის ელემენტები ჭარბობს მის მხატვრულ სამყაროში. მეტაფიზიკური პოეზიის განწყობაც იკვეთება უაილდის შემოქმედებაში და ვიქტორიანული ეპოქის მაჯისცემა ვლინდება, მაგრამ ყველაზე მეტად ოსკარ უაილდმა პრე-რაფაელიტების გავლენა განიცადა. „პრერაფაელიტებმა და მათი ესთეტიკის კანონმდებელმა ვალტერ პეიტერმა გარკვეული გავლენა მოახდინა უაილდის მწერლურ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე... პრერაფაელიტებთან უაილდს ანათესავებს მის თხზულებათა ერთი თემა-

ტიკა (მიდრეკილება ფანტასტიკურობის, ზღაპრულობისაკენ)" (1, 332).

როგორც ცნობილია, ოსკარ უაილდი ოქსფორდის წმინდა მაგდალენას კოლეჯში სწავლობდა. აქ ის ისმენდა ჯონ რასკინისა და უოლტერ პიტერის ლექციებს. ბუნებრივია, მათმა ლექციებმა განსაზღვრეს და ზეგავლენა იქონიეს დამწყები მწერლისა და ესეისტის მსოფლმხედველობაზე.

ბიბლიურ და მითოპოეტურ სახეებს მწერალი ხშირად ამუშავებს თავის შემოქმედებაში. თუნდაც ნარცისის ზღაპარი, მშვენიერ პრინცზე, რომელიც თავისმა სილამაზემ დაღუპა, სათავეს იღებს ბერძნული მითოლოგიიდან. ეს ზღაპარი სიმბოლოთა მთელი გასაღებია ოსკარ უაილდის პირადი ცხოვრების. მშვენიერი პრინცი, ეს თავად ოსკარ უაილდია, რომელიც დაღუპა არა სილამაზემ, არამედ ეფექტებმა, ფორმამ... თუმცა მაინც დაბეჯითებით ამტკიცებდა: „ფორმა ყველაფერია... დაიწყეთ ფორმის თაყვანისცემით და ხელოვნებაში არ დარჩება საიდუმლო, თქვენს წინაშე რომ არ გამჟღავნდეს"(8,137). დიახ, მაშინდელი ლონდონისათვის გაუმჟღავნებელი არაფერი დარჩენილა მწერლის პირადი ცხოვრებიდან.

იქნებ, პანი იყო, მუსიკალური ჟინით შეპყრობილი, მოცეკვავე, არტისტული, ნიმფების ტრფიალი,

უზადო ეფექტეს მოყვარული, ტკბილმოუბარი, ახირებული, პირველქმნილი იდუმალება.

ნიღბებსაც გულმოდგინედ დაეძებდა, რათა დაუვიწყარი თეატრალური კარნავალი მოეწყო თანამედროვეთათვის. ამ ნიღბებს იგი არასოდეს იშორებდა. ასე ემიჯნებოდა რეალურ ცხოვრებას. იქნებ ასე სურდა გაქცეოდა რეალობას. რეალური ცხოვრება კი მაშინდელ ლონდონში მძიმე, აუტანელი და სულისშემხუთველი იყო.

ეროსი მართავდ მის იდუმალ და შეუცნობად სამყაროს. ამავე დროს, ის იყო „უფლისწული პარადოქსი", რომელსაც „დიონისეს კულტი" მართავდა.

უყვარდა ნარცისები და ამარანტები, უფრო მზესუმზირის ყვავილები.

ფენიქსი იყო... შემთხვევითი არაა ისიც, რომ მის საფლავზე აღმართულია ფრთებგაშლილი ცეცხლოვანი მითოლოგიური ფრინველი ფენიქსი. „მორალომანიით" შეპყრობილმა პურიტანულმა ლონდონმა საშინელი ვერდიქტი გამოუტანა დიდ მწერალს – რედინგის ციხე. არც მისი ჩაცმულობის სტილით იყო აღფრთოვანებული პურიტანული ლონდონი. ლონდონისათვის მისი სტილი უფრო კოხტაპრუწაობა იყო.

იქნებ, სულაც ცხოვრებას ეთამაშებოდა? ვინ იცის...

ასე იქმნებოდა მითი და ლეგენდა, ფანტაზია და

ჭორი, რეალური და ირეალური ოსკარ უაილდის გარშემო. გალანტურობა და თავაზიანი ფორმები ლამის დავიწყებას მისცემოდა. კრიტიკითა და ჭორებით შეწუხებულმა სხარტი პასუხი გასცა სნობურ საზოგადოებას: „საზოგადოება საოცრად მიმტევებელია. ყველაფერს აპატიებს ადამიანს გენიოსობის გარდა“ (8,4).

ოსკარ უაილდისათვის სანიმუშო იყო ძველი ბერძნული ხელოვნება, ელინური და ელინისტური ხანის საკაცობრიო კულტურა. დიახ, უაილდი ხშირად სტუმრობს ანტიკურ სამყაროს, მითოლოგიას. ხშირად გამოიხმობს ვერგილიუსისა და დანტეს სულებს, არც პლატონი და არისტოტელე ავიწყდება, არც ჰორაციუსი. უსინათლო ჰომეროსი მისთვის პოეზიის სიმბოლო და სახეა. თვლიდა, რომ ჰომეროსი გონებით მჭვრეტელი მწერალია და „სულის თვალებით უფრო ხედავს, ვიდრე სხეულის თვალებით“ (8,27). მიაჩნდა, რომ შექსპირის შემდეგ ყველაზე დიდი მწერალი ჯონ მილტონია. უაილდისათვის ბოლომდე მიუწვდომელია ჯონ მილტონის პოეტური სივრცე. „მილტონი ერთადერთია, ვინც საუკუნოდ დარჩება ინგლისურ ლიტერატურაში, ყველა ეპოქას გადაუქროლებს, რადგან დროზე მაღლა დგას, და მუდამ ჩვენთან იქნება, რადგან უკვდავია თავისი

ფორმით“ (828). აღფრთოვანებულია გოეთეს სიდიადით: „გოეთე კაცია, ვისგანაც ყველაზე მეტად ვართ დავალებული“ (8, 110). ოსკარ უაილდისათვის პოეზიის სახე და სიმბოლოა: ფრანსუა ვიიონი, პერსი ბიში შელი, ჯონ კიტსი, ჯორჯ ბაირონი, უილიამ უორდსვორთი. მოხიბლულია ამ პოეტთა შემოქმედებით, მათი პოეზიის ესთეტიკური და ფილოსოფიური სიღრმეებით.

ოსკარ უაილდის პერსონაჟები მეტწილად ირეალურ, ზღაპრულ-ფანტასტიკურ სამყაროს აფარებენ თავს. დიახ, უაილდი „მოსაწყენ რეალიზმს“ უპირისპირებს გამოგონილ სინამდვილეს, ფანტასტიკურს, ხშირად ზღაპრულს, ფილოსოფიური წიაღსვლებით გააზრებულს: „უაილდამდე ზღაპრის ჟანრს მიმართავდნენ სხვა ინგლისელი მწერლებიც (მაგალითად, ჯონ რესკინი), მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრულობა ახალ დროში ზღაპრის ჟანრს შესძინა ოსკარ უაილდმა“ (1,333).

უაილდის მიზანია გვიჩვენოს ისეთი ცხოვრება, სადაც ბედნიერი უფლისწული ნამდვილად ბედნიერი იქნება („ბედნიერი უფლისწული“), მეგობრობა დაფასებული („ერთგული მეგობარი“), და არც წითელ ვარდს (სიყვარულს) გადათელავს უხეშად ეტლის ბორბლები („ვარდი და ბულბული“). ვერც ახალგაზ-

რდა მეფე დაიჩივლებდა ადამიანების ავ-კარგიანობაზე („ახალგაზრდა მეფე“).

ოსკარ უაილდის ზღაპრებში ბიბლიური თემატიკა აშკარად იკვეთება. ბედნიერი უფლისწული, ეს თავად ქრისტეს სახე–სიმბოლოა, რომელსაც მიზნად დაუსახავს კაცობრიობისათვის ყველაფერი გაიღოს და ჯვარს ეცვას. „კაცობრიობის გადასარჩენად ჯვარს გაკრულ იესოს დარად, დაჩაგრულ ადამიანთა დახმარება დაისახა მიზნად „ბედნიერი უფლისწული“-ს მთავარმა პერსონაჟმა“(3,97). დიახ, ქრისტიანული ეთიკის კვალი დაიძებნება ბედნიერი უფლისწულის სახისმეტყველებაში. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ბედნიერი უფლისწული ღარიბთა და გაჭირვებულთა დამხმარე და ნუგეშია. ყოველივე ამით, უაილდის პერსონაჟი ენათესავება მაცხოვრის მითოპოეტურ და ბიბლიურ მხატვრული სახეს.

მოთხრობაში „ახალგაზრდა მეფე“ ბიბლიური ალუზიები უფრო მეტია, ვინემ ზღაპრული. ახალგაზრდა მეფე ნანახი სიზმრების შემდეგ აცნობიერებს ამქვეყნიურ ცოდვა-მადლს, კეთილისა და ბოროტის თანაარსებობას დედამიწაზე. ის მივა იმ დასკვნამდე, რომ უნდა იყოს სამართლიანი, გონიერი და მზრუნველი, გაჭირვებულთა და უპოვართა დამხმარე. რამეთუ მხოლოდ სამოსი და გუნდრუკი, ძოწისფერი მოსასხამი და ძვირფასი მარგალიტები არ აქ-

ცევს პიროვნებად მეფეს. მეფის კურთხევის ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებამ სასწაული იხილა: „ჭაბუკი მეფე ჩამოვიდა საკურთხეველიდან და სასახლისკენ გაემართა. და ვერავინ გაუსწორა თვალი, რამეთუ სახე მისი იყო, ვითარცა სახე ანგელოზისა“(10,69).

სტუდენტი ვაჟის წრფელი და უანგარო სიყვარული ფეხქვეშ ითელება უმადური სატრფოს მიერ („ვარდი და ბულბული“). გოგონამ წითელ ვარდს ძვირფასი თვალ-მარგალიტი ამჯობინა. თან ვაჟს დაბეჯითებით უმტკიცებდა, ყველამ იცის, რომ თვალ-მარგალიტი ყვავილზე უფრო ძვირფასიაო. გულგატეხილი ვაჟი ასკვნის: „სიყვარული სულ არ არის პრაქტიკული. ჩვენს დროში კი პრაქტიკულობა ყველაფერია. ამიტომ სჯობს ფილოსოფიას ჩავუჯდე და მეტაფიზიკა შევისწავლო“. დიახ, კომერციულ დროში წითელი ვარდი (სიყვარული) ფეხქვეშ ითელება. ვარდს ზედ ეტლმა გადაუარაო, – გვეუბნება ავტორი. ბრბოს გასათელად ქცეული ვარდი უსიყვარულობის, გაუცხოების, ტრაგიზმის, უბედურების, სულიერი სიმახინჯის, დაცემულობის სიმბოლოდ მოიაზრება. ოდითგანვე ვარდს სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა. ქრისტიანულ სამყაროში კიდევ უფრო დიდია ვარდის, და ზოგადად, ყვავილის სიმ-

ბოლური გააზრება. ვარდი ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლოა. ასეთია, ოსკარ უაილდის მიერ დანახული რეალობა. გ. გაჩეჩილაძე ოსკარ უაილდის ზღაპრების თაობაზე მართებულად შენიშნავდა: „ეს არ არის არც საბავშვო ზღაპრები და არც ხალხური ზრაპრების ვარიაცია. ზღაპრების გარეგანი ფორმა უაილდის ხელში დეკორაციული და ორნამენტული ხელოვნების ნიმუშად ქცეულა“ (10,5).

ფანტასტიკურისა და კომიკურის ნაზავია მოთხრობა „ქანთერვილის მოჩვენება“. ქანთერვილების ძველთა-ძველი სასახლის მეპატრონე ლორდ ქანთერვილი იძულებულია შეელიოს და გაყიდოს მამაპაპისეული საგვარეულო მამული, რადგან მოჩვენება – შორეული წინაპარი, მოსვენებას არ აძლევს სახლის მობინადრეებს. მაგრამ სასახლის ახალი მფლობელის მისტერ ოტისისა და მისი ოჯახის, მეტადრე ქალიშვილის ვირჯინიას დახმარებით, მოჩვენება, მშფოთვარე სული, უბედური სერ საიმონისა, სამუდამოდ ჩამოშორდება სახლის ახალ მობინადრებს.

„ბ.ნ. უ-ჰ – ის პორტრეტი“ უფრო გამოკვლევა ეთქმის, ვინემ მოთხრობა. აქ უაილდი მკითხველის წინაშე წარსდგება როგორც შექსპიროლოგი, რომელსაც განუზრახავს გაარკვიოს შექსპირის სონეტების ადრესატის ვინაობა. უაილდის ლირიკული გმირი მივა იმ დასკვნამდე, რომ შექსპირმა თავისი

სონეტები უძღვნა ელისაბედ დედოფლის დროინდელ დამწყებ ახალგაზრდა მსახიობს, „უ. ი"-ს. იგივე, უილი ჰიუზს. „იმ ერთადერთს, ვისთვისაც შეიქმნა ქვემორე სონეტები". ამ გამოკვლევას ეწირება ლირიკული გმირი სირილ გრეჰემი და არა მარტო ის. მრავალი ვერსიის მიუხედავად, შექსპიროლოგიაში დღესაც საბოლოოდ გადაჭრილი არაა და უცნობია შექსპირის სონეტების ადრესატი.

„ნარცისის თემა" ერთ-ერთი გამოკვეთილი თემაა ოსკარ უაილდის შემოქმედებაში. უაილდის ვარსკვლავ ბიჭუნა ეწირება ამპარტავნობას, გარეგნულ ბრწყინვალებას. „სწორედ სილამაზემ მოუტანა მას ვნება". იგი გაიზარდა შეუბრალებელი და თავკერძა, გოროზი, მაგრამ ამავე დროს, ტკივილსა და მწუხარებაში განიწმინდება მისი ცოდვილი სულ და გახდება ქვეყნის სწორუპოვარი უფლისწული („ვარსკვლავ-ბიჭუნა").

„ნარცისის თემა" იკვეთება რომანში „დორიან გრეის პორტრეტი". ვარსკვლავ ბიჭუნას მსგავსად თვითტრფიალი დაუფლებია „დორიან გრეის" პერსონაჟს. ლორდ ჰენრი დორიან გრეიზე იტყვის: „ის ხომ ნარცისია". რომანში გაიელვებს ღრმა მეტაფორული ფრაზა: „სილამაზის ღმერთი". და ეს სილამაზის ღმერთი, თავად დორიან გრეი გახლდათ. უფრო მეტიც, დორიანმა ლორდ ჰენრისაგან ისწავლა, რომ

„ამქვეყნიური ცხოვრების ჭეშმარიტი საიდუმლო სილამაზის ძიებაშია“ (9,66).

დიახ, სილამაზის კულტი და ესთეტიკური ფორმების ძიება გასდევს რომანს „დორიან გრეის პორტრეტი“. ჰედონიზმის ქადაგება, ამქვეყნიურ სიამეთა მიღება, ეთიკური და მორალური ნორმების უარყოფამ განაპირობა მთავარი გმირის პიროვნული ტრაგედია.

მხატვარმა ბეზილ ჰოლუორდმა შექმნა დორიან გრეის განმაცვიფრებელი და იდუმალი პორტრეტი. დორიან გრეის სილამაზემ მთლიანად შეცვალა მხატვარი. თვითონაც ამბობს: „ახლა საგნებს სულ სხვა თვალით ვჭვრეტო“. დიახ, ბეზილმა, დორიანის სახით „ფორმათა სისრულე“ იხილა. ბეზილისათვის დორიანი იყო ფაქიზად ნაძერწი მშვენიერება, რომელსაც ამქვეყნიური ლაქა არ გაჰკარებია.

დორიან გრეის ცხოვრებაში ლორდ ჰენრი უოტონის გამოჩენის შემდეგ იწყება რადიკალური ცვლილება. მართალია, ლორდ ჰენრის თეორიები და სენტენციები ცინიზმით სავსე იყო, მიუხედავად ამისა, დორიანი მისი ჯადოსნური თეორიების ტყვეობაში აღმოჩნდება. მისმა თეორიებმა „ამქვეყნიურ სიამეთა მიღებაზე“ დორიანი თანდათან მოხიბლა.

დორიანი გონშეშლილი ეთაყვანებოდა დამწყებ მსახიობ სიბილ ვეინს, სურს მთელი სამყარო მას აღ-

მერთებდეს, მაგრამ ეს „ზეციური ღვთაება“ მისი სისასტიკის მსხვერპლი ხდება. „თქვენ მოკალით ჩემი სიყვარული, სიბილ!“ განრისხებული მიმართავს დორიანი გოგონას. დორიანმა ყურძნის თითეული მარცვლის სიტკბო იგემა და ამის შემდეგ იწყებს გამოფხიზლებას, თითქოს სინანულის გზას დაადგება, მომნანიებელი ხდება. დორიანს უკვე საკუთარი სულის სიკვდილი აღელვებდა. სიკეთე უნდა ჰქნას, მხოლოდ სიკეთე თუ გადაარჩენს. ერთი სიკეთე უკვე ხომ ჰქნა! ხომ დაინდო უბიწო და გულუბრყვილო გოგონა ჰეტი მერტონი, მაგრამ განა ეს საკმარისი იყო იმ აუარებელი დანაშაულის ფონზე? დორიანზე უკვე ყველგან ჭორაობდნენ. იმ ბნელით მოცულ ჯურღმულებშიც კი, სადაც თავდავიწყებას ეძლეოდა: „ამბობენ, თურმე მაგას სული ეშმაკისათვის მიუყიდნია მაგ ულამაზესი სახის შესანარჩუნებლად“. დორიან გრეი იქამდე დაეცემა, რომ სიყვარულის აღქმაც დაკარგა. ამაზე უკეე გონს მოსული სინანულით ამბობს. „ოჰ, ნეტავ შემეძლოს ვინმეს შეყვარება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის უნარი უკვე დიდი ხანია დავკარგე და გადამავიწყდა“ (9,261).

იქნებ დორიანის გაუცხოებისა და ტრაგედიის მიზეზი მისი ოჯახი იყო? დაობლებული ყმაწვილი ანჩხლი და დესპოტი ბაბუას ხელში იზრდებოდა, რო-

მელმაც, ფაქტიურად, მშობლების გარეშე დატოვა. ყოველივე ამას ემატება ლორდ ჰენრის თეორიები, რომელმაც დორიანს გონება მოუწამლა. იქნებ დორიან გრეის საქვეყნოდ შერცხვენის თავდაპირველი წყარო ბეზილი იყო?

დიახ, დორიანი გახლდათ „უფლისწული პარადოქსი", რომელიც შეეწირა გარეგნობას, სილამაზეს... ფორმას. თვითტრფიალმა, ამპარტავნობამ და ვნებამ დაღუპა იგი, როგორც პიროვნება და ადამიანი.

ქართულ თეატრში ოსკარ უაილდის „სალომეს" წარმოდგენას მოჰყვა არაერთგვაროვანი შეფასება. როგორც ცნობილია, „სალომეს" ოთხი ქართული თარგმანი არსებობს: ალ. სარაჯიშვილის, პ.დადვაძის, გრ. რობაქიძის, პ. იაშვილის. 1923 წელს ს.ახმეტელმა შოთა რუსთაველის თეატრში დადგა „სალომე" პ. იაშვილის თარგმანის მიხედვით. 2012 წელს გამომცემლობა პალიტრა L გამოსცა ოსკარ უაილდის პიესები, სახელწოდებით „იდეალური ქმარი", რომელსიაც შევიდა ლევან ინასარიძის მიერ თარგმნილი უაილდის სამი პიესა, მათ შორის, „სალომე". ამჯერად, ქართველი მკითხველისათვის ცნობილია ამ პიესის ხუთი ქართული თარგმანი.

სალომეს, ჰეროდიასის ავხორცი ქალიშვილს შეუყვარდება წინასწარმეტყველი იოქანაანი. „შენი

სხეული შემიყვარდა, იოქანაან! შენი სხეული ისეთი სპეტაკია, ვითარცა შროშანი იმ მინდვრებისა, რომელნიც მთიბავს არასოდეს მოუთიბავს... ვერაფერი შეედრება შენს სისპეტაკეს. ნება მიბოძე, შეგეხო (11,283). მეფის ასულს სიწმინდესთან მიახლოება წადია, მაგრამ მას, როგორც „სოდომის ასულს" ახლოსაც არ იკარებს წინასწარმეტყველი. სალომეს ვნება უკიდურეს ხასიათს ღებულობს. „მე რაც მსურს, ეს მხოლოდ შენი ბაგეა". დიახ, მეფის ასული ვერ ისრულებს თავის ერთ ცოდვიან სურვილს. აკოცოს, ოდნავ მაინც შეეხოს იოქანაანის წმინდა სხეულს.

გრ. რობაქიძე მოხიბლული იყო უაილდის ამ პიესით. აღნიშნავდა კიდეც: „მსოფლიო ლიტერატურაში არ იპოვება ისეთი მხატვრული ქმნილება, როგორიც არის უაილდის „სალომე".... „სალომე" ყოვლად სრული და უნაკლოა". სალომე „ხომ ნამდვილი ეგვიპტის ლოტოსია" (6,528).

გრ. რობაქიძე ქართულ სცენაზე „სალომეს" წარმოდგენით გახარებული საგანგებო რეცენზიას უძღვნის სპექტაკლს: „ქართული თეატრი აღარ საჭიროებს კითხვის ნიშანს. ის უკვე ხერხემალ გამაგრებულია...მსახიობებიც ასულნი არიან მოწოდების სიმაღლეზე და მათი თამაში უნდა შეფასებული იქნეს მხოლოდ როლის ინდივიდუალური გაგების კრიტე-

რიუმებით...პიესაში უმთავრესად ზოლგავლებულია ორი ნებისყოფა ცის („იოქანაანი“) და მიწის („სალომე“). ამ ორ ინდივიდუმზე იშლება მთელი პროცესი...პიესას კიდევ უფრო ფეერიულს ხდის მთვარესთან კავშირი, რომელიც არის საშო წინათგრძნობისა და მეწამულობისა“. დასასრულს, გრ. რობაქიძე აღნიშნავდა: „რეჟისორი ალ.ახმეტელი თავიდანვე განსაკუთრებული იყო. მისი დადგმა „სალომეი“ ნიჭიერი რეჟისორის შედეგია და ახმეტელს უქადის დიდ მომავალს. თარგმანი პაოლო იაშვილის დახვეწილი ქართულითაა და ლამაზი ენით“. (7,540). დიახ, გრ. რობაქიძე აღფრთოვანებული გახლდათ „სალომეს“ წარმოდგენით რუსთაველის თეატრში. არა ნაკლებ აღტაცებული იყო მსახიობებით. რობაქიძე განსაკუთრებით გამოყოფდა თამარ ჭავჭავაძის (სალომე) და აკაკი ხორავას (იოქანაანი) სასცენო ხელოვნებას.

არა ნაკლებ დიდი მოწონება ხვდა წილად უაილდის კომდიებს. ამ მხრივ საყურადღებოა: „იდეალური ქმარი“ და „ლედი უინდერმირის მარაო“. ამ კომედიებში კარგად ჩანს მაღალი საზოგადოების მოჩვენებითი მორალი, ფარისევლობა, ამპარტავნობა, ეთიკურ–ზნეობრივი ნორმების მოჩვენებითი თაყვანისცემა. ამავე დროს, ამ კომედიებში მხილებულია ლონდონის მაღალი საზოგადოების გამოფიტულობა.

რობერტ ჩილთერნი („იდეალური ქმარი“) ისჯება ახალგაზრდობაში ჩადენილი დანაშაულისათვის. მან გაყიდა სახელმწიფო საიდუმლეობა. ყოველივე ამით ლონდონის მაღალი საზოგადოების პატივსაცემი წევრი გახდება. ვინ იცის რა შედეგებით დასრულდებოდა რობერტ ჩილთერნის ცხოვრება, რომ არა ლორდ ართურ გორინგი. სწორედ მისი წყალობით იდეალური ქმარი თავს დააღწევს მისის ჩივლის მზაკვრულ გეგმებს.

დიახ, პიესაში გამოკვეთილი და საინტერესო პერსონაჟია ახალგაზრდა დენდი, ლნდონის მაღალი საზოგადოების აქტიური წევრი ლორდ გორინგი. მისი პორტრეტის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ის ძალიან ჰგავს ოსკარ უაილდს თავისი ენაწყლიანობით, ქარაგმებით, სარკაზმით, ფილოსოფიური მედიტაციებით, ჩაცმულობის სტილით. არავინ იცოდა როდის იყო სერიოზული და როდის ხუმრობდა. მას ეჯავრება ლონდონის კუდაბზიკა საზოგადოება. „შემოდის ფრაკში გამოწყობილი ლორდი გორინგი ღილკილოში კოკრით, ცილინდრითა და თეთრი ხელთათმანებით. ლუდოვიკო მეთექვსმეტის სტილის ხელჯოხს ეყრდნობა. მოკლედ, უკანასკნელ მოდაზეა გამოწყობილი. ჩანს, რომ მოდის მიმდევარია და მის ყველა გამოძახილს პასუხობს, ან თავად კარნახობს

სხვებს მოდას. ადამიანის აზროვნების ისტორიაში ის პირველი კოპწიად ჩაცმული ფილოსოფოსია“ (11,99).

დიდი მოწონება ხვდა უაილდის მეორე კომედიას. უინდერმირების ოჯახური დრამა ტრაგი–კომიკურ ელფერს იძენს. ეს იმიტომ, რომ ქოთნის ყვავილებივით მუდამ ფანჯარასთან მდგომმა გოგონებმა (დებმა) იჭორავეს ლორდ უინდერმირზე, მის ღირსებას ბოროტად შეეხნენ, თითქოსდა სათნო მეუღლეს ღალატობს მის ერლინთან. პარალელურად უინდერმირის მეუღლეს გონებას ურევს ლორდი დარლინგთონი, რომელიც ნამდვილი მაცდური და არშიყია. ის ურჩევს ლედი უინდერმირს ამაღამვე მიატოვოს მოღალატე ქმარი და მისი ცოლი გახდეს.

სენტენციები, აფორიზმები და დითირამბები ცალკე კვლევის თემად შეიძლება ჩაითვალოს უაილდის შემოქმედებაში. ამ მხრივ უაილდს მართლაც ტოლი არ მოეპოვება ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში.

და ბოლოს, ოსკარ უაილდის ლიტერატურული პორტრეტის შესავსებად „რედინგის ციხის ბალადის“ ფრაგმენტებიც მოგვცემდა უთუოდ დრამატულ და მშფოთვარე სურათს მწერალზე და ჩვენც, ამ ბალადის სტრიქონებით დავასრულებთ საუბარს ოსკარ უაილდზე.

ის მიდიოდა ბრალდებულთ შორის

რუხ ტანსაცმელში გამოწყობილი.
მისი ნაბიჯი იყო მსუბუქი
იგი არ იყო დამწუხრებული....
და აჩრდილები ციხის ტალანში
დარბოდნენ, ძრწოდნენ შეშფოთებულნი.
რკინის ქალაქი გასხვანაირდა
და ახმაურდა ბნელი სიჩუმე....
და მოსაკლავად, გაყინულ სუნთქვით
მასთან მოვიდა თვითონ სიკვდილი.
(თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის 2,403).

ბიბლიოგრაფია

1. გამსახურდია კ., პრერაფაელიტიზმი და უაილდის ზღაპრები. წიგნში: წერილები, ესეები, თბ., 1991 წელი.
2. გაფრინდაშვილი ვ., ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები მწერლის არქივიდან, თბ., 1990 წელი.
3. თსუ შრომები, დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა, N 339 (2), 2001 წელი.
4. კლდიაშვილი დ., მემუარები, სახელგამი, თბ., 1932 წელი.
5. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", N 12, თბ., 1910 წელი.
6. რობაქიძე გ., წერილები, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, წიგნი II, თბ., 2012 წელი.
7. რობაქიძე გ., წერილები, პუბლიცისტიკა, წიგნი III, თბ., 2012წელი.
8. უაილდი ო., კრიტიკოსი, როგორც ხელოვანი, თარგმანი ნ. ქაჯაიასი, თბ., 1997წელი.
9. უაილდი ო., დორიან გრეის პორტრეტი, თარგმანი თ. მაღრაძის, თბ., 1989 წელი.
10. უაილდი ო., ბროწეულის სახლი, წინასიტყვაობა გ. გაჩეჩილაძის, თარგმანი ქ. კანდელაკის და ნ. ჩიგოგიძის, თბ., 1991 წელი.
11. უაილდი ო., იდეალური ქმარი, ლედი უინდერმირის მარაო, სალომე, თარგმანი ლ. ინასარიძის, გამომცემლობა პალიტრა L , თბ., 2012 წელი.
12. უაილდი ო., მოთხრობები, ქანთერვილის მოჩვენება, გამომცემლობა პალიტრა L, თბ., 2011 წელი.
13. Pearce Joseph, The Unmasking of Oscar Wilde, San Francisco, 2004.

ედგარ პო – საშინელებათა თეატრი



„ყველას უყვარდა, თუმცა
ყველამ მიატოვა“.
ედგარ პო

ედგარ პოს აბსტრაქტული ხილვებისა და საზარელი სინამდვილის მიღმა დიდი ადამიანური სევდა ისადგურებს. ზეშთაგონება და იდუმალება გასდევს მთელ მის შემოქმედებას. ამავე დროს, მთელი მისი პროზა „დაგმანულ საიდუმლოს“ წააგავს, სადაც შესვლა შეუძლებელი ან აკრძალულია. თანამედროვეობა მას უსამართლოდ მოექცა. ყველაზე უმართებულოდ მაინც კრიტიკა მოექცა. ვულგარული პოეტი უწოდეს. უფრო მეტიც, გარყვნილი, ლოთი, შეშლილი, ნარკოტიკების მოყვარული, მორალისაგან დაცლილი.

მეტი რა უნდა ეთქვათ!

დიახ, ულმობელი აღმოჩნდება კრიტიკა პოს მიმართ.

მართალია, ელადელი ანაკრეონივით სმას მიჰყო ხელი, მაგრამ ყოველივე ამას თავისი ახსნა ჰქონდა. ყველაფერი თავზე ჩამოემხო. სიყმაწვილეში მშობლების გარდაცვალება იწვნია. მამობილმა ძაღლივით

ქუჩაში გამოაგდო, ახალგაზრდა მეუღლის გარდაცვალება, სიღარიბე, უსახლკარობა.

ლოთი იყოო, დაბეჯითებით იმეორებდნენ მაინც!

პო ერთ თავის ლირიკულ გმირს ასე აალაპარაკებს: „ვერაფერს გახდებიან ჩემთან ეს კრიტიკოსები, ჩემს მორალს ისინი ვერც დაინახავენ“ („ეშმაკს თავზე ნუ დაენაძლევები“).

დიახ, ჩემს მორალს ისინი ვერ დაინახავენო!

ელიოტიც ზედმეტად მკაცრი აღმოჩნდება პოს შეფასებისას: „ედგარ პოს ლექსების ეფექტი უშუალოა და დაუმუშავებელი“. და იქვე: „ყორანი“, ვფიქრობ, სრულებითაც არ არის პოს საუკეთესო ლექსი“ (1, 39-140).

დ. ლორენსიც უკიდურესობაში ვარდება, როდესაც წერდა: „პოს პროზას ისევე ატყვია სტილის მექანიკურობა, როგორც მის პოეზიას – მექანიკური რიტმი“ (6, 96), თუმცა ლორენსი მაინც დადებით ესეს მიუძღვნის პოს ესთეტიკურ სამყაროს. „პო იყო გამბედავი მოგზაური ადამიანის სულის ბნელ სარდაფებში, მიწისქვეშეთსა და საზარელ კარიდორებშიო“ (5, 109).

იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს პოს შემოქმედებას. უოლტ უიტმენმა, „ბალახის ფოთლების“ ავტორმა, რომელიც კრიტიკის ავ-

სიტყვაობით თვითონაც შეწუხებული იყო, დაინახა პოს პოეზიის სიღრმე და სიდიადე, მშვენიერება, უკიდურესი დახვეწილობა და იდუმალება, თუმცა იმასაც გულწრფელად აღნიშნავდა: „პოს ჩემგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდა პოეზიაზე, მისმა ნიჭმა მაინც მოიპოვა განსაკუთრებული აღიარება, და მე ახლა მესმის ეს, ვაფასებ ამას და პატივს ვცემ ამ პოეტს“ (8, 170).

ედგარ პო თავის ერთ– ერთ წერილში „პოეტებსა და პოეზიაზე“ (წერილი ბ-ს), გულისტკივილით წერდა: „მოგეხსენებათ, თუ რა წინააღმდეგობა ეღობება გზაზე ამერიკელ მწერლებს.“ აქ პო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უჭირთ ჯეროვანი შეფასება კრიტიკოსებს პოეტური ნაწარმოების, და არა მარტო პოეტურის. „მეტი გვყავს ცრუ კრიტიკოსები, ვიდრე ნამდვილი... ვისაც მარგალიტი სურს სიღრმეში უნდა ჩაყვინთოს.“ და იქვე: „ჭეშმარიტების ძიებისას ადამიანები ხშირად ცდებიან, რადგან მას ძირს ეძებენ და არა მწვერვალზე“ (2, 198-200).

წერილში „კომპოზიციის ფილოსოფია“ ედგარ პო დაწვრილებით გვიყვება „ყორანის“ შექმნის იდეაზე. პო მზადაა ნებისმიერი თავისი ნაწარმოების წერის პროცესი, და მათ შორის, „ყორანის“, ძალდაუტანებლად აღიდგინოს: „რამდენიმე სიტყვით აგიხსნით

ჩემს ჩანაფიქრს, რაც ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა დამახინჯებულად წარმოადგინა". აქვე ედგარ პო გვანდობს: „ლექსის აგებისას მტკიცედ მივსდევდი ერთ მიზანს – ყოფილიყო ყველასათვის გასაგებიო" (2.208). პო დაწვრილებით გვიყვება ლექსის ესთეტიკურ ღირებულებაზე, განწყობაზე, რეფრენის პოვნის აუცილებლობაზე და როგორ ჩნდება თითოეული სტრიქონის დასასრულს ყორანის ავის მომასწავებელი მელანქოლიური რეფრენი: „Nevermore". ამ სიტყვამ, როგორც პო გვანდობს „თვითონ აღმომაჩენინა თავი". პოს აზრით, რეფრენი უნდა ყოფილიყო სხარტი და მოქნილი, მელანქოლიური. ამავე დროს, მჟღერი და შთამბეჭდავი. სამწუხაროდ, „მათემატიკური სიზუსტით" და „ყველასათვის გასაგები" ენით დაწერილი ლექსი ზოგიერთების მიერ დაწუნებული იქნა.

ევროპული რომანტიზმის სურნელი იფრქვევა პოს პოეზიიდან და არა - პროზიდან. პროზა უფრო „შავ ფერებშია" გადაწყვეტილი, სადაც უფრო მეტია სისასტიკე და გაუტანლობა. შინაგანი კრიზისი დამანგრეველი აღმოჩნდება პოსთან, რომელიც მას ყმაწვილობიდანვე დაეწყება. ამავე დროს, ედგარ პო სიმბოლიზმის წინამორბედად გვევლინება. ფრანგმა და ევროპელმა სიმბოლისტებმა უხვად შეისუნთქეს პოს განწყობა. მათ შორის ქართველმა სიმბოლისტებმაც. პოს პოეზიით დავალებულია გალაკტიონი.

მის პოეზიაში ხშირად მეორდება პოს განწყობა. საყურადღებოა ისიც, რომ 1906 წელს ვაჟა ფშაველამ თარგმნა პოს გახმაურებული ლექსი „ყორანი“.

ყველგან პოეტის ლირიკული მე სახლობს - ლექსშიც და პროზაშიც. პო თავისი ინდივიდუალობის ხარისხით წმინდა რომანტიკული მოვლენა არ ყოფილა, მაგრამ რომანტიზმის ლირიკული გმირი თვით პო გახლდათ თავისი ისტერიებითა და მელანქოლიური განწყობით.

პოს შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა კავშირი გერმანულ მისტიკასა და გოტიკასთან. ასევე, ადრეულ გერმანულ რომანტიზმთან. ალბათ სწორი იქნება თუ დავძენთ: გოტიკიდან ამოიზარდა პოს პროზა, მაგრამ ახალი სიცოცხლე შეიძინა. გერმანელი ფილოსოფოსებისა და მწერლების სახელები მიმობნეულია პოს შემოქმედებაში. ფიხტე, შელინგი, ლუდვიგ ტიკი, ნოვალისი და ა.შ. იშველიებს და მიმართავს ხშირად მათ ნააზრევს. პოს ერთ-ერთი პერსონაჟი ერთგან გულახდილად გვანდობს: „ყველაზე მეტად გერმანელი ფილოსოფოსების თხზულებათა კითხვა მიყვარდაო“.

მერედა როგორ!

ყოველივე ეს დიდი მწერლისათვის ბუნებრივი პროცესია.

„Gold help my poor soul!"* - ეს იყო პოს უკანასკნელი სიტყვები, როდესაც ბალტიმორის ქუჩაზე უგონო მდგომარეობაში იპოვეს და როდესაც მის გვამს განეყო მისი სასოწარკვეთილი და ლამის შეშლილი სული. მაგრამ მაშინ ბალტიმორში უკუნი ღამე იდგა და სასიკვდილოდ განწირულ ედგარ პოს მხოლოდ შავი ყორანის ამაზრზენი რეფრენი ჩაესმოდა „აღარასოდეს!" საოცარია, კიდევ შერჩენოდა რწმენა. კიდევ შერჩენოდა უკანასკნელი ამოსუნთქვა, რომ მის საბრალო სულს ღმერთისადმი შველა ეთხოვა.

დიახ, შავი ყორანი ლანდივით აედევნა ედგარ პოს, და არა მარტო პოს! მასავით უიღბლო ბარათაშვილსაც სულს უფორიაქებდა შავი ყორანის ამაზრზენი ჩხავილი. ბევრი ნათესაური კავშირი დაიძებნება ბარათაშვილისა და ედგარ პოს პოეზიაში.

ამაზე უკვე გვქონდა საუბარი და ხელახლა არ შეუდგებით ამ პარალელების ძიებას (9,45).

შავი ფიქრებითაა დათრგუნული პოს სული. ყველგან არაამქვეყნიური ხმები ჩაესმის. აჩრდილები და დემონები ხშირად სტუმრობენ მის საუფლოს, მკვლელობებითაა სავსე მისი პროზა, მიუხედავად ამისა, მისი ლირიკული გმირი, ამ ყველაფრისაგან თავის დაღწევას ცდილობს და მითიური და ზღაპრუ-

* „ღმერთო, იხსენი ჩემი საბრალო სული".

ლი ელდორადოს პოვნა განუზრახავს, მაგრამ ველად გაჭრილი მითიური გმირის ხვედრი, როგორც ბარათაშვილის მხედრისა, უცნობია.

ედგარ პო გამოწვლილვით გვიყვება სიკვდილის, გამოძიების, სიზმრების, აჩრდილების, წინათგრძნობების, ცრურწმენებისა თუ ხილვების შესახებ. ქოლერა, ჟამიანობა, იდუმალი სენი თუ ავადმყოფობა მუსრს ავლებს მის პერსონაჟებს. („წითელი სიკვდილის ნიღაბი", „აშერთა ოჯახის დანგრევა", „ოვალური სურათი", „ლიგი", „ელეონორა", „მორელა", „მკვლელობა მორგის ქუჩაზე", „ოქროს ხოჭო").

ხშირ შემთხვევაში პოს თავზე დამტყდარი უბედურების გამოძახილია მისი მოთხრობების სიუჟეტი. პოს პერსონაჟები საოცრად წარმოაჩენენ პოს ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მის შინაგან სამყაროს, ნერვიულს, მშფოთვარეს, ავადმყოფურს. ამ მხრივ ყველაზე შთამბეჭდავია მოთხრობა „აშერთა ოჯახის დანგრევა". მთავარი გმირი როდერიკ აშერი განსხეულებული პოა. როდერიკ აშერის ოჯახური დრამა - საგვარეულო მამულის ნგრევა-მოშლა, მოგვაგონებს პოს ოჯახის ნგრევას. როგორც ცნობილია, ოჯახის ნგრევის სიმწარე ყველაზე მეტად პოს ჰქონდა განცდილი. ჯერ ბიოლოგიური ოჯახის, შემდგომ ჯონ ალანის ოჯახს შეხიზნულმა ხელახლა იწვნია ოჯახუ-

რი ნგრევის ხვედრი და ბოლოს, პატარა ვირჯინიასთან მოწყობილი ბუდის ნგრევა. სწორედ ამ ტკივილის გამოძახილია პოს მოთხრობა „აშერთა ოჯახის დანგრევა“.

როდესაც ლიტერატურულ გავლენებზეა საუბარი, უწინარეს ყოვლისა, უილიამ ფოლკნერი უნდა გავიხსენოთ. უთუოდ არის კავშირი პოს აშერთა და ფოლკნერის კომპსონების ოჯახურ დრამასთან (რომანიდან „ხმაური და მძვინვარება“). კვენტინ კომპსონი თავისი მშფოთვარე სულით რაღაცით ჩამოჰგავს პოს პერსონაჟს როდერიკ აშერს. ორივე პერსონაჟი ოჯახური ტრაგედიის მსხვერპლი ხდება.

ეს ისე!

დაუბრუნდეთ პოს მოთხრობის შინაარსობრივ მხარეს.

აშერთა „სევდის მომგვრელი სახლი“ შეუცნობელი საიდუმლოებებით იყო სავსე,- მოთხრობის დასაწყისშივე გვამცნობს ავტორი. როდერიკ აშერი კი ამ სრა–სასახლის მეპატრონე გახლდათ, სადაც სტუმრად ჩამოდის თვით როდერიკ აშერის თხოვნით მისი სიყრმის მეგობარი (სახელი და გვარი ანონიმურია). როგორც ირკვევა, როდერიკი „სულის დამთრგუნველ აშლილობას“ უჩიოდა. ამ გვარზე ცნობილი იყო ის, რომ „აშერების უძველესი ჩამომავლობის ხალხი უხსოვარი დროიდან გამოირჩეოდა საოცრად

მგრძნობიარე გულით". ერთ დროს „ტკბილი ცხოვრება" სუფევდა აშერთა სასახლეში. ლხინი, სიმღერა, ხვავი სუფრისა, მაგრამ „ავმა სულებმა" მათი ტკბილი სიმღერა აქციეს კვნესად. ახლა კი ოდესღაც ბრწყინვალე და დახვეწილი სასახლე ჟამთასვლისაგან ხავსით იყო დაფარული. ყველაფერს გაპარტახებისა და ნგრევის ელფერი ემჩნეოდა. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა გამომპალი და ხავსმოდებული ნაცრისფერი კედლები და ტბიდან მონაბერი მავნე და შეუცნობელი ჰაერი. „სევდის ჰაერით ვსუნთქავდითო,- გვანდობს როდერიკის მეგობარი. მართლაც, გაუსაძლის ვარამს მოეცვა ირგვლივ ყველაფერი. თვით როდერიკის პორტრეტიც სულის უღონობაზე მეტყველებდა. „მხოლოდ შეუკაზმავი შეჭამადით საზრდოობდა", „ერთგვარი მასალის სამოსელს იცვამდაო".

როდერიკი მეგობარს თავისი სნეულებისა და დაუძლურების ამბავს ასე განუმარტავს: „თანდაყოლილი, ოჯახური სევდა-სნეულება მჭირსო". მაგრამ როდერიკის მთავარი ავადმყოფობა მაინც შიში იყო. როდერიკმა ვერ შეძლო შიშთან და მარტოობასთან გამკლავება, ოდესღაც დიდი და პატივსაცემი ოჯახის გადარჩენა, რასაც მოსდევს გაუცხოება, რწმენისა და იმედის დაკარგვა. ამ ყოველივეს თან ერთვოდა: „ნუგეშმცემელი ერთადერთი დაი" - ლედი მედე-

ლეინის განუკურნებელი ავადმყოფობა, რომელიც მას სიკვდილისაკენ მიაქანებდა. მოთხრობის დასასრულს რაღაც სასწაულებრივად იღოპებიან და-ძმა აშერები და მათ სიკვდილთან ერთად ტბაში ინთქმება მათი „ჟამთა სიავით გამოხრული" გოთური და ძველთაძველი საგვარეულო სასახლე. ცხადია, მოთხრობა ედგარ პოს პირადი ტკივილებისა და განცდების გამოძახილია.

იქნებ ინცესტი იყო თავი და თავი აშერთა ოჯახის ნგრევისა და ავის მომასწავებელი შიშების სათავე. ეს მინიშნებაც ბევრის მთქმელია. „და–ძმა აშერებმა სულიწმინდას უღალატეს" (6, 106). ყოველივე ეს უმაღლესი სასჯელი აღმოჩნდება აშერთა ოჯახისათვის.

ტრაგიზმი განსაზღვრავს პოს მთელ შემოქმედებას. მოთხრობაში „ბრბოს კაცი" მკითხველი გრძნობს, რომ ბრბოს კაცი იგივე ედგარ პოა, ოჯახიდან გამოძევებული, უსახლკარო, მიუსაფარი, რომელსაც „ძველი დიდების" კვალი ალაგ-ალაგ შერჩენია. ეს ის კაცია, რომელიც „თავს არავის წააკითხვინებს", თავის სამყაროში ადვილად არავის შემოუშვებს, იმიტომ რომ სულით ამაყია, თავის ტრაგიკულ ნატურას გულდაგულ მალავს, რადგან ოჯახმა და საზოგადოებამ კარები მიუხურა, ზურგი აქცია და ბრბოს კაცად აქცია. მაგრამ ბრბოს კაცი გამორჩეუ-

ლია თავისი განუმეორებელი იერით. დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან არ გამოეპარება მისი მიუსაფრობა და განწირულობა.

ბრბოს კაცი ყურადღებას იქცევს თავისი ჩაცმულობითა და ვიზუალური გარეგნობითაც. ტანთ ეცვა დახეულ-დაგლეჯილი სამოსი, მაგრამ ზოგჯერ გამოუჩნდებოდა მწვირიანი, თუმცა უმშვენიერესი ქსოვილის პერანგი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ის ერთ დროს „ტკბილი ცხოვრების" ნაწილი უნდა ყოფილიყო. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, ცხოვრებამ წიხლი ჰკრა და ბრბოს კაცად აქცია. „ჭკუაარეული კაცის უაზრო თვალებით იცქირებოდა გარშემო". ცხოვრება სასტიკად მოექცა! ბრბოს განუყოფელ ნაწილად იქცა. სიამაყე მაინც შერჩენოდა. „თავტანდაკარგული" მოხუცი ხალხმრავალი და ხმაურიანი ადგილებისაკენ მიიღტვოდა. თავს „ხალხს" აფარებდა. ამით სურდა შეუმჩნეველი ყოფილიყო.

დიახ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ბრბოს კაცი თავად პოა. წვირიანი ფარჩებით და დაძონძილი სამოსით. იქნებ საზოგადოებამ აქცია ის ბრბოს კაცად. მიუხედავად ამისა, ბრბოს კაცმა ბოლომდე შეინარჩუნა ამაყი სული და ბრბოსთან ახლოს, მაგრამ მაინც მათგან შორი-შორს ტრიალებდა.

ეს მოთხრობა თავისი სიუჟეტით ენათესავება სომერსეტ მოემის მოთხრობას „მათხოვარი". ანა-

ლოგიურად, როგორც პოსთან, ისე მოემთან ლირიკული გმირი ცდილობს გაარკვიოს წინა დღით ნანახი უცნაური მათხოვრის ვინაობა და დიდი ძებნის შემდეგ პოულობს კიდეც. არკვევს და იხსენებს მთელ მის წარსულს, მასთან გატარებულ დღეებს. ორივე პერსონაჟის სულიერ და ფიზიკურ დაცემაზე საზოგადოებას მიუძღვის ბრალი. საზოგადოებამ მოემის გმირი მათხოვრად აქცია, პოსი - ბრბოს კაცად.

ედგარ პოს ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად ყველაზე მეტ ისტორიას გვაწვდის მოთხრობა „უილიამ უილსონი“. მთავარ გმირს ყრმობიდანვე აედევნება თავისი სეხნია „იდუმალი ხმა“, გაორებული მე, გაღვიძებული სინდისი, იგივე კეთილი სული, რომელიც მუდამ ამხელს და სულს უფორიაქებს. მოყოლებული დოქტორ ბრენსბის სკოლიდან, იტონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტით დამთავრებული. ამ შინაგან დუელს არ უჩანს ბოლო. უნდა გადარჩეს უილიამ უილსონში ადამიანი და პიროვნება და უნდა დამარცხდეს ბოროტი სული, მეამბოხე, მაცდური, გარყვნილი, ყალთაბანდი და შფოთის თავი - უილიამ უილსონი. ამ იდუმალ დაპირისპირებაში მხოლოდ ერთი უნდა გადარჩეს. ორივეს არსებობა ეწინააღმდეგება ადამიანურ იმპერატივებს. და მკითხველი გრძნობს, რომ ამ საბედისწერო დუელში იმარჯვებს სიკეთე და ადამიანური ბუნება. მკითხველი იმასაც

გრძნობს, რომ უილიამ უილსონის მიღმა ედგარ პოს არასტანდარტული პორტრეტი იკვეთება. შინაგანად შფოთვარე და წინააღმდეგობრივი პერსონა. უილიამ უილსონის ბიოგრაფიაც გვიდასტურებს, რომ ის ედგარ პოა, 1809 წლის 19 იანვარს დაბადებული.

იგივე სინდისი და შინაგანი ხმა მოსვენებას არ აძლევს სიკვდილმისჯილთა საკანში მყოფ პატიმარს, რომელიც შემზარავ მკვლელობას დაგეგმავს (უდანაშაულო ადამიანს სანთლით მოწამლავს), მგრამ შინაგანი ხმა მოსვენებას არ აძლევს, გასცემს და მართლმსაჯულებას თვითონვე უყვება იმ მკვლელობის ისტორიას, რომელიც ჩაიდინა („წინააღმდეგობრიობის ჭინკა"). დიახ, პოსთან მკვლელობისა და სინანულის თემებს დიდი ადგილი ეთმობა. მისი ერთი ლირიკული გმირი მოთხრობიდან „გული - გამთქმელი" შემზარავ მკვლელობას ჩაიდენს, მაგრამ შინაგანი ხმა- სინდისი, მოსვენებას არ აძლევს და კარგად მოფიქრებულ და შენიღბულ მკვლელობას თვითონვე აღიარებს.

პოსთან თვითგამწმენდელი და გადამრჩენელი ქალია, მაგრამ აქაც მარცხი. ისევ გარდაუვალი სიკვდილი. 1847 წელი უმძიმესი აღმოჩნდება პოსთვის. ახალგაზრდა მოეღლე ვირჯინია გარდაეცვლება. მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულმა ტრაგედიამ ყველაზე მეტი განცდა, ემოცია და შეგრძნებები მო-

უტანა. ამ ტკივილის გამოძახილია მოთხრობები: „ოვალური სურათი“, „ლიგია“, „ელეონორა“, „მორელა“. ლექსები: „ულალუმი“ და „ანაბელლი“.

პოსთან ქალი პერსონაჟი ყოველთვის გამორჩეული პიროვნული თვისებებითაა შემკული. მაგალითად, ლიგია. მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ის არაამქვეყნიური არსებაა. მიწიურისა და ღვთაებრივის ნაზავია. იგივე თვისებებითაა შემკული ელეონორა, მორელა. მათი ამქვეყნიური ხვედრი საერთოა - მოულოდნელი სიკვდილი. ისინი ავადმყოფობის ან მოულოდნელი უბედურების მსხვერპლი გამხდარან. აქ ცხადია, უხვად დაიძებნება პარალელები ედგარ პოს პირადი ცხოვრებიდან.

ლიგია ჩვეულებრივი ქალი როდია. „ამ ღვთაებრივი მშვენიერების გადმოსაცემად სიტყვები რა უღონოა!“- აღნიშნავს მოთხრობის დასაწყისშივე ლირიკული გმირი. ლიგია იდუმალებაში გადაზრდილი ღვთაებრივი ქალია. „ვერც ქალწული ვინმე შეედრებოდა სახის სილამაზით. მზისდარი სახე ჰქონდა“. ვაჟი ლიგიას სახეს როგორც ანტიკური ხანის ხელოვნების ნიმუშს ისე ჭვრეტდა. შეჰხაროდა მის „ციურ ნაკვთებს“. ამავე დროს, განსაცვიფრებელი და ყოვლისმომცველი იყო ლიგიას ნიჭი. საუცხოოდ შეესწავლა კლასიკური და თანამედროვე ევროპული

ენები. მაგრამ მალე ულმობელმა სიკვდილმა მოაკითხა ლიგიას. ამ მწუხარების შემდეგ „თრიაქმა დამიმონაო",- გვანდობს გმირი. ისმოდა ქვითინი სერაფიმებისა. ცხადია, ვირჯინიას სიკვდილი გასდევს პოს მოთხრობების დიდ ნაწილს. ვერაფრით მოიშუშა პომ ეს ოჯახური ტრაგედია. სამართლიანად ითქვა: „ლიგია" მისი საკვანძო მოთხრობაა... „ლიგია" პოს სიყვარულის ამბავია, ზღვარსგადაცდენილი სიყვარულის ამბავია" (5,95).

სერაფიმივით მშვენიერი ელეონორას ტრაგიკული ამბავი იშლება მოთხრობაში „ელეონორა". აქაც მეორდება გარდაუვალი სიკვდილის თემა, ზმანება, სატრფოს დატირება. ელეონორას ცხოვრების მესამე ხუთწლეული ილეოდა, მეოთხე მე უნდა გამესრულებინა,- გვანდობს გულშეძრული ვაჟი. მომაკვდავი სატრფოს წინაშე მუხლმოყრილი ვაჟი მარადიულ ფიცს დებს, რომ არასოდეს უღალატებდა სატრფოს ხსოვნას. ელეონორას სიკვდილთან ერთად გაქრნენ ვანილის სურნელების მფრქვეველი ყვითელი ბაიები, თეთრი ზიზილები, ლილისფერი იები, მეწამული ფერის ასფოდელები და მათ ადგილას ამოიყარნენ ცვრიანი შავ-შავი იები.

და მორელა, ფრიად განსწავლული, იდუმალი, პითაგორას, ფიხტესა და შელინგის თეორიებს ნაზიარე-

ვი ქალი. „საზოგადოებას ზურგი აქცია და თავი მხოლოდ მე შემომწირა მორელამ, ბედნიერი გამხადა“. ვკითხულობთ მოთხრობაში „მორელა“. მორელას სათუთი სიცოცხლე დღითი დღე ილეოდა. „ცაზე ჩამქრობოდა ბედის ვარსკვლავი“,- გვანდობს ვაჟი. ესეც პოა! ვირჯინიას, ლიგიას, ელეონორასა და მორელას დამკრძალავი. მართლაც, ედგარ პოს ცაზე ჩაქრობოდა ბედის ვარსკვლავი, მაგრამ არა სამუდამოდ.

პოს მდიდარი წრმოსახვა (ჭვრეტა) აძლევს საშუალებას რომ ამქვეყნიურს გაცდეს. ამიტომაც სიკვდილის თემა ამოუწურავია პოსთან. სიკვდილი პოსთან დასასრულს როდი ნიშნავს. სატრფო სიკვდილის შემდეგ ზეცის ნაწილი ხდება, ჰაეროვანი და მოელვარე, რომელსაც მორღვეული აქვს მიწიერი სამოსი (სხეული) და ღვთაებრივ ელფერს იძენს.

პოსთან ქალი ხშირად იდეალური, წმინდა და უმანკო ქმნილებაა. ის იმდენად გამჭვირვალეა, რომ მას სხეულის გარეშეც შეუძლია არსებობა, სხეული და სული თითქოს ცალ–ცალკე აგრძელებენ თანაარსებობას. მათი დამაკავშირებელი ძაფი ან არ არსებობს, ან თუ კი არსებობს, უმნიშვნელო და ძნელად სანახავია.

მოთხრობაში „ოვალური სურათ“ მხატვრისა და მისი ულამაზესი ცოლის ისტორიას ვეცნობით. მხატ-

ვარმა ტილოზე გადაიტან მეუღლის „შეუდარებელი სილამაზე", მაგრამ პორტრეტის დასრულებისთანავე ქალი კვდება. სიკვდილის მიზეზი უცნობია. მოქმედება ძველთა-ძველ, გავერანებულ კოშკში ხდება.

გამოძიების სფეროში პოსთან დიდ როლს თამაშობს ინტუიცია, ანალიტიკური უნარი, ფაქტების შეჯერება, გონებამახვილობა, ანალიზის განსაკუთრებული უნარი, საზრიანობა. ედგარ პო თავისი პერსონაჟებივით „უსაზღვრო გონებრივ აღგზნებას" მიმართავს. გამოძიების ხარისხი, შედეგი, დაკვირვება, სიმარჯვე, ვარაუდი, დასკვნები ყოველივე ამას პოსთან განცვიფრებამდე მივყავართ. ასეთი თვისებებითაა დაჯილდოებული ბატონი შ. ოგიუსტ დიუპენი. მოთხრობიდან „მკვლელობა მორგის ქუჩაზე". ამ პერსონაჟით პომ დეტექტიური მოთხრობის ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. ისიც უდაოა, რომ პომ ზეგავლენა მოახდინა ამ ჟანრის ბევრ წარმატებულ მწერლზე. „პოსთან დეტექტიური სიუჟეტები ყოველთვის განსაკუთრებულად საზარელ, პირქუშ საბურველში ეხვეოდა. მან ვერა და ვერ თქვა უარი სულისშემძვრელ დეტალებზე, - მართებულად აღნიშნავდა ხ.კორტასარი (4, 27).

მართლაც, მორგის ქუჩის ტრაგედია სახტად ტოვებს მკითხველს, როდესაც ირკვევა რომ საზარელი მკვლელობა ზრაპრული ძალ-ღონის მქონე ორანგუ-

ტანგმა ჩაიდინა. იგივე პერსონაჟი პომ წარმოგვიდგინა მოთხრობაში: „მარი როჟეს საიდუმლეობა“. აქაც დიუპენი გამოირჩევა თავისი საზრიანობითა და ანალიტიკური უნარით. იგი მარი სესელ როჯერის, იგივე მარი როჟეს შემზარავი მკვლელობის გახსნის წყირვილითაა შეპყრობილი და ანალიტიკურ უნარს სასურველ შედეგამდე მიჰყავს.

დეტექტიურ ფანტასტიკაში პომ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა. საინტერესო ისტორიას გვიყვება პო ბატონ უილიამ ლეგრანზე („ოქროს ხოჭო“), რომელსაც ნათესავების თქმით „გონების ერთგვარი შერყევა“ სჭირდა. მაგრამ უილიამ ლეგრანი „ეს განდეგილი მრავალმხრივ საინტერესო და ღირსეული კაცი იყო“. ის ტოვებს წინაპართა საცხოვრებელ ადგილს და უდაბურ კუნძულზე ქოხში განმარტოვდება. ამავე კუნძულზე კი აღმოაჩენს ოქროს ხოჭოს და... ოქროს ხოჭოს ისტორიას უსაზღვრო ფანტასტიკაში გადავყავართ. პო უჩვეულო პათოსით გვიყვება შეუსაბამო ისტორიას, ე. წ. ფანტასმაგორიას უზარმაზარი განძის აღმოჩენის შესახებ. (3,107).

პომ კარგად უწყის, რომ სიკვდილთან ადამიანი უძლურია. ამის დასტურია „წითელი სიკვდილის ნიღაბი“. შეუდრეკელი და სვებედნიერი უფლისწული პროსპერო გადაწყვეტს გაექცეს სიკვდილს - ჟამიანობას. „დიდხანს ბოგინობდა ქვეყნად წითელი სიკ-

ვდილი“, „სისხლი იყო მისი ნიშანი“. უფლისწული მაინც არ კარგავს იმედს და დიდებულებთან ერთად გამოიკეტება შეუვალ მონასტერში, რომელიც თავისი აღწერილობით გოთური სტილის იყო, აშერების სასახლის მსგავსი. „კარებზე დაადუღეს საკეტები“, მაგრამ ამაოდ. ვრცელი და საკვირველი სასახლე უფლისწულის მეფური გემოვნებისამებრ აეგოთ, რომელსაც შვიდი სამეფო დარბაზი ამშვენებდა, თავისი ფერებითა და ეფექტებით. „მუშაითები, მიმოსები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, ლამაზები, ღვინო, ყველაფერი ეს იყო აქ და საშიშროება, „წითელი სიკვდილი“ - გარეთ“ (6, 42).

ამ მოთხრობაში ედგარ პო ამძაფრებს თავის გროტესკს და ირონის. ადამიანი უძლური და უმწეოა ბუნების მოვლენების წინაშე. სიკვდილი „ბნელი ღამის ქურდივით შემოპარულიყო“ სასახლეში, წითელი სისხლის ღვარი იდგა პალატებში.

ხოლო შავი ხის საათი, რომელიც იდგა სასახლეში ამაოების, წარმავლობის, სიკვდილის, ადამიანური უღონობის, ავი წინათგრძნობის, სევდისა და ტრაგიკულობის სიმბოლოოდ მოიაზრება. უფლისწულის გადაწყვეტილება ეს იყო ბოროტად დაცინვა ადამიანური ყოფიერებისა.

ჟამიანობა ედგარ პოს მხოლოდ ფიზიკურად

ემუქრება. შავი ხის საათი ცხოვრების საზრისია. წამი წამს მისდევს, წუთი – წუთს და განილევა, განქარდება ადამიანის დღეები, მაგრამ ედგარ პომ უნდა იცოცხლოს, შავი ხის საათს მისი დიდების წუთები ჯერ არ ჩამოუკრავს.

ალბათ, სწორედ ამ დროს, ყველაზე ძალუმად ჩაესმოდა დღეებდათვლილ ედგარ პოს დემონური ხრხარი და შავი ყორანის ამაზრზენი ჩხავილი.

ორეულები, აჩრდილები და იდუმალი ხმები გადასწონიან ხოლმე რეალობას და ედგარ პო სწორედ ამ დროს გაექცევა საკუთარ თავს. დემონების ამარა დარჩენილს ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრიც არ ძალუძს. ამაო აღმოჩნდება მამობილისაგან მცირეოდენი მოწყალების მიღება. დედობილი თითქოს ეხმარება კიდეც, მაგრამ დენდი პოეტისათვის ეს ვერაფერი შვებაა. სასოწარკვეთილი და უნუგეშო დახმარებისათვის ამაოდ უხმობს პატარა ვირჯინიას, ელეონორას, ლიგიას, მორელას, ანგელოზებს, მაგრამ...

ედგარ პო ლეგენდა გახლდათ, ბოსტონში დაბადებული და ტკივილებად მოვლენილი ჩვენ ყოფით რეალობას. ედგარ პო სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი განწირული პოეტი იყო. სიკვდილთან გაშინაურებული მოჩვენებათა პირისპირ მუდამ იდგა და მთელი ცხოვრება ებრძოდა შავი ყორანის ავბედით რისხვას. ბედისაგან დანდობას ითხოვდა,

მაგრამ მოჩვენებები და დემონები თავისას მოითხოვდნენ - მსხვერპლს და ეს ლიტერატურული შენაწირი ბალტომორში უგონო მდგომარეობაში ნაპოვნი ედგარ პო აღმოჩნდება.

ბიბლიოგრაფია

1. ელიოტი ტ ს., ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე, ლექციები წაკითხული კონგრესის ბიბლიოთეკაში 1948 წელს, თარგმანი პ. და რ. ჩხეიძეების, „კრიტიკა", № 6, 1985 წელი.
2. ესეები, ინგლისელი და ამერიკელი მწერლები, თარგმანი პ. და რ. ჩხეიძეების, თბ., 1989 წელი.
3. ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა მოთხრობები, პირველი და უკანასკნელი, თარგმანი ალ. გამყრელიძის, თბ., 1987 წელი.
4. კორტასარი ხ., ედგარ პოს ცხოვრება, თარგმანი შ. მიზანდარის, ჟურნალი „არილი", № 2, 2001 წელი.
5. ლორენსი დ ჰ., ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ, თარგმანი თ. კოტრიკაძის, თბ., 2004 წელი.
6. პო ე., მოთხრობები, თარგმანი ზ. კილაძის, თბ., 1988 წელი.
7. პო ე., მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, თარგმანი ზ. კილაძის, თბ., 2011 წელი.
8. უიტმენი უ., ედგარ პოს მნიშვნელობა, მოგონებათა წიგნიდან „რჩეული დღენი". თარგმანი პ. და რ. ჩხეიძეების, „კრიტიკა", № 3, 1984 წელი.
9. წურწუმია კ., ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპულ –ამერიკული პოეზია, თბ., 2009 წელი.
10. Meyers Jeffrey, Edgar Allan Poe, His Life and Legacy, Paperback, New York, Cooper Square Press, 1992.

Ო. ჰᲔᲜᲠᲘ - „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ



„ადამიანი ცუდ საზოგადოებაში ორი მიზეზით შეიძლება მოხვდეს, როცა ბევრი ფული აქვს, ან საერთოდ არ აქვს“.

ო. ჰენრი

ტუსაღის ცხოვრებამ უილიამ სიდნი პორტერის ცხოვრება და მსოფლმხედველობა რადიკალურად შეცვალა. რიგითი მოლარე, რომელიც ფულის გაფლანგვისათვის დააპატიმრეს და ამერიკის მართლმსაჯულებას ჰონდურასში ემალებოდა, მოგვიანებით წარმატებული და პატივსაცემი მწერალი ხდება. ალბათ, მომავალი მწერალი ყმაწვილობაში ვერასოდეს იოცნებებდა იმ დიდ სამწერლო კარიერაზე, რომელიც მას მეხივით თავს დაატყდა. იღბალი ეწვია! ეწვია და მერე როგორ! ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ შემდგომში მისი სახელობის ლიტერატურული პრემიები დაწესდებოდა. დიახ, უფალმა მწერალს მადლიანი კალთა უხვად დააბერტყა, თუმცა დასასრული, ამ ყველაფრისა, სხვაგვარი აღმოჩნდება. სიღატაკე, ავადმყოფობა... გაუსაძლისი პირობები.

ო.ჰენრის ნოველებისათვის დამახასიათებელია მტკიცე კომპოზიცია, დახვეწილია ენა და სტილი. ფსიქოლოგიურ ხერხებს მწერალი ოსტატურად იყენებს. უხსიტყვაობა მინიმალურამდეა დაყვანილი და შენარჩუნებულია მოკლე და სხარტი თხრობა, ექსპრესიულობა. მისი ნოველების სტრუქტურა, ფორმა და შინაარსი სადა, ლაკონური და ტევადია. სხარტ თხრობას მოსდევს ღრმააზროვანი ქვეტექსტები, გროტესკი და სარკაზმი, ტრაგი–კომიკური ხერხები. ემოციები გამძაფრებულია, ძლიერდება ექსპრესიული თხრობა, პიროვნების ტრაგიზმი გამოკვეთილია. თხრობის მიზანი – ნათელი.

ო.ჰენრის გამჭრიახი თვალები ყველაფერს ამჩნევს. მისი საღი განსჯის უნარი და საზრიანი დასკვნები მკითხველს დღემდე ხიბლავს. მარჯვე შედარება, პარადოქსული ფრაზები, სხარტი რეპლიკები, სასაცილო მინიშნებები, ეპიგრამები, სხარტულები, მოულოდნელი კალამბურები, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. ო.ჰენრის აქვს საოცარი მიგნების უნარი. მისი გმირები ჩვენს თვალწინ ცოცხლობენ და ე.წ. „შინაურულ“ განწყობას გვიქმნიან. თითქოს ეს პერსონაჟები ჩვენს ქალაქში, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და თვითონ

გვიყვებიან ჭირ–ვარამით სავსე თავიანთ ცხოვრებაზე. ასეთი ო. ჰენრის ნოველების ძირითადი მახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. მართებულად ითქვა: „ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში მას საკუთარი ადგილი უკავია, როგორც მოკლე მოთხრობების (Short story) დიდოსტატს“ (6,4).

1924 წელს ჟურნალი „დროშა“ ქართველ მკითხველს ატყობინებდა: „ო.ჰენრი მართლაც დიდი ოსტატია წვრილი მოთხრობების. თვითეული მისი სტრიქონი სავსეა სახეებით. კომპოზიცია მისი ნაწერებისა შეუმცდარია, ამასთან მისი მოთხრობების უმრავლესობა ისეა აშენებული, რომ მთელი სიუჟეტი ცხადდება მხოლოდ უკანასკნელ სტრიქონში“ (3,29). დიახ, ო.ჰენრის ნოველების კომპოზიცია მოულოდნელობებითაა სავსეა. უშუალობა, სხარტი თხრობა, ხალისიანი იუმორი და, რაც მთავარია, გულწრფელობა იგრძნობა მის ნოველებში. ო. ჰენრის შემოქმედების უმთავრესი თემა უბრალო, „პატარა ადამიანების“ ცხოვრების ასახვაა, რომლებიც მეტწილად ღიმილიან თანაგრძნობას და სიყვარულს იმსახურებენ. ეს უთუოდ მწერლის დამსახურებაა, რადგან მისი მოთხრობები დაუსრულებელი სიკეთითა და იუმორითაა გაჯერებული.

ო.ჰენრი XX საუკუნის ამერიკელი მწერალია. მისი ნამდვილი სახელი და გვარია - უილიამ სიდნი პორტერი. თავიდანვე ამერიკის ინტელექტუალურმა საზოგადოებამ არ იცოდა ვინ იყო იმ წარმტაცი, სხარტი და მოკლე სიუჟეტის მქონე მოთხრობებისა და ნოველებით ავტორი, რომელიც ო.ჰენრის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა.

ო.ჰენრიმ ცხოვრების მძიმე სკოლა გაიარა. ჯერ კიდევ ყმაწვილს ობლობის მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა. ბავშვობიდანვე ცხოვრების ფერხულში ჩაებმება. იწრთობოდა, თვითდამკვიდრებისათვის იბრძოდა. ათასგვარი განსაცდელი არგუნა განგებამ. ამ უზარმაზარ სამყაროში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა ეპოვა, ღირსეული, საკადრისი. ცდილობდა მიზნისთვის მიეყწია, მაგრამ არა სიტყვითა და კალმით. თუმცა ჟურნალისტობაც სცადა. იყო იუმორისტული ჟურნალის რედაქტორი, მაგრამ მანამდე იყო მეაფთიაქე, მესაწყობე, კოვბოი, ბუხჰალტერი. ძიების პროცესს ბოლო არ უჩანდა. დიახ, ყმაწვილკაცს მრავალ განსაცდელი არგუნა ბედმა, მაგრამ ყოველივე ეს როდი აშინებდა. აწრთობდა და წვრთნიდა ყველაზე წმინდა და საპასუხისმგებლო საქმისათვის, რასაც მწერლობა და მწერლის პროფესია ჰქვია.

მანამდე კი ტუსაღის მძიმე ხვედრი უნდა ეგემა. ცხოვრებისეული გროტესკი და ირონია შეესწავლა. ღრმად უნდა ჩასწვდომოდა ადამიანის სულის ლაბირინთებს. და შორს, ცის დასალიერზე თანდათან იკვეთებოდა მისი სამწერლო სილუეტი. იბადებოდა „პატარა ადამიანების“ უბადლო ფსიქოლოგიის მხატვარი.

მწერლის უზადო ოსტატობას ერწყმის მისი გმირების შინაგანი სისპეტაკე და კეთილშობილება. ისინი უკლებლივ დაბალ ფენას განეკუთვნებიან და გააფთრებით იბრძვიან საკუთარი უფლებებისა და ღირსებისათვის. მაგრამ ეს ბრძოლა „წესების გარეშე“ როდი ხდება. დამთმობნი არიან, მაგრამ ამავე დროს, სიამაყე და პრინციპულობა განსაზღვრავს მათ ცხოვრების წესს. ისინი შეპყრობილნი არიან ოჯახური ჰარმონიის მოპოვების სურვილით, რომლის მოსაპოვებლად სწირავენ ყველაზე ფასეულს და ღირებულს („მოგვთა საჩუქარი“, „სიყვარულის მსხვერპლი“).

ო.ჰენრის მოთხრობებში ხშირია კომიკური სიტუაციები, რომელიც გაზავებულია სევდიანი იუმორით. ეფექტურ და დინამიურ თხრობას ერთვის მოკლე და სხარტი დასასრული, რომელიც ერთი ამოსუნთქვით მთავრდება, მაგრამ მკითხველს დიდხანს გაჰყვება ის ემოციური მუხტი, რომელიც მათშია ჩადე-

ბული. არსად არაა სიტყვამრავლობა, მით უფრო მაღალფარდოვანი ფრაზები და დიალოგები. გულწრფელი და ემოციური თხრობის მიღმა არის სიკეთის განუსაზღვრელი ზეიმი.

დიახ, ო.ჰენრის ნოველების კომბინაცია მარტივი და სადაა. „ბრძოლა არსებობისათვის", – ესაა ო.ჰენრის გმირების უპირველესი ამოცანა. მათი პროფესია არახალია. დარაჯები, ხუროები, ფერმერები, მიმტანები, მკერავები, ლაქიები, მოლარეები, ხელმოცარული ვაჟბატონები, ბირჟის კლიენტები, ქურდბაცაცები, რიგითი მუშები. ასეთია, ო.ჰენრის პერსონაჟების „პროფესიული ბიოგრაფია". ცხოვრების სიმძიმე თითეულ მათგანს ბოჭავს და წინსვლაში ხელს უშლის. ლუკმა–პურისათვის წანწალი, სიღარიბე, სიღატაკე, მოუგვარებელი სოციალური საკითხები, ბინის ქირის გადაუხდელობა, უმუშევრობა, ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმა, გახრწნილობა, გაუტანლობა, შური, ეგოიზმი, სიყვარულსა და სახლის სითბოს მოკლებულნი მაინც იბრძვიან არსებობისათვის. იციან ეს ბრძოლა მეტწილად უშედეგოა, მაგრამ მინც იბრძვიან, რადგან უმოქმედობას, ისევ ბრძოლა ურჩევნიათ. ისინი დინებას მიჰყვებიან, ცხოვრების დინებას. ამავე დროს, ადამიანური რესურსების ნაკლებობაც იგრძნობა მათ ხასიათში.

მათვის უცხოა თავისუფლება, მეტადრე შინაგანი თავისუფლება. ისინი ზედმეტად პრაგმატული ადამიანები არიან. ყოველივე ეს „შიშველი რეალიზმია“, რაც ო.ჰენრის პერსონაჟების სულიერ სამყაროს ზედმიწევნით გვამცნობს, მძიმე სოციალურ ფსკერში გვახედებს.

ო.ჰენრის „ნაკლი“ ისაა, რომ მწერალი არ გვიჩვენებს მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებს. სოციალური საკითხების მოგვარება განუხორციელებელი და მიუღწეველია ო.ჰენრის პერსონაჟებისათვის. „პატარა ადამიანებს“ არანაირი შანსი არ აქვთ ცხოვრების შეცვლის. ისინი ერთფეროვანი ცხოვრების ნაწილი ხდებიან. და ამით ბოლო არ უჩანს არსებობისათვის ბრძოლას, ლუკმა–პურისათვის წანწალს. ამერიკა, ამ მხრივ, მათთვის ნამდვილად არაა „ოცნების ქვეყანა“. ჩიხი, დაბრკოლებები, ბიუროკრატიული ბარიერები, სიძნელეების პირისპირ დგომა, ასეთია ო.ჰენრის პერსონაჟების საბოლოო ხვედრი.

„პატარა ბიოგრაფიების“ მქონე პერსონაჟების მიღმა თავსდება ადამიანური სევდა. მათი სფერო და ინტერესი ერთობ ლოკალურია. საასპარეზოდ ჰყოფნით დუქნები, სალონები, დიდი ქალაქის ვიწრო ქუჩები, ყავახანები თუ ლუდხანები. ამავე დროს, სუსტი

და დაუცველი არიან. ისინი გადარჩენის მიზნით ხშირად დიდ ქალაქს აფარებენ თავს, მააგრამ დიდ ქალაქში მათთვის ადგილი არ რჩება. პრობლემების წინაშე პირისპირ უძლური არიან. ქალაქში მათი მომავალი ბუნდოვანი და გაურკვეველია. ამ მხრივ ყველაზე შთამბეჭდავი სახეა ტრიპი, მოთხრობიდან „ნამდვილი ამბავი". უმუშევრობა, უხელფასობა, ბინის ქირის გადაუხდელობა, ავადმყოფობა, მუდამ გადარჩენაზე ფიქრი, - ასე ერთფეროვნადაა გაწერილი ო.ჰენრის გმირების ბედი. მიუხედავად თავზე დახვავებული ყოფითი პრობლემებისა, მათ არასოდეს ავიწყდებათ სიკეთე და სიყვარული, ადამიანური ჰუმანიზმი. სწორედ ეს განწყობ გასდევს ო.ჰენრის მთელ შემოქმედებას.

ბიროტი და მძარცველი, ავაზაკი და მოღალატე, სნობი, მუქთახორა, შლეგი, ანგარიშიანი, ხარბი, ხულიგანი, პროფესიონალი თაღლითები, უხვად მოიძებნებიან მწერლის გალერეაში, მაგრამ მკითხველი მათ ნაკლებ იმახსოვრებს, რადგან დიდია „მოგვთა საჩუქარის" გაღებული სიკეთე, რომელიც ყველა ბოროტებას გადასწონის. თუნდაც „უკანასკნელი ფოთოლის" პერსონაჟის მხატვარ ბერმანის მიერ გაღებული სიკეთე. სიუჟეტის ელვისებურად განვითარების პროცესში მწერალი ბოლომდე თავის პერსონა-

ჟებთანაა და ცდილობს გმირის შინაგანი მხარე ბოლომდე გახსნას. მისი ხასიათი, განწყობა, გარესამყაროსთან დამოკიდებულება.

მწერლის გმირები ზოგჯერ გამოუსწორებელ დანაშაულს ჩადიან, რომელსაც მათ გარემოება კარნახობს ან უბიძგებს, მაგრამ ისიც ირკვევე, რომ დანაშაულის გამომწვევი მიზეზი მხოლოდ ოჯახი და საზოგადოებაა. ნოველაში „საბრალდებო დასკვნა“ მოვლენები ვითარდება ლიზისა და კიდის გარშემო. ეჭვიანობის ნიადაგზე გოგონა საქმროს კლავს, თვითონ კი მდინარეში იხრჩობს თავს. ლიზის უბედურების მიზეზი ოჯახია. უფროსების უყურადღებობის შედეგად გოგონა ქუჩაში აღმოჩნდება. „ამ საქმეში დამნაშავე წითური, გაუპარსავი, უსუფთაო მამაკაცია, ფანჯარასთან რომ ზის და წინდების ამარა გაზეთს კითხულობს მაშინ, როცა მისი შვილები ქუჩაში თამაშობენ“. დიახ, ო.ჰენრის გმირები ცხოვრებაში ზოგჯერ ცუდ ან იოლ გზას ირჩევენ. ასეთია ჯიმ ვალენშტაინიც („უკუგარდასახვა“), რომელსაც ცხოვრებამ უბიძგა სეიფების პროფესიონალი მძარცველი გამხდარიყო, მაგრამ მალე ვალენშტაინი ხელს იღებს ნაცად პროფესიაზე და პატიოსანი გზით სურს იცხოვროს. ამაში მას, უპირველეს ყოვლისა, დაეხმარება მომხიბლავი ბანკირის ქალიშვილი ანაბელა ადამსი. სიყვარულმა და ოჯახურმა იდილიამ რადიკალუ-

რად შეცვალა გმირი, მაგრამ „შემთხვევის“ წყალობით გმირი იძულებულია მიუბრუნდეს ძველ პროფესიას, სადაც გამოავლენს თავის ძველ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მოთხრობის დასრულებამდე მკითხველი ჯიმ ვალენშტაინის მხარეზეა და თანაუგრძნობს.

დიახ, პროფესიონალ სეიფების მძარცველებს, მკვლელებს, თაღლითებს, მატყუარებს, ცხოვრებისაგან გარიყულებს ხშირად შევხვდებით ო.ჰენრის პერსონაჟთა შორის. ამ მხრივ საყურადღებოა მოთხრობა „ვინ დგას ყველაზე მაღლა“, სადაც მკითხველი ეცნობა სამი პროფესიონალი თაღლითის ჯეფ პიტერსის, ბილ ბასეტის და მისტერ ალფრედ რიკსის ფათერაკებით აღსავსე ისტორიას.

„ყველაფერი ლანიო კიდის ბრალი იყო“, – გვიყვება მწერალი მოთხრობაში „ორჯერ მკვდარი მატყუარა“. 20 წლის ლიანო კიდი სამორინეში მკვლელობას ჩაიდენს, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის თეკერის „წინადადება“ ბევრად უფრო მზაკვრული და არაადამიანური აღმოჩნდება, ვინამ თვით ლიანო კიდის ჩადენილი დანაშაული.

როგორც ავღნიშნეთ, დანაშაულებებით სავსეა ო.ჰენრის „პატარა პერსონაჟებით“ დასახლებული სამყარო. ცხოვრებაში ო. ჰენრის პერსონაჟები ხში-

რად უსწორ–მასწორო, ხიფათიან და ფათერაკიან გზებს ირჩევენ. ამის ნათელი მაგალითია შარკ (ზვიგენი) დიდსონი. „სანსეტ ექსპრესის“ საფოსტო განყოფილების მდიდარი საბადოს დაყაჩაღების შემდეგ შარკ დიდსონმა „იქედნენ ნაშობმა“ სრულიად აუღელვებლად გასწირა მეგობარი ბობ თითბალი. მას სიხარბემ სძლია. და როგორც მწერალი აღნიშნავს, მისმა სულმა სხეულიდან გარეთ გამოიხედა და მკითხველს დაანახა თავისი სიხარბე და გაუტანლობა („გზა, რომელსაც ვირჩევთ“).

სევდიან და კომიკურ განწყობას გვიქმნის მოთხრობა „სფინქსის ვაშლი“. ზამთრის ცივ ღამეში, ხუთი მგზავრი, ცხოვრებისაგან გარიყული, განდეგილი და შეშლილი მოხუცი რედრუთის ქოხს შეფარებულნი თხზავენ „ისტორიებს“ რედრუთსა და მის შეყვარებულზე, რათა „სფინქსის ვაშლის“ მფლობელნი გახდნენ, მაგრამ ენამზეობით აღტკინებულ მგზავრებს მის გარლანდმა იმედები გაუცრუა.

ო. ჰენრის ნოველების დიდი ნაწილი ხშირად სარკაზმით, იუმორითა და გროტესკითაა გაზავებული. ამ მხრივ საყურადღებოა ნოველები: „იუმორის აღსარება“ და „სანამ ავტო იცდის“. რკინა–კავეულობის მაღაზიაში რიგით ბჰღალტრად მომუშავე ჯონის ნამდვილი იუმორის ნიჭი აღმოაჩნდება და მეგობრების წრეში კოლორიტად გადაიქცევა, მაგრამ მალე

ჯონი კარგავს ღვთისაგან მომადლებულ ნიჭს. მის სხარტულებს უშუალობა მოაკლდებათ, გახდება ყალბი, ხელოვნური და ნაძალადევი. მალე ის ყველას თვალში „იუმორის დემონად" გადაიქცევა („იუმორის აღსარება").

ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა გოგონა საოცარი მონდომებით თამაშობს მაღალი წრის არისტოკრატი გოგონას როლს, ოსტატურად ცრუობს, იმ იმედით, რომ ბედს ხელი გამოჰკრას და ლედობის ნამდვილი სურვილი აისრულოს. იგი ყოველ დღე, წიგნით ხელში, პარკში ელოდება უფლისწულის გამოჩენას, მაგრამ მოთხრობის ბოლოს ყველაფერი გაირკვევა ვინ – ვინაა და მკითხველს იუმორთან ერთად სიბრალულის გრძნობა ეუფლება ახალგაზრდა გოგონას მიმართ („სანამ ავტო იცდის").

მოთხრობა „სესხი–პირველივე მოთხოვნით" ჩვენს ყოფით რეალურ მოვლენებს ეხმიანება. ჩაპაროზას ნაციონალური ბანკის დამფუძნებელმა ბილ ლონგლიმ, მეგობარის თომას მერვინის სახელზე ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გარანტიის გარეშე გასცა პირველივე მოთხოვნის სესხი. მხოლოდ მეგობრის სიტყვას ენდო. მაგრამ რევიზორმა, ერთობ კირკიტა კაცმა „დამღა" მაშინათვე აღმოაჩინა და ბილ ლონგლის შეცდომის გამოსასწორებლად დღის

12 საათამდე მისცა შანსი, წინააღმდეგ შემთხვევაში სჩივარს აღძრავდა მის წინააღმდეგ. ბანკის დამფუძნებელი და თვით თომას მერვინი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. თომას მერვინს გარემოებამ კინაღამ ცუდი საქციელისაკენ უბიძგა, მაგრამ ბედის ჩარხი ამ დამიანებისა კეთილად დატრიალდება. ასე ეთამაშებიან თვით ცხოვრებას და ბედს ო.ჰენრის პერსონაჟები, რათა სანუკვარ მიზნებს მიაღწიონ.

„ალქაჯური პურები" მკითხველს მხიარულ განწყობას უქმნის. მის მართასა და მისი უცნაური კლიენტის „ფარული ვნება" გაუგებრობისა და ცუდი შედეგის მომტანი აღმოჩნდება. მის მართას პატარა საფუნთუშე და „მგრძნობიარე გული" ჰქონდა, რომელმაც ვერ გათვალა თავისი კლიენტის ნამდვილი ვიზიტები. საშუალო ასაკის მამაკაცი, რომელიც შესამჩნევი გერმანული აქცენტით საუბრობდა, მართა ზედმეტად დაინტერესდება, კლიენტი მასთან ყოველდღე ორ გამხმარ პურს ყიდულობდა. მართას „ჩარევით" კი არქიტექტორის სამი თვის საპრიზო კონკურსის ნამუშევარი მხოლოდ „სენდვიჩების შესახვევ" უბრალო ქაღალდად გადაიქცევა.

ო.ჰენრის გმირები ცხოვრების ფერხულში ისე ღრმად არიან ჩაფლულნი, რომ ზოგჯერ ავიწყდებათ პირად ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი ეპიზოდებიც

კი. „მოუცლელი ბროკერის რომანი“ გაჯერებულია იუმორითა და ღიმილით. ცხოვრების მორევში ჩაძირვას „ამნეზია“ მოსდევს, ზოგჯერ იქამდე, რომ ჰარვი მაქსველს ავიწყდება წინა დღის ჯვრისწერის ცერემონია და ცოლს მის ლესლის ხელახლა სთხოვს ხელს. მოთხრობა მთავრდება გაოცებული და გაკვირვებული მის ლესლის სიტყვებით: „ნუთუ აღარ გახსოვს, ჰარვი? გუშინ საღამოს რვა საათზე კუთხის პატარა ეკლესიაში ჯვარი დავიწერეთ“.

ხშირად მწერლის გმირები გადარჩენის მიზნით დიდ ქალაქს აფარებენ თავს, მაგრამ დიდ ქალაქს შეფარებული ადამიანების ბედი გაურკვეველი და ბუნდოვანია. ისინი ხმაურიან ქალაქში იკარგებიან, ინდივიდუალობას კარგავენ და მხოლოდ გადარჩენისათვის ფიქრობენ. იმდენად სუსტი და უნიათონი არიან არც კი ფიქრობენ ოჯახურ უდილიაზე. ეს მათვის ზედმეტი პასუხისმგებლობ და ფუფუნებაა. მოთხრობის „ნამდვილი ამბავი“ სიუჟეტი სახტად ტოვებს მკითხველს. მწერლი მთავარი გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მის სულიერ დეგრადაციას მკაფიოდ და ზედმიწევნით გვამცნობს.

ტრიპს „დილის შუქურის“ ტექნიკურ განყოფილებაში „ილუსტრაციებთან უნდა ჰქონოდა საქმე, რადგან მუდმივად ფოტოქიმიკატების სუნს აფქრევევდა... ოცდახუთიოდე წლის იქნებოდა, თუმცა

ორმოც წელს მისცემდი. სახეს უფარავდა ხვეული, წითური, მოკლე წვერი, რომელიც ფეხსაწმენდ ნოხს მოგაგონებდათ, ოღონდ უწარწეროდ... ფერმკრთალი იყო, ავადმყოფური გამომეტყველებით, მორჩილი და მუდმივად ფულს სესხულიბდა - ოცდახუთი ცენტიდან ერთ დოლარამდე. დოლარზე მეტს არასოდეს ითხოვდა. ყოველთვის ცდილობდა თავი ლაღად და უდარდელად დაეჭირა, მაგრამ ამით არავინ ტყუვდებოდა, თუმცა კი ეს ფულის სესხებაში ეხმარებოდა, იმდენად საცოდავი სანახაობა იყო მის მიერ გათამაშებული, ხელოვნური სილაღე", - ასე გვისურათხატოვნებს მწერალი ტრიპის პორტრეტს.

ტრიპის პორტრეტის აღწერის შემდეგ მწერალი გვიყვება საოცარ ისტორიას ადა ლოურის შესახებ, რომელიც ისევ ტრიპთან არის დაკავსირებული. გოგონა ნიუ-იორკში ჩამოდის სატრფოს ჯორჯ ბრაუნის საძებნელად, მაგრამ დიდ ქალაქში მისი სატრფოს საქმეები სულ სხვაგვარად წარიმართება. ამასობაში ადას მორიგი ხელისმთხოვნელი გამოუჩნდება, მაგრამ გოგონა გათხოვებამდე გადაწყვეტს ქალაქში ჩავიდეს, სატრფო მოძებნოს და საბოლოო პასუხი მისგან მიიღოს. მოძებნის კიდეც, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართება. აქვე გოგონა გვანდობს იმ ერთგულების ფიცის ისტორიას, რო-

მელიც მან და მისმა სატრფომ დადეს: „იმ დღეს, როცა მიდიოდა ათცენტიანი მონეტა შუაში გადავჭერით. ერთი ნახევარი მე ავიღე. მეორე - მან. ერთმანეთს შევფიცეთ, რომ ერთმანეთს ვუერთგულებდით და ამ ნაწილებს შევინახავდით, სანამ ისევ არ შევხვდებით“. მაგრამ ცხოვრება ასე როდია მოწყობილი... „ჩვენს პირველ სიყვარულზე იშვიათად ვქორწინდებით“. მოთხრობის დასასრულს ირკვევა, რომ ჯორჯ ბრაუნი ტრიპია და იქვე მკითხველი აღმოაჩენს ათცენტიანის მეორე გადაჭრილ ნახევარს, რომელსაც ტრიპი გულდაგულ ინახავს. ასე უნიათო და უპერსპექტივო გახდა დიდ ქალაქს შეხიზნული ახალგაზრდა კაცის ცხოვრება. გმირი იქამდე დაეცემა, რომ მზადაა ოცნების ქალი ყოველგვარი ბრძოლის გარეშე სხვას დაუთმოს.

ამოუწურავი სიკეთე და სიყვარული იფრქვევა მოთხრობიდან „მოგვთა საჩუქარი“. როგორც ავღნიშნეთ, ო.ჰენრი „პატარა ადამიანების“ ფსიქოლოგიის უბადლო მხატვარია. მწერალი საოცარი რუდუნებით ქმნის, ძერწავს უბრალო ადამიანების ამაღელვებელ, ემოციებით დატვირთულ, სიკეთით სავსე პორტრეტებს. მოთხრობაში ვეცნობით ახალგაზრდა მეუღლეებს, რომლებიც რვა დოლარიან ბინაში ცხოვრობენ და თვიდან-თვემდე წვალებით გააქვთ

თავი. ოჯახში „მოკრძალებული სიღარიბე“ ყველგან იგრძნობოდა, მაგრამ ისინი უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ ამ სიღარიბით და მსუბუქი საუზმეებით. ცოლ-ქმარი იანგები „ორ ისეთ რაღაცას ფლობდნენ, რითაც ნამდვილად შეეძლოთ ეამაყათ“. პირველი გახლდათ ოქროს საათი, რომელსაც ჯერ კიდევ ჯიმის მამა და პაპა ატარებდნენ, მეორე – დელას თმა. სხვა გამოსავალი არაა! საშობაო დღესასწაულს უნდა შეეწიროს ორი ძვირფასი რამ, რაც ოჯახს გააჩნდა. მკითხველი გრძნობს, რომ ამ მეუღლეებს აკავშირებთ უსაზღვრო სიკეთე, რწმენა, ერთგულება, პატივისცემა და რაც მთავარია, დიდი სიყვარული. მათ ღრმად სჯერათ, რომ ყოველგვარი დაბრკოლება დაიძლევა თუ კი სიყვარულის ტკბილი დღეები არ დასრულდება. მწერალი ოსტატურად ასკვნის: „ჩვენი დროის ყველა ბრძენთა საყურადღებოდ მსურს განვაცხადო, რომ საჩუქრის გამცემთა შორის ეს ორი მაინც უბრძნესი იყო“.

იგივე ემოციებს ბადებს მოთხრობა „სიყვარულის მსხვერპლი“. აქაც მეუღლეები უსაზღვროდ ეწირებიან ერთმანეთს ყოველგვარი ანგარების გარეშე, და ეს მსხვერპლგაღება და სიკეთე იმდენად საამური და სიმშვიდის მომგვრელია, რომ მკითხველს სიხარულის ცრემლები სდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ო.ჰენრის გმირებს ბედისწერის ღრმად სჯერათ. ამის საუკეთესო მაგალითია „მწვანე კარის“ პერსონაჟი რუდოლფ სტეინერი - თავგადასავლების ჭეშმარიტი მაძიებელი. რუდოლფი როდესაც მწვანე კარს იპოვის და მის მობინადრეს, ასეთ დასკვნას აკეთებს: „მე მაინც დარწმუნებული ვარ, ბედისწერის ძალამ ინება, ასეთი გზით მეპოვა ეს გოგონა“. საყურადრებოა ისიც, რომ მწერლის გმირები საოცრად უშუალო, გამგები და მეგობრული არიან. ისინი მზად არიან საკუთარი, პიროვნული, პატარა (მათთვის დიდი) ბედნიერება დათმონ, ოღონდ მეგობარს გაუწოდონ დახმარების ხელი. მწერლის გმირების მიერ გაღებული სიკეთე უკვალოდ არ ქრება. მათ ეს სიკეთე ათმაგად უბრუნდებათ. ამ მხრივ მკითხველს უთუოდ ემახსოვრება მაღაზიის გამყიდველი ახალგაზრდა ქალი მეიდა („მეწამული კაბა“), რომელიც რვა თვის მანძილზე ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, რათა მადლიერების დღესასწაულს 18 დოლარიანი მეწამული კაბით შეხვედროდა. გოგონა უარს ამბობს თავის დიდი ხნის ნანატრ სურვილზე და მეგობარ გოგონას გრეის გაუმართავს ხელს, მაგრამ მეიდას მალე დაუფასდება გაღებული სიკეთე. მეორე დღეს მას ახალ კაბაში გამოწყობილს შეამჩნევს მისტერ რემსი, მაღაზიის საქ-

მეთა მმართველი: „ო, მის მეიდა, პირდაპირ მზეთუნახავი ხართ ამ ახალ კაბაში. ძალიან დამწყდა გული, საღამოზე რომ ვერ იყავით. ჩემ ნაცნობ ქალიშვილებს შორის თქვენ ყველაზე გონიერი და ფაქიზი ბრძანდებით“.

„უკანასკნელი ფოთოლი“ ო.ჰენრის საუკეთესო მხატვრული ეტიუდია. მწერალი ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებით ქმნის მომაკვდავი გოგონას ჯოანას პორტრეტს, რომელიც ფსიქოლოგიურად სიკვდილისათვის ემზადება. მაგრამ გოგონას სიკვდილისაგან იხსნის მოხუცი მხატვარი ბერმანი, რომელიც მთელი ცხოვრება შედევრის შექმნაზე ოცნებობდა, მაგრამ წლები გადიოდა და მისი შედევრი დაუხატავი რჩებოდა. მაგრამ მოხუცს მალე დიდი მუზა „ეწვევა“ და ქმნის შედევრს, რომელმაც ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე გადაარჩინა

„ყველაფერი, რაც აქამდე დამიწერია – ეს უბრალოდ ანცობა იყო, კალმის მოსინჯვა იმ იმედით, რომ მომავალში მაინც დავწერდი რაიმე ღირებულს“, – ერთგავრი სევდანარევი კილოთი გვანდობს მწერალი, მაგრამ ცხადია, ო.ჰენრი, ბოლომდე არ ღალატობს თავის ჩვეულ ხელწერას, არ ღალატობს Short story –ს სტილს.

ასეთია ჩვენს მიერ დანახული ო.ჰენრის პატარა პერსონაჟების მეტყველი და ფსიქოლოგიური პორ-

ტრეტები, მათი განცდები, ხასიათები. ო.ჰენრის შემოქმედების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ მწერალს ღრმა ფსიქოლოგიური ალღოთი შეუძლია „პატარა ადამიანის“ განცდებისა და სურვილების გადმოცემა.

ო.ჰენრის პერსონაჟთა ბედი ხშირად დაგვამწუხრებს, ცხოვრბაზე დაგვაფიქრებს, უფრო მეტად, ვიდრე უწინ ვფიქრობდით. ზოგჯერ თვალებსაც აგვიწყლიანებს, მაგრამ ბოლოს გვიხარია, რომ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. ხშირად მწერლის მოთხრობების მარტივ დასაწყისს მოსდევს ღრმა და აზრიანი ნაფიქრი. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ მწერალი უმალ დავიწყებას მიეცემოდა. ჩვენს დროში, როდესაც ასე იგრძნობა სიკეთისა და სიყვარულის დეფიციტი, უთუოდ შვების მომგვრელი და ნუგეში იქნება თუ კი მკითხველი ერთხელ კიდევ მიუბრუნდება და დაეწაფება ო.ჰენრის მოთხრობების უსაზღვრო ადამიანურ სათნოებასა და სიკეთეს.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

1. ამერიკული ნოველა, ტომი II, შემდგენელი ც. თოფურიძე, თბ., 1968 წელი.
2. გაბუნია ე., ამერიკული ლიტერატურის პრობლემა, თბ., 2005 წელი.
3. ჟურნალი „დროშა" , 1924 წელი, N 21–22.
4. ჰენრი ო., ნოველები, თარგმანი და წინასიტყვაობა მ. ნათაძის, თბ., 1956 წელი.
5. ჰენრი ო., ნოველები, თარგმანი ნ.ლარიონისა და პ.იაშვილისა, თბ., 1958 წელი.
6. ჰენრი ო., მოკლე მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ი.ლომოურმა, თბ., 2009 წელი.
7. ჰენრი ო., მოკლე მოთხრობები, თარგმანი ი.ლომოურისა, თბ., 2011 წელი.
8. O. Henry,The gift of the Magi and other short stories; Dover thrift edition series, Courier Dover Publications,1992.

უილიამ სომერსეტ მოემის ლიტერატურული სივრცე



„კულტურა ნიღაბია, რომელიც
ადამიანის სახეს მალავს.“
უილიამ სომერსეტ მოემი

უილიამ სომერსეტ მოემი მოხუცებულობამდე წერდა. წერდა ადამიანურ ვნებებზე, სოციალურ საკითხებზე, პიროვნების ამბივალენტურ ხასიათზე, გაუცხოებაზე, საოჯახო და საყოფაცხოვრებო თემებზე. ქმნიდა საინტერესო და მეტყველ პერსონაჟებს. მიუხედავად ამისა, მოემის სამწერლო შესაძლებლობებს კრიტიკოსთა მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თითქოს მოემი „მოდური“ მწერალი არა გახლდათ, გვერდს უვლის უმნიშვნელოვანეს თემებს და მკითხველთა ყურადღება სულ სხვა საკითხებზე გადააქვს. უფრო მეტიც, ის მხოლოდ ოჯახური თემებით შემოიფარგლება.

მოემის პროზა „საოჯახო რომანების“ ციკლს მოგვაგონებს, სადაც მოცემულია სასიყვარულო ბანალური სამკუთხედი, უსიყვარულობა, კონფლიკტი მეუღლეებს შორის, ღალატი, ოჯახური იდილიის რღვევა. კრიტიკის გულისწყრომა ალბათ, იმის შედეგიც იყო, რომ სომერსეტ მოემი ენამდიდარი მწერა-

ლი არ ყოფილა. უბრალოება განსაზღვრავდა მის სამწერლო ღირსებას, მიუხედავად ამისა, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ „მწერლობა ძალიან დახვეწილი ხელოვნებაა". მოემს მეცნიერულად ემარჯვება ადამიანის სულის კვლევა. ნატურალისტურ წიაღსვლებს თან სდევს ღრმააზროვანი დაკვირვება და რეალისტური განსჯა.

კრიტიკით შეწუხებულ მოემს, მკითხველისათვის ცნობილი სიტყვები აღმოხდება: „დაე, ვისაც ვუყვარვარ, ისეთად მიმიღოს, როგორიცა ვარ, ხოლო დანარჩენებმა თავი გამანებონ" (3,64). ამავე დროს, მოემი მკითხველს ღიად ანდობდა: „ლიტერატურაში ჩემი ადგილის თაობაზე ილუზიები არ გამაჩნია. სამშობლოში მხოლოდ ორმა გამოჩენილმა კრიტიკოსმა დამდო პატივი" (3,162). მიუხედავად ამისა, მწერალმა სათანადო ადგილი დაიმკვიდრა გასული საუკუნის I ნახევრის ინგლისურ ლიტერატურაში. მან ხელი შეუწყო, განავრცო და განავითარა თანამედროვე ბრიტანული პროზა.

დიახ, ვერ ვიტყვით მეომის პროზა ნატიფი ქსოვილითაა შექმნილი. ვერც მეტაფორებითა და ეპითეტებით გამოირჩევა მოემი, მაგრამ აზრის სიცხადე და ფანტაზიის უშრეტი უნარით გამოირჩევა მისი სამწერლო ნიჭი. შეიძლება ითქვას, რომ მოემი „ფაქ-

ტების უნაკლოდ" გადმომცემი მწერალია. პროფესიით ექიმი მოემი, ადამიანის სხეულთან ერთად, გულდაგულ იკვლევს ადამიანის სულს, მის ბუნებას, შინაგან სამყაროს. „იგი ნათლად, უბრალოდ და კეთილხმოვნად წერდა და მას სავსებით სამართლიანად, არ მოსწონდა ზედმეტად რთული და ძალით გაზვიადებული სტილის მქონე ავტორები"(3,8). ამავე დროს, მოემი „კლასიკური რეალიზმის ტრადიციებს აგრძელებს და სინამდვილის ასახვის რეალისტური პრინციპების ერთგულია" (2,207).

მოემის ლიტერატურული პორტრეტის შესაქმნელად ყველაზე უტყუარი და სანდოა „შეჯამება". პირობითად, ესაა ავტობიოგრაფიულ–მემუარული ხასიათის ნაწარმოები, სადაც მწერალი გვიყვება თავის განვლილ სამწერლო გზაზე, წერის მანერაზე, გემოვნებაზე, ინტერესთა სფეროზე, მოემი ცდილობს მკითხველს შეუძღვეს თავის ლიტერატურულ ლაბორატორიაში და მხოლოდ ალაგ–ალაგ თვალყურის მიდევნების საშუალებასაც აძლევს. ცხოვრებისეულ ბიოგრაფიულ შტრიხებსაც ჩაურთავს, რათა მკითხველისთვის რამე ბუნდოვანი და გაუგებარი არ გახდეს. მაგრამ არ აპირებს მკითხველს ბოლომდე გულის კარები გაუხსნას. ზედმეტს საკუთარ თავზე არავის ათქმევინებს, თავდაჭერილია, ზომიერად. შე-

იძლება ითქვას, „შეჯამება“ მოემის ლიტერატურული „აღსარებაა“.

სომერსეტ მოემის შთაგონების წყარო არ აერთი მწერალი გამხდარა. პირველი მწერალი, რომლითაც მოემი მოიხიბლა, იყო ჯონათან სვიფტი. მოემი დასძენს, რომ სვიფტის მემკვიდრეობა „ეს უნაკლო პროზაა“(3,28). მოსწონდა ვოლტერი, გი დე მოპასანი, უილიამ შექსპირი, ბერნარდ შოუ, ნორვეგიელი იბსენი, არა ნაკლებ მეთიუ არნოლდი, ბერტრან რასელი. მოსწონდა გოლდსმითისა და რიჩარდ შერიდანის სტილი.

მოემი თავის ლიტერატურულ გავლენებზე ღიად გვესაუბრება. „როდესაც წერას შევუდექი, ყველაზე მეტად გი დე მოპასანის რომანები და მოთხრობები ახდენდნენ ჩემზე გავლენას“(3,125). მოპასანის „შეცნობის“ შემდეგ მოემი ეცნობა ფრანგ რომანისტებს, ჩამოთვლის კიდეც: სტენდალი, ბალზაკი, ძმები გონკურები, გუსტავ ფლობერი, ანატოლ ფრანსი, მაგრამ ფრანგი მწერლებიდან მოემი ყველაზე მეტ პატივს მიაგებდა ვოლტერს. „ახალი რომანის დაწერის წინ „კანდიდს“ გადავიკითხავ ხოლმე, რათა გონების თვალწინ მუდამ მედგას სინათლის, დახვეწილობისა და მახვილგონიერების ეს საზომი“(3,179).

ფრანგული მწერლობისადმი სიყვარული, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მოემის თავდაპირველი „დედაენა" ფრანგული იყო, მოგვიანებით ეუფლება ლიტერატურულ ინგლისურს და საბოლოოდ საყველთაოდ ცნობილი და პატივსაცემი პროზაიკოსი და დრამატურგი გახდება.

მოემის მიმართ კრიტიკის გულისწყრომა, უწინარეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ ის არ ღალატობდა ვიქტორიანული ეპოქის სულისკვეთებას. ვიქტორიანული პოქის სტილი ღრმად სუნთქავს არა მარტო მოემის პროზაში, არამედ დრამატურგიაშიც. მოემმა თავი ვერ დააღწია ვიქტორიანულ სტილს. ვიქტორიანული სტილი კი უკვე მოდიდან დიდი ხანია გადავიდა და დავიწყებას მიეცა კიდეც, მაგრამ არა მოემთან. მოემი ისევ ჯიუტად განაგრძობდა ვიქტორიანული ყაიდისა და სტილის რომანებისა და პიესების წერას. „მოემი ბოლომდე დარჩა გვიან ვიქტორიანულ მწერლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორი დიდი მსოფლიო ომით შეძრული სამყაროს თანამედროვე იყო" (1,322).

თავისი შემოქმედებით მოემი ვიქტორიანული „წესების" ერთგული დამცველია, მაგრამ არა ყოველთვის. ვიქტორიანული ეპოქის მტკიცედ დაკანონებული დოგმების რღვევას მოემი აშკარად არ ერიდება. ამ ეპოქაში ოჯახი იყო ერთგვარი შეურყეველი

ტაძარი, რომლის პატივისცემა, თუნდაც ფორმალურად, აუცილებელი იყო. მეუღლეებს შორის მოჩვენებითი ჰარმონიულობა, მოხერხებულადაა შენიღბული, მეუღლეები გარეგნულად ინარჩუნებენ ურთიერთ პატივისცემას, თუნდაც გარშემო მყოფთა თვალში. „ოჯახის დარღვევა ვიქტორიანული ინგლისის ზნეობრივი კანონების მიხედვით საშინელი ცოდვა იყო, არა იმიტომ, რომ ყველას სჯეროდა ყველა დანარჩენის ბედნიერებისა, არამედ იმიტომ, რომ ამაზე საქვეყნოდ ყვირილი ცუდ ტონად ითვლებოდა"(8,9). მოემთან მეუღლეებისა და ზოგადად, ოჯახის რღვევის, ღალატის, უპატივისმცემლობის, უსიყვარულობის სცენების დემონსტრაციასთან გვაქვს საქმე. მეუღლეებს უკვე უჭირთ გარეგნულად, სხვის თვალშიც კი ტკბილი, ბედნიერი ოჯახიური თანაცხოვრების ჩვენება. ამ მხრივ საყურადღებოა: „მოხატული ფარდა", „თეატრი", „მთვარე და ექვსპენიანი" და სხვა მრავალი პროზაული ნაწარმოები თუ პიესა.

მოემი არ ცდილობს სხვადასხვა ექსპერიმენტებისა და მეთოდების დანერგვას თავის პროზაში, ლიტერატურულ–ესთეტიკური აღმოჩენებით თავს არ იწუხებს. არ ცდილობს ოდნავ მაინც „თაყვანი სცეს" ისეთ გავრცელებულ ლიტერატურულ ექსპერიმენტს, როგორიცაა „ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურა. არც დიდი მწერლებისა და ფილოსოფოსე-

ბის ესთეტიკურ ნააზრევს დიდად სწყალობს. მოემი შეგნებულად არ „იცნობს“: ჯოისს, ნიცშეს, ფოლკნერს, შოპენჰაუერს, ფროიდს, ბერგსონს, იუნგს. თავის ამოჩემებულ სტილს არ ღალატობს. ჰგონია, რომ ეს მოდური ექსპერიმენტები და მეთოდები მალე დავიწყებას მიეცემა, მაგრამ ცხადია, ეს მხოლოდ მოემის ურყევი პოზიციაა. „იცნობს“ ვირჯინია ვულფს, დევიდ ლოურენს, მორგან ფორსტერს, მაგრამ მათ დიდად არ წყალობს. არ მოსწონს „ფორსაიტების საგა“ და მისი ავტორი.

მოემს „ბუნდოვანი პროზა“ ეჯავრება, არც ზედმეტად „მოქარგული პროზა“ მოსწონს. „ყოველთვის მაღიზიანებდა ისეთი მწერლები, რომლებიც მკითხველისაგან დიდ დაძაბულობას მოითხოვენ თავიანთი ნაწარმოების შინაარსის გასაგებად“(3,30). მოემის აზრით, უბრალოებას და აზრის სიცხადეს დიდი ძალისხმევა სჭირდება. „ამას რომ მიაღწიო, მკაცრი წესრიგია საჭირო“. ვნახოთ რაში მდგომარეობს მოემის „მკაცრი წესრიგი“.

მოემის აზრით, „კარგი პროზა კარგი აღზრდის შედეგია. პოეზიისაგან განსხვავებით პროზა ზრდილი ხელოვნება გახლავთ...კარგმა პროზამ კარგად აღზრდილი კაცის საუბარი უნდა მოგვაგონოს...კარ-

გი პროზა კაცის კარგად შეკერილი ტანსაცმელივითაა: შესაფერისი და სადა" (3,35).

მოემი პროზაში პერსონაჟის „ხასიათის" განვითარებას უმნიშვნელოვანეს მიღწევად თვლიდა. „ხასიათების მკვლევარი" მოემი ცდილობს თანამედროვე პროზა ახალ–ახალი ხასიათებით გაამდიდროს, ყური მიუგდოს პერსონაჟების შინაგან ხმას. როგორც ცნობილია, მოემი მოგზაურობის დაუცხრომელი წყურვილით იყო შეპყრობილი. მეოცე საუკუნის ბრიტანელი მწერლებიდან ალბათ მოემის შემდეგ გაჭირდება მეორე მწერლის დასახელება, რომელსაც ამდენი ემოგზაურა. იტალია, ვენეცია, ნეაპოლი, ფლორენცია, რომი, გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, აშშ, რუსეთი, ჩინეთი და ასე, უსასრულოდ. მოგზაურობის ძირითადი მიზანი განსხვავებული „ხასიათებისა" და ინდივიდების აღმოჩენა იყო. შემდგომ კი წერისას ხდებოდა ამ „ხასიათების" დახარისხება.

მოემი უფრო სიღრმეებისაკენ ექაჩება მკითხველს და ზედმიწევნით აცნობს თავისი პერსონაჟების თვითმყოფად ხასიათს. მისთვის საინტერესოა არა ცნობილი „ხასიათების", არამედ უბრალო „პატარა ადამიანების" ფსიქოლოგიური პორტრეტების ჩვენება. „ჩვენ, მწერლებმა, სწორედ უბრალო ხალხთან უნდა დავიჭიროთ საქმე. მეფეები, დიქტატორები, მრეწველი მაგნატები ვერ დაგვაკმაყოფილე-

ბენ. ბევრ მწერალს წასძლია სულმა და წიგნები დაწერა მათ შესახებ, მაგრამ იმ მარცხმა, რომელიც თან მოჰყვა ამ ცდებს, გვიჩვენა, რომ ეს ხალხი გამონაკლისი ყოფილა, და არ იძლევა არავითარ საფუძველს ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. მათ ნამდვილ ადამიანებად ვერ აქცევ"(3,13). მოემის აზრით, მხოლოდ რიგითი, უბრალო ადამიანების ჩვენება იძლევა უსაზღვრო ნაირფეროვნებას, ამოუწურავ შესაძლებლობას, საღ დაკვირვებას, ეპოქის ხასიათის ჩვენებას. ასეთია მოემის ესთეტიკური ნააზრევი, ასეთი მისი სჯა–ბაასი პროზე.

მოემი წიგნის დასაწყისშივე („შეჯამება") გვეუბნება, რომ ეს წიგნი არც ავტობიოგრაფიაა და არც მოგონებათა წიგნი, მაგრამ მთლად მართალი როდია! წიგნში შიგა-შიგ ჩართული და მიმობნეულია მწერლის ცხოვრებიდან ბიოგრაფიული შტრიხები, მოგონებები და შთაბეჭდილებები. ასევე წიგნი საინტერესო ცნობებს იძლევა მწერლის წინაპრებზე, მშობლებზე, ახლობლებზე.

მოემი არ აპირებს მკითხველს ბოლომდე გული გადაუშალოს და მათთან გულახდილი კონტაქტი იქონიოს, ეს არაა მოემის სტილი, რადგან „არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერავის გავუზიარებ". „ჭრელი, მაგრამ ხშირად საინტერესო ცხოვრება მქონდა, მაგ-

რამ ვერ ვიტყვი ფათერაკებით სავსე იყო-მეთქი",– გვანდობს მოემი (3,10–16).

„ადრე დავობლდი. დედა რვა წლისას მომიკვდა, მამა – ათისას. ასე, რომ მათ შესახებ ცოტა რამ ვიცი და ისიც სხვებისაგან გაგონილი...მამაჩემი ორმოცისა იყო, როცა დედაჩემი შეირთო, მასზე ოცი წლით ახალგაზრდა ქალი. დედაჩემი ძალიან ლამაზი ყოფილა, მამაჩემი კი – მახინჯი. პარიზში მათ მზეთუნახავს და ურჩხულს ეძახდნენ....(3,20).

დიახ, მშობლების გარდაცვალების შემდეგ მოემს საკუთარი თავის აღზრდა მოუწია. ის დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს. ასევე ვიგებთ, რომ მწერლის დედა ჭლექით დაავადებული ყოფილა და მშობიარობას გადაჰყოლია. „ექვსი ვაჟი ჰყავდა და მუცელს კი გადაჰყვა. ექიმებს იმ დროს ეგონათ, ჭლექიან ქალს მშობიარობა უხდებაო. სწორედ ოცდათვრამეტი წლისა იყო"(3,21). დედის გარდაცვალებით მიყენებული ტკივილი მოუშუშებელი აღმოჩნდება მწერლისთვის. „დედის სიკვდილი ის ჭრილობა იყო, რომელიც ორმოცდაათმა წელიწადმაც ვერ მომიშუშა მთლად" (3,226).

როგორც აღვნიშნეთ, მოემის თავდაპირველი ენა ფრანგული იყო. მოგვიანებით ეუფლება მშობლიურ ენას. თავადაც აღნიშნავდა: „მუდამ ფრანგი აღ-

მზრდელები მყავდა და ფრანგულ დაწყებით სკოლაშიაც მიმაბარეს. ინგლისურს ცუდად ვლაპარაკობდა". და იქვე: „ასე, ცხრა წლისა თუ ვიქნებოდა მაშინ. ინგლისური სიტყვების გამოთქმა დიდხანს მეშლებოდა და არასოდეს დამავიწყდება მოწაფეების ხარხარი და ჩემი დარცხვენა დაწყებით სკოლაში, როდესაც წინადადებას წესიერად ვერ გამოვთქვამდი". ამიტომაც მოემი თავის „ნაკლზე" ღიად და გულახდილად წერდა: „ენა ძალიან მარტივი მქონდა, სიტყვების მარაგი შეზღუდული" (3,22–25).

დრამატურგი მოემი დიდ ყურადღებას უთმობს მსახიობის ოსტატობას, თეატრს, სცენას, თეატრალურ სანახაობას, გვესაუბრება მაყურებლის ემოციებზე, გენერალურ რეპეტიციებზე, პრემიერაზე, თეატრალურ საზოგადოებაზე, რეჟისორზე, შესრულების ტექნიკაზე. მოსწონდა თავისი დიდი წინაპარი. „რა უნდა იყოს შექსპირის პროზაზე უფრო კოლორიტული, პირდაპირი და ცოცხალი". არა ნაკლებ მოხიბლული იყო ბერნარდ შოუს დრამატურგიით: „შოუ განუმეორებელია", – აღფრთოვანებით დასძენდა. არა ნაკლებ მოსწონდა ნორვეგიელი იბსენი. „ჩვენი დროის მხოლოდ ორი დრამატურგი შეიძლება ჩაითვალოს მოაზროვნედ – იბსენი და შოუ"(3,103–107). ერთგან აღტაცებით წერს: „მიუნხენში იბსენი ვნახეო" (3,77).

მიუხედავად ამისა, პურიტანული იდეებით აღზრდილმა ლონდონელმა მაყურებელმა ბოლომდე ვერ მიიღო და გაითავისა მოემის პიესები. კრიტიკოსთა მხრიდანაც ხშირად გაისმოდა ერთი და იმავე ბრალდება: „დაბალი დონის მაყურებლისთვის განკუთვნილი პიესები". ინგლისელმა მაყურებელმა მოემის დრამატურგიაში იდების სიმწირე და ნაკლები ინტრიგა აღმოაჩინა.

მოემი დაწვრილებით გვიყვება თავისი პიესების ბედზე, თუ როგორ გაიკვალეს გზა სცენამდე. როგორც მოემი აღნიშნავდა, პირველი პიესა იყო „ლედი ფრედერიკი", რომელსაც მალე მოჰყვება „ჯეკ სტროუ", „წარჩინებული კაცი", „ამქვეყნიური სიკეთენი", „პენელოპა" და სხვები. იყო ამ პიესების აღიარება, ჩავარდნა, მდუმარე პროტესტი, კრიტიკოსთა წყრომა. ცხადია, მოემიმ კვლავ გაუცრუა იმედები თეატრალურ საზოგადოებას და ღრმა „იდეებიანი პიესების" ნაცვლად ისევ ტრივიალურ სიუჟეტებით „მდიდარი" რეპერტუარი შესთავაზა.

აი, დადგა დრო მოემი უნდა დამშვიდობებოდა დრამატურგიას, თეატრს, სცენას. იქნებ ყოველივე იმის ბრალი იყო, რომ როგორც მოემი ბრძანებს: „დავიღალე სანახევრო სიმართლის თქმით", „დამღალა თემების მოთავსებამ დაწესებულ ზომებში", „ულმობელმა შეკვეცამ". „ვოცნებობდი პროზაიკო-

სოსის თავისუფლებაზე",–და ამით მოემი წყვეტს კავშირს დრამატურგიასთან. მოემის პირველი პროზაული ქმნილება გახლდათ „ლამბეთელი ლიზა". მანამდე იყო პატარ–პატარა ნოველები და მოთხრობები, ესკიზები.

მოემის პროზაზე შთაბეჭდილებას გვიქმნის: „ადამიანურ ვნებათა ტყვეობაში", „თეატრი", „მოხატული ფარდა", „მთვარე და ექვსპენიანი", „სიგიჟე ერთი ღამის", „წითური", „ბარათი", „მათხოვარი", „დედა". ამ და სხვა პროზაულმა ქმნილებებმა განაპირობეს მოემის დამსახურება. მოემის პროზაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოემი სიუჟეტის, ხასიათების, გარემოს შექმნის ბრწყინვალე ოსტატია.

სომერსეტ მოემის პროზის მთავარი თემებია: პიროვნების გაუცხოება, ხელოვანის ბედი თანამედროვე სამყაროში, სოციალურად დაუცველი ადამიანების ფსიქოლოგიური პორტრეტების დახატვა, ეგზისტენციალური თემების წამოწევა, ოჯახური კომფლიკტების ჩვენება, აი, თემები, რომელსაც მოემი თავს დასტრიალებდა.

წინა თაობის მწერალთა ნარატივიც შეიმჩნევა მოემის პროზაში. მიუხედავად ამისა, მწერალმა შეგნებულად გვერდი აუარა ომის შემდგომი თაობის მღელვარე და დეპრესიული განწყობის ჩვენებას და

მკითხველთა ყურადღება სულ სხვა საკითხებზე გადაიტანა. „ომი იქცა ასობით მემუარების თემად. იგი უშუალოდ მხატვრულ ლიტერატურაში შეიჭრა და მწერლები თავისებურად გამოხატავდნენ ომის ზეგავლენას თაობის დაძაბულ ნერვებზე"(8,9). მაგრამ მოემი ამ ყოველივეს შეგნებულად გვერდს უვლის.

გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ფილოსოფიური და ჰუმანიტარული განათლების მიღების მიუხედავად, მოემთან ნაკლებია ფილოსოფიური ძიებანი, ვერც ამერიკაში გამგზავრებამ და ჰოლივუდში სცენარისტად მუშაობამ ვერ შეცვალა მოემის ხელწერა. ამერიკული მოდერნიზმის ჩანასახის კვალიც არ დაიძებნება მოემის პროზაში.

მოემის გარეგნულად „კეთილშობილური პროზა" ესთეტკური თვალსაზრისით აღფრთოვანებას ნამდვილად არ იწვევს. მიუხედავად ამისა, მოემი ჯიუტად და მედგრად აგრძელებდა გზას ლიტერატურულ სარბიელზე. ალბათ, კრიტიკოსთა მხრიდან თავშეკავებაც შეიმჩნეოდა, უბოროტო ღიმილიც გაიელვებდა. მიუხედავად კრიტიკისა, მოემის პროზას და დრამატურგიას დღემდე არ დაუკარგავს მკითხველთა მხრიდან ინტერესი და ხიბლი. ეს იმის შედეგია, რომ მოემის შემოქმედებას ამაფორიაქებელი განცდა მოაქვს მკითხველისათვის. მოემის ნატიფი

და გულწრფელი სტრიქონები პატივისცემას იმსახურებენ.

მოემს მოსწონდა და ქება–დიდებას უძღვნიდა სემუელ კოლრიჯს, უილიამ უორდსუორთს, ჯონ კიტსის, პერსი ბიში შელის. ჯორჯ ქრაბის (ინგლისელი პოეტი 1754–1832 წწ) შესახებ მოემი რომანში „მთვარე და ექსპენიანი“ წერდა: „ახლა ვის ახსოვს, მაგალითად, ჯორჯ ქრაბი?..როცა საფრანგეთის რევოლუცია მოხდა და ნაპოლეონის ომები დაიწყო, პოეტები ახლებურად ამღერდნენ. მისტერ ქრაბი კი კვლავ გარითმული მრჩობლედით წერდა თავის დიალექტიკურ თხზულებებს. მისტერ ქრაბი კი ჯორივით ჯიუტი იყო: იგი კვლავ დიდაქტიკურ თხზულებებს წერდა გარითმული მრჩობლედით“(4,24–25).

იგივე შეიძლება ითქვას მისტერ მოემის წერის სტილზე.

ახალგაზრდა მწერლებზე კი წერდა: „მე ისინი არ მომწონს. მე სხვა კუნძულზე ვარ დარჩენილიო“ (4,25).

დიახ, მოემი სხვა დროში დარჩა, არა და იმ დროს, მოდერნისტული რომანის ციებ-ცხელების ჟამი იდგა, და არა მარტო ლიტერატურაში, ცხოვრებაშიც ულმობელი ჟამი იდგა. ადამიანები თანდათან იშუშებდნენ ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს, მაგრამ მოემი მწერალი და დრამატურგი, თავის შემოქმედებაში ნაკლებ ადგილს უთმობს ომისა და ომის შემ-

დგომი თაობების მსოფლგანცდას. ვერც სოციალური თემების სიმძაფრით გამოირჩევა მოემი. მიუხედავად ამისა, მემის შემოქმედება გულგრილს არ ტოვებს მკითხველს. მასში იყო სიუჟეტის განვითარების მოემისებური ხერხი.

მოემის პროზაული მემკვიდეობიდან საყურადღებოა რომანი „მთვარე და ექვსპენიანი“ (1919 წელი). რომანი ყურადღებას იქცევს თავისი ღრმა ფილოსოფიური ქვეტექსტებით, სენტენციებითა და აფორიზმებით. ხელოვანისა და ხელოვნების თემა მოემის ამ რომანში ყველაზე სიღრმისეულადაა გააზრებული (თარგმანი ანდუყაფარ ჭეიშვილის).

ჩარლზ სტრიკლენდი, რომანის მთავარი გმირი, თავისი ნებით დაადგება ხელოვნების მძიმე გზას. ის ორმოცი წლის ბირჟის რიგითი მაკლერი იყო, „ერთი უნდილი კაცი“, „ფილისტერი“. იგი ახლობლებსა და ნაცნობების თვალში არაფრით გამოირჩეოდა, მოსაწყენ და უმეგობრო ადამიანად მიაჩნდათ. მაგრამ არავინ იცოდა, თვით მეუღლემაც კი, რომელიც ხელოვნებისა და ლიტერატურის მოტრფიალე იყო, ჩარლზ სტრიკლენდში ხელოვანი სახლობდა. სტრიკლენდში წლების მანძილზე მიძინებული მხატვარი იღვიძებს და იწყებს ფიქრს როგორ გაეცალოს მოსაწყენ გარემოს, სალონური ცხოვრების მოტრფია-

ლე მეუღლეს. მან 17 წლის ცოლ–ქმრულ მოვალეობაზე, ორ შვოლზე, უზრუნველ ცხოვრებაზე ნებაყოფლობით უარი თქვა და თავისი გადაწყვეტილება პარიზიდან მეუღლეს ამცნო: გადავწყვიტე ამიერიდან შენთან აღარ ვიცხოვროო. სტრიკლენდის ეს გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი აღმოჩნდება.

ჩარლზ სტრიკლენდის მეუღლე, მისის სტრიკლენდი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოტრფიალე იყო, თავგამოდებული მკითხველი. თუმცა ბევრს არ სუბრობდა, მაგრამ „საუბრის წარმართვის უბადლო ნიჭი ჰქონდა". უყვარდა წვეულებების გამართვა (მისის დოლოვეის მსგავსად), რაც მის მეუღლეს სულაც არ აინტერესებდა. უფრო მეტიც, მეუღლის მიერ გამართულ წვეულებებს არასოდეს დასწრებია.

მისის სტრიკლენდის წვეულებების უცვლელი სტუმარი, ლიტერატორი ქალბატონი როზა უოტერფორდი, მწარე სარკაზმით დასცინოდა სტუმართმოყვარე დიასახლისს: „საინტერესო ხალხად მივაჩნივართ, თანაც არ უნდა მოდას ჩამორჩეს. ჩემი აზრით, დიდი ჭკუის პატრონი არ არის ეგ საცოდავი და რაღაც განსაკუთრებული ადამიანები ვგონივართ. ასეა თუ ისე, უყვარს ჩვენი დაპატიჟება და ჩვენც რა გვენაღვლება, ვეწვიოთ ხოლმე"(4,32).

სტრიკლენდმა ნებაყოფლობით გაწყვიტა კავშირი საზოგადოებასთან, ოჯახთან, ახლობლებთან. არაფრად აგდებდა საზოგადოების აზრს, არავითარ წესს არ ემორჩილებოდა. ეს გამიზნული პროტესტი იყო. მედგრად ებრძოდა ათასგვარ გაჭირვებას, სიღარიბესა და შიმშილს. ზედმეტად უხეში და სიტყვაძუნწი გახდა. ფუფუნებისაკენ და მატერიალური მომხვეჭველობისაკენ დაკარგა ლტოლვა, მაგრამ ერთი წუთითაც ყალმისათვის არ უღალატნია. მის ნაშიმშილარ სხეულში დაბუდებული შინაგანი ენერგია დიდებისათვის აწრთობდა. ოჯახიდან გამოქცეულმა ხელოვანმა თავისუფლება კი მოიპოვა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდება.

სტრიკლენდმა ასკეტური ცხოვრება განგებ აირჩია. როგორც ხელოვანმა გოლგოთას გზა უნდა გამოიაროს. კეთილდღეობას უნდა შეელიოს, რომ შექმნას დიადი და გენიალური. სხვანაირად მისი მოწოდება უკვალოდ ჩაივლის, როგორც ხელოვანი დაიკარგება, მივიწყებას მიეცემა. ტანჯვას უნდა ეზიაროს, ტანჯვის გზით კი სრულყოფილება უნდა შეიცნოს.

სტრიკლენდი მთელი რომანის მანძილზე სხეულთან (მატერიასთან) გამარჯვებას ცდილობდა. მისი ძლიერი სული გააფთრებით ცდილობს დათრგუნოს

სხეული, წუთიერი ვნება, მაგრამ ხშირად ეს არ გამოსდის და ამ დროს მის სხეულში დაბუდებული დემონი ბოროტად ზეიმობდა (ჰოლანდიელი მხატვრის დირკ სტროვის ცოლის შეცდენა). მაგრამ მისის სტროვი მისთვის სათნო ცოლი და მეუღლე არასოდეს ყოფილა. მისთვის ის მხოლოდ მენატურე ქალი იყო. მის სამყაროში ძალით შემოჭრილი მიწიერი არსება, ხორციელი გვრემა და მეტი არაფერი. ქალის სიკვდილს მასში მცირეოდენი სინანულიც არ გამოუწვევია. თუმცა მისის სტროვის შიშველი სხეული ტილოზე გადაიტანა და ამით ქალი გადაარჩინა მარადიულ სიკვდილს. დიახ, სტრიკლენდისათვის სიყვარული, მით უფრო ხორციელი ტკბობა არ არსებობდა. რომანის ლირიკულ გმირთან საუბრისას ის გარკვევით გვეუბნება თავის მოწოდებაზე:

„– ნუთი აქ, პარიზში არავინ შეგიყვარდათ?

– მაგისთანა სისულელეებისათვის არა მცალია. სიცოცხლე მოკლეა, ორივეს – სიყვარულსა და ხელოვნებას – ვერ გაუნაწილებ“ (4,106).

სტრიკლენდმა მხოლოდ ხელოვნებას გაუნაწილა უანგაროდ სიყვარული და ხელოვნებისათვის ბოლომდე დაიფერფლა.

მალე ჩარლზ სტრიკლენდი ტაიტიზე აღმოაჩენს „პირველქმნილ ცივილიზაციას“. ველურ გარემოში ხელოვანმა პირველად იგრძნო თავი დაცული. ვე-

ლურმა ბუნებამ ის ისეთივე მიიღო, როგორიც იყო. აქ შეიცნო შინაგანი თავისუფლების ძალა. პირველქმნილ ცივილიზაციასთან, „უმანკოებასთან“ ზიარება შეძლო.

ტაიტელ ატასთან ქორწინება ეს სიმბოლურად ველური ბუნების მიღება გახლდათ. იქნებ, ტაიტელი ქალის ხარჯზე ჭამდა პურს და ამაში არავითარი სიმბოლო მოიაზრებოდა. ტაიტელ ქალთან ეყოლება ორი შვილი და შემოქმედებით განცხრომას მიეცემა ველური ბინების წიაღში.

ცივილიზაციისგან მოწყვეტილ გარემოში სტრიკლენდი, როგორც თავად აღნიშნავდა, „ნატურა ახლოსა მაქვსო“, მაგრამ იმ ეპოქამ, საზოგადოებამ ვერ შეძო მისი შეცნობა, მხოლოდ მომავალს უნდა განესაზღვრა მისთვის ადგილი ხელოვნების სივრცეში. ჩარლს სტრიკლენდის გაქცევა თვალთმაქცი ოჯახიდან სიმბოლურად ბურჟუაზიული სამყაროდან გაქცევას გულისხმობდა, სადაც ხელოვანი განწირული და უნაყოფოა. სტრიკლენდი უპირისპირდება მავნე ბურჟუაზიულ კანონებს, მაგრამ ამ საზოგადოებამ ის ვერ მიიღო, რადგან მისი დამცინავი მზერა, გაუცხოება, გაქცევა, პროტესტი, აღმოჩნდება თქვთ ხელოვანის დაღუპვის მიზეზი.

სტრიკლენდი „პირველქმნილ“ ბუნების წიაღში მიიცვალა კეთრისაგან. ორი შვილიდან ერთიც სენის

მსხვერპლი ხდება. მიუხედავად ამისა, ის ბოლომდე უანგაროდ ემსახურა ხელოვნებას. თუმცა მსხვერპლიც საკმაოდ გაიღო, მაგრამ დიდი ხელოვნება მუდამ დიდ და აუნაზღაურებელ მსხვერპლს მოითხოვს. მან ბოლომდე ხელოვნებისათვის გაიღო სიცოცხლე და ჩუმად გაქრა მატერიალური სივრციდან. ამ ჟღალწვერა ხელოვანმა შეძლო პირველქმნილ სილამაზესთან მიახლოება.

მოემის პროზაში უხეში სინამდვილე ხშირად ზეიმობს. ამავე დროს, მოემის პროზას ამაფორიაქებელი განცდა მოაქვს მკითხველისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა: „მათხოვარი“, „წითური“, „ბარათი“, „დედა“, „განაპირა ოლქი“, „მარგალიტის ყელსაბამი“, „მორევი“, „წვიმა“ და ა.შ.

ნოველაში „მათხოვარი“ მწერალმა ამაყი კაცის ფსიქოლოგია დაგვიხატა, რომელიც ხელოვნების მძიმე გზას დადგება, მაგრამ უშედეგოდ. ცხოვრებას თავის კლანჭებში მოექცია, დაესახიჩრებინა და დაეფლითა ისე, რომ ზედვე ეტყობოდა ცხოვრების ბასრი ხელი. ლირიკული გმირი მოგზაურობისას გადაეყრება ერთ ცეცხლივით წითურ წვერიან მათხოვარს. მისი გარეგნობა, უთუოდ, ყველას ყურადღებას მიიქცევდა. „უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა მათხოვარმა, რომელიც ყველასაგან გამოირ-

ჩეოდა...ჩემს დღეში ასე გამხდარი ადამიანი არ მენახა: ხელ–ფეხზე მარტო კანი ჰქონდა გადაკრული, დაგლეჯილი ხალათიდან ნეკნები მოუჩანდა, მტვრიან ტერფზე ყველა ძარღვს დაუთვლიდი. ადამიანის მსგავს ამდენ საცოდავ არსებათა შორის ყველაზე უფრო უბედური ჩანდა"(4,274). ასეთი ტრაგიკული იერი ჰქონდა მოემის „მათხოვარს". ამ ნაწარმოებით მოემიმ დაგვიხატა ცხოვრებისა და ხელოვნების დაპირისპირება და ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული ცხოვრება აღმოჩნდება.

ღალატისა და ოჯახური იდილიის რღვევა ხშირად მეორდება მოემთან. პლანტატორი რობერტ კროსბის და მისი მეუღლის ლესლის ისტორია უშფოთველს როდი ტოვებს მკითხველს („ბარათი"). ქალი ღალატობს მზრუნველ მეუღლეს ოჯახის მეგობარ ჯეფ ჰემონდთან. ამანაც მალე ლესლი ჩინელ ქალზე გაცვალა და ეჭვიანობის ნიადაგზე ქალმა საყვარელს ექვსი ტყვია დაახალა. ქალის ღირსება თითქოს დაცული აღმოჩნდება და ადვოკატ მისტერ ჯოსის დახმარებით ქალი გადაურჩება სასჯელს, მაგრამ იდუმალი ბარათის წყალობით რობერტ კროსბი შეიტყობს მეუღლის „სატანური სიყვარულის" ისტორიას.

დიახ, მოემთან ქალი ხშირად ოჯახური თანაცხოვრების რღვევის მიზეზი ხდება. ლესლის მსგავსად

ერთგულ და მოსიყვარულე მეუღლეს ღალატობს ქითი გარსთინი, მაგრამ ექიმი და ბაქტერიოლოგი უოლტერ ფეინი მეუღლეს მალე ღალატში გამოიჭერს და იმსხვრევა ოდესღაც ბედნიერი ოჯახური იდილია („მოხატული ფარდა"). უოლტერ ფეინს ეპიდემია მოდებულ ქალაქში მიჰყავს მეუღლე. ეს თვითმკვლელობა გახლდათ, მაგრამ შელახული ღირსება, იარები ექიმს ამ გზით სურს მოიშუშოს. ქითის უკიდურესად დააგვიანდება გამოფხიზლება. „ჩვენ ის მოვკალით!" ამბობს გამოფხიზლებული და გონს მოსული ქალი. ქითის ახლა ხელში შერჩება ყოველგვარ ადამიანურ რესურსებს მოკლებული უღირსი მამაკაცი, რომელსაც მწარე სინანულით მიმართავს: „უოლტერი ათ შენისთანა კაცად ღირდა. მე კი დიდი სულელი ვიყავი, ეს რომ ვერ დავინახე" (5,185). მაგრამ უკვე გვიანი იყო. უოლტერ ფეინი ეწირება ქოლერა მოდებულ ქალაქს.

ამპარტავნობას და პატივმოყვარეობას ეწირება მერი პენტონისა და ედგარ სვიფტის მომავალი ოჯახური თანახცხოვრება („სიგიჟე ერთი ღამის"). რომანში არც თუ ისე მარტივი ბანალური სასიყვარულო სამკუთხედი იშლება (თუ კი ამას საერთოდ სასიყვარულო სამკუთხედს ვუწოდებთ!). თითქოსდა იმარჯვებს რაულ ფლირტი. რომანის დასასრულს რაულ ფლირტის სიტყვეები სახტად გვტოვებს და მკითხვე-

ლი გრძნობ, რომ ყოველივე ეს სასტიკი რეალობაა, რომელიც უმოწყალოდ ზეიმობს რომანში. ესაა განაჩენი არა მარტო კონკრეტული ადამიანების, არამედ ზოგადად, რეალური ცხოვრებაა ასეთი მკაცრი და მოემიც რეალისტური ალღოთი ცდილობს გვიჩვენოს ცხოვრება თავისი სარკზმით და ნატურალისტური სენტიმენტების მოშველიებით.

ულმობელმა ბრბომ, საზოგადოებამ, ოჯახმა ლა კაჰირა ორჯერ მკვლელად აქცია. შვილისათვის დედამ ყველაფერი გააკეთა, მის დასაცავად შვიდი წელი ციხეში გაატარა, თუმცა უმადურმა შვილმა დედის მიერ გაღებული მსხვერპლის სიმძიმე ვერ გაისიგრძეგანა და საბრალო დედა ხელმეორედ მკვლელად აქცია („დედა").

ველური ბუნების წიაღში იშვა წითურისა და სალის ამაღელვებელი ისტორია („წითური"). და აქვე, ველური ბუნების წიაღში მიიცვალა. ამ კუნძულზე მხოლოდ „წამით ჩაიმუხლა სიყვარულმა, მცირე ხნით მოკეცა თავისი დაღლილი ფრთები". წითური „ბუნების უცნაური ჟინის ნაყოფი" იყო, ქალი კი თავისი მშვენიერებით „ნატიფი ნაკვთებით ნეაპოლის მუზეუმის ფსიქეას" ჰგავდა. ქალმა თეთრკანიან კაცზე ჭკუა დაკარგა, მაგრამ მათი „ლხენა სამოთხეში" ხანმოკლე აღმოჩნდება. ასე მძაფრი და ტრაგიკულია სიყვარულით გამოწვეული ტკივილი მოემთან.

ხშირად ფარისევლობა და დემაგოგობაც ზეიმობს მოემის პროზაში. ამ მხრივ საყურადღებოა მისიონერი ცოლ–ქმარი დევიდსონები („წვიმა“). ნაწარმოებში მის ტომპსონი ბევრად სიმპათიური და სათნოდ გამოიყურება, ვინემ მისიონერი ცოლ–ქმარი. მათ მისიონერულ საქმიანობას უფრო სიბილწე და თვალთმაქცობა ეთქმოდა, ვინემ ღვთის მსახურება. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ადამიანის სიმდაბლეს და ჭუჭყს ვერაფერი ჩამორეცხავს, ვერც ის წვიმა, რომელიც მთელი ერთი კვირის მანძილზე გრძელდებოდა კუნძულზე. ზეცა თითქოს დაიცალა წყლისაგან, მაგრამ იმ ცოდვას ვერაფერი გადარეცხდა, რაც ცოლ–ქმარმა დევიდსონებმა კუნძულზე ადამიანებს მიაყენეს. ასეთია სასტიკი რეალობა, რომელიც მოემის პროზაში ხშირად მეორდება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მოემი XX საუკუნის I ნახევრის ერთ–ერთი გამორჩეული სტილისა და ხედვის ბრიტანელი დრამატურგი და პროზაიკოსი მწერალია. კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი შეფასების მიუხედავად, მისმა დახვეწილმა წერის სტილმა, ფსიქოლოგიურმა ხედვამ, პერსონაჟთა ხასიათის ჩვენებამ, ნატურალისტური ტენდენციების თავჩენამ, ხელი შეუწყო თანამედროვე ინგლისური პროზის განვითარებას. სომერსეტ მოემის შემოქმედებაში იგრძნობა აზრის სიმახვილე და ნატურალისტური დია-

ლოგების სიუხვე, ფსიქოლოგიური ალღო, ხასიათების მეცნიერული შესწავლა. მოემი „ფაქტების უნაკლოდ" გადმომცემი მწერალია. პროფესიით ექიმი მოემი, ადამიანის სხეულთან ერთად გულდაგულ იკვლევს ადამიანის სულს, მის ბუნებას, ხასიათს, შინაგან სამყაროს.

ბიბლიოგრაფია

1. ერისთავი თ., რის წინააღმდეგ იბრძვის ჯენტლმენი სომერსეტ მოემი. ჟურნალი „ხომლი“, N1, 1968 წელი.
2. XX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული რომანის პოეტიკის საკითხები, ნ.კაკაურიძის რედაქციით, ქუთაისი, 2011წელი.
3. მოემი უ ს., შეჯამება, თარგმანი ზ. გაჩეჩილაძის, თბ., 1986 წელი.
4. მოემი უ ს., მთვარე და ექვსპენიანი, ნოველები, წინასიტყვაობა თ. ერისთავისა, თარგმანი ა. ჭეიშვილის, თბ.,1972წელი.
5. მოემი უ ს., მოხატული ფარდა, თარგმანი ქ. ტოროტაძის, თბ., 1992 წელი.
6. მოემი უ ს., სიგიჟე ერთი ღამის, მოთხრობები, თარგმანი ა. გახოკიძის, თბ.,1964 წელი.
7. მოემი უ ს., თეატრი, თარგმანი ნ. ჩუბინიძის, ბათუმი, 2016 წელი.
8. ყიასაშვილი ნ., „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი.“ წიგნში: დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე) ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, თბ., 1988 წელი.
9. Rogal Samuel, William Somerset Maugham Encyclopedia Greenwood Press, 1997.

ჯეკ ლონდონი – ბედისწერის უტეხი გმირი

„ბედი მისგან ძალიან ბევრს მოითხოვდა. კვდებოდა, მაგრამ ქედს მაინც არ იხრიდა სიკვდილის წინაშე, შეიძლება ეს ნამდვილი სიგიჟე იყო, მაგრამ იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უარყოფდა სიკვდილს და სიცოცხლისაკენ მიისწრაფვოდა“.

ჯეკ ლონდონი

ჯეკ ლონდონი ბედისწერის უტეხი გმირი გახლდათ. ბუნებით მებრძოლი გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა მთელ თავის დუხჭირ ცხოვრებას. მისი სურვილი არასოდეს ყოფილა გადარჩენისათვის ბრძოლა. ის მხოლოდ პირველობისათვის იბრძოდა, მაგრამ მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართება.

ჯეკ ლონდონის მთელი ცხოვრება წინააღმდეგობებით სავსე იყო. არა ერთხელ დაპირისპირებია გარემოს და საკუთარ თავს. სოციალისტურ პარტიაში იმიტომ გაწევრიანდა, რათა ოდნავ მაინც შეეცვალა სამყარო, მაგრამ ამაოდ, რეალობა ისევ პირქუში და უიმედო იყო. გამომცემლები და რედაქტორები უმოწყალოდ თელავდნენ მის სიამაყეს, მოთმინებას, სამწერლო ტალანტს. თუმცა, როგორც იქნა, 1899

წელს სანფრანცისკოს ლიტერატურულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ჯეკ ლონდონის ჩრდილოეთის ციკლის მოთხრობა „იმათთვის, ვინც გზაშია“. ჟურნალის რედაქტორისგან ოდნავ დამაიმედებელი წერილიც მიიღო. მის მოთხრობას დაბეჭდავდა და ავტორი ჰონორარის სახით მხოლოდ ხუთ დოლარს მიიღებდა. ეს დაცინვაზე მეტი იყო!

მწერლობა მისთვის ახირება იყო. ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე. მეტ ორიგინალობას მოითხოვდა ახალგაზრდა მწერლების მიმართ. ერთგან წერდა: „მწერლობა მუდამ პულსს უნდა უსინჯავდეს ცხოვრებას“ (2, 181). ასეც იყო! ჯეკ ლონდონი ქმნის სოციალისტური და რეალისტური რომანებისა და მოთხრობების მთელ წყებას, სადაც გვიჩვენებს უსამართლო და უსულგულო დროს, სამყაროს, შიმშილს, უმუშევრობას, სიღარიბეს, „ამერიკული ოცნების“ მსხვრევას.

მაშინდელი კრიტიკა აღფრთოვანებული არ ყოფილა ჯეკ ლონდონის სამწერლო შესაძლებლობებით. მის ნარკვევებსა და მოთხრობებს უხალისოდ ბეჭდავდნენ გამომცემლები, ან დაუბეჭდავს უკან უბრუნებდნენ. დიახ, კრიტიკოსები და ჟურნალისტები აღფრთოვანებული არ ყოფილან ჯეკ ლონდონის წერის სტილით: „ავტორი მეტისმეტად თავისუფლად

იყენებს ოქროს საბადოში გავრცელებულ ჟარგონს და საერთოდაც არ გამოირჩევა დახვეწილი სიტყვაკაზმულობით" (9, 151).

ჯეკ ლონდონის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მძიმე პერიოდს დაემთხვა. ევროპასა და ამერიკაშიც უმძიმესი ატმოსფერო სუფევდა, მილიონობით ადამიანი მოუგვარებელი სოციალური პრობლემების პირისპირ იდგა. სამყარო დრტვინავდა. „შორეული დასავლეთი ჯერ კიდევ განიცდიდა 1893 წლის კრიზისის შედეგებს... ახლა თვით ყველაზე ჭუჭყიანი, ყველაზე შავი სამუშაოს შოვნაც კი შეუძლებელი იყო" (9, 120).

ჯეკ ლონდონი უმთავრესად სოციალისტური და რეალისტური რომანების ავტორია. მწერალს აღელვებდა პიროვნების ბედი თანამედროვე სამყაროში. ჯეკ ლონდონმა თავისი შემოქმედებით კაპიტალისტური ამერიკის სავალალო სურათები დაგვიხატა, სადაც ადამიანთა უფლებები ფეხქვეშ ითელება და სადაც უსამართლობა გზას იკვლევს. მწერალმა თავისი შემოქმედებით უმთავრესად „ამერიკული ოცნების" ილუზიური სურათების მსხვრევა გვიჩვენა. კაპიტალისტური ამერიკის მძიმე ხვედრი თავს დაატყდება არა მარტო მარტინ იდენს, არამედ განურჩევლად მის პერსონაჟებს, ამავე დროს ირკვევა, რომ ხელოვანის ბედი მძიმე და უნიგეშოა ამერიკაში. ჯეკ

ლონდონის პროზაში უხეში სიმართლე ზეიმობს, რომლსაც შიგა-შიგ სენტიმენტები დაჰკრავს.

ჯეკ ლონდონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გავლენები უთუოდ ბევრი იყო. ახალგაზრდა მწერალ განურჩევლად კითხულობდა და გულმოდგინედ სწავლობდა სხვადასხვა შინაარსის წიგნებს, შრომებს, თეორიებს, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მოძღვრებებს. გატაცებული იყო სოციალიზმით და ეკონომიური თეორიებით. ჰყავდა „სულიერი მამები“, რომლებმაც გონების თვალი აუხილეს, ასწავლეს აზროვნება. არისტოტელე, ლუთერი, კალვინი, ლოკი, იუმი, ჰეგელი, კანტი, ბერკლი, ლაიბნიცი, დარვინი, ბეკონი, უაილდი. ეს არაა სრული ჩამონათვალი. ჯეკ ლონდონისათვის ყველაზე დიდი „აღმოჩენა“ იყო ჰერბერტ სპენსერი. „ამ ადამიანმა მთელი მისი ცოდნა სისტემაში მოიყვანა... თვალები აუხილა, გააბრუა, გაუმჟღავნა იდუმალი საიდუმლეობანი“ (9,133). ჰყავდა „სულიერი მამები“, რომლებმაც ჯეკ ლონდონის ეთიკურ, ესთეტიკურ და მორალურ თეორიებს მიმართულება მისცეს. „დარვინი, სპენსერი, მარქსი და ნიცშე“–აი, ჯეკ ლონდონის სულიერი მამები“ (9,133).

ჯეკ ლონდონის ბიოგრაფი ირვინ სტოუნი ჩამოთვლის იმ მწერლებს, რომლებმაც გავლენა მოახ-

დინეს ჯეკ ლონდონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. „ჯეკი მიუბრუნდა იმ მწერლებს, რომელნიც ლიტერატურაში, როგორც თვითონ ფიქრობდა, საკუთარი განუმეორებელი გზით მიდიოდნენ: სკოტს, დიკენსს, პოს, კიპლინგს, ჯორჯ ელიოტს, უიტმენს, სტივენსონს, სტივენ კრეინს. გატაცებით კითხულობდა შექსპირს, გოეთეს, ბალზაკს" (9,137).

ოსკარ უაილდიც აღმოჩნდება ჯეკ ლონდონის „აღმოჩენებში". მას მოსწონდა უაილდის თეორიული ნაშრომი „ადამიანის სული სოციალიზმში" (1891 წელი). უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტურმა იდეებმა მთლიანად შეარყია ჯეკ ლონდონის სამყარო. მისი შეხედულებით სახელმწიფო სოციალისტური უნდა გახდეს და ამით მილიონობით ადამიანი გადაურჩება სიღატაკესა და შიმშილს. თუმცა მოგვიანებით სოციალისტურმა იდეებმა იმედები დაუმსხვრიეს. არანაკლებ დიდი იყო ინგლისელი პოეტის ჩარლზ სუინბერნის გავლენა. „ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენში" ნათლად ჩანს, რომ დიდი ამერიკელი მწერალი სუინბერნის შემოქმედების თაყვანისმცემელია, აღტაცებულია მისი პოეზიით" (8,103). დიახ, მეზღვაური მარტინ იდენი აღტაცებულია სუინბერნის პოეზიით. პირველად რუთის სახლში მაგიდაზე ნახა სუინბერნის წიგნი, ახლახან გაიგონა მისი გვარი, ახლახან თვალი გადაავლო მის პოეტურ სტრიქონებს და სუინბერნის

პოეზიის ტყვეობაში აღმოჩნდება, რუთი კი კრიტიკულადაა განწყობილი სუინბერნის მიმართ. მაშინდელი ლიტერატურული კრიტიკის მიერ დაწუნებული იქნა სუინბერგის „ხორციელ–ვნებიანი" პოეზია, მაგრამ არა ჯეკ ლონდონის მიერ. ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი" სუინბერნის ერთგვარი „სახოტბო" ნაწარმოებია, რომელიც მიზნად ისახავს სუინბერნის პოეზიის დაცვას, შეფასებას, განხილვას. „სუინბერნის ლექსები მოხვდა ხელში და გატაცებით დაიწყო კითხვა, სახე წამოენთო, აღარც კი ახსოვდა, სად იმყოფებოდა. ორჯერ დაკეცა წიგნი, გადაშლილ გვერდზე სალოკი თითი მიაყოლა და ავტორის გვარს დახედა. სუინბერნი! აღარ დაავიწყდება ეს გვარი" (7,319).

ჯეკ ლონდონი თავისი ტრაგიკული ცხოვრებით ძლიერ გვაგონებს ერთ თავის თანამემამულეს ედგარ პოს. რეალური ცხოვრებიდან ამოვარდნილი პო ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მსხვერპლი ხდება და ბალტიმორის ქუჩაზე პოულობენ უგონო მდგომარეობაში.

ჯეკ ლონდონიც მიზეზთა გამო განერიდა ცხოვრებას და პოს მსგავსად აღასრულა სიცოცხლე. ამ ორი პიროვნების ცხოვრებაში იყო მხოლოდ ერთი განმასხვავებელი რამ: თავისი თანამემამულისაგან განსხვავებით ჯეკ ლონდონს სანდომიანი და კეთილი მამინაცვალი შეხვდება, რომელმაც მომავალ მე-

სიტყვეს გვარი მისცა და ოჯახური ატმოსფერო შეუქმნა. თუმცა ლონდონების ოჯახში სიღატაკე ისე იყო გაშინაურებული, რომ არავინ უწყოდა როდის აიყრიდა იქიდან გუდა-ნაბადს. პოს კი მამინაცვლისაგან შერჩება მხოლოდ გვარი ალანი და მეტი არაფერი.

ცოდნას მოწყურებული ჯეკ ლონდონი კალიფორნიის უნივერსიტეტს მიაშურებს, მაგრამ სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო დატოვება მოუხდება, როგორც ედგარ პოს ვირჯინიის უნივერსიტეტის.

ვერც სიყვარული აღმოჩნდება ისეთივე ტკბილი და საამური, როგორც ეს ჭაბუკ ჯეკ ლონდონს წარმოედგინა. ორივე მწერალი ორმოციოდე წლის ასაკში განერიდება სააქაო ცხოვრებას. და არის რაღაც საერთო ამ „დაწყევლილ" თანამდევ ბედს შორის.

მწერლის დედა ფლორა უელმანი მუსიკის ტრფიალი გახლდათ. ამავე დროს, სპირიტუალური სეანსებითაც ყოფილა დაკავებული. „ფლორა უელმანი ოცდაათი წლის იყო. დაბალი, შეუხედავი, ულაზათოდ ჩაცმული, იგი სათვალესა და ხუჭუჭა შავ პარიკს ატარებდა, რადგან თვალები და თმა ტიფს დაეზიანებინა. მოყვითალო – მკრთალი სახე, დიდი ცხვირი და ასეთივე ყურები ჰქონდა". ამავე დროს, ფლორა „ცვალებადი განწყობილების, ჭკვიანი, ნიჭიერი, მაგ-

რამ ნერვიული ქალიშვილი ყოფილა. ის ძნელად ეჩვეოდა წესრიგს და მკაცრ მოთხოვნებს ვერ წაუყენებდით, რადგან ოცი წლის ასაკში ტიფი გადაეტანა და ამ ავადმყოფობის შემდეგ, როგორც იტყვიან, თავში ყველაფერი რიგზე ვერა ჰქონდა“ (9, 6–7).

ეს ამონარიდი ალბათ საკმარისია წარმოდგენა შეგვექმნას მწერლის დედაზე.

ირლანდიელმა ასტროლოგმა პროფესორმა უილიამ ჩანმა მომავალი მწერალი დაბადებისთანავე მიატოვა. მწერლის დედა მისთხოვდება დაქვრივებულ ჯონ ლონდონს, რომელმაც თავის ღარიბულ ბინაში შეიფარა დედა-შვილი. ჯონ ლონდონი მეტად კეთილი და მზრუნველი ადამიანი აღმოჩნდება. მას პირველი ქორწინებიდან გარდაცვლილი ჰყავდა მეუღლე და ვაჟი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ჯონ ლონდონა მოუხშირა სიარული ფლორასთან იმ მიზნით, რათა სპირიტუალური სეანსების გზით გასაუბრებოდა გარდაცვლილ მეუღლეს და ვაჟს. ამ „გასაუბრებას“ მოჰყვება ის, რომ ჯინ ლონდონს ცოლად მოჰყავს ფლორა უელმანი. ი. სტოუნი ერთგან წერს: ჯეკი „აღმერთებდა მამინაცვალსო“. ასეც იყო. სწორედ მამობილის გვარით შეეცდება ჯეკ ლონდონი მსოფლიოს დაპყრობას.

ასეც მოხდება. მაგრამ მანამდე „მარტინ იდენის“ ავტორს მოუწევდა ცხოვრებასთან სასტიკი ბრძოლა,

ყმაწვილობიდანვე ქუჩა-ქუჩა გაზეთების გაყიდვა, ქარხანაში მუშაობა, ჟურნალისტობა, მეზღვაურობა, ალასკაში ოქროს მაძიებლად წასვლა და იქიდან ჯიბეცარიელი მობრუნება.

ჯეკ ლონდონი როდესაც წამოიზარდა პროფესორ ჩანის მისწერა წერილი, რათა გაერკვია, იყო თუ არა ის მისი ბიოლოგიური მამა. პროფესორმა ჩანიმ გარკვეული პაუზის შემდეგ 21 წლის ჭაბუკ ლონდონს გარკვევით მისწერა: „ფლორა უელმანთან არასოდეს ვყოფილვარ ქორწინებაში... მე არ შემეძლო მისი ქმარი ვყოფილიყავი, რადგან, მრავალ გაჭირვებასთან ერთად, სიღარიბესაც განვიცდიდი და მეტისმეტად დატვირთული ვიყავი გონებრივი მუშაობით. ასე რომ, მე თქვენი მამა არ შეიძლებოდა ვყოფილიყავი და არც ვიცი, ვინაა იგი“(9,14).

პროფესორი ჩანი აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. ის დიდად განათლებული ადამიანი ყოფილა. „წერდა, სცემდა ჟურნალებს, კითხულობდა ლექციებს, მასწავლებლობდა და ადგენდა ჰოროსკოპებს. მის მდიდარ ბიბლიოთეკაში ნახავდით წიგნებს ფილოსოფიურ, მათემატიკურ, ასტრონომიულ და ოკულტურ საკითხებზე; იყო ენათმეცნიერი, ნიჭიერი ისტორიკოსი და ბიბლიის დიდი მცოდნე... სტუდენტები იგონებდნენ, მის ლექ-

ციებს ყოველთვის შეუნელებელი ყურადღებით ვისმენდითო. მან იცოდა, რა ეთქვა და როგორ გადმოეცა თავისი ცოდნა. ირონიით ლაპარაკში ვერავინ შეედრებოდა"(9,9).

1893 წელი ჯეკ ლონდონისათვის იღბლიანი აღმოჩნდება, რადგან ქვეყნდება მწერლის პირველი ნარკვევი „ტაიფუნი იაპონიის ნაპირთან".

არა, ეს არ უნდა ყოფილიყო საკმარისი! მეტი დაძაბული მუშაობა იყო საჭირო, რომ დასახული მიზნებისათვის მიეღწია. და აი, მალე ერთბაშად ჩნდება ჩრდილოეთის ციკლის მოთხრობები, რომელიც შემდგომში გაერთიანდება კრებულებში: „მგლის შვილი" და „ყინვის შვილები".1903 წელს ჩნდება „წინაპართა ძახილი", მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდება დიდებისათვის. ჯეკ ლონდონს ისევ მოუწევდა ხელებ დაკაპიწებულს ბრძოლა, სიტყვასთან შეჭიდება, და არა მარტო სიტყვასთან, არსებობისათვისაც მოუწევდა ბრძოლა

ჩრდილოეთის ციკლის თემას დიდი ადგილი ეთმობა მწერლის შემოქმედებაში. სამუშაოს საძებნელად გადახვეწილი ადამიანები ებრძვიან გაუსაძლის ყოფას, შიმშილს, სიცივეს, ყინვას, რათა ოჯახში სარჩო არ გამოელიოთ. იქ, ჩრდილოეთში ერთი წელი ორს უდრის. და კიდევ, იქ ასე ილოცებიან საარსებო

მინიმუმისათვის მებრძოლი ადამიანები: „მაშ, იმის გაუმარჯვებისა იყოს, ვინც ამ ღამეს გზას ადგას, საჭმელი არ შემოჰკლებოდეს, ძაღლები არ დავარდნოდეს, ასანთი არ გაჰქრობოდეს. უფალი ჰფარავდეს, მშვიდობის გზით ევლოს". გ. გაჩეჩილაძე სამართლიანად დასძენს: „ეს გმირები გამდიდრების მიზნით როდი ეძებენ ოქროს, მათ იტაცებს ძიების რომანტიკა, საგმირო საქმეები, ადამიანის ორთაბრძოლა ჩრდილოეთის სასტიკ ბუნებასთან" (1,83). საყურადღებოა ერთი გარემოებაც, ჯეკ ლონდონი კარგად იცნობს თავის პერსონაჟებს, უნახავს ისინი, უცხოვრია მათ შორის, ხშირად მათი ტკივილის თანამოზიარე გამხდარა. სულის დრტვინვა მისი პერსონაჟებისა გაუსაძლისია.

ჯეკ ლონდონის გმირები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან, ვინ რინგზე, ვინ ალასკას ჩრდილოეთის ყინულოვან მხარეში, ვინ ლუკმა-პურისათვის, ვინ ლიტერატურულ სარბიელზე და ა.შ. მწერლის პერსონაჟები იბრძვიან ბოლომდე, ოღონდ სანუკვარ მიზნს მიაღწიონ. ეს ბრძოლა მათთვის ადვილი როდია. ეს ბრძოლა მეტწილად ფიზიკური სიცოცხლის ხარჯზე ხდება. იბრძვიან იმიტომ, რომ იციან ბრძოლას ყოველთვის აზრი აქვს. უბრძოლველი სიცოცხლე მათთვის სამუდამო ძილსა და სიკ-

ვდილს ნიშნავს. ამის ნათელი მაგალითია ტომ კინგი მოთხრობიდან „ხორცის ნაჭერი“ (თარგმანი ლ.ბოკერიასი).

სასტიკმა რეალობამ აიძულა ოდესღაც წარმატებული მოკრივე ტომ კინგი საბრძოლო არენაზე გამოსულიყო. უწინ მისი სახელი ჰქუხდა. ახლა კი მოხუცი და დაუძლურებულია, რომელსაც კრივის დაწყებამდე ერთი პატარა ხორცის ნაჭერი ენატრება, რომ ძალები აღიდგინოს, მაგრამ ამაოდ. უფრო მეტიც, ვალებით დახუნძული ტომ კინგისთვის ნისიადაც არაფერს იმეტებენ. „ესეც არ იყოს, ტომი უკვე მოხუცია, და ეს ქვეყანა ხომ მოხუცებს აბუჩად იგდებს. არაფერში აღარ ვარგოდა ტომ კინგი, შავ მუშად თუ გამოდგებოდა პორტში ან რკინისგზაზე“.

და კიდევ, ტომ კინგი არ იყო ბოროტი კაცი. რინგის გარეთ დინჯი და კეთილი ადამიანი ეთქმოდა. ცუდი თავის დღეში არ ჩაუდენია. იგი პროფესიონალი მოკრივე იყო და მთელ თავის ძალ-ღონეს კანონიერი გამოსვლებისათვის იყენებდა. რინგზე დამარცხებული ტომ კინგი მიხვდება, რომ ახლა „ყოველგვარ მუშტზე მწარე შინ დაბრუნება იყო“.

დიახ, ჯეკ ლონდონის გმირები ბოლომდე, სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან. ამის დასტურია მოთხრობა „სიცოცხლის ტრფიალი“

(თარგმანი მ. მამულაშვილის). შიმშილისაგან გათანგული და ღონემიხდილი მგზავრი მაინც მიიწევდა წინ, რადგან იცოდა რომ სადღაც იქით ხსნა იყო და ისიც იქითკენ მიიწევდა. ბედს მინდობილი დაბორიალობდა. სიცოცხლის პატარა ნაპერწკალი, რომელიც მას ჯერ კიდევ შერჩენოდა, ძალას მატებდა და წინ ეწეოდა. თუმცა იგი უკვე საკუთარი მოჩვენების გარდა ვერაფერს ხედავდა. მისი სულისა და სხეულის დამაკავშირებელი ძაფი მეტისმეტად სუსტი იყო. მისი სხეული მაინც ჯიუტად მიცოცავდა წინ. ეცემოდა, მაგრამ მაინც მედგრად მიიწევდა, რადგან დიდი იყო სიცოცხლის ტრფიალი. უკან სნეული მგელი აედევნა და გრძნობდა როგორ უახლოვდებოდა მომაკვდავი და მშიერი მგლი, რომელიც უკანასკნელ ლუკმას დაეძებდა. დავრდომილი მგზავრი მიხვდება, რომ მათ შორის ერთი უნდა გადარჩეს: მგელი ან კაცი. და ერთი მუჭა სიცოცხლე, რომელიც შერჩენოდა კაცს, იმარჯვებს სიკვდილზე.

„განდგომილი“ მოგვითხრობს ძაფსართავ ქარხანაში მომუშავე 12 წლის ჯონის ტრაგიკულ ისტორიას. აუტანელმა პირობებმა ის „მუშა-პირუტყვი“ გახადა, რომელსაც სულიერი ცხოვრება წაართვეს. ჯონი ნაადრევად დაკაცდა. შვიდი წლის იყო, როდესაც პირველი ჯამაგირი აიღო. რაც თავი ახსოვდა,

სულ ძაფსართავ მანქანებთან იდგა. თორმეტი წლის წინათ სწორედ ამ საფეიქრო ქარხანაში იმშობიარა დედამისმა და აქედან მოყოლებული დაზგასთან იდგა. „იგი ახლა ავადმყოფურად მგრძნობიარე მოხუცსა ჰგავდა". ბავშვობა სადღაც გამქრალიყო, სიყმაწვილემ ზურგი შეაქცია და ერთბაშად დაბერდა. მაგრამ მალე „განდგომილი" გაექცევა ძაღლურ ცხოვრებას, ოჯახს, რომელიც მასზე იყო დამოკიდებული.

„ჯონი რკინიგზის გვერდით ვიწრო, ხეობით დაჩრდილულ გზას მიჰყვებოდა. ადამიანივით არ მიდიოდა, არც ადამიანს ჰგავდა. ადამიანის პაროდია იყო. აწურულსა და ჩამომხმარს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. ავადმყოფი მაიმუნივით მიათრევდა ფეხებს. ხელები ჩამოვარდნოდა, მხრები მოეხარა. საშინელი შესახედავი იყო" (თარგმანი ლ.ბოკერიასი). მართალია, განდგომილი გაექცა მოსაბეზრებელ და ტანჯვით სავსე ცხოვრებას, მაგრამ მერე? ამ ადამიანების მომავალი ბუნდოვანი და გაურკვეველია. ასე შავ ფერებში გვიხატავს მწერალი სოციალურად დაუცველი ადამიანების ბრძოლას არსებობისათვის. სწორედ ესაა ის სასტიკი რეალობა, რომელიც ჯეკ ლონდონმა დღის სინათლეზე გამოიტანა. მკითხველი გრძნობს, რომ ამ და სხვა მოთხრობებში მწერლის ტრაგიკული სილუეტი ნათლად იკვეთება.

მოთხრობაში „ოქროს ხეობა“ კიდევ უფრო მეტი ბიოგრაფიული შტრიხები და ცხოვრებისეული ეპიზოდები ჭარბობს. მთავარ გმირში ალიასკაში ოქროს საძიებლად წასული მწერლის სილუეტი იკვეთება. ბილი, ახალგაზრდა მამაკაცი, „ყვითელი ოცნების მაღაროში“ თავდაუზოგავად იღვწვის გამდიდრებისათვის. ის კეთილდღეობის სურვილმა ჩამოიყვანა „ოქროს ხეობაში“. შინაგანად მებრძოლი და გულანთებული კაცი ასე ემუქრება ბუნების გულუხვ სასწაულს: „დიახ, ოქროს ძარღვიანო ქალბატონო! თუმცა ამ ფერდობში ჩამჯდარხარ, მაინც დაგეპატრონები, ვერსად წამიხვალ!“ მაგრამ მეოცნებე კაცს მალე თავზე იარაღასხმული ყაჩაღი დაადგებ და მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება.

„გამართლება“ ქარტერ უიტსონის სამართალზე მოგვითხრობს. მოთხრობიდან ირკვევა, რომ მან ოცი წელი მოანდომა სოციოლოგიის შესწავლას. მთელი ქვეყანა შემოიარა და დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალაქი ყველაზე მიმზიდველი და ჯანსაღი კუთხე იყო, მაგრამ უიტსონი მწარედ ცდებოდა. „აქაურობაც გათახსირდა“ და „ეს წყნარი უბანიც სიბილწის მორევში ჩაძირულიყო“.

სამიკიტნო „ვენდომში“ მომხდარი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ ქარტერ უიტსონი მიხვდება, რომ სამართალს აღსრულება არ ეწერა, რადგან სა-

მართალი „ჯიბგირების“ ხელში იყო. „როგორ დავეცით და ჯერ კიდევ რა მაღლა უნდა ავიდეს კაცობრიობა“,- ასკვნის უიტსონი და ინცინდენტიდან მეორე წელსვე თავისი მოხერხებულობით სამართალი თვითონვე აღასრულა.

ჯეკ ლონდონის პერსონაჟები ზოგჯერ ცხოვრებაში უღირს საქციელს ჩადიან. მაგრამ ყოველივე ეს უსამართლო საზოგადოების შედეგია. მწერალი იმასაც კარგად ხედავდა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მაღალ საზოგადოებას დაბალ ფენასთან. მწერალს სააშკარაოზე გამოაქვს მაღალი საზოგადოების დეჰუმანიზაცია. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „მკვლელობა“. ნაწარმოების მთელი სიუჟეტი მისტერ სეტლიფის ოჯახში ვითარდება, სადაც ქურდობისათვის პატიოსან ჰიუგო ლიუკს გამოიჭერენ. „ქურდის“ მონოლოგიდან ირკვევა, რომ მას უსამართლო საზოგადოებამ უბიძგა ქურდობისათვის.

„მე მძარცველი არ ვარ, მის! ესე იგი ნამდვილი მძარცველი. ახლა, ზედ წამასწარით და რაღა მეთქმის, მაგრამ დანამდვილებით პირველად ვარ ასეთ საქმეზე. ფული მჭირდებოდა. ისე ძალიან მინდოდა, რომ... გარდა ამისა, მხოლოდ იმის აღებას ვაპირებდი, რაც მე მეკუთვნის“, – გულახდილად ეუბნება ჰიუგო ლიუკი სეტლიფის მეუღლეს. მაგრამ სეტლიფის

მეუღლე მეტისმეტად გულცივი და უმოწყალო აღმოჩნდება. ასეთია მაღალი საზოგადოების მორალი და ჰუმანიზმი.

როგორც ავღნიშნეთ, ჯეკ ლონდონის შემოქმედებაში ჩრდილოეთის თემას დიდი ადგილი ეთმობა. ამავე დროს, ჩრდილოეთი ყოველთვის უბედურებას უქადის ადამიანს. ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „თეთრი მდუმარება", სადაც ვეცნობით მეუღლეებს ინდიელ ქალს რუთის და მის მეუღლეს მეისონს. აქვეა მათი მეგობარი მეილმუტ კიდი. (აღსანიშნავია, რომ მეილმუტ კიდი ხშირად მეორდება მწერლის მოთხრობებში, როგორც საუკეთესო და იდეალური პიროვნება). ჩრდილოეთის გაუსაძლის ყინვაში ძაღლებს გადაადგილება უჭირთ. ირგვლივ თეთრი მდუმარება გამეფებულა. ბუნების ჭირვეულობას ბოლო არ უჩანს. სწორედ ამ დროს ფიჭვის ხემ წლებითა და თოვლით დამძიმებულმა, ამ ადამიანების ცხოვრებაში ტრაგიკული როლი ითამაშა. ხე წაიქცევა და მეისონს ქვეშ მოიყოლებს. სასიკვდილოდ განწირული მეისონი ითხოვს თეთრ მდუმარებასთან მარტო დატოვონ. ასეთია ბუნებასთან პირისპირ დარჩენილი ადამიანების უნუგეშო ყოფა.

საყურადღებოა ისიც, რომ ჯეკ ლონდონთან ძაღლების ფსიქოლოგიის აღწერას დიდი ადგილი

ეთმობა. მის მოთხრობებში ძაღლებს გაუსაძლის პირობებში უწევთ არსებობა. ისინი ადამიანებივით იბრძვიან გადარჩენისათვის. მწერალი ძაღლების ძალზე მეტყველ „სახეებს" ქმნის, თუნდაც ძაღლი ბეკი, რომანიდან „წინაპართა ძახილი". მოთხრობაში „ბატარი" მწერალი გვიყვება ძაღლის საშინელ ისტორიას, რომელიც გარემოების ზეგავლენით „ეშმაკის ნაშიერს" დამსგავსებია. პატრონმა მას სამარცხვინო სახელი ბატარი შეარქვა, რაც ნაბიჭვარს ნიშნავდა. არა ნაკლებ საინტერესო „სახეა" კარმენი, მოთხრობიდან „თეთრი მდუმარება" და ა.შ.

„მარტინ იდენი" (1909 წელი) ჯეკ ლონდონის „ბიოგრაფიული რომანია". ამ რომანში ყველაზე მეტად იჩინა თავი „ამერიკული ოცნების" ილუზიურმა ყოფამ. ამავე დროს, ირკვევა, რომ ხელოვანის ბედი მძიმე და უნიგეშოა ამერიკაში. სტრუქტურულად „მარტინ იდენი" არაა „ახალი რომანის" სინთეზი, ვერც მოდერნისტული სიახლეებითა და მეტაფორებით გამოირჩევა, მაგრამ ამერიკული რეალისტური რომანის განვითარებას უდავოდ ხელი შეუწყო. რომანს ნამდვილადა არ აკლია რეალისტური და სოციალური სიღრმე და სიმწვავე, მასში აღწერილია ახალგაზრდა ხელოვანის ტრაგიკული ბედი.

ყველაფერი მორზების ოჯახიდან დაიწყება. მეზ-

ღვაური მარტინ იდენი მორზებთან სტუმრობისას გაიცნობს ამ ოჯახის ქალიშვილს რუთი მორზის. მარტინი მოიხიბლება რუთის პიროვნებით და გადაწყვეტს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა რუთის სიყვარული დაიმსახუროს. მაგრამ ქალსა და მამაკაცს შორის დიდი უფსკრული აღმოჩნდება. კაცი მზად იყო გადაელახა ეს უფსკრული და „თეთრი შროშანი" მისი გამხდარიყო. მაგრამ რეალობა მეზღვაურისათვის მეტად პირქუში აღმოჩნდება. ქალს აკრთობდა მამაკაცის უხეში და მოუქნელი სხეული, მაგრამ ამავე დროს, გრძნობდა, რომ მამაკაცს სული სილამაზით ჰქონდა სავსე და სწორედ ეს ახარებდა დიდგვაროვან ქალს.

ის სამყარო, რომელსაც მორზები განეკუთვნებოდნენ, მარტინ იდენისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდება. ის „შორიდან მოსული" დაუპატიჟებელი იდეალისტი მეზღვაური იყო, რომელიც ფარ-ხმლის იოლად დაყრას არ აპირებდა, ოღონდ უხვად შეესუნთქა ის ჰაერი, რითაც რუთი სუნთქავდა. აკი რუთისაც გამოუტყდა იმედებითა და ოცნებებით ფრთებშესხმულმა: „მე შორიდან მოვედი... ეს კარგად ვიცი. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასავლელი და გავივლი კიდეც, თუნდაც ფორთხვით დამჭირდეს სიარული". დიახ, მარტინის მეამბოხე სული უკან დახევას არ აპირებდა. რუთის სამყაროში კი „ბედნიერებას უფუ-

ლოდ ვერ ეწევა“ ადამიანი, როგორც ამას რუთის დედა ხშირად საყვედურობდა მეოცნებე მარტინ იდენს.

რუთიმაც დაუფარავად შესჩივლა მარტინს, როდესაც ის თავის ახალ „სატრფიალო სონეტებს“ აცნობდა: „მარტინ, ეს ლექსები ხომ ვერ დაგვაქორწინებენ?“ და, მარტინ იდენი, როგორც ხელოვანი, რეალობასთან პირისპირ დარჩენილი, განწირული აღმოჩნდება.

მარტინ იდენი მეტისმეტად იდეალისტი იყო, ამავე დროს, რეალისტიც, რადგან ღრმად სწამდა, რომ ადრე თუ გვიან მისი გონების ნაყოფი გზას გაიკვლევდა. მართალია, ბედმა არა ერთხელ დაივიწყა მისი მისამართი, მაგრამ მის სხეულში ტიტანის სული აღმოჩნდება. წერდა იმ იმედით, რომ გულისხმიერ რედაქტორებს შეხვდებოდა და საქვეყნოდ ცნობილი კალმოსანი გახდებოდა. ასეც მოხდება, მაგრამ მანამდე დიდი და ურთულესი გზა უნდა გაეარა მეზღვაურ მარტინ იდენს, რომელიც ასე მოინდომებდა სიტყვასთან შეჭიდებას.

ჯეკ ლონდონის პერსონაჟებისთვის უცხოა სამყაროდან გაქცევა, ისინი ბოლომდე იბრძვიან, თუმცა მარტინ იდენი, რომანის დასასრულს გაიქცევა, მაგრამ ეს უფრო პროტესტის ფორმა იყო. ეს უფრო ომის გამოცხადებას ნიშნავდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მარტინ იდენის „გაქცევით“ გაცხად-

დება, თუ რაოდენ მძიმე და უნუგეშოა ხელოვანის ბედი ბურჟუაზიულ ამერიკაში.

რომანში სუინბერგის ლექსებით ვითარდება მოვლენები და ბოლოს სუინბერნის ლექსები აღმოჩნდება ერთადერთი ხსნა სნეული სულისათვის. სულში ოკიანის ხმა ჩაესმოდა, ზღვა ეძახდა, ოკეანე, სიღრმე, სიშორე და მარტინ იდენს ყველაზე უფრო ახლა ასდიოდა ზღვის სურნელი. ჯეკ ლონდონთან „ზღვა კომპოზიციურ ჩარჩოს ქმნის: იქიდან შემოდგამს ფეხს მარტინი საოცნებო ცხოვრებაში და მერე კი კვლავ იმ სტიქიას უბრუნდება, მის წიაღში შთაინთქმის, რადგანაც ოცნებას უმოწყალოდ შეემუსრება ფრთები"(10,113). დიახ, ოცნებას უმოწყალოდ შეემუსრა ფრთები.

ჯეკ ლონდონის პერსონაჟებს ხშირად უჭირთ რეალობასთან გამკლავება, ზოგჯერ გაუსაძლისი და ტრაგიკულია მათი ყოფა, მიუხედავად ამისა, ისინი უტეხი, გაბედული და ბრძოლისუნარიანი ადამიანები არიან, მათთვის უცხოა ნიჰილიზმი, სულიერი დაცემა. ზოგჯერ ბუნებაც, თითქოს მათ წინააღმდეგაა განწყობილი. ამ ადამიანების სატკივარი და სულიერი დრამა ისაა, რომ სამყარო მათ მიმართ გახდა გულგრილი, მათზე არავინ ზრუნავს, ისინი საკუთა-

რი თავის ანაბარად არიან მიგდებული კაპიტალისტურ ამერიკაში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯეკ ლონდონი და მისი პერსონაჟები უტეხი ბუნების ადამიანები არიან. ისინი თავგანწირვით იბრძვიან სიცოცხლისათვის, გამარჯვებისათვის და არა გადარჩენისათვის. ისინი იდეალისტები არიან, მაგრამ იდეის გარეშე არ არსებობს არც ერთი დიდი საქმე. მათი ბრძოლის პათოსი გადამდები და ამაღელვებელია. თუმცა ჯეკ ლონდონის ბრძოლა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდება, მიუხედავად ამისა, ჯეკ ლონდონმა თავისი შემოქმედებით რეალისტურ ამერიკულ რომანს მეტი სიღრმე და სოციალური ჟღერადობა შესძინა. გაბედულად გვიჩვენა „ამერიკული ოცნების“ ტრაგიკული შედეგები, აღწერა უბრალო, მშრომელი ადამიანების ფსიქოლოგია, მათი შინაგანი მღელვარება, უდრეკი სული, მტკიცე ხასიათი, გულწრფელობა და საბრძოლო შემართება.

ბიბლიოგრაფია

1. გაჩეჩილაძე გ., შექსპირიდან გოლსუორსამდე, თბ., 1967 წელი.
2. ლონდონი ჯ., ესეი ცხოვრების მწერლურ ფილოსოფიაზე, ჟურნალი „განთიადი", N 9–10, 2008 წელი.
3. ლონდონი ჯ., თხზულებანი, ტომი I, თბ., 1965 წელი.
4. ლონდონი ჯ., თხზულებანი, ტომი III, თბ.,1966 წელი.
5. ლონდონი ჯ., ოქროს ხეობა, მოთხრობები, თბ.,1960 წელი.
6. ლონდონი ჯ., მოთხრობები, მარტინ იდენი, თარგმანი ვ, ჭელიძის, 1973 წელი;
7. ლონდონი ჯ., მარტინ იდენი, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 2010 წელი.
8. XX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული რომანის პოეტიკის საკითხები, ქუთაისი, 2011 წელი.
9. სტოუნი ი., გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, მეზღვაური უნანგირზე, თარგმანი ნ. ჩიქოვანის, თბ., 1965 წელი.
10. ჩხეიძე რ., მეზღვაური უნანგირზე, ჟურნალი „ომეგა", N5, 2000 წელი.
11. Kershaw A., Jack London. New York: St. Martin's Press, 1999.
12. Kingman R., A Pictorial Life of Jack London. New York, 1979.

ᲤᲠᲐᲜᲪ ᲙᲐᲤᲙᲐᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲙᲔᲤᲡᲘᲡᲘ



„ნუთუ გგონიათ, რომ ისეთი დიდი
საშინელი პროცესი, როგორიც თქვე-
ნია, მალე დამთავრდება“.
„ნუ მიუშვებ პროცესს თავის ნებაზე!..“
რომანიდან „პროცესი“

ფრანც კაფკა ბოლომდე არც ჩეხი, არც გერმანელი და არც ებრაელი გახლდათ. მართალია, XX საუკუნის გერმანული პროზის „იდუმალ მეფედ“ დარჩა, მაგრამ ის უფრო თავისი მრწამსით და შეგნებით მოდერნისტული ლიტერატურისა და მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. ფრანც კაფკას მთელი ცხოვრება დაუსრულებელი გარდასახვა იყო, ხოლო მისი მხატვრული პროზა ერთი დიდი პროცესი, რომელმაც მთელი საუკუნის ტკივილი დაიტია. მისმა გონების ნააზრევმა ერთბაშად დაიპყრო ლიტერატურული ევროპა, მაგრამ მისი ლიტერატურული ხედვების, ფილოსოფიური ოპუსების, მეტაფორების და იგავებისა წვდომა ადვილი არ აღმოჩნდება არც კრიტიკოსებისთვისაც. კაფკას პროზით გამოწვეულმა „შოკმა“ შეარყია ადამიანთა აზროვნება, უფრო მეტიც, თანამედროვე ადამიანი გამოაფხიზლა და კიდევ უფრო დააფიქრა თავის აპოკალიფსურ ხვედრზე.

მოდერნისტულმა ლიტერატურამ ყველაზე უკეთ შეიგრძნო კაფკას პროზა, მისი აბსტრაქტული ხილვები, ადამიანის უმწეობა სამყაროში, სიზმრები და შიშები. „ლიტერატურული უტოპიებით“ შეპყრობილი კაფკა ცდილობს დააფიქროს ადამიანი თავის ხვედრზე, მომავალზე, მოვალეობებზე და პასუხისმგებლობაზე. ამით კაფკას ერთგვარად სურს „დააფრთხოს“ მკითხველი, ნათლად დაანახოს ის მახინჯი და დეგრადირებული სისტემა, რომელიც ადამიანში ანადგურებს ყოველივე წმინდას, სუფთას და ლამაზს.

კაფკას პერსონაჟები მისტიკურ-ზღაპრულ სამყაროში ტრიალებენ. მტანჯველ სიზმრებსა და მოჩვენებებს ბოლო არ უჩანს და ჩნდება ილუზია, რომ კაფკას სამყაროში ყველაფერს რაღაც წამლეკავი უხილავი ძალა ემუქრება. თითქოს ადამიანად ყოფნამაც დაკარგა აზრი, როგორც ეს გრეგორ ზამზას შემთხვევაში მოხდა. რადგან ირკვევა, რომ ადამიანი მეტისმეტად დაუცველია სამყაროში.

ზნეობის დაქვეითება, გაუცხოება, მორალური იმპერატივების მსხვრევა, ყველაზე მეტად კაფკამ და მისმა პერსონაჟებმა შეიგრძნეს. რელიგიური აზროვნებისაგან „განძარცული“ კაფკა, ისევ რელიგიაში ხედავს ხსნას, რადგან ის მორალურ-ეთიკურ საკითხები, რომელსაც კაფკა დასტრიალებს, რელიგი-

იდან იღებდა სათავეს. და ამით, რწმენა შერყეული კაფკა იქნებ, „მკვდარი“ ღმერთის ძიებაშია?!

დიახ, ღმერთის „არყოფნას“ ყველაზე მეტად კაფკას გმირები გრძნობენ, ამიტომაც უჩნდებათ სურვილი „სიზმრების სამყაროს“ შეაფარონ თავი. აქ მათვის თითქოს სიმშვიდეა, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი სიმშვიდეა. ცხადია, ეგსისტენციალურ საკითხებს ჩაჭიდებული კაფკა უფრო და უფრო იძირება ცხოვრების ფსკერში და სურს მეტ შეიგრძნოს, მეტი შეიმეცნოს და უსასრულო სიმბოლოებისა და მეტაფორების რკალში მოამწყვდიოს მკითხველი და თვით საკუთარი პერსონაჟები. „კაფკას სამყარო დისჰარმონიულია, ფრაგმენტული და ქაოტური“. და კიდევ: „კაფკას პერსონაჟები ხასიათები არ არიან; ეს კიდევ ცოტაა. ისინი ტიპებიც კი არ არიან, ისინი არ არიან ფსიქოლოგიურად დახასიათებულნი, მოკლებულნი არიან ინდივიდუალურ თვისებებსა და ნიშნებს“ (2, 95–97).

კაფკა პერმანენტულად განიცდიდა გაუცხოებასა და სულიერ კრიზისს. ამიტომაც მისი პერსონაჟები ზღაპრულ საბურველში გახვეულნი ამოვარდნილი არიან დრო-სივრცობრივი განზომილებიდან. კაფკას პერსონაჟები გრძნობენ, რომ ახლა, აქ, ამ დროში მათი ადგილი არაა. ისინი შემთხვევითობის წყალობით „გადმოისროლეს“ დედამიწაზე და უწევთ

ანგარიშის გაწევა სასტიკ „ცხოვრებასთან“. მწერალი ხშირ შემთხვევაში ტრაგი-კომიკურ პერსონაჟებს სიზმრებშივე ტოვებს და ცხოვრების ჭვრეტით ქანცავს. საზოგადოებასთან მათი ადაპტაცია დაუშვებელია. ასე ფიქრობს მწერალი და ამ ხაზით ვითარდება მოვლენები კაფკას პროზაში.

უნდა ითქვას, რომ სიზმრის თემას ფართო ადგილი ეთმობა კაფკასთან. საყვარელ ქალს კაფკა წერდა: „გუშინ დამესიზმრე. ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი, მარტო ეს მახსოვს, რომ ჩვენ ერთიმეორეში გარდავისახეთ, შენ იყავი მე და პირიქით, მე - შენ“ (8,186). არანაკლებ საინტერესოა იოზეფ კ–ს სიზმარი რომანიდან „პროცესი“. გრეგორ ზამზას შფოთიან სიზმრებს ვეცნობით „მეტამორფოზაში“, და ასე, უსასრულოდ.

მკითხველი კარგად გრძნობს, რომ კაფკას თითეულ პერსონაჟში ცხოვრობს ავტორის მე. გრეგორი ზამზა რაღაცით ჰგავს ფრანც კაფკას, იოზეფ კ-საც და „კოშკის“ პერსონაჟსაც. თითეული პერსონაჟიდან კაფკა შემოგვცქერის და მკითხველი გრძნობს, რომ მწერლისა და მისი პერსონაჟების სულიერი თავგადასავალი იდენტურია, მათი სკეფსისი და შინაგანი ღელვა დაუძლეველია.

კაფკას „სამყაროდან გაძევებული“ უფრო ეთ-

ქმოდა და როგორც თავის დღიურებში აღნიშნავდა: „სამყაროსთან ერთად სიარულის უფლება დაკარგული ქონდა“. მის შემოქმედებაში არსად არაა საუბარი ბედნიერ მეუღლეებზე, მარადიულ სიყვარულზე, შეყვარებულებზე, ოჯახურ იდილიაზე, მხოლოდ მარადიულ ტკივილებზეა საუბარი, „დაუჯერებელ ჰიპერბოლებზე“, რომელიც ღრმა ტკივილს უტოვებს მკითხველს. ყველაზე მეტად კაფკას პერსონაჟებს ადამიანის მიმართ ნდობა გამქრალი აქვთ. სამყაროსა და საერთოდ, ადამიანის მიმართ ინდიფერენტული განწყობა გასდევს კაფკას მთელ შემოქმედებას. საყურადღებოა ერთი გარემოებაც. კაფკამ და მისმა პერსონაჟებმა იხილეს I მსოფლიო ომის სისასტიკე. მართალია, ომი მათ არ შეხებიათ, ომზე და სოციალურ საკითხებზე კაფკა არსად გვესაუბრება, მაგრამ ყოველივე ეს განიცადეს კაფკას პერსონაჟებმა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კაფკა „არსად არ ასახელებს კონკრეტულ სახელმწიფოს, ქალაქს, ქუჩას, სადაც მოქმედება ხდება, რაც მკითხველს ურთულებს ტექსტის შინაარსთან მიახლოვებას...მწერალი გლობალური მაშტაბის უკიდეგანო პრობლემებზე გვესაუბრება, რომელსაც ეროვნება და კონკრეტიკა არ გააჩნია“ (12,315).

ეგზისტენციალურ და ონტოლოგიურ საკთხებს

ჩაღრმავებული კაფკა სვამს ფილოსოფიურ კითხვას: „ამ სამყაროში როგორ უნდა გამოჯანსაღდეს კაცი?“ ეს კითხვა კაფკასთან უპასუხოდ რჩება.

კაფკა მწერლობაში საკუთარი ხელწერით მოვიდა, მაგრამ ეს ხელწერა არ ყოფილა ტრადიციული. მისი რომანები და მცირე პროზა მთლიანად ემიჯნება იმ სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს, რომელსაც ევროპულ-ამერიკული პროზა აშუქებდა. კაფკას საზრუნავი და საკვლევი ობიექტი იმთავითვე ადამიანი იყო თავისი ფილოსოფიური მედიტაციებითა და ეგსისტენციალური ტკივილებით.

კაფკა ცდილობს ადამიანის მთელი შინაგანი სამყარო წარმოაჩინოს, მისი გაორებული ბუნება, უფუნქციო და უშინაარსო ყოფა, რომელიც მითოლოგიური სიზიფესავით უშედეგოდ იბრძვის. გაორებულ პერსონაჟებს მწერალი თანაგრძნობითა არ ეკიდება, რადგან მიაჩნია, რომ მათვის სიკვდილი გარდაუვალი ხვედრია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კაფკასთან სიკვდილის თემას ფართო ადგილი ეთმობა. რწმენა შერყეული პერსონაჟებისათვის სიკვდილი ადამიანად ყოფნის დასასრულს ნიშნავს. „პროცესის“ გმირს გაურკვეველი და ბურუსით მოსილი დანაშაულისათვის უმოწყალოდ სჯიან, რომელსაც მრავლისმთქმელი სიტყვები აღმოხდება: „ძაღლივით დამკლეს“. „მეტამორფოზას“ გმირი საკვების მიღე-

ბაზე უარს აცხადებს იმ გულცივობისათვის, რომელსაც მისი ოჯახი მისდამი იჩენს და ხსნას სწორედ სიკვდილში ხედავს. „განაჩენის“ პერსონაჟიც სოვდაგარი გეორგ ბენდემანი მდინარეში იხრჩობს თავს მას შემდეგი, როდესაც გააცნობიერებს სიცრუეში ცხოვრობდა. კაფკას სიკვდილმისჯილი პერსონაჟები (იოზეფ კ, გრეგორ ზამზა, გეორგ ბენდემანი) ისჯებიან მორალური იმპერატივების უგულებელყოფის შედეგად.

სულიერების კრიზისი, გაუცხოება, წამლეკავი ატმოსფერო, კაფკას გმირებს უჩენს სურვილს გაექცნენ მახინჯ რეალობას. ამ მხრივ საყურადღებოა კაფკას პატარა მოთხრობა „გამგზავრება“, რომელიც სულ რამოდენიმე სტრიქონს მოიცავს და რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მწერლის განწყობას და მსოფლმხედველობას: „საით მიემგზავრები, ბატონო?“ „არ ვიცი,- ვთქვი მე“. ოღონდ კი წავიდეთ აქედან, ოღონდ კი წავიდე, ვიარო უკანმოუხედავად, მხოლოდ ასე თუ მივაღწევ ჩემს მიზანს“. „მაშ, შენ იცი შენი მიზანი?- მკითხა მან. „ჰო“, - მივუგე მე“. აკი გითხარი: აქედან წავიდე-მეთქ,- აი, ჩემი მიზანი“ (3,242).

დიახ, ლირიკული გმირის მსგავსად კაფკას მიზანი გამხდარა გაქცევა, რათა მოშორდეს მოსაბეზრე-

ბელ გარემოს, კოშმარებს, უძილობას, ტუბერკულიოზს, მარტოობას, ოჯახურ გარემოს, მტაცებელ ძერას, რომელიც დაუნდობლად უკორტნის სხეულს, დესპოტ მამას და მოსაწყენ, მაგრამ საყვარელ პრაღას.

კაფკას ცნობილი ეპისტოლე „წერილი მამას“ სწორედ ამ იდეის, გაქცევის ხორცშესხმას წარმოადგენს. გარემო – „მამის სახლი“ მწერლისთვის არაა სიმშვიდისა და კეთილდღეობის გარანტი. ეს სახლი არაა თავშესაფარი „ძე შეცთომილისათვის“, არამედ ესაა უსახლკარობის, უსასთუმლობის, გაუხარებელი ბედის სიმბოლო. ამ სიმბოლურ და საბედისწერო მამისა და ძის დაპირისპირებაში იკვეთება კაფკას მთელი სულიერი სამყარო. „წერილი მამას“ უბრალო მიმოწერა როდია მამა-შვილს შორის. ეს პროტესტი უფრო ფართოა, ვინემ ვიწრო, ოჯახური. შვილი მამისაგან გაქცევას ლამობს იმ მოზნით, რომ ახალი სული შთაბეროს საკუთარ მეს, როგორმე გარდასახვა მოახდინოს საკუთარი თავის, მაგრამ აქ უკვე კაფკას ხელს უშლის მახინჯი სიზმრები, მოჩვენებები, შიშები და გარდასახვას მოჰყვება მხოლოდ ის, რომ კაფკა უსაშველო დაუცველ მწერად აღიქვამს საკუთარ თავს, როგორც მისი პერსონაჟი.

ოჯახური გარემო, მამა, სახლი, კაფკას მუდამ

ტკივილს ულრმავებს, უიმედობისა და განწირულობის შეგრძნებას უჩენს. კაფკა მუდამ გაურკვეველ, ავისმომასწავებელ შიშებს განიცდიდა ვაჭარი მამისა და ოჯახის მიმართ. იქ, შინ, ყველაფერი მის არსებობას ანადგურებს და სპობს. მოგონებები იცრიცებიან, ილევიან, რეალობა და სიზმარი ერთმანეთს შერწყმია და კაფკა თავის დამფრთხალ და შეშინებულ ლირიკულ მეს დამსგავსებია. შინ მობრუნებული ძის სულიერი მონოლოგი ასეა გადმოცემული კაფკასთან:

„შინ დავბრუნდი, წინკარი გავიარე და უკან მოვიხედე, ეს მამაჩემის ძველი ეზოა. ვინ შემეგებება? ვინ მელის სამზარეულოს კარს უკან? გრძნობ, რომ შინ ხარ? არ ვიცი, არ ვარ მთლად დარწმუნებული. დიახ, ეს მამაჩემის სახლია, მაგრამ რარიგ ცივად ამოსდგომია საგანი საგანს...“ („შინ დაბრუნება“ 3,242).

დიახ, ვაჭარი მამა შვილში იწვევდა მხილოდ ქრონიკულ შიშებს, უძილობას, ნერვიულ აშლილობას, რის შედეგადაც ითრგუნება კაფკას პიროვნული თუ ადამიანური ღირსებები, ეკარგება საკუთარი თავის მიმართ რწმენა, უჩნდება ღრმა სკეფსისი, ეუფლება შიშები და გაქცევის სურვილი.

ფრანც კაფკას მთელი პროზაული მემკვიდრეობა იგავისა და მეტაფორის ერთობლიობას წარმოად-

გენს. ამ მხრივ საყურადღებოა „მეტამორფოზა“, რომლის პერსონაჟი გაორებული და მიუსაფარი პიროვნებაა. კაფკა არც კი ცდილობს შეამზადოს მკითხველი საშინელი სიუჟეტის მოსასმენად. პირდაპირ შოკისმომგვრელი ფრაზებით იწყებს თხრობას: „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში რაღაც საშინელ მწერად ქცეულიყო“ (4,62).

მწერად გადაქცეულ ზამზას ოჯახი ვერ ეგუება. განსაკუთრებით მამა. მამისა და შვილის დაპირისპირება გასდევს კაფკას მთელ შემოქმედებას. თავიდანვე თითქოს მზრუნველობას იჩენენ მისდამი და - გრეტა და დედა, მაგრამ ეს მზრონველობა მხოლოდ მოჩვენებითი აღმოჩნდება. ზამზა ოჯახის თვალში „ბებერი ნეხვის ჭიად“ რჩება. განსაკუთრებით მამა ვერ ეგუება შვილის ამჟამინდელ მდგომარეობას. გრეტა და დედა ხშირად ჩადგებოდნენ გაანჩხლებული მამის შუაში, მაგრამ ჯიუტ და პირქუშ მამაზე არაფერი ჭრიდა. ეს დაპირისპირება გასდევს კაფკას მთელ პროზას. მამას უკვე საბაბი მიეცემა აშკარა ზიზღის, სიძულვილის, აგრესიის გამოვლინების. სწორედ ეს აწუხებს ზამზას, რომ ოჯახი განუდგა და მისი ტკივილს შემსუბუქების ნაცვლად უმძიმებენ

ისედაც გაუსაძლის ყოფას: „ყველას, მათ შორის, მამასაც მოაგონებდა, რომ გრეგორი, მიუხედავად თავისი ამჟამინდელი საცოდავი და საზიზღარი გარეგნობისა, მაინც მათი ოჯახის წევრი იყო, რომელსაც მტრად კი არ უნდა მოჰკიდებოდნენ, არამედ მათი ოჯახური მოვალეობა იყო, ზიზღი როგორმე დაეძლიათ და მოეთმინათ მისი არსებობა“. მაგრამ ოჯახისათვის ზიზღის დაძლევა ძნელი აღმოჩნდება და ზამზაც ასეთი ოჯახის წევრობაზე სიკვდილს ამჯობინებს.

დიახ, ოჯახი სავსებით განუდგება ზამზას. ზამზას მეტამორფოზით შეწუხებული ოჯახი უკიდურეს გადაწყვეტილებას ღებულობს. უფრო მეტიც, როდესაც ზამზა შიმშილისაგან გარდაიცვლება, მამა ოჯახს განუცხადებს: „მაშ, ასე, ჩვენ ახლა შეგვიძლია ღმერთს მადლობა ვუთხრათ“. მაგრამ რისთვის უხდის მშობელი ღმერთს მადლობას? ნუთუ ერთადერთი ძის სიკვდილისათვის? ასეთია ის განაჩენი, რომელიც ზამზას ოჯახმა გამოუტანა.

მოთხრობაში „განაჩენი“ მამა-შვილს შორის კონფლიკტი უფრო ღრმავდება და საბედისწერო სახეს ღებულობს. ახალგაზრდა სოვდაგარი გეორგ ბინდემანი გამოფხიზლებას მამასთან „დიალოგის“ შემდეგ ახერხებს და ტრაგიკულად ასრულებს მოჩვენებით და ყალბ ცხოვრებას. მოთხრობიდან ირკვევა, რომ

ახალგაზრდა სოვდაგრი გეორგ ბინდემანი ილუზიურ ცხოვრებას ეწევა. ბინდემანი მოჩვენებით მზრუნველობას იჩენს ოჯახის, მშობლების და განსაკუთრებით კი უცხოეთში (რუსეთში) გადახვეწილი მეგობრისადმი, სადაც იგი უნაყოფოდ წვალობდა და ჯახირობდა. ბენდემანი იწყებს მზრუნველი და მოსიყვარულე მეგობრის როლის თამაშს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი ყალბი და ილუზორული თანაგრძნობა აღმოჩნდება.

გეორგ ბინდემანი გულცივია არა მეგობრის მიმართ, არამედ მშობლების მიმართაც. ის გულცივია გარდაცვლილი დედის მიმართ. აკი მამაც ღიად საყვედურობს: „ჩვენი დედიკოს სიკვდილი მე ბევრად უფრო მძიმედ განვიცადე, ვიდრე შენ". გეორგს მოხუცი მამის მიმართაც იგივე დამოკიდებულება აქვს. თითქოსდა მზრნველობას იჩენს მის მიმართ, წუხს, კარგად რომ არ იკვებება, დაგმანულ, ბნელ ოთახშია გამოკეტილი ნაცვლად იმისა, ნათელ ოთახში იმყოფებოდეს, მაგრამ ეს მხილოდ ყალბი მზრუნველობაა. უფრო მეტიც, ცოლის შერთვის შემდეგ გადაწყვეტილი ქონდა მამა ძველ ბინაში დაეტოვებინა, თვითონ კი მეუღლესთან ერთად ახალ ბინაში გადასულიყო. მშობლების, განსაკუთრებით დედის მიმართ ამდაგვარი დამოკიდებულებით გეორგ ბინდემანი თავისი გაუცხოებული სულით ენათესავება ალ-

ბერ კამიუს ცნობილ პერსონაჟ მერსოს (მოთხრობიდან „უცხო“), რომელმაც ჯერ თავშესაფარში მიაბარა მშობელი დედა და შემდგომ გაყინული სახით მიაბარა მიწას. დიახ, გაუცხოების თემა და განწყობა თავს იჩენს კაფკას ამ მოთხრობაში.

მამა გადაწყვეტს ამხილოს თავისი გადაგვარებული შვილი. ეს დაპირისპირება მტკივნეული და საბედისწერო აღმოჩნდება გეორგისათვის. სწორედ მამამ მოახერხა შვილისთვის ნიღბის ჩამოხსნა, რომელიც უფრო დარდობს შვილის უცხოეთში გადახვეწილ მეგობარზე, ვინემ მისი „უძღები შვილი“. მამა გაუცხოებულ „ეშმაკეულ“ შვილს უმძიმეს განაჩენს გამოუტანს: „მე შენ წყალში დაღრჩობით სიკვდილს გისჯი“(5,94). ბინდემანი აცნობიერებს, რომ მის მიერ გამოგონილ სამყაროში მხოლოდ სიცრუეა და ამიტომაც ღებულობს მამის მიერ გამოტანილ ტრაგიკულ განაჩენს.

დიახ, მამა ამ მოთხრობაში წარმოადგენს უმაღლეს „მართმსაჯულებას“, რომელმაც შეძლო შვილის მხილება. ამავე დროს, მამა-შვილს შორის რაღაც უხილავი, ფარული მტრობა არსებობს. მოხუცი მამისთვის შვილის დაოჯახება ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს და ყოველნაირად ცდილობს შვილის ნიშნობა ქორწინებით არ დასრულდეს. მამას რატომღაც ჰგონია შვილი თავის საცოლესთან ერთად დაუ-

პირისპირდება, ამიტომაც ასეთი ტონით მიმართავს: „ჩამოეკიდე შენს საცოლეს და ისე დამიპირისპირდი! მე აღვგვი მას შენი არემარიდან ისე, რომ გონსაც ვერ მოეგო“. დიახ, მამისადმი შიშები და ძრწოლა გამოიკვეთა ამ მოთხრობაში. და კაფკა თავისი ჩაშლილი ნიშნობით და არშემდგარი ცოლ-ქმრული ცხოვრებით ყველაზე უფრო ამ მოთხრობაში გაცხადდებოდა.

სიყვარული, და მით უფრო ოჯახური იდილია, კაფკასთვის მიუღწეველი და განუხორციელებელი სურვილი აღმოჩნდება. თუმცა ქალებთან წარუმატებლობის მიუხედავად, ცდილობდა მათი გული მოეგო. ახერხებდა კიდეც, მაგრამ მისივე სურვილით ეს ურთიერთობები ინგრეოდა, რადგან მწერალი გრძნობდა სასიყვარულო ურთიერთობებისათვის მზად არ იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაავადებულმა კაფკამ გაიცნო პოლონელი ებრაელი გოგონა დორა დიამანტი. ეს ქალი კაფკას უკანასკნელი იმედი და სიყვარული აღმოჩნდება, მაგრამ სიკვდილის სარეცელს მიჯაჭულ მწერალს ბედი მხოლოდ მწარედ დასცინოდა. მანამდე კი მისი გატაცების ობიექტი იყო ფელიჩე ბაუერი, რომელზედაც ორჯერვე დაინიშნებოდა და ორჯერვე ჩაშალიდა ნიშნობას. თუმცა ფელიჩ ბაუერს მალე შეცვლიდა ჩეხი ჟურნალისტი და მთარგმნელი მილენა ისენსკაია.

დიახ, ფელიჩე ბაუერი გახლდათ კაფკას საცოლე, მაგრამ კაფკას მიზეზთა გამო ეს ქორწინება ჩაიშლებოდა. „შენ ჩემი ადამიანობის საზომი ხარ", - უმტკიცებდა საცოლეს, მაგრამ ეს ქორწინება მაინც ვერ შედგება, იქნებ ყოველივე ეს იმის ბრალი იყო, რომ კაფკა სრულიად მოუმზადებელი იყო ცოლქმრული ცხოვრებისათვის, იქნებ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ რწმენა აკლდა. აი, რას წერდა იგი საცოლეს: „ზიზღს მგვრის ცოლ-ქმრის სარეცელი, ნახმარი თეთრეული, თუ მზრუნველობით დაწყობილი ღამის პერანგები. ამ ყოველივემ შეიძლება გულისრევამდე გამაღიზიანოს, ამამღვრიოს და ყველაფერი ამომანთხევინოს...მინდა როგორმე აგიხსნა: ჩემში ხომ ორი მე იბრძვის. შენც იცი, რომ ჩემი უკეთესი მეორე ნაწილი შენ გეკუთვნის. შენ ჩემი ადამიანობის საზომი ხარ. ამ ორიდან, ჩემში რომ იბრძვის და რომელთა ბრძოლიდანაც ყოველთვის განადგურებული გამოვდივარ, ერთი კეთილია და მეორე ბოროტი. დრო და დრო ეს ნიღბები ერთიმეორეს ენაცვლებიან, რაც კიდევ უფრო აფსურდულს ხდის ამ ისედაც აფსურდულ ბრძოლას"(7,20–27).

დეპრესიული და ავადმყოფი კაფკა ისევ მოისურვებდა „ცხოვრებასთან" თამაშს, ამჯერად ჩეხ მილენასთან. მილენა ისენსკა კაფკამ თავდაპირვე-

ლად გაიცნო როგორც მთარგმნელი, რომელმაც კაფკას რამოდენიმე პროზაული ნამუშევარი თარგმნა. შემდგომში ეს ურთიერთობა გაღრმავდებოდა, მაგრამ კაფკა ისევ საკუთარი სურვილებისა და ვნებების ჩახშობას მოინდომებდა, თუმცა ამ ქალზე მაინც იღელვებდა და იდარდებდა: „გეხვეწები, ასე აღარ მოიქცეთ, ძილის ხარჯზე აღარასოდეს თარგმნოთ...მინდა ერთი რამ გითხრათ, თქვენზე რომ არაფერი მოგეყოლათ, უფრო გამაუბედურებდით, ორმაგად დამტანჯავდით. თქვენ რომ გიცნობთ, ჩემთვის ეს ბედნიერებაზე მეტია. სანდო ადამიანად რომ არ მიგეჩნიეთ, ალბათ რაღაც-რაღაცებს დამიმალავდით და შემილამაზებდით...(8,25).

„რა კარგი ხართ, როგორ ზრუნავთ ჩემზე... რა კარგია თქვენ ავად აღარ ხართ! მე თქვენი დარდი აღარ მაქვს. არა, ახლა ნამდვილად ვაჭარბებ, დარდი კი მაქვს, მაგრამ სულ სხვანაირი. ნეტავ ახლა ჩემ გვერდით იყოთ, რძეს თუ დავლევ, თქვენც დაგალევინებდით, ბაღიდან მონაბერ ამ ჰაერს, რომლითაც ვსუნთქავ და მაძლიერებს, თქვენც გასუნთქებდით, მოგაძლიერებდით...(8,40).

„არა, მილენა, ერთად ვერ ვიქნებით, ვერც ვერასოდეს ვიქნებით. დიდხანს ვებღაუჭებოდი „ღობეს“, მაგრამ ბოლოს გადატყავებული ხელებით დავეცი.

იქნებ არსებობს სხვა შესაძლებლობებიც, მაგრამ მე არ ვიცი... „(8,193).

დიახ, კაფკამ ბოლომდე გული ვერ გაუხსნა სიყვარულს, ვნებებსა და ემოციებს. უიმედო და გათანგული კაფკა ისევ მტანჯველ სიზმრებს ირჩევს. მის ავადმყოფ გონებაში მწიფდებოდა გრეგორი ზამზას, იოზეფ კ-ს, გეორგ ბენდემანის და სხვა პერსონაჟების სილუეტები. მას მოუწევდა მტანჯველი და პარადოქსებით სავსე სიუჟეტის გამოძერწვა, ვინემ სიყვარულითა და ცხოვრებით ტკბობა.

თვითგაუცხოება, მარტოსულობა, დაუძლეველი დეპრესია, სიკვდილის შიშები, მუდამ თვითგდარჩენისათვის ფიქრი დასჩემდა კაფკას და მის გმირებს. წინ კაფკას დამლლელი მეტამორფოზა და პროცესი ელოდებოდა, რომელსაც საბოლოოდ უნდა განესაზღვრა კაფკას ბედი ამ სამყაროში. უნდა გადარჩეს, მაგრამ არა იქ, პრაღაში, მამის სახლში, არამედ სხვაგან. როგორმე უნდა დასრულდეს მისი ამქვეყნიური მეტამორფოზა. ავადსახსენებელი სენი უკვე დაუძლურებულს ყოველ დღე ახსენებდა თავს. შინაგანად გრძნობდა გარდაუვალ პროცესს, მაგრამ მანამდე ისევ გაურკვეველი და ავის მომასწავებელი განცდა, შიშები, გაუცხოება, გაორება, დღითი-დღე შლიდა და ანადგურებდა. მოთხრობაში „მგზავრი“ ლირიკული

გმირის მშფოთვარე განწყობას ვეცნობით, რომელსაც სურს თავისი ადგილი შეიცნოს სამყაროში, მაგრამ ამაოდ. და მკითხველი გრძნობს, რომ ეს მგზავრი თავად კაფკაა. „ტრამვაის ბაქანზე ვდგავარ და სრულიად ვერ გამიგია, რა ადგილი მიჭირავს ამ ქვეყნად, ამ ქალაქში, ჩემს ოჯახში. გაკვრითაც არ ძალმიძს მივუთითო, რა სამართლიანი პრეტენზიების წამოყენება შემიძლია რაიმეს მიმართ. იმასაც ვერ დავიჩემებ, რომ ამ ბაქანზე ვდგავარ, ამ სახელურს ვეჭიდები, ამ ტრმვაით ვმგზავრობ...“ (3,231).

კაფკას გმირებისათვის ცხოვრება პროცესია, სადაც თავის გამართლებას არანაირი აზრი არ აქვს, რადგან „სამართალი“ თავისი ნებით მიედინება. „პროცესში“ გმირის „გამართლებას“ არც ერთი სტრიქონი ეძღვნება. იოზეფ კ-ს არაადამიანური სასჯელი - გულში დანის ჩაცემა, უფრო განთავისუფლება და თავის დაღწევაა იმ იდუმალი პროცესის, ვინემ ტრაგედია. სიკვდილით სრულდება კ-ს დამამცირებელი სასამართლო პროცესი. ისიც საყურადღებოა, რომ კაფკას პერსონაჟებს, ხშირად, რაღაც უხილავი ძალა მართავს (ბრალდებას უყენებს) და საბრალდებო სკამზე სვამს, როგორც ეს იოზეფ კ-ს შემთხვევაში მოხდა. ამავე დროს, ესაა მრავალშრიანი რომანი, რომელიც აფსურდის ნიშნებს შეიცავს.

მივყვეთ „პროცესის“ მდინარებას.

„ეტყობა, ვიღაცამ ცილი დასწამა იოზეფ კ-ს, რადგან არაფერი დაუშავებია და ერთ მშვენიერ დილას მაინც დააპატიმრეს“, - ასე იწყება კაფკას უცნაური რომანი-პროცესი. „იქნებ იმიტომ იმასხრეს, რომ დღეს ოცდაათი წელი შეუსრულდა“. თავიდანვე გმირს ყოველივე ეს „უხეში ხუმრობა“ ეგონა, მაგრამ ამაოდ. ახალგაზრდა პროკურისტი იოზეფ კ. სრულიად უმწეო აღმოჩნდება იდუმალი სამსჯავროს წინაშე.

დაუპატიჟებელი სტუმრები კ-ს დაბეჯითებით უმტკიცებდნენ: „ნუთუ გგონიათ, რომ ისეთი დიდი საშინელი პროცესი, როგორიც თქვენია, მალე დამთავრდება?“ ამ სასამართლო პროცესს ეწირება გმირი. უფრო მეტიც, საკუთარ თავზე გამოსცდის უხეში კანონის ძალას.

რომანის ქვეტექსტები ღრმა აზროვნების საშუალებას იძლევა. მკითხველი კ-ს მხარეზეა, რადგან ის არცერთ საეჭვო გარიგებაში მხილებული არაა. მთელი რომანის მანძილზე არ ჩანს დანაშაული, თუ რაში დებენ მას ბრალს.

ირკვევა, რომ მაგიურ პროცესს „ამქვეყნად ყველასთან და ყველაფერთან აქვს კავშირი“. და კიდევ: „თუ კი პროცესში გაგაბეს, საქმეს უთუოდ წააგებ“. მაშ, რა აზრი აქვს იმ მოქმედებას, რასაც გადარჩენი-

სათვის ბრძოლა ჰქვია და რასაც საბოლოოდ ეწირება კ. გმირს სურს უბრძოლველად არ დათმოს სასამართლო პროცესი. ირგვლივ მყოფთაგან ყველას რაღაც საეჭვო კავშირი აქვს იდუმალ პროცესთან. თვით იმ ქალებსაც კი, რომლებთან გმირი წუთიერ სიამოვნებას ეძლეოდა. ვექილის მომვლელი გოგონა ლინი კ-ს აფრთხილებს: „ნუ მიუშვებ პროცესს თავის ნებაზე!.. სულ ერთია ამ სასამართლოსთან მაინც ვერაფერს გახდებით, დანაშაული უნდა აღიაროთ“. მაგრამ რომელი დანაშაული? იოზეფ კ-ს დიასახლისი ფრაუ გრუბახი მრავლისმთქმელი სიტყვებით მიმართავს: „ამ ამბავში არის რაღაც მეცნიერული“.

მეტაფორული ენით აგებული „პროცესი“ იწვევს მკითხველის ფსიქო-ემოციური ფონის ზრდას. პროცესში ერთვება იოზეფ კ და მიდის დასკვნამდე, რომ ცხოვრება ერთი დიდი პროცესია, სადაც საქმის მოგება „დამნაშავესთვის“ ადვილი როდია. „როცა ამგვარ სასამართლოსთან გაქვს საქმე, საუბრის დროს ისეთი ამბეები ირკვევა, რასაც გონება ვერ წვდება“. და კიდევ: „მხოლოდ ერთეულები აღწევენ ზოგჯერ მცირე წარმატებას და ისიც მალულად“. ასეთია საეჭვი სასამართლო პროცესის ლოგიკა.

„პროცესის“ მთელი ლიტერატურული ქსოვილი გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანზე. საკრა-

ლური პროცესი იოზეფ კ-ს სიკვდილით სრულდება. ამ მისტიკური პროცესით კაფკამ მიგვანიშნა ადამიანის მარტოობაზე, უსამართლო ბიუროკრატიულ სისტემაზე, სამყაროს დისჰარმონიულობაზე, რომელიც ყველაფერს წალეკვით ემუქრება.

„პროცესში“ მთლიანად იგნორირებულია დრო. მკითხველი ვერ გრძნობს დროის მსვლელობას. იოზეფ კ-ს სასამართლო პროცესს არ უჩანს დასასრული. რომანში მთლიანად დარღვეულია ადამიანის უფლებები. იოზეფ კ-ს მოქმედება აფსურდულია, უნაყოფოა, ის განწირულია, როგორიც მითოლოგიური სიზიფე. „სად არის მოსამართლე, რომელიც არასოდეს უნახავს? სად არის უზენაესი სასამართლო, სადაც ვერაფრით ვერ მოახერხა შეღწევა?“ - ასეთია სასიკვდილოდ განწირული კ-ს პროტესტი.

პირველმა პროკურისტმა საბოლოოდ დაკარგა სიმშვიდე. სიკვდილი გარდაუვალი აღმოჩნდება. ორ სურთუკიან მამაკაცს გმირი ბინიდან გამოჰყავს. სამივენი ერთად გაივლიან მთელ ქალაქს. ერთი მათგანი სურთუკს შეიხსნის და ქარქაშიდან ამოიღებს ყასაბის გრძელ, ორლესულ დანას და კ-ს გულში ღრმად ჩაასობს.

„– ძაღლივით დამკლეს,- თქვა კ-მ ისე, თითქოს ეს სირცხვილი მასზე მეტხანს იარსებებდა“ (9, 208).

ასეთია კაფკას მიერ დანახული დესტრუქციული სამყარო, რომელიც მკითხველისაგან მეტ გააზრებას მოითხოვს. ყოველივე ეს სარკასტული შეფასება იყო იმ ეპოქისა, რომელშიაც თავად მწერალი და მისი პერსონაჟები ცხოვრობდენ. ესაა ის შეულამაზებელი სინამდვილე, რომელიც კაფკამ დაგვანახა. ასეთია ჩვენი ეპოქის მორალი! კაფკას სკეფსისი.

ნიცშეს ფილოსოფია გასდევს ფრანც კაფკას შემოქმედებას. „ღმერთი მოკვდა" და იქნებ, ამიტომაც ადამიანის გაუსაძლის ყოფას არ უჩანს ბოლო. იქნებ ასეთია ჩვენი ხვედრი, რადგან თანამედროვე ადამიანი დიდი ხანია დასცილდა უფალს. იქნებ ყოველივე ეს ღმერთის ჯვარცმის შედეგია და იქნებ ახლა თავად ადამიანია ჯვარცმულ მდგომარეობაში. და კიდევ, როგორც ნიცშე ბრძანებდა: „ადამიანური ტანჯვა უღრმესი ტანჯვაა"(10,120). როგორც ჩანს, ეს უღრმესი ტანჯვა უნდა გამოსცადოს თანამედროვე ადამიანმა.

სამართლიანად ითქვა: „კაფკას ნაწარმოებნი ფანტასტიკურია, მაგრამ ამავე დროს აშკარად აქვთ იმის პრეტენზია, რომ გამოხატონ სრულიად ჩვეულებრივი, ყოველდღიური „ნორმალური" რეალობა" (1,47).

დიახ, „ნორმალური რეალობა" დაგვანახა ფრანც კაფკამ თავისი მოთხრობებით და პარაბოლებით. და

კიდევ: სინამდვილეს ვერ ავსახავთ თუ „ფანტასტიკას არ მივმართეთ". სწორედ ეს იყო კაფკას მიზანი. ასე და ამ ფორმით მიეწოდებინა მკითხველისათვის თავისი სათქმელი. თანამედროვე ადამიანს უფრო ღრმად შეეცნო ცხოვრების საზრისი.

დასასრულს შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრანც კაფკამ მეტაფორული ენით, კომიზმებით და ოპუსებით, სიმბილურ-ალეგორიული სიუჟეტების მოშველიებით თავისი ეპოქის სულიერი კრიზისი წარმოაჩინა. კაფკას გმირები ებრძვიან იმ ბიუროკრატულ სინამდვილეს, რომელიც არ ცნობს ადამიანურ ღირებულებებს. მკითხველი გრძნობს, რომ კაფკას მისტიკურ სიზმრებსა და მოჩვენებებს ბოლო არ უჩანს, მაგრამ ამ სიმბოლურ - ალეგორიული სიზმრებით კაფკამ გამოაფხიზლებისაკენ მოუწოდა სამყაროს. მან ამხილა თავისი საუკუნის მახინჯი მხარეები, სულიერების დეფიციტი, ადამიანში დესტრუქციული ძალების ზეიმი, სიკეთის ნაკლებობა. კაფკა ვერაფრით ეგუება იმ აზრს, რომ „მსოფლიო წესრიგს სიცრუე დაედება საფუძვლად". ეგზისტენციალური თემების სიჭარბე, სიზიფეს სევდა და აფსურდის თემა, დაუძლეველი აღმოჩნდება კაფკასა და მისი გმირებისთვის. ასეთია თვით კაფკასა და მისი პერსონაჟების სულიერი თავგადასავალი.

ბიბლიოგრაფია

1. კაკაბაძე ზ., ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1987 წელი.
2. კაკაბაძე ნ., პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971 წელი.
3. კაფკა ფ., მოთხრობა, პარაბოლები, თარგმანი: ლ.ნაროუშვილის და ლ. რამიშვილის. ჟურნალი „საუნჯე", 1983 წ., № 5.
4. კაფკა ფ., მეტამორფოზა, თარგმანი ზ. კაკაბაძის; ჟურნალი „მნათობი", 1964 წელი, N9.
5. კაფკა ფ., განაჩენი, თარგმანი ზ. კაკაბაძის, ჟურნალი „მნათობი", 1964 წელი, N9.
6. კაფკა ფ., მოთხრობები, თარგმანი თ.ხანთაძის, ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა", 2011 წელი, N5.
7. კაფკა ფ., ოთხი წერილი ფელიჩესადმი, თარგმანი მ. მირიანაშვილის, თბ., 2003 წელი.
8. კაფკა ფ., წერილები მილენასადმი, თარგმანი მ.მირიანაშვილის, თბ., 2008 წელი.
9. კაფკა ფ., პროცესი, თარგმანი ნ.ამაშუკელის, თბ., 1992 წელი.
10. ნიცშე ფ., ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ე. ტატიშვილის, თბ., 1998 წელი.
11. ფოკონიე ბ., ბატონი ფრანცის საკვირველი კოშმარი, თარგმანი ა.ქადაგიშვილი – ოქროპირიძის. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა", 2007 წელი, N10.
12. ჭოლაძე მ., ფრანც კაფკა . წიგნში: XX საუკუნის I ნახევრის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია, ქუთაისი, 2011 წელი.
13. Coots Steve, Franz Kafka (Beginner's Guide), London, Hodder & Stoughton, 2002.

ᲡᲙᲝᲢ ᲤᲘᲪᲯᲔᲠᲐᲚᲓᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲯᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ



„არაჩვეულებრივ კაცს ყოველთვის
თამაში უხდება ზღვარზე.
ყველა ვერ უძლებს ამას და
ბოლოს ხელს ჩაიქნევს“.
რომანიდან „ნაზია ღამე“.

XX საუკუნის ამერიკა და, განსაკუთრებით, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის რომანების ლიტერატურული ქსოვილი ჯაზის რიტმითაა გაჟღენთილი. 1922 წელს ქვეყნდება ფიცჯერალდის მოთხრობების კრებული „ჯაზის საუკუნის მოთხრობები“. იგივე თემატიკა და განწყობა მეორდება 1926 წელს დაწერილ კრებულში „ეს მოწყენილი ახალგაზრდები“. მთელი ამერიკა გაჯერებულია ჯაზური რიტმით. ჯაზითაა შეპყრობილი მთელი ევროპა, მაგრამ „ჯაზის ეპოქის“ ტრაგიზმი და განწყობა ყველაზე მეტად სკოტ ფიცჯერალდთან იჩინა თავი.

„თქვენ დაკარგული თაობა ხართ!“ გერტრუდა სტაინის ამ ფრაზამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ევროპული და ამერიკული კრიტიკის ისტორიაში. პარიზში მდებარე გერტრუდა სტაინის სახლი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული სალონი იყო. აქ მუ-

დამ სტუმრიანობა იყო. მისი სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ ჯეიმს ჯოისი და სხვა ევროპელი და ამერიკელი მწერლები. სწორედ პარიზს შეფარებული ამერიკელი მწერლების, უწინარეს ყოვლისა, შერვუდ ანდერსონის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის და ერნესტ ჰემინგუეის მიმართ გამოიყენა სტაინმა თავისი ცნობილი ფრაზა. „აი, რა ხართ თქვენ ყველანი! ომში ნამყოფი ახალგაზრდები, – მითხრა მისს სტაინმა,- თქვენ დაღუპული თაობა ხართ“, – იხსენებს ერნესტ ჰემინგუეი (6,24).

ერნესტ ჰემინგუეი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს სკოტ ფიცჯერალდზე. ისინი 1915 წელს შეხვდნენ პარიზში. პარიზული დღეები ჰემინგუეიმ გააცოცხლა მოგონებათა წიგნში „განუყრელი დღესასწაული“.

ჰემინგუეი დაწვრილებით გვესაუბრება სკოტ ფიცჯერალდის ხასიათზე, საუბრის მანერაზე, გარეგნობაზე, მის ექსცენტრიულობაზე, ფიცჯერალდის რომანებისა და მოთხრობების ღირსებაზე, წერის სტილზე, სამწერლო კარიერაზე, ზელდას ეჭვებზე, რესტორნებსა და სასტუმროებში ხეტიალზე.

„სკოტ ფიცჯერალდს რომ გავეცანი, ძალიან უცნაური რამის მოწმე გავხდი. ბევრი უცნაურობა სჭირდა მას... გამხდარი კაცი იყო, ჯანმრთელი ადა-

მიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა". და იქვე: „სკოტ ფიცჯერალდი „სერიოზულ მწერლად ჩემს დღეში არ მიმიჩნევია" (6,99). მიუხედავად ამისა, ჰემინგუეი მაღალ შეფასებას აძლევდა ფიცჯერალდის შემოქმედებას და თავის საუკეთესო მეგობრად თვლიდა.

„ძნელი ასატანი გახდა ამ შემოდგომაზე, მაგრამ რომანის წერა მაინც დაიწყო, როცა ფხიზელი იყო, მუშაობდა. ფხიზელს იშვიათად ვხედავდი, მაგრამ როცა ვხედავდი, ძალიან სასიამოვნო იყო, ძველებურად ხუმრობდა... ასე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში, სკოტზე უფრო ერთგული მეგობარი მე არ მყოლია, როცა ფხიზელი იყო" (6, 122).

„მას ბევრი, ძალიან ბევრი კარგი მეგობარი ჰყავდა, იმაზე მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე ჩემს ნაცნობს. ჩემი თავიც ჩავრიცხე ამ მეგობრებში, ის კი აღარ მიფიქრია, გამოვადგებოდი თუ არა. თუ კი ერთხელ მოახერხა ამისთანა დიდებული წიგნის დაწერა, როგორიც „დიდი ჰეტსბია", ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მეორესაც დაწერდა, კიდევ უფრო უკეთესს. მაშინ ზელდას არ ვიცნობდი და არ ვიცოდი, თუ რა საშინლად იხლართებოდა სკოტის ცხოვრება. მაგრამ მალე გავიგეთ ყველაფერი, ნეტა კი არ გაგვეგო!" (6, 98).

„ზელდა გიჟია“ – გაიელვებს ჰემინგუეის ჩანაწერებში. მართლაც, ზელდას უპრინციპო ცხოვრების შედეგად დიდი მწერალი თანდათან კალაპოტიდან ამოვარდება. სამწერლო კარიერა და ის შემოქმედებითი დიდება, რომელიც ეწვია, ნაკლებ აინტერესებდა. ცხოვრების სტიმული დაკარგა. ზელდა კი მუშაობაში ყოველმხრივ ხელს უშლიდა და ბოჰემური ცხოვრებისაკენ უბიძგებდა.

„ზელდა მუშაობაზე ეჭვიანობდა, და რაც უფრო ახლოს გავიცანით, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა... ჩაუჯდებოდა სამუშაოს და გულის ჯერებას ვერ მოასწრებდა, რომ ზელდა წუწუნს წამოიწყებდა, მომწყინდაო, და ისევ საქეიფოდ ეწეოდა... სკოტს ძალიან უყვარდა ზელდა და სულ ეჭვიანობდა ხოლმე. ჩვენი სეირნობის დროს თითქმის მუდამდღე მიამბობდა, როგორ შეუყვარდა ზელდას საზღვაო მფრინავი...“ (6, 120).

ომის შემდგომი წლების ამერიკა სკოტ ფიცჯერალდმა გააცოცხლა თავის რომანებში. ამერიკის ბოჰემური საზოგადოების ჩვენებით ფიცჯერალდმა ყველაზე უკეთ დაგვანახა ის პრობლემები, რომელიც აწუხებდა არა მარტო ამერიკას, არამედ მთელ ევროპას. ისინი გაუთავებლად მსჯელობენ და კამათობენ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, პოეზიაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, ჯაზზე, ფილოსოფიაზე, ეგზის-

ტენციალურ თემებზე, ყველაზე მეტად კი ომზე და ომის შედეგებზე. მათი მსჯელობა ზოგჯერ ზედაპირული, ღრმა, სევდიანი და ტკივილის აღმძვრელია. მსჯელობენ ჯოისზე.

ჯეიმს ჯოისის თემა ამოუწურავია სკოტ ფიცჯერალდთან. რომანის „ნაზია ღამე" დასაწყისი, სწორედ ჯოისის განქიქებით, ფარული კრიტიკით იწყება. ცოლ-ქმარი მაკისკოები გაუთავებლად მსჯელობენ ჯოისზე და მის გახმაურებულ „ულისეზე".

როგორც ცნობილია, ამერიკაში „ულისეს" გამოქვეყნება სავალალოდ დასრულდა. რომანიდან ირკვევა, რომ მისტერ მაკისკო ამერიკაში „ულისეზე" გამოქვეყნებული პირველი კრიტიკული წერილის ავტორია. ახლა კი მისტერ მაკისკო თავის პირველ რომანს სწორედ „ულისეს" იდეების საფუძველზე ქმნიდა.

და იქვე, მისის მაკისკოს ღვარძლიანი რეპლიკა: „ჯოისის ძალა ფარულია, ასე არ არის, ელბერტ?"

ომის შემდგომი პერიოდი და გახლეჩილი სამყაროს განწყობა გამოვლინდა სკოტ ფიცჯერალდის რომანში „ნაზია ღამე". ამავე დროს, რომანში მიმობნეულია მწერლის პირადი ცხოვრებიდან ეპიზოდები. ნიკოლი – ლიტერატურული პერსონაჟი, მწერლის მეუღლის ზელდას პროტოტიპი გახლდათ. რომანის პერსონაჟები ამერიკელი ტურისტები არიან, რომ-

ლებიც მოგზაურობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მოჩვენებითი უდარდელობა, ლოიალობა, სიცილი, რესტორნებსა და კაფე - ბარებში დაუსრულებელი სტუმრობ, ინტიმი, გრძნობების ამბივალენტურობა, ემოციური ფონის უკიდურესი აგზნებადობა, პროტესტი სამყაროს მიმართ,- ასეთია რომანის თითოეული პერსონაჟის განწყობა.

„მრავალფეროვანი ამერიკული ცხოვრების ნაკადს" მოეყარა თავი დაივერებთან. წვეულების ორგანიზატორი თავად დიკ დაივერი იყო. ამ „ნაკადს" შემთხვევით შეუერთდება დამწყები მსახიობი როზმერი „საშუალო კლასის ოჯახიშვილი, დედის მცდელობით ჰოლივუდის უსახელო მწვერვალზე ატყორცნილი". „თვრამეტი წლის იქნებოდა უკვე, მაგრამ ჯერ მაინც შერჩენოდა ბავშვობის ცვარ-ნამი".

ექსტრავაგანტული პერსონაჟების ცხოვრებას ტრაგიზმი განსაზღვრავს. ხელოვნურად მოწყობილი კარნავალების მიღმა მხოლოდ უძლურება, მომავლისადმი შიში და სკეფსისი იკვეთებოდა. ისინი ერთიანად „მოხეტიალე დასის მსახიობებს" ჰგავდნენ, სულითა და სხეულით სნეულებს, ნევროზებით შეწუხებულებს. რომანში ხშირია ტკივილიანი მოგონებები და მსჯელობა ომზე, ხელახლა ომის საშიშროებაზე, საფრთხეებზე. „დასავლეთის ფრონტის განმეორება

ევროპაში შეუძლებელია,"– გაიელვებს რომანში. ომის დამანგრეველი კვალი ყველგან იგრძნობა. პატარ-პატარა სეგმენტებად დაყოფილი ადამიანები გამოსავალს ალკოჰოლში ეძებენ, სურთ ყველაფრის დავიწყება, ყველაზე მეტად კი ომის, სისხლიანი ისტორიების, რომელიც მუდამ თვალწინ უდგათ. რომანის გმირები ეძებენ ისეთ ადგილს, სადაც დალევა, ალკოჰოლით თავდავიწყება შესაძლებელია. მაგ., ეიბ ნორთი, და არა მარტო ის, ყველანი, დიკ დაივერის ჩათვლით. ისინი ერთთავად ცხოვრებით, „ამერიკული ოცნებით", აწმყოთი, გულგატეხილნი და იმედგაცრუებულნი არიან.

მკითხველი გრძნობს, რომ მათ მშვიდობიან გარემოში უჭირთ რეალობასთან გამკლავება, ახალი ცხოვრების დაწყება, ომის დასრულების მიუხედავად, მათ სულში ისევ ომია, ისევ უკიდურესი უღონობა, დეპრესია და ომის მოგონებები მოსვენებას არ აძლევთ. მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ „საბრძოლო დიდების ეპიდემია", ადამიანების ხოცვა-ულეტა. რომანის დასაწყისში ტომი ბარბანის სიტყვები ექოსავით გაისმის. როზმერსა და ტომს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„– ომში მივდივარ!

– რა ომში?

– რომელიმე ომში. კარგა ხანია გაზეთი არ წამიკითხავს, ალბათ სადღაც არის ომი, შეუძლებელია, სადმე არ ომობდნენ“ (4,38).

ომისაგან გამოფიტული და გამოშიგნული ამერიკის ბომონდი უკიდურესობამდე მიდის. ტომი ბარბანის ამ „რეტინის“ (როგორც მას მაკისკომ უწოდა) სიტყვები სახტად ტოვებს მკითხველს.

„მე ჯარისკაცი ვარ - მხიარულად თქვა ბარბანმა,- ჩემი ბიზნესი ხალხის კვლაა“ (4, 44). „ჩემში ძველი მეომრის სული იღვიძებს“,- გაიელვებს რომანში ეიბ ნორთის მწარე და დამაფიქრებელი რეპლიკა.

რომანში ორი უმნიშვნელო პერსონაჟის - მებარგულეების დიალოგიც კმარა იმისთვის, თუ როგორ ვერ ივიწყებს ომგამოვლილი თაობა მშვიდობიან პირობებშიც ომის საშინელებას. მებარგულეებს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„– დაინახე რევოლვერი? ისეთი პატარა, ფაქიზი, სათამაშოსავით.

– მაგრამ მართლა ისვრის... პერანგი დაუნახე? იმდენი სისხლი ეცხო, რომ შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ომში ვიყავით“ (4, 104).

ნიკოლი თავის უფროს დაზე, ბეტიზე ამბობს: „ინგლისელი საქმრო ჰყავდა, მაგრამ ომში მოუკლეს...“ მკითხველი გრძნობს, რომ ამ ტრაგედიის შემ-

დეგ ბეტის არაფერი დარჩენია გარდა ავადმყოფი დის მოვლა-პატრონობა, დისშვილების აღზრდა და ოჯახის გაძღოლა, მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალის დაბანდება.

დოქტორ დიკ დაივერს კი ომი ესიზმრება, და ასე, უსასრულოდ, ბოლო არ უჩანს მოგონებებს ომზე. რომანის პერსონაჟები ომის საშინელებას კიდევ კარგა ხან ვერ დაივიწყებენ. ომისაგან მიყენებული ტკივილი ექოსავით აედევნა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

ყოველივე ეს ამ თაობისათვის მოუშუშებელი, ღია ჭრილობა გახლდათ, შეუძლებელია ამ ჭრილობების შეხორცება. მწერალი თავის სათქმელს მკაფიოდ გადმოქვცემს: „ვიღაც წერს, სულიერი ჭრილობები ხორცდებაო. უაზრო ანალოგიაა კანის პათოლოგიასთან. ცხოვრებაში ასე არ ხდება, ასეთი ჭრილობა შეიძლება დაპატარავდეს, შეიძლება ქინძისთავის ჩხვლეტასავითღა იყოს, მაგრამ მაინც ჭრილობაა და ყოველთვის ღიაა. გადატანილი ტანჯვის კვალი რომელიმე თითის ან ცალ თვალში ჩინის დაკარგვას შეიძლება შეადარო. ეჩვევი ამას და წელიწადში ეგებ ერთხელ გაგახსენდეს, მაგრამ მაინც ვეღარას უშველი“ (4, 201).

ყოველივე ეს „ჯაზის ეპოქის ქვითინი“ გახლდათ, იმ თაობისა, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ომი და მისი დამანგრეველი ძალა.

„იღბლიანი დიკი“, „დიკი სხვა იყო, სრულყოფილი“, „მოვიდა დიკი და ყველას სამყოფი სითბოც თან მოიტანა“, „სადაც დიკია, ხალისია...“ ხშირია ასეთი ეპითეტები რომანში. მიუხედავად ამისა, დიკ დაივერი მაინც ასკეტურად ცხოვრობდა. უღონო მდგომარეობაში არა ერთხელ აღმოჩენილა ნიკოლის გამო. იმასაც გრძნობდა, რომ ნიკოლის ოჯახს ერთგვარად „გამოჭერილი“ ჰყავდა მატერიალური თვალსაზრისით, მაგრამ დოქტორ დაივერი მაინც „დაწეწილი სულის პაციენტების“ უებარი მკურნალი იყო და თავისი ექსპერიმენტებითა და თეორიების წყალობით დიდად შველოდა ნევროზებით დაავადებულ ამერიკელებს.

რომანიდან ჩანს, რომ 1914 წელს დიკ დაივერი ოქსფორდში სწავლობდა. ერთგან ამბობს კიდეც: „ომი მე არ მინახავს“, „ომი მე სულ არ შემეხოო“. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ირონია, საკუთარი თავის დაცინვა. დიკ დაივერმა ყველაზე მეტად შეიგრძნო და გაისიგრძეგანა ომი და მისი შედეგები.

დიკ დაივერისა და ნიკოლის ცოლ-ქმრული ცხოვრება უკვე ჩამქრალი, დასრულებული გამოიყუ-

რებოდა. აშკარა იყო, რომ მეუღლეებს უწინდელივით არ უყვარდათ ერთმანეთი, ან კი უყვარდათ ოდესმე ერთმანეთი? მათი ურთიერთობა გარეგნულად ჯანმრთელი მოსჩანდა, მაგრამ ამის იქით იყო რაღაც იდუმალი, ფარული, ამოუხსნელი. ნათელი იყო, რომ მალე სრულდებოდა დაივერების ოჯახური ლხენა, მაგრამ როზმერი?

– ეს ჭეშმარიტი სიყვარული იყო, ნამდვილი... მაგრამ გატაცება უფრო ეთქმოდა.

დიკმა იმდენი იფიქრა როზმერზე, რომ შეიძლება ითქვას, თვითონვე გამოიგონა ახალი როზმერი, ენერგიული, რომანტიკული, მიამიტი, მაცდური, ქარაფშიტა. ვერაფრით განდევნა როზმერის აჩრდილი თავისი სამყაროდან.

როზმერისაგან „ახლა მსოფლიო ქალი დამდგარიყო". „ისევ ქალწული ხარ?" მტკივნეულმა კითხვამ ყველაფერი შეცვალა და დიკ დაივერის შმაგი და რომანტიკული ოცნება როზმერზე თანდათან გაქრა.

ნიკოლი, „დამსხვრეული არსება" დიკმა „შეკრა და ხელახლა გაამთელა". მართალია, ნიკოლს ხშირად შეახსენებდა თავს ძველი ავადმყოფობა, მაგრამ დიკის დახმარებით ებრძოდა შეტევებს. ფრაუ კეტეს მრავლის მთქმელი ფრაზებიც გაიელვებს რომანში.

„ვფიქრობ, ნიკოლი არც ისე ავად არის, როგორც ჰგონიათ. თვითონვე ამუქებს თავის ავადმყოფობას და თავისივე იარაღად იყენებს". და იქვე: „დიკმა ფულისათვის შეირთო ნიკოლი..."

ვინ იცის... იქნებ ყოველივე ეს მხოლოდ ღვარძლიანი ნათქვამი იყო და მეტი არაფერი.

მაგრამ ფაქტია, დიკ დაივერმა „ოფელია ამოირჩია, ტკბილი შხამი ამოირჩია და შესვა იგი". დიკმა ბოლოს დათმო „ტკბილი ოფელია", იმიტომ რომ დაიღალა! ნიკოლს გამოექცა, გადარჩენის მიზნით. უორენებმა (ნიკოლის გვარი) გადაყლაპეს, არა ერთხელ გათელეს მისი პატივმოყვარეობა. დიკი ისევ ნიკოლის სასარგებლო გადაწყვეტილებას ღებულობს, რადგან ყველა ღირსეული ექიმი პაციენტის სასარგებლო გადაწყვეტილებას ღებულობს. თუმცა, დიკი დღითი-დღე უკან მიექანებოდა, მისი მომავალი უიმედო იყო. ნიკოლი კი ისევ იდარდებდა მასზე და ამით ომისა და „ჯაზის ეპოქის" სიგიჟეს არ უჩანდა ბოლო.

1925 წელს სკოტ ფიცჯერალდი ქმნის თავის განუმეორებელ „ჯაზური ექსპერიმენტის" რომანს „დიდი გეტსბი", რომელიც მწერალმა 29 წლის ასაკში შექმნა. ომის შემდგომი წლების თაობას სურდა გიჟური ჯაზის ხმაურში ჩაეხშო ის დამთრგუნველი და

უნუგეშო ყოფა, რომელშიაც აღმოჩდნენ. ჯაზი, ჯაზური რიტმი, მუსიკა, ორკესტრი აღმოჩნდება სულის ერთადერთი დაამებელი საშუალება. ეპატაჟური და ხმაურიანი წვეულებები, უდარდელობა, შინაგანი თავისუფლება, თითქოს ყველაფერი კარგადაა, ყოველივე ეს მოჩვენებითი ილუზია გახლდათ. ისინი აუტანელ სულიერ ჭრილობას გრძნობდნენ.

„რა რეალიზმია!“ გაისმის ირონიული რეპლიკა რომანში, მართლაცდა, ყოველივე ეს უცხადესი რეალიზმი იყო, რომელსაც ომის შემდგომი თაობა მტკივნეულად აღიქვამდა. ამავე დროს, ეს არის ტრაგი-კომიკური რომანი თავისი პერსონაჟებითა და გეტსბის „მსოფლიო გამოფენას დამგვანებული“ ბრწყინვალე სასახლის აღწერით.

„ველარ ვიტან შმაგ აღსარებებს, ადამიანთა სულში ფათურს. ერთადერთი გამონაკლისი, ვისაც ზურგი ვერ შევაქციე, იყო გეტსბი, კაცი, რომლის სახელიც ჰქვია ამ წიგნს“,- გვანდობს რომანის დასაწყისშივე ნიკ კაროუეი. და მკითხველის თვალწინ გაიელვებს დიდი გეტსბის მთელი ტრაგიკული ცხოვრება. „იგი მძაფრად შეიგრძნობდა ცხოვრებას“. და მერე როგორ! მისი სასახლის აღწერა, რომელიც ლონგაილენდის ყურეში იდგა, იწყება მუსიკით, ორკეს-

ტრით, ცეკვით, სადაც ამერიკის მაღალი საზოგადოება, ბომონდი თავდავიწყებას ეძლედა.

„ჩემი მეზობლის სასახლიდან ყოველ ღამე მუსიკის ხმა ისმოდა. ლურჯ ბაღნარში ფარვანებივით დაფარფატებდნენ ყმაწვილები და ქალიშვილები, ჩურჩულებდნენ, შამპანურს შეექცეოდნენ, შეჰხაროდნენ ვარსკვლავთა ციმციმს“ (5, 33).

გეტსბის მარია ანტუანეტას ყაიდის დარბაზები, რესტავრაციის ეპოქის სტილით გაწყობილი სალონები, მნახველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. „პირველქმნილ ფერთა ზეიმი“, „ფერების უსაზღვრო ზღვა“, ყოველივე ეს ბრწყინვალე კარნავალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლამპიონებს კაშკაში გაჰქონდა, უკრავდა ორკესტრი, ისმოდა ჟრიამული, ხორხოცი, კისკისი და ღრიანცელი. სასახლეში იყო ნამდვილი როკვა. ნადიმს დასასრული არ უჩანდა. უსასრულოდ მოჰქონდათ ფორთოხლისა და ლიმონის წვენები, კოქტეილები, ჭრელი სალათები, ტკბილი, სურნელოვანი სასმელები და ყოველივე ეს ღრეობის სახეს იძენდა. ხალხი დაუპატიჟებლად მოდიოდა, გეტსბის სასახლე დასვენებისა და გართობის პარკი ეგონათ.

„მე ნამდვილად დამპატიჟა", - ამბობს ნიკ კაროუეი. მართლაც, ის იყო მოწვეულთაგან ერთ-ერთი ღირსეული სტუმარი გეტსბის სტუმრებს შორის.

ერთ- ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი „ბუსთვალება კაცი", გეტსბის ბიბლიოთეკით მოხიბლული, ღრმაზროვან რეპლიკას ისვრის.

„ტრიუმფიც ამას ჰქვია! რა საფუძვლიანადაა მოწყობილი! რა რეალიზმია!" (5, 39).

ეს მართლაც სასტიკი და ულმობელი რეალიზმი იყო ამერიკის ბომონდად წოდებული მაღალი საზოგადოებისა. ამ ყველაფრის დამკვეთი და უხილავი რეჟისორი იყო მისტერ გეტსბი. მისივე თხოვნით სრულდება ვლადიმერ ტოსტოფის „სამყაროს ჯაზური ისტორია". ამ როკვასა და ჟრიამულში უფრო და უფრო საჩინო ხდებოდა აივანზე გადმომდგარი, მდიდრულად ჩაცმული მასპინძლის მარტოსულობა. იგი უნუგეშო მარტოობის ბინადარი გახლდათ.

ჟრიამულის მიუხედავად, სტუმრები ომის საშინელებას მაინც ვერ ივიწყებდნენ. ერთ-ერთი უცნობი მამაკაცი ნიკ კაროუეის მიმართავს:

„– მეცნობით,- ომის წლებში მესამე დივიზიაში ხომ არ მსახურობდით?

– როგორ არა, მეცხრე საარტილერიო ბატალიონში.

– 1918 წლის ივნისიდან ფეხოსანთა მეშვიდე პოლკში ვმსახურობდი“ (5,40).

ირკვევა, რომ ნიკ კაროუეიც „დიდი ომის“ მონაწილეა და ეს უცნობი მამაკაცი, რომელიც მას ეხლახან გამოელაპარაკა ოცდაათ წელს გადაცილებული, იდუმალებაში გადაზრდილი მისტერ გეტსბი აღმოჩნდება.

„შუა დასავლეთში დავიბადე, მდიდარ ოჯახში. ახლა ცოცხალი აღარავინ მყავს. ამერიკაში გავიზარდე, მაგრამ განათლება ოქსფორდში მივიღე. ყველა ჩემი წინაპარი ოქსფორდში სწავლობდა - ჩვენი ოჯახის ტრადიციაა.... ყველა გარდამეცვალა და დიდძალი ფული მერგო მემკვიდრეობით“ (5,54). ასეთია გეტსბის „აღსარება“, მაგრამ ძნელია იმის დაბეჯითებით მტკიცება, რამდენად გულწრფელია გეტსბი. მერე ევროპის დიდ ქალაქებში ხეტიალი, იმისთვის, რომ დაევიწყებინა ერთი სევდიანი თავგადასავალი, რომელიც მშვენიერ დეიზთან იყო დაკავშირებული.

იქვე, თავის „აღსარებაში“ გეტსბი ნიკთან დასძენს: „ჩემი სამუშაოს გარდა, ერთ პატარა საქმეშიც ვარ ჩაბმული, ცოტას ვჩალიჩობ“. და ამ „ჩალიჩმა“ იდუმალ პიროვნებად აქცია, ლამის ადამიანური სახე დააკარგვინა. გეტსბიმ უზარმაზარი კაპიტალი დააგ-

როვა და ამის შემდეგ სურდა ყველაფერი ეყიდა, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა, თვით დეიზი, ნიკის დახმარება და მთელი სამყარო. სწორედ ნიკის ხელშეწყობით გეტსბი და დეიზი ხვდებიან ერთმანეთს და იკვრება მაგიური სამკუთხედი: გეტსბი, დეიზი და ტომ ბიუქენენი.

„თქვენ მეუღლეს არ უყვარხართ, არც არასოდეს ყვარებიხართ. მე ვუყვარვარ... მხოლოდ იმიტომ გამოგყვათ ცოლად, რომ ღარიბი ვიყავი და ლოდინმა დაღალა. შეცდა, საშინლად შეცდა. გულის სიღრმეში ჩემს გარდა სხვა არავინ ყვარებია!“ – გეტსბი უშიშრად, მოურიდებლად ეუბნება ტომ ბიუქენენს (5,106), მაგრამ გეტსბის ბოლოს მხოლოდ დაფერფლილი ოცნება შერჩება. ირკვევა, რომ დეიზიც ამ ბრბოს განუყოფელი ნაწილია. გეტსბიმ თავის მონოლოგში ამხილა მისი სულიერი სიღარიბე: „მხოლოდ იმიტომ გამოგყვათ ცოლად, რომ ღარიბი ვიყავიო“.

ერთგან გეტსბიზე ვკითხულობთ: „ცხოვრებას ართმევდა ყველაფერს, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა; ართმევდა ყაჩაღურად და დაურიდებლად“. მაგრამ დეიზის ხელახლა მოპოვება ვერ შეძლო, ვერც ბრწყინვალე სასახლემ და ვერც აუარებელმა სიმდიდრემ ვერ დაუბრუნა ოცნების ქალი, თუმცა ეგონა ფულით ყველაფრის დაბრუნება შესაძლებელი

იყო, წარსულის, ძველი სიყვარულისაც კი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ის ბევრად სჯობდა იმ გარემოცვას, რომელშიაც ტრიალებდა. უფრო ღირსეული ჩანდა და პატივისცემას იწვევდა და, რაღა განსასჯელი იყო მისი იდუმალი ცხოვრება. ამას ადასტურებს ნიკ კაროუეის სიტყვები: „დამპალი ბრბო, - გავძახე,- მაგ წყეულთა ბანდას ბევრად სჯობიხართ“.

ამ საზოგადოებას კი თავისი კანონები და თამაშის წესები ჰქონდა: „ადამიანს სიცოცხლეში უნდა ვუმეგობროთ და არა გარდაცვალების შემდეგ... მე ჩემი წესი მაქვს, გარდაცვლილი უმჯობესია მარტო დატოვო“,- ამბობს მეიერ ვულფშიმი, რომლის გარემოცვაშიც ტრიალებდა დიდი გეტსბი და რომელმაც გეტსბის უკანასკნელ გზაზე გაცილებაზე „თავაზიანი“ უარი ბრძანა.

სიმბოლურია ისიც, რომ გეტსბის დასაფლავების დღეს გადაუღებლად წვიმდა. მის ცხედარს რამოდენიმე კაციღა მიაცილებდა: გეტსბის მამა, რამოდენიმე მსახური და ყველაზე დიდი ჭირისუფალი ნიკ კაროუეი. პროცესიას დაგვიანებით შეუერთდება „ბუსთვალება კაცი“, გეტსბის წვეულებების ხშირი სტუმარი, რომელსაც აღმოხდება:

„– როგორ მეცოდება ეს მამაძაღლი!“ (5, 142).

სასაცილოა! დიდი გეტსბი საცოდავი გამხდარა და ამასთან ერთად, მამაძაღლიც!

ასე სრულდება დიდი გეტსბის ამაღელვებელი ცხოვება. ის დიდი ომი, რომელიც მან წამოიწყო, სიყვარულით იყო ნაკარნახევი და სიყვარულის სახელით ხდებოდა ყველაფერი.

მთელი რომანის მანძილზე უმადური სტუმრები ჭორაობენ მასპინძლის ბიწიერებაზე:

„იცით, ასე ამბობენ, კაიზერ ვილჰელმის დისშვილია თუ ბიძაშვილი. ამიტომაც დააგროვა ამდენი ფული".

„ვილაცამ მითხრა, კაცი უნდა ჰყავდეს მოკლულიო".

„ომის დროს გერმანელების მსტოვარი იყოო".

„ბუტლეგერია". „ამერიკა-კანადის მიწისქვეშა ნავთობსადენების მფლობელიაო" და, ასე, უსასრულოდ, არ უჩანდა ბოლო სტუმრების მარჩიელობას.

გეტსბი კი შეყვარებული მამაკაცი იყო. რომელიც თავის პირველ სიყვარულს ვერაფრით ივიწყებდა. ხუთწლიანმა განშორებამ კიდევ უფრო გაამძაფრა მისი ვნებები. იცის, დეიზი უკვე სხვისია, ტომ ბიუქენენის „ძვირფასი სამკაულია", მაგრამ დაბრუნების იმედს მაინც არ კარგავს და ამიტომაც მის შორიახლო ტრიალებს.

ტომ ბიუქენენი, დეიზის ქმარი, „ოჯახის ინსტიტუტის" დამცველი, ყურადღებას იპყრობს თავისი კონსერვატიული და რასისტული შეხედულებებით.

„დღეს ოჯახური ცხოვრების სიმტკიცეს და ოჯახის ინსტიტუტს აღარაფრად აგდებენ, ხვალ ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ და თეთრკანიანებზე შავკანიანთა დაქორწინება ჩვეულებრივ რამედ გადაიქცევა“ (5, 106), მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დემაგოგობა და ფარისევლობა იყო. „ოჯახის ინსტიტუტის“ დამცველი საკუთარ თავს უფლებას აძლევს ჯორჯ უილსონის ცოლთან, მირტლისთან გაერთოს და თან დეიზიც უყვარდეს, მაგრამ მალე აცნობიერებს, თუ როგორ ეცლება ხელიდან ცოლიც და საყვარელიც.

ყურადღებას იპყრობს სკოტ ფიცჯერალდის პატარა მოთხრობა „ხანგრძლივი მოლოდინი“, რომელიც გაჯერებულია ბიოგრაფიული შტრიხებით და რომლის სიუჟეტი კლინიკის ფარგლებს არ სცილდება. მოთხრობაში ვეცნობით 21 წლის ახალგაზრდა ქალის მისის კინგის ტრაგიკულ ისტორიას. ის მეუღლესთან ერთად თავს ბედნიერად გრძნობდა, ჰქონდა ოჯახური იდილია, სიყვარული და სიმდიდრე. მეორე ბავშვზე მშობიარობისას მისის კინგი კომაში ჩავარდება, გონს მოსვლისას შეზოფრენიისათვის დამახასიათებელი ნიშნები და სულიერი აშლილობა დაეტყობა. ის ფსიქიატრიული კლინიკის უვადო პაციენტი ხდება. და აი, დადგა დრო, ქალი უნდა გამოეწერათ კლინიკიდან. ის იწყებს მზადებას ქმართან შესახ-

ვედრად, მაგრამ სწორედ იმ დღეს მისი ქმარი მოულოდნელად უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდება. ამის შემდეგ ქალი მუდმივი ბინადარი ხდება ფსიქიატრიული კლინიკის. მას უმალავენ ქმრის სიკვდილს. ყოველდღე არწმუნებენ ქმრის დაბრუნებას. ამ მოლოდინით ის სამუდამოდ კლინიკაში რჩება. აქ უნებლიედ ზელდას სიგიჟეები და მისი ფსიქიატრიულ კლინიკაში გატარებული წლები შეგვახსენებს თავს (2, 57).

კიდევ უფრო მეტი ავტობიოგრაფიული შტრიხები დაიძებნება ნოველაში „ისევ ჩავიდა ბაბილონში". როგორც ცნობილია, სკოტ ფიცჯერალდი თავის მეუღლესთან ერთად ბოჰემურ ცხოვრებას მისდევდა. ჩარლზ უელსში სკოტ ფიცჯერალდის პორტრეტი იკვეთება. ნოველიდან ირკვევა, რომ მეუღლეები ჩარლი და ჰელენი მთელ ევროპაში დაეხეტებოდნენ და ფულებს ფლანგავდნენ. მერე ტრაგიკული შემთხვევა. ისევ ადრენალინი, ალკოჰოლიზმით გატაცება, პროტესტი, გაუცხოება და სინანული. დიახ, ნოველაში ავტობიოგრაფიული პარალელების მოძიება არაა რთული (1, 57).

სკოტ ფიცჯერალდის ცხოვრებაში იყო კიდევ ერთი ქალი, რომელსაც მწერალი აღმერთებდა. ეს პატარა სკოტი იყო, სკოტ ფიცჯერალდის ერთადერთი ქალიშვილი. სკოტი ცდილობს მზრუნველი და მო-

სიყვარულე მამა იყოს. შვილს ცხოვრებისეულ გამოცდილებებს უზიარებს, აძლევს რჩევებს, აფრთხილებს, ღელავს მასზე. 1936 და 1938 წლებით დათარიღებულ წერილებში ვკითხულობთ:

ბევრს ჰგონია, სიცოცხლე მხოლოდ სიხარულია და მეტი არაფერი. მე ასე ვფიქრობ, მაგრამ როცა ოცი და მერე ოცდაათი წლის ვიყავი, შემეძლო სიხარული და ვთვლი, რომ შენ უნდა გამოსცადო რა არის სევდა და მხნედ გადაიტანო იმ სამყაროს ტრაგიკულობა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ.

საყვარელო სკოტ. ერთ რამეში კი მგავხარ – შენი საქმეებიც ვითომ ბრწყინვალედ მიდის, სინამდვილეში კი ყველაფერი ინგრევა, თანაც საბოლოოდ, მაგრამ იცოდე, გასაჭირის ჟამს, როცა მთელი ძალით იბრძვი და გრძნობ, რომ ვერაფერს აღწევ, როცა სასოწარკვეთილებისაგან იხრჩობი, სწორედ მაშინ მიდიხარ წინ, და თუმცა, ნელ–ნელა, სამაგიეროდ მტკიცედ.... სიყვარულით... მამა.

დედაშენს უნდოდა, მე ძალიან ბევრი მემუშავა მისთვის და ძალიან ცოტა ჩემი ოცნებისათვის. იგი ძალიან გვიან მიხვდა, რომ ადამიანს ღირსებას ანიჭებს შრომა, მხოლოდ შრომა! მაშინ მან თვითონ მოინდომა მუშაობის დაწყება, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

დედაშენმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას და მერე აღარც წამომდგარა ფეხზე" (3, 288).

შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოტ ფიცჯერალდმა თავისი მხატვრული შემოქმედებით თვალნათლივ დაგვანახა ომის შემდგომი საზარელი სინამდვილე. მაღალი საზოგადოების სატირა, ვნებათაღელვა, დრამატული ისტორიები, ცრუ ფასეულობებისაკენ ლტოლვა, საზოგადოების დეპრესიული განწყობა, საფრთხეები, ომის ზეგავლენა, უიმედობა, პიროვნების გაუცხოება.

ასეთი ბობოქარი, ტრაგიკული, ამაღელვებელი და ღირსეული გახლდათ სკოტ ფიცჯერალდის განვლილი შემოქმედებითი გზა. ფიცჯერალდის სტილმა და მსოფლმხედველობამ მოიცვა არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი ევროპა. ომის შემდგომი თაობის ეგზისტენციალური განწყობა, მსოფლშეგრძნებები და ტრაგიზმი, ყველაზე უკეთ სკოტ ფიცჯერალდმა, „ჯაზის ეპოქის" დიდმა მწერალმა ასახა თავის რომანებსა და მოთხრობებში.

ბიბლიოგრაფია

1. ამერიკული ნოველა, ტომი II, შემდგენელი ც. თოფურიძე, თბ., 1968 წელი.
2. ფიცჯერალდი ფ ს., ხანგრძლივი მოლოდინი, თარგმანი თ. ჩქვანიასი, მსოფლიო ლიტერატურა, რჩეული მოთხრობები, ტომი IV, თბ., 2008 წელი.
3. ფიცჯერალდი ფ ს., საყვარელო სკოტ, მამის დარიგებანი ქალიშვილს, თარგმანი ლ. თელიასი, ჟურნალი „საუნჯე", № 6, 1987 წელი.
4. ფიცჯერალდი ფ ს., ნაზია ღამე, თარგმანი მ. ხელაშვილის, თბ., 1986 წელი.
5. ფიცჯერალდი ფ ს., დიდი გეტსბი, თარგმანი პ. იაშვილის, თბ., 1985 წელი.
6. ჰემინგუეი ე., განუყრელი დღესასწაული, თარგმანი ვ. ჭელიძის, თხზულებანი, ტომი IV, თბ., 1965 წელი.
7. Curnutt Kirk (ed.), A Historical Guide to F. Scott Fitzgerald, Oxford, Oxford University Press, 2004.
8. Prigozy Ruth (ed.), The Cambridge Companion to F. Scott Fitzgerald, Cambridge, Cambridge University Press, 2002.

ᯖᲔᲠᲝᲛ ᲓᲔᲕᲘᲓ ᲡᲔᲚᲘᲜᯖᲔᲠᲘ – ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲮᲘ



„ცხოვრება მართლაც თამაშია,
ყმაწვილო, ისეთი თამაშია, სა-
დაც ყველა წესი უნდა დაიცვა“.
ჯერომ დევიდ სელინჯერი

ჯერომ დევიდ სელინჯერი განდეგილი არ ყოფილა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ სახელგანთქმულმა და პოპულარულმა ყველას და ყველაფერს განერიდა და ნიუ-ჰემფშირის შტატში მდებარე სახლში განმარტოვდება. მაშინ მის გამოჩენას ლიტერატურულ სალონებში მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. თავის შემოქმედებაში მოზარდთა სულიერი და ფსიქოლოგიური ცხოვრების აღწერას უმნიშვნელოვანესი ადგილი დაუთმო. მერე კი თავისი პერსონაჟივით გაექცა ყველას – საზოგადოებას და ოჯახს. ყველაზე მეტად, ალბათ, საკუთარ თავს.

ეს მისი გადაწყვეტილება იყო.

ლიტერატურული ტექსტები იბადება ეპოქის მოთხოვნილებათა საფუძველზე. სელინჯერის რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ გამოქვეყნება 1951 წელს შემთხვევითი როდი იყო. სწორედ ამ ფორმით, თანაც

მოზარდების ენით უნდა ემხილებინა სელინჯერს „ეპოქის ავადმყოფობა“, საზოგადოების მანკიერებანი. ყოველივე ეს სელინჯერს ზედმიწევნით გამოუვიდა. იმდენად ზედმიწევნით, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი დაიბნა კიდეც.

რომანში ჩადებულმა კრიტიკამ მალე მეხივით იქუხა....

მაინც იტყვიან, სელინჯერი განდეგილი იყოო.

იქნებ, სელინჯერის ნაწარმოები უფრო სატირა იყო იმ საზოგადოებისა, საიდანაც გაქცევას ლამობდა თვით სელინჯერი და მისი პერსონაჟები?! სელინჯერისა და მისი პერსონაჟების „გაქცევა“ ეს იყო ღიად გამოცხადებული ომი კონკრეტული რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან ეთიკური და მორალური იმპერატივების მსხვრევა მათთვის მტკივნეული აღმოჩნდება.

„თამაში ჭვავის ყანაში“ თავისი ღირებულებებით „აღზრდის რომანია“. კრიტიკოსებმა კი მას „ურჩხული ბესთსელერი“ უწოდეს. ამ საკრალურ რომანს რეპუტაცია „შეურყია“ იმანაც, რომ დევიდ ჩეპმენმა, სელინჯერის წიგნის ზეგავლენის ქვეშ მყოფმა მოკლა ჯონ ლენონი.

ეს ისე, ცნობისათვის!

ცხადია, სელინჯერის რომანი ბევრ საფიქრალს აღუძრავს მკითხველს.

სელინჯერმა უზარმაზარი კედელი აღმართა საკუთარ თავსა და ცრუ ფასეულობების მქონე საზოგადოებას შორის. კედლის იქითა მხარეს ხმაური, ძალადობა, პრაგმატული აზროვნება, ფულის სიყვარული, ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სიძულვილი და გაუცხოებაა, ხოლო კედლის მეორე მხარეს მოზარდთა და ბავშვთა სიფაქიზეა და სიწმინდე მოსჩანს, სიკეთე, სულიერება და გულწრფელობა. სელინჯერი თავისი პერსონაჟებით უპირისპირდება ყალბ ამერიკულ ბურჟუაზიულ მორალს, ფარისევლობას, გაუცხოებას, პიროვნების შინაგან კრიზისს, სულიერ დაცემას, დეჰუმანიზაციას. „სელინჯერი სწორედ ამ ყალბი ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ მებრძოლ მწერლად გვევლინება“ (10, 7).

დიახ, სელინჯერის განდეგილობა შემთხვევითი როდი იყო. მწერალი ამ ფორმით დაუპირისპირდა და განერიდა „ოცნების ამერიკას“, რომელიც თანამედროვე ადამიანის სულიერ გამოფიტვას ისახავდა მიზნად, და სადაც პრაგმატული აზროვნება გამხდარიყო ადამიანური საზომი. სელინჯერი თვლიდა, რომ გარემო, საზოგადოება, ხშირ შემთხვევაში აზიანებს და ამახინჯებს ადამიანის სულს. ადამიანი უნდა გაექცეს საზოგადოების უარყოფით ზემოქმედებას. ასეც იქცევა სელინჯერი, და არა მარტო სელინჯერი, მისი პერსონაჟები ჰოლდენ კოლფილდის ჩათვლით

გარბიან საზოგადოებიდან, ოჯახიდან, სკოლიდან, მშობლებისა და უფროსების საზოგადოებიდან. მაშ სადა არის გამოსავალი? რელიგიაში? ბუდიზმში? და იწყება ღმერთის უსასრულოდ ძიების პროცესი სელინჯერთან. სელინჯერმა ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელობა, სითამამე და, რაც მთავარია, ის არ ღალატობს რეალიზმის პრინციპებს. ჰოლდენ კოლფილდი და სელინჯერის სხვა პერსონაჟები გმობენ ბურჟუაზიულ ამერიკას. ისინი უპირისპირდებიან ფსევდო ღირებულებებს. მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი პროტესტის სიღრმე, რადგან საკუთარი თვალით იხილეს სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში, თანატოლებში, უსამართლობა, დეგრადაცია, სამყაროს დისჰარმონიულობა, სულიერებაზე უარის თქმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სელინჯერი თავისუფალია ლიტერატურული ექსპერიმენტებისაგან. ის არ მიმართავს ჯოისისა და ფოლკნერის „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას. ის თავისი სტილით მოდერნისტი მწერლებისაგან შორს იდგა. მათგან განსხვავებით სელინჯერს სხვა პრობლემების გაანალიზება და გააზრება უწევდა. სელინჯერი უფრო „მარტივი“ თემებით, „ბავშვებთან თამაშითაა“ დაკავებული, მაგრამ როგორც ავღნიშნეთ, სელინჯერი რეა-

ლიზმის პრინციპებს არ ღალატობს. მან თვალნათლივ აღწერა ის სოციალური გარემო, რომელშიაც უწევდათ მის პერსონაჟებს ცხოვრება.

სელინჯერი XX საუკუნის ერთ-ერთი წარმატებული ამერიკელი მწერალია. მოზარდთა განწყობა, სურვილები, ფიქრები და ხედვები ყველაზე უკეთ სელინჯერმა გადმოქვცა ამერიკის ლიტერატურაში. მისი პერსონაჟები ჩვეულებრივი მოზარდები როდი არიან. ისინი განსაკუთრებული ხედვისა და განსჯის უნარით არიან დაჯილდოვებულნი. ხედავენ იმას, რასაც მისი ტოლები გვიან, ან სულაც ვერ შეამჩნევენ და ცხოვრების მდინარეში ჩაინთქმებიან. სელინჯერის გმირები კი ერთბაშად მომწიფებული და დაბერებული ბავშვები არიან. მეგობრობა, სიყვარული, ადამიანური ურთიერთობა, სამყაროს ბედი, სულ სხვანაირად აღიქვეს და გააპროტესტეს. ამავე დროს, ისინი საკუთარ თავში ზედმეტად ჩაკეტილი, ემოციური და ტრაგიკული პერსონაჟები არიან.

დიახ, სელინჯერის „ცელქ ბავშვებს“ აზროვნება, ფიქრი და განსჯა შეუძლიათ ცხოვრებაზე, ადამიანებზე და საერთოდ, სამყაროზე. მათი გაწბილებული ბავშვობის მიღმა დგას ზრდასული ადამიანი, რომლის სურვილია სამყაროს შეცვლა. ისინი მუდამ გაქცევაზე ფიქრობენ, მაგრამ მწერალი, რატომღაც,

ოჯახიდან გაქცეული ბავშვების მომავალს არ გვიჩვენებს. ისინი ისევ უბრუნდებიან ოჯახს, როგორც ჰოლდენ კოლფილდი. გაქცეულებს რა მოელით, ან როგორი იქნება მათი ადაპტაცია საზოგადოებასთან, უცნობია.

გადაჭარბებული არ იქნება თუ დავსძენთ, ამერიკის ლიტერატურაში მარკ ტვენისა და ჯერომ სელინჯერის შემდეგ გაჭირდება კიდევ ერთი მწერლის დასახელება, რომელსაც ამდენი მოზარდი გამოეყვანოს თავის შემოქმედებაში. შეუძლებელია მკითხველთა მეხსიერებიდან გაქრნენ სელინჯერის მგრძნობიარე და ფაქიზ მოზარდთა სახეები: ჰოლდენ კოლფილდი, ტედი, ლაიონელი, ფიბი, შერონი, სიბილა, გუნდის მომღერალი გოგონა ესმე, მისი ძმა ჩარლზი, რამონი, ბუპერი, კორტებზე ჩოგბურთის მოთამაშე სელენა და ჯინი, გლასების შვიდი „მცირეწლოვან ბრძენთა“ გასაოცარი სახეები. უდავოა, რომ სელინჯერს პატარების პორტრეტების გამოძერწვა უფრო ემარჯვება, ვინემ ზრდასული პერსონაჟებისა. ისიც ცხადია, რომ სელინჯერის გმირებს უფროსებთან შედარებით პატარებთან ურთიერთობა ეძვირფასებათ და სულიერ სიახლოვეს გრძნობენ.

დიახ, სელინჯერის სამყარო დასახლებულია „პატარა ვუნდერკინდებით“, „ჭკუსკოლოფებით“, რომელთაც სტანჯავთ დეპრესია, მელანქოლია, უიმე-

დობა, სკეფსისი. ისინი გაბრაზებულნი არიან აწმყოზე, ყველაზე მეტად კი უფროსებზე და მშობლებზე, მათ ფარისევლობასა და ამპარტავნობაზე. ამავე დროს, რწმენა შერყეული „ათეისტები" არიან, საკუთარ ძალებში დაეჭვებული, მეოცნებე, პაციფისტები და იდეალისტები. სწორედ ამაშია სელინჯერის მნიშვნელობა. მან ამერიკულ ლიტერატურაში სრულიად ახალი განწყობა, ახალი მსოფლმხედველობა და ფასეულობა მოიტანა და დაამკვიდრა.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. სელინჯერი არსად გვიყვება დიდ სიყვარულზე, ქალისა და მამაკაცის მარადიულ გრძნობაზე. ალაბთ ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ახალგაზრდა სელინჯერს სიყვარულმა იმედები გაუცრუა. უფრო გააწბილეს.

„უნა და სელინჯერი!"– შეუძლებელია ამ რომანტიკულ ისტორიას გვერდი აუაროთ, როდესაც სელინჯერის ბიოგრაფიას თვალს გადავავლებთ. ახალგაზრდა ჯერომს თავდავიწყებით შეუყვარდება ცნობილი დრამატურგისა და ნობელიანტი მწერლის იუჯინ ო'ნილის 16 წლის ქალიშვილი. მათი სიყვარული ძალზე მღელვარე და რომანტიკული გახლდათ, მაგრამ ომმა შეყვარებულები ერთმანეთს დააშორა. სელინჯერი ომში გაიწვიეს, უნა კი ცნობილ ჩარლი ჩაპლინს მისთხოვდება. ასე სრულდება მღელვარე

და მშფოთვარე სიყვარულის ხანა სელინჯერის ცხოვრებაში, მაგრამ უნა არასოდეს დავიწყებია სელინჯერს!

არასოდეს....

რომანი „თამაში ჭვავის ყანაში" სელინჯერის ყველაზე უფრო გახმაურებული და ცნობადი ნაწარმოებია, რომელიც მოგვითხრობს კოლეჯიდან გამოქცეული მთავარი გმირის ჰოლდენ კოლფილდის ნიუ-იორკში გატარებულ რამოდენიმე დღეს.

კოლეჯის მოსწავლე თვითონ გვიყვება იმ „ფეთიან ამბავს", რომელიც მას თავს გადახდება. „მე მხოლოდ ის ფეთიანი ამბავი მინდა გიამბოთ, შობის დღესასწაულებში რომ შემემთხვა",- გულახდილად გვანდობს სკოლიდან უკვე მერამდენედ გარიცხული ჰოლდენ კოლფილდი. „სწორედ იმ დღიდან მინდა დავიწყო ჩემი ამბავი, როცა პენსიდან წამოვედი. პენსი ეგერსტაუნის მოსამზადებელი სკოლა გახლავთ, პენსილვანიის შტატში". და იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდება კოლფილდის ფეთიანი ამბავი, რომ მკითხველში დიდ ემოციებს აღძრავს.

მთელი რომანის მანძილზე ჰოლდენ კოლფილდი ლაზღანდარობს, ბაქიობს, ქაქანებს, იცინის, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია, რომ დამალოს სულიერი შფოთვა და მარტოსულობა. ის თვითონ გვიყვება თავის პიროვნულ თვისებებზე, დადებითზე თუ უარ-

ყოფითზე. მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ ის ჩვეულებრივი მოზარდი როდია. გულახდილი და მგრძნობიარე ახალგაზრდაა. ამავე დროს, ირკვევა, რომ მხატვრულ ლიტერატურაზეა უზომოდ შეყვარებული. კლასიკური ლიტერატურა, როგორც თვითონ გვეუბნება, ბლომად აქვს წაკითხული. მისი საყვარელი მწერლებია: რობერტ ბერნსი, ემილი დიკენსონი, სომერსეტ მოემი, რინგ ლარდნერი, თომას ჰარდი. წაკითხული აქვს ჰემინგუეის „მშვიდობით, იარაღო!", სკოტ ფიცჯერალდის „დიდი გეტსბი". მოსწონს შექსპირის პიესები და თავისებური შეხედულებები გააჩნია მათზე. ასევე ანგლო-საქსური ეპოსი „ბეოვულფი". განსაკუთრებით მოსწონს ძმის დ.ბ.-ს მოკლე მოთხრობები, რომელიც ჰოლივუდში მოღვაწეობს.

დიახ, ჰოლდენ კოლფილდის საყვარელი მწერალია დ.ბ. – მისი ძმა, ხოლო მეორე საყვარელი მწერალია რინგ ლარდნერი. „უფრო ისეთ წიგნებზე ვგიჟდები, კითხვას რომ გაათავებ და ინატრებ – ნეტა ამის დამწერი და მე კაი ძმაკაცები ვიყოთო. სიამოვნებით დაურეკავდი რინგ ლარდნერს, მაგრამ ძმამ მითხრა, გარდაიცვალაო". მოსწონს სომერსეტ მოემი და მისი რომანი „ადამიანური ტვირთი", ისაკ დინსენის „აფრიკის ტევრები", თომას ჰარდის „სამშობლო-

ში დაბრუნება", მაგრამ კატეგორიულად არ მოსწონს ერნესტ ჰემინგუეის რომანი „მშვიდობით, იარაღო!"

სელინჯერი თავისი ცნობილი პერსონაჟით თავს ესხმის ჰემინგუეის. ალბათ, ეს იმის შედეგია, რომ ჰემინგუეი, როგორც „დაკარგული თაობის" მწერალი, ძირითადად ომზე, ფრონტის ეპიზოდებზე წერდა და გვიამბობდა. სელინჯერის პერსონაჟებს კი სასტიკად სძულთ ომი, ძალადობა, ომის ბატალური სცენები.

„უკვე მეოთხე სკოლა გამოვიცვალ", „გამომაპანღურეს", - ღიად ამბობს ჰოლდენი. ირკვევა, რომ პენსის „საძაგელ სკოლაში" სწავლის საქმე კარგად ვერ მიდის. მოსწავლეებს „პანტაპუნტით რიცხავენ" და თან „ჯიბგირებითაა სავსე პენსი". ჰოლდენი თანატოლებისაგან განსხვავებით გრძნობს, რომ სკოლაში ყველაფერი სიყალბეზეა დაფუძნებული, თვით სკოლის რეკლამაც კი: „ჩვენი სკოლა 1888 წლიდან აყალიბებს მამაცსა და საღად მოაზროვნე ჭაბუკებს", - მტკნარი სიცრუეა, რადგან აქ არც მამაცი მინახავს ვინმე და არც საღად მოაზროვნე". ამიტომაც ჰოლდენი სკოლაში დარჩენილებს მიაძახებს: „მაგრად იძინეთ, თქვე კრეტინებო".

ჰოლდენი თავის ოჯახზე ცოტას გვესაუბრება. მისი მშობლები ნიუ-იორკის პრესტიჟულ უბანში

ცხოვრობენ. „საშინელი ფხუკიანები არიანო“, - ამბობს მშობლებზე. მამაზე კი წერს: „მამაჩემი მდიდარი კაცია... მე მგონი ბევრს აკეთებს. კორპორაციის იურისტია“, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ ამ შეძლებულ სახლში სულიერების დეფიციტია. მშობლებს თავიანთი პრობლემები და საზრუნავი აქვთ, შვილებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ჰოლდენს გამორჩეული დამოკიდებულება და სულიერი კავშირი აქვს ცხრა წლის დასთან, ფიბისთან, ასევე ჰოლდენი თავის გარდაცვლილ ძმას ელის ხშირად იხსენებს და ესაუბრება. „ჩემზე ორი წლით პატარა იყო, მაგრამ ათასჯერ უფრო ჭკვიანი“,- ამბობს გარდაცვლილ ძმაზე.

ჰოლდენ კოლფილდი კოლეჯის მასწავლებლებზეც გვესაუბრება. სკოლიდან გარიცხული გადაწყვეტს გამოემშვიდობოს მოხუც მასწავლებელს მისტერ სპენსერს, მაგრამ მასწავლებელთან შეხვედრამ და საუბარმა კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება-განწყობა. არც ახალგაზრდა მასწავლებელ მისტერ ანატოლთან ვიზიტი აღმოჩნდება მთლად სასიამოვნო. კოლფილდი აცნობიერებს, რომ არსად არაა წყნარი და მყუდრო ადგილი. „მთელი უბედურება ეგ არის. რამდენიც არ უნდა ეძებო, მყუდრო და წყნარ ად-

გილს ვერ ნახავ, ასეთი ადგილი არ არსებობს", ასეთ დასკვნამდე მიდის მოზარდი.

საზოგადოების ზნეობრივი და ეთიკური საწყისების კვდომამ განაპირობა კოლფილდის გაქცევა. გაქცევა, რასაკვირველია, გამოსავალი არაა, ამაში მალე რწმუნდება სკოლიდან გამოქცეული მოზარდი და უბრუნდება იმ გარემოს, რომელსაც მანამდე ვერ იტანდა. იქნებ რწმენის დეფიციტმაც განაპირობეს კოლფილდის ცხოვრებასთან მარცხი. რწმენაშერყეული თავად გვეუბნება: „მოვიათეისტებო". სახარებაზე და ქრისტეს მოციქულებზე თავისებური, მეტწილად სარკაზმული დამოკიდებულება გააჩნდა. დიახ, კოლფილდი რწმენის დეფიციტს ძლიერ განიცდიდა: „არასოდეს არ გამომდის ლოცვა, რაც არ უნდა მოვინდომო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცოტას მოვიათეისტებ. ქრისტე მიყვარს, მართალია, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი სისულელეა ბიბლიაში" (6,126). იმასაც გრძნობდა, რომ სხვებისაგან ყველაფრით გამოირჩეოდა: „ზოგჯერ ჩემი ასაკისათვის სავსებით შეუფერებლად ვიქცევიო". ის ზედმეტად დაბრძენებული თინეიჯერი გახლდათ, რომელსაც ცხოვრებისეული ცვლილებები ზედვე ეტყობოდა: „თმაც შეჭაღარავებული მაქვს! კი არ გეხუმრებით, ერთ მხარეს - მარჯვნივ - მილიონობით თეთრი მირევია".

კოლფილდის ფაქიზი სული უპირისპირდება გარესამყაროს. ის თავის პროტესტს ღიად გამოთქვამს, რომ სძულს ნიუ-იორკი, სკოლა, ტაქსის მძღოლები, მედისონ ავენიუს ავტობუსები, კონდუქტორები, იაფფასიანი ქალები, კოხტა-პრუწა ვაჟბატონები. შედეგად კოლფილდი გარიყული და მარტოსული აღმოჩნდება. სკოლიდან გამოქცეულს არ ეგულება არავინ, ვისთანაც მივა და ღამეს გაათენებს.

უკომპრომისობის მიღმა გულჩვილი და მგრძნობიარე, მეოცნებე, დარდიანი, პაციფისტი და დეპრესიული კოლფილდი იმალება, რომელსაც სურს დიდ საქმეს შეეჭიდოს: „თვალწინ მიდგას, როგორ თამაშობენ პატარა ბავშვები დიდ ველზე, ჭვავის ყანაში. ათასობით ბავშვია და თან არავინ ახლავს - ესე იგი, დიდი არავინ ახლავს - ჩემს მეტი. მე კიდევ საშინელ ციცაბო კლდის პირას ვდგავარ, და რას ვაკეთებ - ბავშვებს ვიჭერ, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხონ. ვიცი, რომ სიგიჟეა, მაგრამ ეს მინდა, სხვა არაფერი. ისე მეც ვიცი, რომ სიგიჟეა“ (6, 273).

ასეთია ჰოლდენ კოლფილდის საკაცობრიო სევდა. ასეთია მისი ამბოხი. მართალია, ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება და ხელისშემშლელი გარემოებები იჩენს თავს, მაგრამ ცხოვრების საზრისი სწორედ რომ დაბრკოლებების დაძლევა და გადალახვაა. ისიც

საყურადღებოა, რომ მკითხველს კოლფილდი ხიბლავს სწორედ გულწრფელი და გონიერი თხრობით, რომელსაც ხშირად ეგსისტენციალური სევდა დაჰკრავს.

საყურადღებოა ისიც, რომ ნათესაური კავშირები ვლინდება ჰოლდენ კოლფილდსა და ენტონი ბერჯესის 16 წლის ალეკს შორის („მექანიკური ფორთოხალი"). ერთი განსხვავებით: ალეკსი გამოუსწორებელი კრიმინალი და მოძალადეა. ჰოლდენი კი შორს არის ძალადობისაგან. ალეკსი ძალადობის გზით ცდილობს საზოგადოებაში დამკვიდრებას, ჰოლდენი კი პირიქით, ცდილობს შეეჭიდოს დიდ საქმეს – იხსნას ბავშვები ჭვავის ყანაში თამაშის დროს უფსკრულში გადაჩეხვისგან. მიუხედავად ამისა, მათ შორის ბევრი საერთო და განმასხვავებელი შტრიხები იკვეთება.

ალეკს სიგიჟემდე უყვარს კლასიკური მუსიკა, ბეთჰოვენი და სექსი. აუპატიურებს გოგონებს, ქურდობს, ყოველ ნაბიჯზე აგრესიასა და ძალადობას ავლენს. თუ ალეკსი კლასიკური მოსიკითაა გატაცებული, აჰოლდენ კოლფილდი კლასიკური ლიტერატურითაა მოხიბლული. „კლასიკური წიგნები ბლომად მაქვს წაკითხულიო". სძულს მხოლოდ კინოფილმები, რადგან სიყალბეზეა აგებული. ჰოლდენსაც გაგიჟე-

ბით მოსწონს გოგონები და შეძლებისდაგვარად ერთობა მათთან, მაგრამ არ ძალადობს. „ქალებმა მომიღეს ბოლო. ღმერთმანი. იმას კი არ ვამბობ, თითქოს დიდი მუსუსი და ქალებს გადაყოლილი ვიყო, მაგრამ ვნებიანი ნამდვილად ვარ. მომწონს ქალები". თუ ალექსი რძეში ურევს ნარკოტიკს და ნება-ნება სვამს, ჰოლდენი უფრო „მსუბუქ" საშუალებას მიმართავს. „სიგარეტს სიგარეტზე ვეწევი... ალბათ, ტუბერკულიოზიც ამიტომ შემეყარაო". და კიდევ: მათი ასაკიდან გამომდინარე, მათი სამეტყველო ენა ერთნაირია. „ერთი ენით" მეტყველებენ. აქვთ საერთო ლექსიკური მარაგი. დიახ, ორივე ტექსტის „ენობრივი ქსოვილი" ერთნაირია. მიუხედავად ამ საერთო შტრიხებისა, ორივე პერსონაჟი, მაინც რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან ხასიათით, გემოვნებით, მისწრაფებებით, აზროვნების უნარით, ინტელექტით.

გლასების ოჯახის „ქრონიკები" გამოკვეთილი თემაა სელინჯერთან. გლასების ოჯახის ისტორიას მწერალმა არა ერთი მოთხრობა მიუძღვნა. ამ მოთხრობებს პირობითად შეიძლება გლასების ოჯახური დრამაც ვუწოდოთ. მკითხველი გრძნობს, რომ გლასების ოჯახში რაღაც ავის მომასწავებელი განწყობა სუფევს. გლასების უფროსი ვაჟი სიმორი თვით-

მკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. მეორე ძმა უოლტი იაპონიაში უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება. ხოლო უოლტერის ტყუპისცალი უიკერი, სამხედრო სამსახურზე უარის თქმისათვის მერილენდის ბანაკში იჯდა. გლასების ოჯახის სხვა წევრების მომავალიც სახარბიელო და მიმზიდველი როდია. გლასების მშობლებზე და მათ შვილებზე ყველაზე მეტ ინფორმაციას იძლევა მოთხრობა „ჭერი ასწიეთ, დურგლებო" (თარგმანი ვ.ჭელიძის).

გლასების მრავალშვილიანი ოჯახი შვიდი მოზარდის ისტორიას იტევს. მათი მშობლები ლესი და ბესი მოხეტიალე კომიკური თეატრის ყოფილი მსახიობები იყვნენ. ოჯახში იგრძნობოდა ლიტერატურისა და თეატრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. მოთხრობაში ბადი გლასი გვიყვება უფროსი ძმის სიმორის ქორწინების ამბავს და ამ ფონზე ვეცნობით გლასების ოჯახის სევდიან ისტორიას, მათ განწყობას და ფსიქოლოგიას, ნერვიულ აშლილობას, პროტესტს, ამბივალენტურ ხასიათს, რელიგიისა თუ ფილოსოფიისადმი მათ დამოკიდებულებას.

სიმორი, ბადი, უოლტი, უიკერი, ბუ-ბუ, ზუი, ფრენი,- ესენი არიან გლასების უჯახის „უძღები" შვილები. თითეული მათგანი განსხვავებული ფსიქიკისა და ხასიათის მატარებელია. გლასების შვიდივე

ბავშვი წლიდან წლამდე მონაწილეობას იღებდა ინტელექტუალურ რადიო გადაცემაში „მოუსმინეთ ჭკვიან ბავშვებს“. ისინი საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები ხდებიან და „მთელ შეერთებულ შტატებში მიმოიფანტნენ“. ამავე დროს, ყოველ მათგანს, როგორც სელინჯერი აღნიშნავდა, „პაწია ნერვიული აშლილობა“ სტანჯავდათ.

„უფროსი ძმა სიმორი - უმთავრესად სწორედ მასზე გვექნება ჩვენ აქ ლაპარაკი - კაპრალი იყო და სამხედრო შენაერთში მსახურობდა“, - ასე იწყებს ძმის ისტორიის მოყოლას ბადი. მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ სიმორი უაღრესად განათლებული ახალგაზრდა კაცია. ჯერ კიდევ ბავშვობაში „მთელი ექვსი წელი განთქმული რადიო-კომენტატორად იყო მიჩნეული მთელს ქვეყანაში“. თხუთმეტი წლის ასაკში კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება. ჯარში გაწვევამდე კი კოლეჯში ინგლისურის მასწავლებლად მუშაობდა.

ბადი გლასი შემთხვევით წააწყდება სიმორის დღიურს და იწყებს კითხვას: „ახალდაქორწინებულები ერთმანეთს უნდა ემსახურონ. უნდა აამაღლონ, დაეხმარონ, ასწავლონ, გაამაგრონ ერთმანეთი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის - ერთმანეთს ემსახურონ. პატიოსნად, სიყვარულით, სათუთად აღზარდონ ბავშვები. ბავშვი - სტუმარია შენს სახლში, უნდა

გიყვარდეს, პატივი უნდა სცე, არ უნდა ბრძანებლობდე, რადგან იგი ღმერთს ეკუთვნის“ (6,359). მაგრამ ასე არ ხდება ახალდაქორწინებულთა ცხოვრებაში. სიმორს ოჯახურმა გარემომ, ახალგაზრდა და ლამაზ მეუღლესთან თანაცხოვრებამ ვერავითარი ბედნიერება მოუტანა. ის უსიყვარულო ოჯახში ცხოვრებას თვითმკვლელობას ამჯობინებს. ასეთია გლასების უფროსი ვაჟის სიმორის დეპრესიული შინაგანი სამყარო.

მოთხრობაში „ბანანა-თევზას ამინდი“ მწერალი აგრძელებს თხრობას სიმორის ოჯახსა და მის მეუღლეზე (თარგმანი ვ.ჭელიძის). მწერალი აქ მოახლოებული სიკვდილის თემას ამუშავებს. ტრავმირებული და ომგამოვლილი სიმორ გლასი ფსიქოლოგიურად თითქოს ემზადება სიკვდილისათვის. ის თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ისვენებს ფლორიდის პრესტიჟულ კურორტზე. მას აშკარად ფსიქიკური პრობლემები აქვს, დეპრესიული და გულჩათხრობილი გამოიყურება. უფრო მეტიც, ექიმ ფსიქიატრის თქმით: „დანაშაულიაო, სამხედრო ჰოსპიტლიდან როგორ გამოუშვესო. ადვილი შესაძლებელია, მალე სულ დაკარგოს თვითკონტროლიო“. მოთხრობის ბოლოს, მკითხველი მტკივნეულად აღიქვამს სიმორის თვითკონტროლის დაკარგვას. „შემთხვევით როდი აიღო მწერალმა მის გვარად სიტყვა გლასი, რაც ინგლისურად

მინას, გამჭვირვალეს ნიშნავს. მისი სულიც მინასავით სუფთაა და გამჭვირვალე" (2, 131). ასე ტრაგიკულად სრულდება გლასების უფროსი ვაჟის სიცოცხლე. მისი სულიერი დრამა გადამდები აღმოჩნდება ოჯახისათვის. სიმორის თვითმკვლელობამ საბედისწერო დაღი დაასვა გლასების მთელ ოჯახს.

სიმორისა და საერთოდ, გლასების ოჯახის თემას უბრუნდება მწერალი მოთხრობაში „სიმორი - შესავალი" (თარგმანი ლ. დუმბაძის). აქ მთხრობელად ისევ ბადი გლასი გვევლინება, რომელიც უღრმავდება ძმის ტრაგიკულ ცხოვრებას. ბადი დეტალურად აღწერს ძმის თვისებებს, ხასიათს, ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ხაზს უსვამს ძმის ინტელექტუალურ თვისებებს. ბადის მოგონებებს ბოლო არ უჩანს.

მოთხრობაში დიდი ადგილი ეთმობა სიმორის გატაცებას ჩინური და იაპონური პოეზიით. თავადაც ლექსების ჩინებული მთხზველი ყოფილა. დიდი ადგილი ეთმობა სალექსო ფორმებს, ლექსის თეორიულ საკითხებს.

„ფრენი" და „ზუი" სელინჯერის მოზრდილი მოთხრობებია. აქ მწერალი ისევ უბრუნდება გლასების ოჯახის სევდიან ისტორიას.

როგორც ავღნიშნეთ, სელინჯერის პერსონაჟებს ბავშვებთან ურთიერთობა ეძვირფასებათ. ამის საუ-

კეთესო ნიმუშია მოთხრობა „ძღვნად ესმეს“ (თარგმანი ვ. ჭელიძის), რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა ამერიკელ ჯარისკაცზე, რომელსაც განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება აქვს 13 წლის ესმესთან. მოთხრობა მთლიანად ჯარისკაცისა და გოგონას სევდიან დიალოგზეა აგებული. ისინი წვიმიან ამინდში კაფეში ცხელ ჩაის მიირთმევენ და თან ერთმანეთს ღრმააზროვნად ესაუბრებიან.

მოთხრობიდან ირკვევა, რომ ესმე, ეს გუნდის მომღერალი გოგონა „დიდი ბავშვია“, ნაადრევად მომწიფებული. ის სხვებზე უფრო ბევრს ხედავს, ამჩნევს და გრძნობს. გოგონასა და ჯარისკაცს შორის საოცრად სევდიანი და გულწრფელი დიალოგი იმართება. გოგონა ჯარისკაცს არა ერთ გაბედულ კითხვას უსვამს. ყოფითი თემების შემდეგ ესმე ცდილობს ჯარისკაცს დაანახოს თავისი შინაგანი მღელვარება. ესმე დედ-მამით ობოლი აღმოჩნდება. ის ნაადრევად დაბერებული ბავშვია, იუმორსა და სიცილს გადაჩვეული. მამას, გარდაცვალებამდე, შეუჩივლია კიდეც: „შენ სულ არ გაქვს იუმორის გრძნობა. არ ხარ ცხოვრებისათვის მომზადებული, რადგან იუმორის გრძნობა არ გაქვსო“. არადა, ესმე, ზედმეტად იყო მომზადებული ცხოვრებისათვის. ესმე ჯარისკაცს სთხოვს მასზე საგანგებოდ მოთხრობა დაწე-

როს და კიდევ: „ჯერ იმდენი ხნისა არა ვარ, მაგრამ ხალხთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს... იმედი მაქვს, ჯანმრთელი და საღ-სალამათი დაბრუნდებით ომიდან... გინდათ, წერილებს მოგწერთ ხოლმე,- თქვა მან და ღაწვები შეუფაკლდა“. ამ განწყობით სრულდება პატარა გოგონასა და ამერიკელი ჯარისკაცის საოცრად თბილი და გულწრფელი დიალოგი.

„დიდი ბავშვის“ ისტორიას ვეცნობით მოთხრობაში „ტედი“ (თარგმანი გ. ბერაძე).

ტეოდორ მაკარდლი ათი წლის ვუნდერკინდია. ის თავისი ასაკიდან გამომდინარე სულ სხვანაირად იქცევა და აზროვნებს. ე.წ. „დიდი ბავშვია“. ათი წლის ტედი მედიტაციითაა დაკავებული. გასაოცრად მსჯელობს და აზროვნებს რეინკარნაციაზე, რელიგიაზე, ღმერთის არსებობაზე, სულის უკვდავებაზე, განათლების სისტემაზე და მედიცინაზე. მსჯელობს ბიბლიურ ადამზე, პირველქმნილ ცოდვაზე და „ვაშლიჭამიებზე“. მშობლებისათვის ის „ურჩი ბავშვია“, რომლებიც დიდი მონდომებით ცდილობენ მისი აზროვნებისა და ხასიათის შეცვლას. ამიტომაც მშობლებზე საყვედურებს ღიად ამბობს:„არ შეუძლიათ ვუყვარდეთ ისეთი, როგორიც ვართ... თუ ცოტათი არ შეგვცვალეს“.

ტედი ის ყმაწვილია, „რომელიც სულიერ განვი-

თარებაში კარგა შორს იყო წასული". იმასაც კარგად გრძნობდა, რომ „ამერიკაში მედიტირება და სულიერი ცხოვრება ძალიან ძნელია". მას ექვსი წლიდან ჰქონდა მისტიკური ხილვები, თუმცა ოთხი წლიდან, როგორც თავად აღნიშნავს: „საკმაოდ ხშირად შემეძლო საგნების საზღვრულობიდან გასვლაო".

ტედის ფიზიკური აღწერილობაც ყურადსაღებია. „თავი შეუსაბამოდ გაზრდიაო",- ამბობს მწერალი და დასძენს: „ცამეტი ფუნტით ნაკლებს იწონის, ვიდრე მისი ასაკის ბავშვი უნდა იწონიდეს", მაგრამ ტედი სულიერად იყო გაწვრთნილი და გაზრდილი, თითქოს ხორციელი ზრდა სულიერს და გონებრივს ჩაენაცვლებინოს. ბიჭი დღიურს აწარმოებს, სადაც საინტერესო ჩანაწერებსა და დაკვირვებებს აკეთებს: „გაგიკვირდებათ აზრის შეუფერხებელი დინება. სიტყვებისა და ფრაზების წყობა ისეთი იყო, რომ ვერანაირად ვერ იფიქრებდით, ყოველ შემთხვევაში გარეგნული ნიშნით, ეს ბავშვის დაწერილიაო". ეს საოცრად ფაქიზი და მგრძნობიარე ბიჭი საკუთარი დის ბუპერის ხელით სიკვდილსაც იწინასწარმეტყველებს. „ეს დღეს მოხდება, ან 1958 წლის 14 თებერვალს, როცა 16 წლის ვიქნები". მოთხრობის დასასრულს მკითხველი გრძნობს, თუ როგორ სრულდება პატარა ბიჭის წინასწარმეტყველება.

სელინჯერი კიდევ უფრო საინტერესო პერსონაჟს ძერწავს ოთხი წლის საოცრად მგრძნობიარე ბიჭის ლაიონელის სახით, რომელიც ორი წლიდან პროტესტის ნიშნად გარბის სახლიდან და ხან სად და ხან სად აფარებს თავს („კანჯოში“ თარგმანი თ. ჯაფარიძის). ლაიონელს „ორი წლის ასაკიდან ჩვევად ექცა ეს გაპარვაო“, - დასძენს მწერალი. მოთხრობიდან ჩანს, რომ ლაიონელი საოცრად მგრძნობიარე ყმაწვილია, ისეთივეა, როგორიც ჰოლდენ კოლფილდი და სელინჯერის სხვა პერსონაჟები. ბიჭი გრძნობს, რომ ოჯახურ გარემოცვაში, და არა მარტო ოჯახურ, საზოგადოდ, სულიერების დეფიციტია. ყველგან უსამართლობა და გულგრილობაა გამეფებული და ბიჭს სხვა არაფერი დარჩენია თუ არა სახლიდან გაქცევა. ამ მითხრობაში მწერალი გლასების დის ბუ-ბუ ტანენბაუმის ოჯახს გვამცნობს. ლაიონელი სწორედ ბუ-ბუ გლასის შვილია (8).

სელინჯერის მოთხრობებში მოდამ ხაზგასმულია დრო და ეს უშუალოდ ომის, ან ომის შემდგომი პერიოდია. სელინჯერის თითქმის ყველა მოთხრობაში დაზუსტებული და გამოკვეთილია დრო, წელი, თვე, რიცხვი, საათიც კი. მოთხრობაში „ძღვნად ესმეს“ ვკითხულობთ: „ძვირფასო სერჟანტო X!.. ხშირად მახსენდებოდა ის მეტად სასიამოვნო დრო, როცა ჩვენ ერთად გავატარეთ აპრილის 30 - ს, 1944

წელს 3.45-დან 4.15-მდე. იქნებ გადაგავიწყდათ კიდეც, და ამიტომ ასე დაწვრილებით შეგახსენებთ" (6,158). ომისა და ომის შემდგომი პერიოდის გააზრებას დიდი ადგილი ეთმობა სელინჯერთან. მოთხრობაში „ესკიმოსებთან შებრძოლებამდე" ჯინის აინტერესებს სელინას ავადმყოფმა ძმამ სად გაიცნო მისი და. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება: „სად გაიცანი? წვეულებაზე? როდის? ეშმაკსაც წაუღია, არ მახსოვს... მგონი 1942 - ის შობა იყო" (8,58). მოთხრობაში „ბანანა-თევზას ამინდი" ხაზგასმულია დრო - ომის შემდგომი პერიოდი. მიურიელი დედას ტელეფონით ესაუბრება: „ომამდე რომ ნომერი გვქონდა, იმას ვერ ჩამოვუსწარითო" (8,20). მოთხრობაში „ზუი" დაზუსტებულია დრო: „1955 წლის ნოემბრის ერთ დღეს, დილის თერთმეტის ნახევარზე, ახალგაზრდა ზუი გლასი პირამდე სავსე აბაზანაში გაწოლილი ოთხი წლის წიანდელ წერილს კითხულობდა" (7,60). მოთხრობაში „ჭერი ასწიეთ, დურგლებო" დაზუსტებულია დრო. ბადი გლასი გვამცნობს: „თავს ვალდებულად ვრაცხ, აქვე შევნიშნო, რომ სასიძო ახლა 1955 წელს, ცოცხლებში აღარ ურევია. თავი მოიკლა 1948 წელს" (6,294). რომანში „თამაში ჭვავის ყანაში" დაკონკრეტებულია ჰოლდენ კოლფილდის „ფეთიანი ამბავი", რომელიც შობის დღესასწაულებში ვითარდება. დაზუსტებულია როდის გარდაიცვა-

ლა კოლფილდის ძმა ელი. „1946 წლის 18 ივლის მოკვდა ჩემი ძმა, სისხლის გათეთრებით“ (5,63).

შეიძლება დავასკვნათ, რომ სელინჯერი გულდაგულ იკვლევს პიროვნების ფენომენს, მის ბუნებას, ხასიათს. განსაკუთრებით კი მოზარდების ფსიგოლოგიური პლასტების წარმოჩენას ცდილობს. სელინჯერის მეამბოხე გმირები ცდილობენ ბოლომდე შეინარჩუნონ ბრძოლისუნარიანობა და პროტესტის ფორმა, მაგრამ ზოგჯერ ისტერიულ მდგომარეობაში ჩავარდნილთ ეს არ გამოსდით და ყველაზე უკიდურეს საშუალებას - თვითმკვლელობას მიმართავენ.

სრულფასოვანი საზოგადოებისაკენ ლტოლვა, ეს არის სელინჯერის გმირების უპირველესი მოთხოვნილება. ამავე დროს, სამართლიან გარემოზე და საზოგადოებაზე ოცნებობენ, სადაც სიყალბესა და ფარისევლობას ადგილი არ ექნება. სწორედ ასეთ ჯანსაღ გარემოში სურთ ცხოვრება სელინჯერის გმირებს (და არა მარტო სელინჯერის გმირებს!) და შემდგომ, ბუნებრივია, მათ საზოგადოებიდან გაქცევის სურვილი არ ექნებათ. მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო! სელინჯერის დოინდელ ამერიკაში სხვა ფასეულობა განსაზღვრავდა პიროვნების მომავალს.

ბიბლიოგრაფია

1. ამერიკული ნოველა, ტომიII, შემდგენელი ც. თოფურიძე, თბ., 1968 წელი.
2. ბერიძე მ., ადამიანის ტრაგედია და გარემომცველი სინამდვილე სელინჯერის მოთხრობებში, ჟურნალი „ჭოროხი“, N 2, 1996 წელი.
3. ბოლი ს., სელინჯერი, ისეთი, როგორიც არასოდეს გინახავთ, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, N 18, 2012 წელი.
4. გაბუნია თ., მწერლები მწერლების შესახებ, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, N 25, 2012 წელი.
5. სელინჯერი ჯ დ., თამაში ჭვავის ყანაში, მოთხრობები, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 1963 წელი.
6. სელინჯერი ჯ დ., ჭერი ასწიეთ, დურგლებო, სიმორი - შესავალი, თარგმანი ვ. ჭელიძე, ლ. დუმბაძე, თბ., 2011 წელი.
7. სელინჯერი ჯ დ., ფრენი და ზუი, თარგმანი გ. ჭუმბურიძის, თბ., 2011 წელი.
8. სელინჯერი ჯ დ., ცხრა მოთხრობა, თბ., 2011 წელი.
9. ხვითარია ლ., ჯერომ დევიდ სელინჯერი, გამომცემლობა „განათლება“ 1970 წელი.
10. Alexander Paul, Salinger, A Biography, Los Angeles, Renaissance, 1999.
11. Hamilton Ian, In Search of J. D. Salinger. New York, Random House, 1988.

ალბერტო მორავიას პერსონაჟების მაგიური სივრცე

„შუა საუკუნეების ადამიანს შავი ჭირისა
და კეთრის შიში ჰქონდა,
თანამედროვე საზოგადოებას კი
ბირთვული საშიშროება ემუქრება".
ალბერტო მორავია

ალბერტო მორავია ფსიქოლოგიური მოთხრობებისა და ნოველების უბადლო ოსტატია. მორვიას „ნაცრისფერი რომი" და ფსიქოლოგიური ტექსტები იმდენად ღრმა და მაშტაბურია, რომ განზოგადოებულ სახეს იძენენ. მწერალი საზოგადოებისაგან განდგომილ, შეწუხებულ და გულჩათხრობილ პერსონაჟებს გარემოსთან და საკუთარ თავთან პირისპირ ტოვებს. მათი დამხმარე და მანუგეშებელი არავინაა. ამავე დროს, ისინი ამაყი, მეოცნებე, ოჯახზე მზრუნველი და შინაგანად მებრძოლი „პატარა პერსონაჟები" არიან. მათ სიღატაკე და აუხდენელი ოცნებები აერთიანებთ. ალბერტო მორავიას პერსონაჟების მაგიური სივრცე განზოგადოებული, ტევადი და სიღრმისეულია.

იტალიის ქუჩები და მოედნები ესაა ის ავანსცენა (ცნობიერების ნაკადია), სადაც უწყვეტლივ მიმდინა-

რეობს მოქმედება შავ–თეთრი კადრებივით. თითქოს დროს ეჯიბრებიან მორავიას პერსონაჟები, მაგრამ მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, ისინ ერთ წრეზე ტრიალებენ. მოქმედების რეზულტატი ნულოვანია. მათ დახშულ, ჰერმენტულ გარემოში უწევთ მოქმედება. თავის დაღწევა ამ ავანსცენიდან, მოჯადოებული წრიდან თითქმის შეუძლებელია.

მორავია შეულამაზებლად გვიყვება პატარა ადამიანების ყოველდღიურ ჭირ-ვარამზე. ყველგან ჩანს მწერლის დახვეწილი სტილი, მაღალი პროფესიონალიზმი, მახვილგონიერება. შეიძლება ითქვას, რომ ამოუწურავი და მრავალფეროვანია მორავიას მხატვრული მიგნებანი, აზროვნების სიღრმე, სისადავე, ფსიქოლოგიური სახეები. მორავიასთან ტრივიალური სიუჟეტების მიღმა დიდი ადამიანური ტკივილი ისადგურებს.

ალბერტო მორავიას მოთხრობების კითხვისას უნებლიედ გვახსენდება ო.ჰენრის პერსონაჟები, მათი ერთფეროვანი და ლოკალური გარემო.

ერთი განსხვავებით:

ო.ჰენრისთან თხრობა უფრო დინამიური, სხარტი, ლაკონური და ექსპრესიულია. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, კვანძის შეკვრა და გახსნა წამიერად ხდება. მორავიასთან კი მოვლენები სულ

სხვაგვარად ვითარდება, შავ-თეთრი კადრები თითქოს ერთმანეთს ენაცვლებიან, თხრობა - შენელებული, მხატვრულ ტექსტს დაჰკრავს უჰაერობის, უკმარისობის განცდა. და მერე ხვდები, რომ ეს სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, ზედმეტი მხატვრული ჩარევისა და ნიუანსების გარეშე, შეულამაზებლად. მორავიას პერსონაჟების სულიერი თავგადასავალი გვარწმუნებს, რომ ისინი ტიპიური ნეორეალისტური და ნეორომანტიკული პერსონაჟები არიან, რომლებიც მომრავლებულან რომის ღია ცის ქვეშ.

ალბერტო მორავიას ცხოვრებაში ხშირად იყო სკანდალები, ღია კრიტიკა, შემოქმედებითი სიხარული, ოჯახური იდილიის რღვევა. მიუხედავად ამისა, მისი სამწერლო და მოქალაქეობრივი პოზიცია მუდამ გამოკვეთილი იყო. სძულდა ომი და ფაშიზმი, დიქტატურა, ძალადობა და უმოქმედობა. უყვარდა მოგზაურობა, აქვეყნებდა კორესპონდენციებს, ესეებს, პუბლიცისტურ წერილებს. მოსწონდა ერნესტ ჰემინგუეის წერის სტილი, არა ნაკლებ სკოტ ფიცჯერალდი.

მწერალს გასიგრძეგანებული ჰქონდა ომი, ბირთვული საშიშროება, რომელიც კაცობრიობას დღითი-დღე საფრთხეს უქმნიდა. ომის დამანგრეველი გავლენა ეტყობათ მორავიას პერსონაჟებს. მის რო-

მანებსა და მოთხრობებში უშუალოდ ომის მოვლენებს, ან სულაც ომის შემდგომ პერიოდს ვეცნობით. მორავია, როგორც პაციფისტი მწერალი, წინააღმდეგი იყო ომისა და ძალადობის. თავის ინტერვიუებში მწერალი არაერთგზის აღნიშნავდა: „დღევანდელი ომი სამყაროს ცხოვრების დასასრულია. შუა საუკუნეების ადამიანს შავი ჭირისა და კეთრის შიში ჰქონდა, თანამედროვე საზოგადოებას კი ბირთვული საშიშროება ემუქრება“ (1,15).

1925 წელს, 17 წლის მორავია იწყებს რომანზე „გულგრილნი“ მუშაობას, რომელსაც ასრულებს 1928 წელს. „გულგრილნი“ ალბერტო მორავიას საკულტო რომანი აღმოჩნდება, რომელსაც მოჰყვება მრავალი მცირე თუ დიდი პროზა, რომანი, პიესა თუ კინოსცენარი. დიახ, მორავია უპირველეს ყოვლისა, მწერალი და სცენარისტი გახლდათ. იმხანად ცნობილი კინორეჟისორები მას პატივს მიაგებდნენ.

ალბერტო მორავიას რომანებში, მოთხრობებსა და ნოველებში ძირითადად მოქმედება რომში ხდება, რომის ქუჩებში, დაბებსა და მოედნებზე, სადაც თავს იყრიან მისი პერსონაჟები. მის პერსონაჟებს უმთავრესად „კომუნიკაცია“ აქვთ რომთან. ისინი უსასრულოდ მოგზაურობენ რომის ქუჩებში და ამ მოგზაურობას დასასრული არა აქვს. ამდენად, „რომში მოგ-

ზაურობას“ დიდი ადგილი ეთმობა ალბერტო მორავიას მოთხრობებში. რომის მოედანი, მდინარე ტიბრის სანაპირო, გარიბალდის ხიდი, ვია ჯულიას, ვია სან-ტეოდორის, მონტე მარიოს, ვია ნაციონალეს, ვია სოლარიოს, ვია პოს, ვია ვენეტოს ქუჩები, სანპაულოს ტაძარი, კაფეები, ღია ბარები, რისერჯიმენტოსა და ფლამინოს მოედნები, ციხეები და ა.შ. აი, ეს არის ის გარემო, სადაც ვითარდება მორავიას პერსონაჟების მდორე და ერთფეროვანი უსიხარულო დღეები.

პროფესიით ისინი მედუქნე, გამყიდველი, წვრილი ვაჭარი, მძღოლი, ზეინკალი, დურგალი, ხარაზი, დუბლიორი, მიმტანი, სარეკლამო სააგენტოს თანამშრომელი, მტვირთავი, მექანიკოსი, მსახიობობაზე მეოცნებე, სულაც უმუშევარი, ქუჩის მაწანწალა, ყალთაბანდი, ციხეში მოხვედრილი პატარა ადამიანები არიან. ასეთია ალბერტო მორავიას პერსონაჟთა „პროფესიული ბიოგრაფია“. ისინი გააფთრებით იბრძვიან გადარჩენისათვის, არსებობისა და ოჯახური კეთილდღეობისათვის. არსად არ ჩანს დიდი და საპასუხისმგებლო იდეებისათვის ბრძოლა. სოციალური პრობლემებით შეწუხებულ ადამიანებს არც კი სჯერათ მომავლის, ხვალინდელი დღის. მათ საზრუნავი და ოცნება ლუკმაპურისათვის ბრძოლა, უსას-

თუმლობასა და უმუშევრობასთან შეჭიდებაა. ამის იქით მათ ცხოვრებაში სხვა პერსპექტივა არ ჩანს. მათ უნუგეშო მდგომარეობას ისიც ამძაფრებს, რომ ისინი ომის შემდგომ გარემოში ტრიალებენ.

დიახ, მორავიას პერსონაჟები რომში ტრიალებენ. ამის იქით მათი გეოგრაფიული არეალი არ ვრცელდემა. მწერალიც გულღიად გვიმხელს: „მართალი ხართ, ჩემი რომანების მოქმედება რომს არ სცილდება. გეოგრაფიული მაშტაბები, როგორც ხედავთ, ძალიან შეზღუდულია. მე შემეძლო დამეწერა ისეთი რომანები, როგორსაც წერს გრემ გრინი, მაგრამ სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაზე რომანის წერა?!. მათ ცხოვრებას ძალიან ღრმად უნდა იცნობდე, მე კი ამის პრეტენზია არა მაქვს“ (1,15).

ალბერტო მორავიას ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ელზა მორანტეს. ეს ქალი მწერლის თანამეცხედრე გახლდათ, მაგრამ ის სულაც არ ყოფილა ალბერტო მორავიას მუზა ან შთაგონების წყარო. ის თავის სფეროში „დიდი ელზა მორანტე“ იყო. ფარული შუღლი ხშირად გაიელვებდა მეუღლეებს შორის. ამის მიზეზი იყო ის, რომ ელზა არა ერთი საბავშვო მოთხრობისა და რომანის ავტორი გახლდათ და მწერლის მსგავსად მიღებული ჰქონდა ვიარეჯოსა და სტრეგას ლიტერატურული პრემიები.

ხშირად ოჯახური იდილიაც დარღვეულა, რომელიც მდუმარე მღელვარებით დაფარულა, ან სულაც კონფიდენციალური გამხდარა. ელზა მორანტეს შემდეგ იყო სკანდალური ქორწინება და...გაუთავებელი ქირქილი.

კრიტიკა ნამდვილად სწყალობდა ალბერტო მორავიას!

მისი მინიმალისტური სტილი მკაცრი კრიტიკის საგანი არასოდეს გამხდარა. თუმცა მორავიას მხატვრული სტილი და ზედმეტად თვალშისაცემი წერის სისადავე იქნებ კრიტიკასაც იმსახურებდნენ, მაგრამ მკითხველმა სწორედ ამ სადა სტილის გამო შეიყვარა და პატივს მიაგებდა იტალიური პროზის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს.

მორავიასთან იუმორი და გროტესკი ხშირად გადაკვეთავენ ერთმანეთს. მწერლის პერსონაჟები გადარჩენისათვის ხშირად იოლ გზასაც ირჩევენ, მაგრამ მათ ცხოვრებას როდესაც თვალ-ყურს მივადევნებთ, ვრწმუნდებით, რომ ეს მათი სურვილი არ ყოფილა. საზოგადოებამ, გარემოებამ აიძულა ცუდი საქციელი ჩაედინათ, და ამით ცდილობ ოდნავ გაამართლო კიდეც მათი საქციელი. მკითხველი გრძნობს, რომ დანაშაულის შემდეგ მათ უჩნდებათ ძლიერი სინანული, სულიერი შფოთვა და გვემა.

მივაყურადოთ მორავიას პერსონაჟების გაუსაძლის და ერთფეროვან ცხოვრებას, რომელიც რომის იქით არ ვითარდება.

„ამ ზამთარს მგელი მე ვიყავი და მგლურადაც ვცხოვრობდი გამოქვაბულში“, გვიყვება წვრილ ცოლ-შვილის პატრონი ღატაკი დომინიკო. მას შიმშილმა და უმუშევრობამ ცუდი საქციელისაკენ უბიძგა, ცოლიც აიყოლია და საყდრის გასაქურდად გაეშურებიან. მაგრამ დომინიკო და მისი ცოლი ქურდად არ ყოფილან დაბადებული. საყდარში მოხვედრილი დომინიკოს ღვთისმოსავი ცოლი აცნობიერებს დანაშაულის სიმძიმეს და ღვთისმშობლის ხატის წინაშე გულმხურვალე ლოცვას იწყებს და...ორივე ცოლქმარი პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდებიან, რადგან მოპარული ლალი მათ ხელში აღმოჩნდება. დომინიკოს ცოლი კი განყოფილებიდან ლაზარეთში, რადგან სულისშემძვრელად გაიძახოდა: „მადონა საკურთხევლიდან ჩამოვიდა, თავისი ხელით გააღო ვიტრინა, აიღო გულქანდა და მომცაო“.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო! („ქურდები საყდარში“).

რომის მკვიდრთა ცხოვრებას მწერალი განზოგადოებულ ფერებში გვიხატავს. უმუშევრობა, სიღატაკე, სოციალური სიდუხჭირე, ბინის ქირის გადაუხდელობა, არა მარტო რომის მოქალაქეთა გასაჭირია.

უმუშევარი კაცის ისტორიას გვიყვება მწერალი მოთხრობაში „რეკომენდაცია“. ალფრედო ჩეზარანო არაფრით განსხვავდება რომში უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისაგან. მისი ე.წ. რეკომენდაცია ხელიდან ხელში გადადის, მაგრამ ამაოდ, ალფრედო ისევ უმუშევარი რჩება, მაგრამ ბოლოს კომიკური და უხერხული გარემოებათა გამო, სინდისით შეწუხებულ ვექილ მოლიესთან მძღოლად მოეწყობა.

მეუღლეებს შორის უთანხმოება, ოჯახური კონფლიქტი, გულცივობა, გაუცხოება, ღალატი, ხშირად მეორდება მორავიას მოთხრობებში. პატარა ადამიანების ცხოვრება თავიდანვე, ქორწინების პირველი დღიდანვე განწირული ან უიღბლოდ წარიმართება. ახალდაქორწინებულებს სულ უმნიშვნელო რამეზე მოსდით უთანხმოება. ამავე დროს ისინი გააფთრებით იბრძვიან საკუთარი ბედნიერებისათვის, ცდილობენ მოიწუონ მყუდრო და თბილი ბუდე, შექმნან ოჯახური იდილია, მოიპოვონ სიყვარილი. მაგრამ ქორწინების პირველ დღეებს, სამწუხაროდ, არ ემსგავსება მომდევნო დღეები. ყოველდღიური ცხოვება სულ სხვას ითხოვს, სიყვარული კი მუდამ მზრუნველობას, სითბოს და ალერსს. მოთხრობაში „ჭეშმარიტი სიყვარეული“ ახალგაზრდა მეუღლეები გრძნობენ, რომ მათში დასრულდა ლამაზი და სიყვა-

რულით სავსე დღეები და სასტიკი რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან. განსაკუთრებით ქალი გრძნობს სიყვარულის უკმარისობას. ჰგონია, მეუღლემ ზურგი შეაქცია, რადგან ის მხოლოდ გატაცებულია თავისი სამუშაოთი და არა სიყვარულით, ამიტომაც ქალი სილვიოსას ხშირად საყვედურობს: „რაც შენ სამუშაოს ეხება, მარტო იმაში იჩენ ჭკუას. სიყვარულის საკითხში წმინდაწყლის კრეტინი ხარ“. გამოდის, რომ სილვიოსა პრაგმატიკოსია, რეალობას მორგებული და არა ემოციებს აყოლილი მამაკაცი. მეუღლეებს სხვა არაფერი დარჩენიათ მოინახულონ ის ძველი ბინა, სადაც ორი წლის მანძილზე ქირით ცხოვრობდნენ და სადაც თავს გაცილებით ბედნიერად გრძნობდნენ, ვიდრე ახლა, ახალ ბინაში.

სულ სხვა პრობლემის წინაშე დგანან ჯიროლამო და ანა („წიგნიერება“). საკმაოდ განათლებულ მამაკაცს უჭირს უწიგნურ და ანჩხლ ცოლთან ცხოვრება და ხშირად განქორწინებაზე ფიქრობს, რადგან ცოლს მუდამ „უაზრო და უმიზეზოდ რისხვით ანთებული მზერა“ ჰქონდა. ჯიროლამო გადაწყვეტს წერილობით ამცნობოს მეუღლეს თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ აქ ის მეტად კომიკური და რთული დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდება. ირკვევა, რომ ანა წერა-კითხვის უცოდინარია.

ღატაკი და მრავალშვილიანი ოჯახის ისტორიას ხშირიად ვეცნობით მორავიასთან. ღარიბი ცოლ-ქმარი მეშვიდე შვილის მომლოდინე, ფიქრობენ შესაფერის საყდარში დატოვონ ახალშობილი და ამით ააცილონ გასაჭირი. ღარიბთა დამხმარე სოციალურმა მუშაკმა, კეთილმა ბატონმა შესჩივლა კიდეც: „ამდენ ბავშვს რატომ აჩენთო“. მართლაცდა, „კეთილი ბატონი!“ უფალმა ოჯახს მეშვიდე ანგელოზი, ისიც ვაჟი უწყალობა. ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს ოჯახისათვის? მაგრამ ღარიბებისათვის ეს ნამდვილი სასჯელია. სურთ საყდარში იმ იმედით დატოვონ ბავშვი, რომ ვინმე მდიდარი მებატონე იშვილებს, გზას გაუკვალავს და მათსავით სოროში არ მოუხდება ცხოვრება. მაგრამ დედის გულმა ახალშობილი ბოლომდე ვერ გაიმეტა „მდიდრული ცხოვრებისათვის“ და აფორიაქებული მშობლები უკან გარბიან, რათა დაიბრუნონ შვილი: „დავბრუნდეთ, წამოვიყვანოთ ჩვენი შვილი, გესმის?.. ერთით მეტი იქნება, თუ ნაკლები, სულ ერთი არაა.?“ ასეთია ღატაკთა ოჯახში დაბადებული ბავშვის ისტორია მოთხრობაში „ბავშვი“.

იდუმალი მკვლელობებიც გაიელვებს მორავიასთან. მოთხრობაში „ამ სახლში მოკლეს ადამიანი“ მწერალს გადავყავართ ედგარ პოს მსგავს „აშერთა სახლში“. სახლის ამჟამინდელი მეპატრონე ცდი-

ლობს თავიდან მოიშოროს დაწყევლილი ვილა, სადა ოცდაათი წლის წინ მშობლებთან ერთად ცხოვრობდა და სადაც შემზარავი, იდუმალი და ბურუსით მოსილი მკვლელობა დატრიალდება.

ანგარება და მოგებაზე გათვლილ მეგობრობის ისტორიას ვეცნობით მოთხრობაში „საქორწინო საჩუქარი". სერაფინოსა და პლაჩიდოს მსგავსი მეგობრობა ხშირია ჩვენს კომერციულ და საქმიან დროში. სერაფინო, ეს კეთილი ადამიანი გაებმება „პარტნიორი მეგობრის" პლაჩიდოს მახეში. პლაჩიდო მომგებიან და კომერციაზე დაფუძნებული მეგობრობის ჭეშმარიტი მომხრეა, ამის იქით მას ვერ წარმოედგინა მეგობრობა. მისთვის „ძვირფასი მარტო ის იყო, რაც შემოსავალს აძლევდა" და მეგობარ სერაფინოს არაწამოწყებულ, ქაღალდზე დაფუძნებული კომერციული ხელშეკრულების დარღვევის გამო სჯის და კომპენსაციისათვის ითხოვს კოლოსალურ თანხას დაკარგული მოგების ასანაზღაურებლად. ასეთია ყოფითი რეალობა მორავიასთან.

„ცხოვრება ცეკვაა" ასე ესმის ცხოვრების მთელი ფილოსოფია ახალგაზრდა ალფრედოს. მისგან განსხვავებით ჯაკომინა სულ სხვაგვარად ფიქრობს, ცეკვა სიყვარულის გარეშე არ არსებობს და სწორედ აქ ჩნდება ყრუ კედელი ახალგაზრდებს შორის. ცეკვის მანიით შეპყრობილი ვაჟი ვერ ამჩნევს, ან არ

სურს დაინახოს ახალგაზრდა ქალის მოზღვავებული ვნებები, რადგან მხოლოდ ცეკვის მანიითაა შეპყრობილი.

ახალდაქორწინებულთა განცდებს მწერალი საოცარი ფსიქოლოგიური ოსტატობით გვიყვება მოთხრობაში „საქორწინო მოგზაურობა“. ახალშეუღლებულები მატარებლის კუპეში გვერდი-გვერდ მსხდომნი გრძნობენ სიშორეს, გულგრილობას და სიყვარულისა და ემოციების ნაკლებობას. მხოლოდ გაცვეთილი ფრაზებითა და უმნიშვნელო თემებზე საუბრით შემოიფარგლებიან. ქმარი ცოლს სთავაზობს გაზეთი წაიკითხოს, თვითონ კი სურს კროსვორდის ამოხსნით შეიქციოს თავი. ქალს, თავის მხრივ კაცსაც ეჩვენება, რომ ერთმანეთისაგან გაქცევა სურთ. ამ ფიქრებით შეწუხებული ქალი ვაგონიდან გარბის, რადგან ჰგონია ქმარმა მიატოვა. ანალოგიური ფიქრები აწუხებს ქმარსაც, რომელიც აფორიაქებული გარბის ვაგონიდან და ცოლს გაეკიდება. ასე კომიკური, სევდანარევი იუმორით გვიყვება მწერალი ახალდაქორწინებულთა განცდებს. მკითხველი გრძნობს, რომ მეუღლეებს ერთმანეთის დაკარგვაზე უფრო მარტო დარჩენის ეშინიათ და მერე... ერთმანეთს გადაებმის უსიყვარულო და მოჩვენებითი ცოლ-ქმრული თანაცხოვრების დღეები. ასეთია შეულამაზებლად ყოფითი რეალობა ალბერტო

მორავიასთან. აქვე უნებლიეთ გვახსენდება მორავიას თანამოძმე იტალიელი მწერლის ლუიჯი პირანდელოს მოთხრობა „ქორწინების ღამე“, სადაც თითქმის ანალოგიურ განწყობას ვეცნობით.

„იცით, რა დღეში არიან ქოხში შებუდებული ადამიანები?“ კითხვას სვამს მწერალი და გვიყვება სამი ქუჩის მაწანწალა მუსიკოსის სევდიან ისტორიას მოთხრობაში „კლემენტინა“. მოთხრობაში ომის შემდგომი წლების სიდუხჭირე გაიელვებს. ახალგაზრდა ქუჩის მომღერალი მამაკაცი აკორდეონის დაკვრით ორ მაწანწალა გოგოსთა ჯოვანა და კლემენტინასთან ერთად შოულობდა ლუკმა პურს რომის ქუჩებში. მდიდართა კაპრიზებს რა გამოლევსო, ნათქვამია და ერთ დღესაც მდიდარი ბატონი მოისურვებს „ბულბულის ხმების“ მოსმენას თავის ვილაში. „თქვენი სიმღერა ჩემს ვილაში უნდა მოვისმინოო“. სხვა რა გზა იყო! „კონცერტის“ დასრულების შემდეგ მდიდარი ბატონი კლემენტინას საკმაოდ სოლიდურ ქაღალდის ლირას გადასცემს, რომელიც სამივეს თანაბრად უნდა გაენაწილებინათ, მაგრამ კლემენტინა სულით ღარიბი და ფულზე დახარბებული უმადური „კონკია“ აღმოჩნდება. ის ქურდივით გაიძურწება და დუხჭირი ცხოვრების თანამოზიარე მეგობრებს მშრალზე ტოვებს. აქ მწერალი პატარა ადამიანების კეთილ ბუნებასთან ერთად მათ უარყოფით მხარეებ-

ზე მიგვანიშნებს. თუ როგორ არიან ისინი დახარბებული ფულზე, სიმდიდრეზე, და ამ გზაზე თუ კი წინააღმდეგობა შეხვდათ, ერთმანეთს მაშინათვე ზურგს შეაქცევენ.

მორავიას პერსონაჟები ყოველდღიურად ებრძვიან სილატაკეს, შიმშილსა და უმუშევრობას. რემი, შიმშილისაგან ღონემიხდილი პერსონაჟი ფიქრობს პოლიციელს შეურაცყოფა მიაყენოს, რათა ამ გზით ციხეში აღმოჩნდეს და ერთი ჯამი კერძი სამოწყალოდ მიიღოს. ასეთ ფიქრებში მყოფს გაახსენდება სამხედრო სამსახურში შეძენილი ძველი მეგობარი რომული. გადაწყვეტს მეგობარი მოინახულოს და მის ხარჯზე დანაყრდეს. მაგრამ მეგობრის დუქანში მოხვედრილი მიხვდება, რომ მეგობარი მაზე უფრო უარეს დღეშია. „ბავშვებს შევხედე: გაფითრებულები, მიკნავებულები იყვნენ, სიგამხდრისაგან თვალები გაფართოებოდათ. უცებ ისე შემეცოდა ეს დამშეული ბავშვები, რომ სინდისმა ქენჯნა დამიწყო“. ღატაკი ოჯახის ხარჯზე დანაყრებული სინდისისაგან შეწუხებული რემი (ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟივით) უკანმოუხედავად გარბის მეგობრის დუქნიდან („რომული და რემი“).

მორავიას პატარა ადამიანებისათვის სიყვარული და მით უფრო, ოჯახური იდილია, განუხორციელე-

ბელი სურვილია. ღალატსა და მოტყუობას ისინი ძალზე მტკივნეულად განიცდიან. უნდა ითქვას, რომ მორავიასთან ქალ პერსონაჟებს მამაკაცებისათვის ყოველთვის ტკივილი მოაქვთ. ამის ნათელი მაგალითია სატვირთო მანქანის მძღოლისა და გონჯი ქალი იტალიას ხანმოკლე რომანი. („სატვირთო მანქანის შოფერი"). ახალგაზრდა მძღოლი თავის მეწყვილესთან სატვირთო მანქანას დაატარებდა. ერთ დღეს მათ იტალია დაემგზავრებათ. ასე გრძელდებოდა დღეები. ვაჟი უსაზღვროდ ბედნიერი იყო თავისი გულის რჩეულით. მართალია, იტალიას ლამაზი არ ეთქმოდა, უფრო გონჯი იყო, მაგრამ ახალგაზრდა მძღოლი ამითაც კმაყოფილი იყო. მის ერთფეროვან ცხოვრებაში ქალი და სიყავრული შემოიჭრა და მეტი რაღა უნდოდა! მაგრამ იტალია მატყუარა, უფრო მეტიც, არშიყი „მტლაში-მტლუშის" მოყვარული ცბიერი ქალი აღმოჩნდება.

დიახ, ქალი პერსონაჟი მორავიასთან სასტიკი, შურისმაძიებელი და ორპირია. „ის ქალი, რომელსაც ორი სახელი ერქვა -„მარია-როზა", ხასიათითაც ორპირი იყო", - გვიყვება მწერალი ქალზე, რომელსაც ერნესტოსა და ატილოს მეგობრობა შეეწირება. ერნესტო უნებლიედ გაებმება ასპიტი მარია-როზას მა-

ხეში და კარგავს თავის საუკეთესო მეგობარს („მეგობრობა“).

ჯინოსა და ადელეს ცოლ-ქმრული თანაცხოვრებაც დასაწყისშივე განწირული აღმოჩნდება („უარს არ გეუბნები, მაგრამ...“). მათი ქორწინების პირველი ღამე ვერ შედგება, მომდევნო დღეებიც შავ-თეთრი კადრებივით გაილევა და გაიცრიცება. გაუთავებელ კინკლაობას და გულგრილობას მოსდევს ბუდის მოშლა და ტრაგედია.

ბუდის მოშლა, ოჯახის ნგრევის სიმწარე, უშვილობა, ყველაზე დიდ ტკივილს აყენებს მორავიას პატარა პერსონაჟებს. კატერინა, ახალგაზრდა ქალი, თავისი მოკრძალებული ხასიათითა და სანდომიანი შესახედაობით ახალგაზრდა მამაკაცის სიყვარულის ობიექტი ხდება, მაგრამ მალე ირკვევა, რომ კატერინა უშვილოა და მეუღლეებს შვილი ვერასოდეს გაუჩნდებათ. მეუღლეებს შორის ბზარი დღითი-დღე ჩნდება, უკვე ერთად თანაცხოვრებაც შეუძლებელი აღმოჩნდება, მაგრამ ომმა, 1943 წლის ავბედითმა მოვლენებმა კატერინას ტანჯვას ბოლო მოუღო („კატერინა“).

ანალოგიური შინაარსისაა „დუბლიორი“, რომლის მთავარი გმირი ახალგაზრდა ვაჟი ჯინო თავის გულის რჩეულ აღათას ამაოდ დასდევს, სიყვარულსა და ოჯახურ ბედნიერებას ჰპირდება, მაგრამ ქალს ან

არ სურს გაუგოს ვაჟს, ან სულაც არ მიუწევს გული ოჯახური ბედნიერებისაკენ, მას სულ სხვა ე.წ. სამსახიობო კარიერა იზიდავს.

ამანათების განყოფილებაში მომუშავე რენატო პარიჯინოს ახალგაზრდა ვალენტინას ფარული სიყვარული მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ ქალი გაურბის, ახლოსაც არ იკარებს. ვალენტინა, მორავიას პერსონაჟი ქალის აღათას მსგავსად, მსახიობობაზე ოცნებობს („დუბლიორი“) და რენატოს გრძნობებს არაფრად აგდებს. ვალენტინა ბუნებით ამაყი გახლდათ, რომელსაც თვალები მოციმციმე ვარსკვლავს მიუგავდა და ფოსტის თანამშრომელთან, მით უფრო, რენატოსთან საზოგადოებაში გამოჩენა ესირცხვილებოდა. უფრო მეტიც, ერთხელ რენატოს ისიც ჰკადრა, რომ არამზადას სახე გაქვსო. გაწბილებულ რენატოს რა უნდა ექნა! მოვლენები სწორედ რენატოს სასარგებლოდ განვითარდება. თავისი გარეგნობის წყალობით მსახიობი გახდება. „საცდელი გადაღებების შემდეგ სახასიათო როლებში ამიყვანეს. ასე დავიწყე კინოში მუშაობა და აქამდე ვაგრძელებ ამ საქმეს“, - გვიყვება მოთხრობის დასასრულს რენატო. ვალენტინა კი თავის აუხდენელ ოცნებასთან პირისპირ მარტო რჩება. მწერალი რენატოზე საუბარს ასე ასრულებს: „უსიტყვო როლების, ავაზაკის,

გარყვნილის, არამზადის, შულერის და ქურდბაცაცის როლების მიუხედავად თავს ბედნიერად გრძნობდა და ის რასაც ახლა აკეთებდა, ამანათების გაცემას მართლაც სჯობდა („არამზადის სახე“).

მენაგვე ლუიჯის ისტორია უთუოდ ააღელვებს მკითხველს. ახალგაზრდა მამაკაცი, როგორც კი გაანდობს ქალიშვილებს თავის პროფესიას, გოგონები გველნაკბენივით უმალ მისგან გარბიან. არადა ლუიჯს უკვე დიდი ხანია ენატრება ოჯახური სივრცე, მოსიყვარულე და ერთგული ქალი, რომელიც გაალამაზებდა მის ერთფეროვან ცხოვრებას. იქნებ ლუიჯისათვის აჯობებდა პროფესია გამოეცვალა! მაგრამ რომში, უკიდეგანო ქალაქში, ადვილი როდია ახალი სამუშაოს მოძებნა! ლუიჯის ცხოვრებაში მალე გამოჩნდება მშვენიერი მომვლელი გოგონა ჯაჩინიტა, ბედი გამოეცხადება, მაგრამ აქ ლუიჯი უნებლიედ, კარზე მომდგარ ბედნიერებას ხელს კრავს და ამით ლუიჯის ტრაგი-კომიკურ თავგადასავალს ბოლო არ უჩანს („ბედი შენც გაგიღიმებს“).

ხშირად მოიძებნებიან მორავიასთან ბედუკუღმართი, უფალზე გამწყრალი, არამზადა, ყალთაბანდი, თაღლითი, ავაზაკი, მატყუარა, ზნეობაზე ხელაღებული, მძარცველი, უპრინციპო ადამიანები, რომლებიც რომის ღია ცის ქვეშ უხვად დაძრწიან და მომრავლებულან. ისინი შესაფერის „შავ სამუშაოს“ სიმ-

წრით დაეძებენ. მათ მუდამ პირზე აკერიათ შიმშილი, უმუშევრობა, ავადმყოფობა და ა.შ. რათა ამ გზით შეძლებულ ხალხს ფული დასტყუონ („სიტყვა „დედა“).

მკერავი ქალი სახელად ნესპოლა, რომელიც „ჩვრებისაგან შეკერილ დედოფალს ჰგავდა“ ჰყავდა ერთი უმაქნისი, ყბედი და ქურდი შვილი. ნესპოლას ვაჟს ერთი ბრძნული ფილოსოფია აეკვიატებინა: „ღარიბი კაცი პატიოსანი შრომით ცხოვრებაში გზას ვერ გაიკვლევს, მხოლოდ ბედი თუ იხსნის სიღატაკისაგანო“. და ისიც არაერთ გზის გაეთამაშება თავის ბედს. ბანქოს თამაშის მანიით შეპყრობილი დედას და ახლობლებს გულს სტკენს და ბოლოს მკვლელობასაც ჩაიდენს. მაგრამ მისი მრგვალი სახე და სათვალე აღმოჩნდება მისი მახე და საკადრისიც მიეზღვევა („სათვალე“).

უმადური და გაუმაძღარი უხვად მოიძებნება მორავიას პერსონაჟთა შორის. ამის მაგალითია გამდიდრებული ატილო, რომელმაც ალალ ბედზე ყალბი ბრილიანტები გაასაღა, მოგებული თანხის გაყოფა კი არ სურდა მეგობართან, რომელმაც „საქონელი“ მისცა. მაგრამ მალე ქარის მოტანილ ორმოცდაათ ათას ლირას უნებლიედ ყალბ რომაულ მონეტაში გადაცვლის და უმადური ატილო ისევ ჯიბეგაფხეკილი დარჩება. („რომაული მონეტა“).

უმადური და გაუმაძღარი კაცის ისტორიას ვეცნობით მოთხრობაში „ბედი არ მწყალობს“. რომლის გმირს უმსგავსო საქციელმა მხოლოდ შერცხვენა, სიღატაკე და მარცხი მოუტანა პირად ცხოვრებაში. თუმცა ბედმა არა ერთხელ გაუღიმა, მაგრამ ვერ დააფასა ღვთის წყალობა და ბედს დღენიადაგ უჩიოდა და საყვედურობდა: უთუოდ ვიღაცამ გამთვალაო. მეუღლემ საფულეში ღვთისმშობლის სურათი ჩაუკერა, ვერც ავგაროზმა და თილისმამ უშველა, რადგან ბუნებით გაუმაძღარი იყო და სხვის უბედურებაზე ცდილობდა აეწყო საკუთარი კეთილდღეობა, მაგრამ ასე როდი ხდება რომის ღია ცის ქვეშ. ბოროტს ყოველთვის საკადრისი მიეზღვევა, კეთილს კი უფალი ათამაგად აჯილდოვებს.

მორავიას პატარა პერსონაჟებს პატიება და შენდობა უჭირთ. სამაგიეროს გადახდა მათვის არის ერთგვარი შვება და ნუგეში, მაგრამ შურისგება მეტწილად ისევ ტკივილითა და ათმაგი უბედურებით სრულდება(„ნახვამდის“).

ატილიო პომპეის „პატარა კაცუნას“ ბედი გაუღიმებს, ცხოვრებაში საქმე ისე კარგად წაუვიდა, რომ ორი პიჯაკი შეუკვეთა, ორი წყვილი ფეხსაცმელი, თორმეტი ცალი აბრეშუმის პერანგი და ნაირ-ნაირი წინდები. მალე ნანატრი წითელი ფერის სპორტული მანქანაც შეიძინა. ერთი სიტყვით, არაფერი

აკლდა, მიუხედავად მატერიალური კეთილდღეობისა, ატილიო მალე სულიერ სიცარიელეს შეიგრძნობს, მიხვდება რაღაც აკლდა და ეს სიყვარული და მეგობარი გოგონა იყო. რომის ქუჩებში იწყებს ქალიშვილების თვალთვალს, ყველას თავის მანქანაში ეპატიჟებოდა, და აი, მალე გამოჩნდება მის ცხოვრებაში ქალი - ჯინა. „ეშმაკური სახით“, რომელმაც ატილიო დღისით-მზისით გააპამპულა, გაქურდა და თვალს მიეფარება. ასე ტკივილი მოაქვს ქალს მორავიას მამაკაცი პერსონაჟებისათვის („მეძეხვე“).

ჩოჩარელი გოგონას და პროფესორის კომიკური და გულუპყვილო ისტორია უთუოდ მიიპყრობს მკითხველთა ყურადღებას. მოხუც პროფესორთან საგანგებოდ, დამხმარედ ჩამოჰყავთ წერა-კითხვის უცოდინარი უბირი ჩოჩარელი გოგონა. ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ გოგონა კარგავს იმ უბრალოებასა და უშუალობას, რაც მანამდე გააჩნდა. უფრო მეტიც, ქცევისა და ჩაცმის მანერებს შეიცვლის, ქალაქელ ბიჭს აეტორღიალება და მოხუც პროფესორს მოჰპარავს ძვირფას ფოლიანტებს. ასეთია დიდ ქალაქში ათქვეფილი და რადიკალურად შეცვლილი ჩოჩარელი გოგონას თავგადასავალი („ჩოჩარელი გოგონა“).

კომიკური და სევდის მომგვრელია მაიმახის თავგადასავალი („მაიმახი“). ჭურჭლის მრეცხავი ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრებისაგან დაბეჩავებული და

რწმენა შერყეული, სასტუმროს ერთ პატარა კუთხეში „ცხოვრობდა“ და დახვავებული თეფშების გროვაში ვითარდებოდა მთელი მისი დუხჭირი ცხოვრება. სიყვარული? ეს უკვე მისი ფიზიკური მონაცემების გამო განუხორციელებელი სურვილი იყო. მაგრამ მაიმახის ცხოვრებაში გამოჩნდება „ბალახში ნაპოვნი ყვავილივით“ მრეცხავი ქალი იდა. „იდა ქალებში იგივეა, რაც მე კაცებში. ისიც ჩემსავით მაიმახი, ჩია, კნაჭა, გვერდმოქცეული, მაგრამ ხასიათით სულ არ მგავს...“ სწორედ ამ განსხვავებულმა ხასიათმა განაპირობა მათი უსიყვარულობა და მარცხი, რომელიც დასაწყისშივე კომიკურად და ტრაგიკულად ვითარდება.

მორავიას მოთხრობებში ტრივიალური სიუჟეტების მიღმა დიდი ადამიანური ტკივილი თავსდება. ამის დასტურია ბეჩავი, რომელიც ჯერ ომმა, ხოლო შემდეგ საზოგადოების ხელშეწყობით ნამდვილ ბეჩავად იქცევა („ბეჩავი“).

არშიყი და ქალების მოტრფიალე მრავლად მოიძებნება მორავიას პერსონაჟებს შორის. სალონში მომუშავე ბებერ ლუიჯის ჰგონია ქალები უწინდებურად მასზე ჭკუას კარგავენ. მაგრამ ცხოვრება ხომ სიურპრიზებს გვთავაზობს და ლუიჯი, ეს ბებერი არშიყი, ახალგაზრდა ქალთან ზღვაზე ყოფნისას გააცნობიერებს, რომ ყავლი გაუვიდა და მისმა მატა-

რებელმა უკვე დიდი ხანია ჩაიქროლა („სულელი ბებერი“).

განძის მოყვარულებსაც იპოვით მორავიას პერსონაჟებს შორის, ისეთებს, რომლებსაც გადაუწყვეტიათ იოლი გზით მოიპოვონ ლაღი და უზრუნველი ცხოვრება. მარინეზეს, ოთხმოცი წლის ყბედი ბერიკაცის ნაამბობს განძის თაობაზე დაიჯერებს გაუმაძღარი და მსუნაგი მიმტანი ალესანდრო და განძის აღმოჩენის წადილით შეპყრობილი მოსვენებას დაკარგავს, მაგრამ მიწაში ჩაფლული განძის პოვნა ასე ადვილი არ აღმოჩნდება. გაწბილებულ ალესანდროს მხოლოდ მოხუცი მებაღის ბოსტანის დამუსავება შერჩება („განძი“).

მწერალი ხშირად გამოკვეთს პატარა ადამიანების პოზიციას, მათ ხასიათს, ფსიქოლოგიურ დეტალებს, ისინი ზოგჯერ ხელს კრავენ კარზე მომდგარ ბედნიერებას და სიმდოდრეზე დახარბებულნი ისეთ გადაწყვეტილებას ღებულობენ, რომ სახტად რჩება მკითხველი. ამის ნათელი მაგალითია მომვლელი ქალი ნელა, რომლის სიყვარულითაა შეპყრობილი ახალგაზრდა მამაკაცი, მაგრამ ნელა ვერ ელევა თავის ავადმყოფ მდიდარ ბატონს და მათი სიყვარული განწირული აღმოჩნდება. უფრო მეტიც, ნელა ის ქალი აღმოჩნდება, „ვისთვისაც ცხოვრებაში ფულია

მთავარი", და ავადმყოფი და ხნიერი ბატონის ცოლობა გადაუწყვეტია („მომვლელი ქალი").

ცხოვრებით ტკბობა, ბედნიერება, ამაო ცხოვრებისაგან თავის დაღწევა, მხოლოდ შორეული ილუზია, განუხორციელებელი ოცნებაა ღარიბი და უპოვარი ადამიანებისათვის. ყოველდღიური რუტინა ცხოვრებით დაღლილთ არც კი უწყით რეალურ ცხოვრებაში ადამიანებს ბედნიერებისა და ტკბობისთვის დრო თუ რჩებათ. მათთვის ბედნიერება ზღაპრული იშვიათობაა და მხოლოდ ოცნების სფეროშია დასაშვები („ვიტრინაში გადმოდგმული ბედნიერება") (4).

ზიზღი დაუძლეველი აღმოჩნდება მორავიას პერსონაჟებისათვის („ზიზღი"). მეუღლეები დღითიდღე გრძნობენ თუ როგორ უახლოვდება მათ ოჯახურ იდილიას ზიზღი და უნდობლობა, რაც მათი ოჯახის გარდაუვალი ნგრევის მიზეზი აღმოჩნდება. ოჯახის გადასარჩენად ქალი და კაცი თითქოს ზრუნავენ, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდება. ზიზღმა მოიცვა მეუღლეების შინაგანი სამყარო.

„დღეს უკვე შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ქორწინების პირველი ორი წელიწადი მე და ჩემმა ცოლმა სიამტკბილებაში გავატარეთ",– ასე იწყებს თავის მონოლოგს 27 წლის რიკარდო მოლტენი. თუმცა სინიორ რიკარდომ ბევრი ვერაფერი გააკეთა

ოჯახის შენარჩუნებისათვის. ბოლომდე ვერ იბრძოლა სასურველი ქალისთვის, იმიტომ რომ თავისი სურვილებითა და ფსიქოლოგიით ერთობ გაუბედავი, ფრთხილი, რწმენა დაკარგული „პატარა კაცი" ეთქმოდა. სად დაუშვა შეცდომა რიკარდომ? რიკარდო ზედმეტად იდეალისტი იყო, ემილია – პრაგმატულად მოაზროვნე. მათ ხასიათში თავიდანვე იყო შეუთავსებლობა. ეს მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაცხადდება!

ნეაპოლის ყურეში, კუნძულ კაპრაზე გამგზავრებამ მეუღლეების ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი და ტრაგიკული გახადა. ემილიას არანაირი პატივისცემა შერჩა ქმრის მიმართ, არანაირ შეზღუდულობას გრძნობდა საზოგადოების თვალში. ერთადერთი ადამიანი იყო რეინგოლდი, რომელიც რიკარდოს აძლევდა ფრთხილ მინიშნებებს, შენიშვნებს, მაგრამ რიკარდოს არ სურს რეალობას თვალი გაუსწოროს, ის ბოლომდე ზმანებების ტყვეობაში აღმოჩნდება.

მთელი რომანის მანძილზე რიკარდოს მოქმედება აშინებს. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, კაპრაზე, ვილაში, ფაქტიურად ემილია გამოიჭირა ბატისტასთან ღალატში, მაგრამ თითქოს არაფერი, საღამოს მათთან ერთად ტრაპეზზე ჯდება და არც კი ცდილობს ოჯახის ღირსება დაიცვას. სწორედ ამგვარმა

„სცენებმა“ აიძულა ემილია მეუღლისთვის ეთქვა: „კაცი არ ხარ და კაცურად არ იქცევი!“ თუმცა, ემილიამ ღალატისათვის სამაგიერო მიიღო. მაგრამ ეს ვერაფერი შვებაა რიკარდოსათვის. მას უწინდელივით უყვარს ცოლი და მოჩვენებებისა და ზმანებების სფეროში სამუდამოდ რჩება (5).

ასეთია ალბერტო მორავიას პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტები. ასეთია „პატარა პერსონაჟების“ ყოველდღიური მძიმე და აუტანელი ყოფა. კონტრასტებისა და სოციალური სტატუსების მიღმა დგანან ადამიანები, რომლებიც რომის ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ. მათ უჭირთ. ცოტაა მათ შორის ვისაც ულხინს, მაგრამ ცხოვრება ხომ სწორედ ასეა მოწყობილი. ჩვენს გვერდით უფრო შეჭირვებული ადამიანები ცხოვრობენ, ვინემ დალხინებული. მართალია, მწერლის პერსონაჟები დიდი და საკაცობრიო იდეებისათვის არ იბრძვია, მაგრამ მათი ცხოვრება, რუტინი და გარჯა მკითხველს გულგრილს არ ტოვებს. ალბერტო მორავიას მოთხრობების გაცნობისას ერთი უცთომელი აზრი გიჩნდება, რომ ტყუილად არ გაისარჯე. ალბერტო მორავიას პერსონაჟების ამაღელვებელი ფსიქოლოგიური პორტრეტები უთუოდ თანაგრძნობასა და ადამიანურ სითბოს იმსახურებენ.

ბიბლიოგრაფია

1. მორავია ა., გამოირიცხოს ომი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1984 წელი, 14 სექტემბერი.
2. მორავია ა., კულტურა ყოველთვის მშვიდობის მომხრეა, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1986 წელი, N 43, 24 ოქტომბერი.
3. მორავია ა., ატომური ბომბი და ჩვენ, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი",1985 წელი, N 106, 3 სექტემბერი.
4. მორავია ა., მოთხრობები, ამ სხლში მოკლეს ადამიანი, თარგმანი ნ. სამუკაშვილისა, თბ., 1975 წელი.
5. მორავია ა., ზიზღი, თარგმანი ზ. სტურუასი, თბ., 2010 წელი.
6. წერეთელი ნ., ალბერტო მორავიას ხმა, გაზეთი „კომუნისტი", 1990 წელი, N 135–6, 9 ივნისი.
7. Slaymaker William, "Holograms of Humanity: The Negative Reality of Alberto Moravia's Postwar Novels". South Atlantic Review, 1984.

ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐ ᲕᲣᲚᲤᲘ – ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

„თუკი დაეცემი, ადამიანური
ბუნება შენზე გაიმარჯვებს“.
რომანიდან „მისის დოლოვეი“.

თანამედროვე მოდერნისტული ლიტერატურა წარმოუდგენელია ვირჯინია ვულფის გარეშე. ვულფის ლიტერატურული შეხედულებანი, ესთეტიკური ნააზრევი გახდა ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი წყარო. ვულფი, როგორც ესეისტი და კრიტიკოსი, „ბლუმსბერის“ ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი, მუდამ ყურადღების ცენტრში იყო როგორც მკითხველთა, ასევე კრიტიკოსთა მხრიდან. ვულფის პოეტიკა და სტილი გახდა თანამედროვე მოდერნისტული რომანის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი. ვულფის მსოფლმხედველობაში იკვეთება პერსონაჟთა ხასიათის ჩვენება, იგი გაურბის აბსტრაქტულ მსჯელობებს და ცდილობს მეტი რეალობა შესძინოს თავის გმირებს, რეალისტური და ცხოვრებისეული „ხასიათები“ შექმნას. უნდა ითქვას, რომ ვულფი ხასიათების შექმნის დიდოსტატია. მისი სამწერლო კულტურა და შინაგანი ხედვა ქმნის უიშვიათეს პერ-

სონაჟებს, მგრძნობიარეს, იმპულსურს, გულჩათხრობილს. ზოგჯერ ტრივიალური სიუჟეტებიც გვაოცებენ, მიუხედავად ამისა, „ყვავილებით მოჩითული" როდია ვულფის პროზა. შინაგანი მღელვარება და ეჭვები მსჭვალავს მის სტრიქონებს და ფემინისტი ვირჯინია ვულფი სრულიად ახალ სიმაღლეებს იპყრობს რომანის ჟანრში. მან რომანის სივრცე არა თუ შეავსო, არამედ ახალი ელემენტები შესძინა და განავრცო.

ვირჯინია ვულფის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე ახალი რომანის დაბადებას გულისხმობდა. ვულფმა თანამედროვე რომანს ახალი სუნთქვა შესძინა, გააფართოვა და გააღრმავა მოდერნისტული რომანის სივრცე, მეტი დატვირთვა შესძინა პიროვნების შინაგან მონოლოგს, და არა მარტო ვირჯინია ვულფმა, ჯეიმს ჯოისმა, უილიამ ფოლკნერმა და სხვა ამ სკოლის წარმომადგენლებმა განავითარეს მოდერნსტული რომანი. დიახ, ვირჯინია ვულფი მოდერნისტი მწერალია თავისი მსოფლმხედველობით, აზროვნებით, ლიტერატურული შეხედულებებით. ამავე დროს, ფემინისტური ესთეტიკა გამოკვეთილია ვულფის შემოქმედებაში.

ვირჯინია ვულფმა საგანგებო ესეები მიუძღვნა წინა საუკუნეებისა და თავისი დროის მწერალთა შემოქმედებას. ვულფი აღმერთებდა ჯეინ ოსტინს.

„დიახ, დიახ, ძალიან კარგია... ჯეინ ოსტინი თქვენზე ბევრად უკეთესად წერდა“. და კიდევ: „ჯეინ ოსტინს რომ კითხულობ, მელოდია იღვრება მელოდიაში, როგორც მოცარტის სიმღერა სიმღერაში“ (3,94-107). „ყველაზე ჭეშმარიტი ხელოვანი ქალთა შორის“, – იტყოდა ჯეინ ოსტინზე საგანგებოდ მიძღვნილ ესეში (2,93). არანაკლებ მოსწონდა დები ბრონტები – შარლოტა და ემილი. მაგრამ ვულფი ყველაზე მეტ პატივს მიაგებდა ჯეიმს ჯოისის სამწერლო ტალანტს, თუმცა ჯოისზე შენიშვნებსაც ღიად გამოთქვამდა. აკრიტიკებდა „ულისეს“. „კატასტროფა“, „თავზარდამცემი“, ამ ეპითეტებით „შეამკო“ ვულფმა ჯოისის „ულისე“ (2,193). არანაკლებ მოსწონდა ჯეფრი ჩოსერი, დანიელ დეფო, ჯონათან სვიფტი, უოლტერ სკოტი, ჯოზეფ კონრადი, ჩარლზ დიკენსი, ჯორჯ ელიოტი, ეზრა პაუნდისა და სხვა თავისი დროის თუ წინა საუკუნეების მწერლები, მათ შემოქმედება. მათ სამწერლო შესაძლებლობებს ვულფი პატივს მიაგებდა. თვლიდა, რომ ამ მწერლებმა ინგლისური რომანი გზადაგზა შეავსეს და განავითარეს.

ვერ ვიტყვით ვულფს მოსწონდა „დავით კოფერფილდის“ ავტორი. უფრო თავს ესხმის ჩარლზ დიკენსს და მის პერსონაჟებს. აღნიშნავდა, რომ დიკენსს ხიბლი აკლია, ყველას მწერალია და კონკრე-

ტულად – არავისი. „ყველა დიდ მწერალს შორის დიკენსი პიროვნულად ყველაზე ნაკლებ მომხიბვლელია“. „ჯერ არავის ჰყვარებია დიკენსი ისე, როგორც შექსპირი და სკოტი უყვართ“. თუმცა ვულფი დიკენსს ბოლომდე არ „გასწირავს“ და თავისი დიდი წინაპრის შექსპირის ყაიდის მწერლად აცხადებს. „დიკენსზე ხმები დადის, მისი გრძნობა ზიზღის აღმძვრელია, სტილი კი ბანალურიო; მისი კითხვისას ყოველგვარი დახვეწილობა მიჩქმალულია, ყოველ გრძნობას კი სქელი მინა ფარავს; მაგრამ სწორედ ამ სიფრთხილითა და დაფარვით იგი შექსპირის ყაიდის მწერალია“ (2,115).

ვულფს გამორჩეულად მოსწონდა, უფრო იცავდა, ჯორჯ ელიოტს (ჯორჯ ელიოტი ინგლისელი მწერალი ქალის მერი ენ ევანსის ლიტერატურული ფსევდონიმია).

როგორც ცნობილია, ჯორჯ ელიოტს კრიტიკა მაინცდამაინცა არ წყალობდა. „დაბნეული ქალი“, „აჩრდილებით სავსე რომანების ავტორი“, – ასე მოიხსენიებდნენ მას მაშინდელ ლიტერატურულ სალონებში. ჰერბერტ სპენსერი მის რომანებს რომანებად არ თვლიდა. ვულფი ცდილობს უფრო სამართლიანი იყოს ელიოტის მიმართ და დაიცვას მისი ლიტერატურული ნაღვაწი. „ჯორჯ ელიოტი ყმაწვილთა დაცინვის საგნად გადაიქცა“, მაგრამ ის „თავისი სქესის

სიამაყე და მისაბაძი ნიმუში გახლდათ". და იქვე: „ჯორჯ ელიოტი არ იყო ძალზე ქალური", „წინ ძალზე ნელა და მძიმედ მიიწევდა, მაგრამ მას ჰქონდა დაუძლეველი სწრაფვა, რომლის მიღმა ღრმა და კეთილშობილი პატივმოყვარეობა იმალებოდა". დასასრულს, ვულფი, ჯორჯ ელიოტის შემოქმედებაზე მსჯელობას ასე ასრულებს: „მისი წიგნები საოცრად კარგად იკითხება და არავითარი კვალი არ ატყვიათ პომპეზურობისა და მოჩვენებითობისა. ჩვენი აზრით, მისი ძალა უმაღლეს მწვერვალს აღწევს „შუა მარტში", ბრწყინვალე წიგნში, რომელიც მთელი თავისი ნაკლოვანებებით ერთ–ერთია იმ მცირე ინგლისურ რომანთაგან, რომლებიც უფროსებისთვისაა დაწერილი" (2,20).

ვულფი კრიტიკულად არის განწყობილი ჰერბერტ უელსის, არნოლდ ბენიტისა და ჯონ გოლზუორთის მიმართ. მისი თქმით, ამ მწერლებმა მკითხველს იმედები გაუცრუეს, რადგან ისინი მატერიალისტები არიან. „ისინი სხეულს იკვლევენ და არა სულს, რითაც იმედებს გვიცრუებენ" (2,157). თუმცა ამ მწერალთა მნიშვნელობაც კარგად ესმოდა ვულფს. სწორი ვიქნებით თუ დავსძენთ, რომ ამ და სხვა მწერლებმა განსაზღვრეს ვულფის წერის სტილი, გააფართოვეს მისი „ცნობიერების ნაკადი", მო-

დერნისტული და ეგზისტენციალური ხედვები. „ჰოგარტ პრესში“ (ვირჯინიასა და მისი მეუღლის მიერ დაარსებული გამომცემლობა) კი თანდათან ყალიბდებოდა მწერალი ვირჯინია ვულფი.

ვირჯინია ვულფს მოსწონდა პროზა, რომანის ჟანრი, რადგან თვლიდა, რომ „რომანი ასახავს ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რომანშიც იგივე ფასეულობაა, რაც ცხოვრებაში“ (3,86), მაგრამ ვულფს ყველაზე მეტად ესე იზიდავდა. ამის დასტურია მისი მდიდარი ესეისტური მემკვიდრეობა. ვულფი მსჯელობს ესეს მნიშვნელობაზე, მის ესთეტიკურ ღირებულებაზე. „ლიტერატურულ ფორმათაგან ესეს ყველაზე ნაკლებ ესაჭიროება გრძელი სიტყვები. მისი წარმართველი პრინციპი მხოლოდ ის არის, რომ სიამოვნება მოგვანიჭოს. მხოლოდ სიამოვნების განცდის სურვილი გადმოგვაღებინებს ესეების წიგნს თაროდან. ესეში ყველაფერი ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. პირველი სიტყვიდან უნდა მოვიხიბლოთ და მხოლოდ ბოლო სიტყვაზე უნდა გამოვიღვიძოთ, გამოვფხიზლდეთ“ (2, 143).

ვულფმა ისიც მშვენივრად იცის, რომ ლიტერატურული „შედევრი თავსით არ წარმოიქმნება, იგი შდეგია მრავალი წლის საზოგადოებრივი აზროვნებისა... წინამავალნი რომ არა, ვერც ჯეინ ოსტინი და

ვერც დები ბრონტები ან ჯორჯ ელიოტი შექმნიდნენ რაიმეს ისევე, როგორც ვერც შექსპირი შექმნიდა იმდენს, მარლოუ რომ არ ჰყოლოდა წინამორბედად, მარლოუს – ჩოსერი, ჩოსერს კი ის მივიწყებული პოეტები, რომელთაც გაკვალეს ბილიკი და მოთოკეს გაუხედნავი მეტყველება“ (3, 76).

ვირჯინია ადელან სტივენმა მეტად უჩვეულო ლიტერატურული გზა განვლო. უჩვეულო და ტრაგიკული გახლდათ მისი პირადი ცხოვრებაც. მწერალ ქალს ყმაწვილობიდანვე ეწყება ნერვიული აშლილობა. ოჯახმა, და განსაკუთრებით მამამ, განსაზღვრეს ვირჯინიას ლიტერატურული ბედი. მწერლის მამა სერ ლესლი თავისი დროის გამორჩეული ხელწერის ლიტერატორი და კრიტიკოსი გახლდათ, რომელსაც პირველ ქორწინებაში ჰყავდა უილიამ თეკერეის ქალიშვილი. ვირჯინიას განათლებას თვალ–ყურს სწორედ მამა ადევნებდა. მართალია, მას ძმებივით განათლება კემბრიჯში არ მიუღია, მაგრამ მამის მდიდარი ბიბლიოთეკის დახმარებით სათანადო განათლება მიიღო. ალბათ, უილიამ თეკერეის უშრეტი სამწერლო განწყობაც უხვად მოიძებნებოდა ოჯახში. 1912 წელს ვირჯინია სტივენი მისთხოვდება ლეონარდ ვულფს და ამ გვარით იწყებს ვირჯინია ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლას.

„თუკი დაეცემი, ადამიანური ბუნება შენზე გაიმარჯვებს“, - ვულფი ასე ათქმევინებს თავის ერთ პერსონაჟს. თავისი პერსონაჟის მსგავსად ვირჯინია ვულფიც დაეცემა. თუმცა ვულფი ნერვიულ შეტევებს გამუდმებით ებრძოდა, მაგრამ 1941 წლის 28 მარტს ვირჯინია ვულფმა ნებაყოფლობით შეწყვიტა ბრძოლა და მდინარე უზს სამუდამოდ მიანდო თავისი დაღლილი სხეული. თან გააყოლა ნერვიული და მშფოთვარე სულის აშლილობა. თითქოს დაუმშვიდობებლად გაექცა საზოგადოებას, ოჯახს, მკითხველს და უპირველესად კი საკუთარ თავს. ჩათვალა, რომ ბრძოლისათვის მეტი ძალები აღარ შემორჩა და... მაგრამ ეს მხოლოდ ვურჯინია ვულფის პიროვნული ტრაგედია გახლდათ, და არა მარტო პიროვნული!

ვირჯინია ვულფის მღელვარე და მშფოთვარე ცხოვრების ანარეკლია მისი მხატვრული შემოქმედება. კერძო წერილები, ესეები და განსაკუთრებით კი „საკუთარი ოთახი“. ეს უკანასკნელი ვულფის ფემინისტური იდეების დემონსტრაციას წარმოადგენს და მწერალი ქალის თამამი და ღია გრძნობების დაუსრულებელ ღელვას გვამცნობს. „ბლუმსბერის“ ლიტერატურული სალონის დიასახლისი თავგამოდებით იბრძვის ქალთა უფლებებისა და ემანსიპაციისათვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობისათვის. ასეთი მსჯელობა ახალი როდია ვულ-

ფისათვის. მაგრამ მეტ გააზრებას მოითხოვს ვულფის თეორიული და ესთეტიკური ნააზრევი, მხატვრული შემოქმედება. ვულფი მთელი თავისი მსოფლმხედველობით, ლიტერატურული შეხედულებებით და ესთეტიზმით მოდერნისტი მწერალია, რომელმაც ახალ სიმაღლეებს აზიარა თანამედროვე რომანი.

მაშინდელ კრიტიკას არაერთგვაროვანი შენიშვნები გააჩნდა ვულფის შემოქმედებაზე. კრიტიკოსი ფრენკ სუინერტონი მაღალ შეფასებას აძლევდა ვულფის სამწერლო შესაძლებლობებს, თუმცა შენიშვნებსაც ღიად გამოთქვამდა. ის ვირჯინია ვულფის „მისის დოლოვეისა“ და სხვა რომანების შესახებ წერდა: „სიტყვისა და აზრის მუდმივი მღელვარება ბატონობს ამ წიგნებში. ისინი დაუკავშირებლობით გამოირჩევიან“. იქვე, სუინერტონი დასძენს: „ამ წიგნებზე ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ძალზე კარგადაა დაწერილი და აღსავსეა დახვეწილობით, მშვენიერების უკანასკნელი მიღწევით“ (2,4–6).

დიახ, აღსავსეა დახვეწილობით, მშვენიერების უკანასკნელი მიღწევით, რაც უდავო და სამართლიანი დაკვირვებაა ვულფის შემოქმედებაზე. მოუმწიფებელი მკითხველისათვის ვირჯინია ვულფის პროზა არაა შექმნილი. მისმა პროზამ დაიტია მთელი დასავლური ლიტერატურის განწყობა. ემოციური და

მშფოთვარე ხელწერის მიღმა თავსდება ვულფის ნიჭიერება, გამძლეობა, მოთმინება, ნერვიული შეტევები. იყო სხვაგვარი კრიტიკაც: „მის ნაწარმოებებს აკრიტიკებდნენ იმ მოტივით, რომ ისინი ინგლისური ინტელიგენციის მაღალი–საშუალო კლასის (upper-middle class) აღწერით შემოიფარგლებოდა“ (8, 574).

„მისის დოლოვეი“ ინგლისური რომანის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. ესაა მოდერნისტული რომანი თავისი ფორმით, სიუჟეტით, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტებით. ამავე დროს, რომანში იგრძნობა ქალური ფენომენის ძლიერი კვალი. სწორედ ამის წინააღმდეგია ვირჯინია ვულფი. არ სურს მის ხელნაწერში ქალი ჰპოვონ, ქალის განცდები. ნაწილობრივ ეს მიახერხა ვულფმა. ისიც უნდა ითქვას, რომ „მისის დოლოვეი“ სტრუქტურულად სწორხაზოვანი რომანი არაა. მასში დარღვეულია მოქმედების სწორხაზოვნება. არსებითად რომანი ორი მთავარი სიუჟეტისაგან შედგება: კლარისა დოლოვეის მოგონებები და სეპტიმუსის ტრაგიკული აწმყო.

ვულფთან დროს, გარემოს, საზოგადოებას, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. „მისის დოლოვეით“ ვულფი ცდილობს ომის შემდგომი ინგლისი გვიჩვენოს, საზოგადოება თავისი ღია ჭრილობებით. ომის დამანგრეველი განწყობა გასდევს მთელ რომანს. სა-

ზოგადოება თუმცა ნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით ცდილობდა ჭრილობების მოშუშებას, ვინ მდიდრული წვეულებებით, ვინ წარსულის მოგონებებით და ვინ როგორ.

„ამ საშინელ ომს ვერავინ გაექცეოდა, მისი საზიზღარი, ვერაგი, ცნობისმოყვარე თითები ყველგან აღწევდა", – ვკითხულობთ ერთგან რომანში. მართლაც ომის საშინელებას რომანის პერსონაჟები ვერანაირად გაექცევიან. ომისაგან მიყენებულ ტკივილს ისინი ყოველდღიურ ცხვრებაში გრძნობდნენ და მათი გაუსაძლისი ცხოვრება კიდევ უფრო ტრაგიკული ხდება.

რომანის დასაწყისი „მდიდარია" კლარისა დოლოვეის მოგონებებით, მისი შეხედულებები ცხოვრებაზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულზე, ცოტათი მსუბუქი, მოსაწყენი და მარტივიცაა, მაგრამ ამ სადა და ტრივიალური სტრიქონების მიღმა სიღრმისეული დიალოგები და გულწრფელობა იკვეთება. მისის დოლოვეის პორტრეტის გაცნობთ ვრწმუნდებით, რომ ისიც ჩვეულებრივი ქალია თავისი სისუსტეებით, ხასიათით, გარეგნობით, რომელსაც უყვარს, სძულს, სწყინს, ჯავრობს, ნანობს, მისტირის პირველ სიყვარულს.

რომანის პერსონაჟებს „კომუნიკაცია" აქვთ ლონდონთან. ისინი უსასრულოდ მოგზაურობენ

ლონდონის ქუჩებში და ამ მოგზაურობას დასასრული არ აქვს. რომანში აწმყო და წარსული ერთმანეთშია „შეჭრილი“. ყოველივე ამას ვულფი გეგმაზომიერად ახერხებს „ცნობიერების ნაკადის“ და „შინაგანი მონოლოგის“ გზით.

რომანში ვეცნობით კლარისა დოლოვეის უსასრულო მოგზაურობის ეპიზოდებს დროში, მაგრამ არა მომავალში, არამედ წარსულში, რადგან ხმაურიანი ლონდონი მომავალში, თუნდაც აწმყოში, მოგზაურობის საშუალებას არ იძლევა და ერთადერთი რაც შერჩა კლარისა დოლოვეის ესაა მოგზაურობა წარსულში. ასე თანდათან იცრიცება და ილევა ჭაღარა ქალის სილუეტი რომანის ბოლოს. უნდა ითქვას, რომ მკითხველს აინტერესებს არა მარტო კლარისა დოლოვეის გარეგანი პორტრეტის დანახვა, არამედ – შინაგანი. მისი სრული „შინაგანი ბიოგრაფიის“ აღწერა, რაც ზედმიწევნით მოახერხა ვირჯინია ვულფმა.

ვულფი საოცარი მოთმინებით ძერწავს 50 წლის კლარისა დოლოვეის გაცრეცილ და ავადმყოფურ პორტრეტს. ქალის, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდებისათვის ყველაფერს აკეთებს, თითქოს მოვლენების შუაგულში ტრიალებს, მიუხედავად ამისა, კლარისა დოლოვეი საოჯახო ალბომის სამუდამოდ გაცრეცილ შავ–თეთრ პორტრეტად რჩება, იმ საოჯახო ალბომისა, სასტუმრო ოთახში პატარა მაგიდა-

ზე საგანგებოდ რომ აწყვია დამთვალიერებლებისათვის.

„კლარისა ჩიტს, მომწვანო–ნაცრისფერ ჩხიკვს ჰგავდა“. ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული თითქმის სულ გაჭაღარავებული იყო. „მისი წინაპრები მეფე ჯორჯის დინასტიის დროს კარისკაცები იყვნენ“, რითაც თავი მოჰქონდა. ამაყი და პატივმოყვარე ეთქმოდა, მაღალი საზოგადოებისა და წვეულებების უზომოდ მოტრფიალე. „ადამიანების სიყვარული შეეძლო“. თუმცა, პიტერ უილშთან არაფერი გამოუვიდა, იმიტომ, რომ პიტერის ხასიათს ვერ შეეწყო, თუმცა მომავალში მასზე მაინც იღელვებდა. „უზადო დიასახლისის მონაცემები გაქვსო“, – ღიად უსაყვედურა პიტერმა. პატივმოყვარე კლარისამ ამაზე იწყინა, მწარედ იტირა კიდეც. საკუთარ თავს დიდხანს უმტკიცებდა, რომ კარგად მოიქცა პიტერს ცოლად არ გაჰყვა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო.

კლარისას ქორწინებაზე და ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე თავისი კონცეფციები და „დეკლარაციები“ გააჩნდა. „ქორწინებამ ადამიანს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ უნდა დააკარგვინოს“. და იქვე: „ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ადამიანებს თავისუფლება სჭირდებათ“. კლარისა ახალგაზრდობაში და შემდგომაც, ხშირად მსჯელობდა ქალთა საკითხებზე,

ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულზე, სოციალურ საკითხებზე. ახალგაზრდობაში ჰყავდა მეგობარი გოგონა სელი სიტონი, რომელიც მეგობარზე მეტი იყო მისთვის. და მკითხველი გრძნობს, რომ კლარისა დოლოვეიში ვირჯინია ვულფის სილუეტი ნათლად იკვეთება.

კლარისა დოლოვეის უყვარდა სიცოცხლე და ყველაზე მეტად მაინც ლონდონი თავისი ხმაურითა და ჭორებით. უყვარდა მაღალი საზოგადოება, მდიდრული ეტლები, ომნიბუსები, მდიდრული ტანსაცმელი, ცხენები, მაგრამ ყველაფერს შორიდან, მშვიდად აკვირდებოდა, იმასაც გრძნობდა, რომ ცხოვრება ძალზე საშიში იყო. „თავს ჭკვიან და გამორჩეულ ქალად სულაც არ თვლიდა. საოცარი იყო, ცხოვრებაში ამდენი როგორ იბრძოლა, როცა განათლება არ მიუღია... არაფერი იცოდა: არც უცხო ენები და არც ისტორია. წიგნებს იშვიათად კითხულობდა. ძილის წინ მემუარებით ტკბებოდა“

კლარისას ყველაზე მეტად ფიქრი შეეძლო. „ო, ნეტავ ცხოვრების თავიდან დაწყება შემეძლოს!“ მაგრამ ამისათვის მარტო სურვილი როდი კმაროდა. ლამაზი თვალები და გლუვი კანი უნდა ჰქონოდა, გრაციოზული უნდა ყოფილიყო. ის კი „სუსტი და აწოწილი იყო. პატარა, სასაცილო სახე ჰქონდა და

ცხვირი ჩიტის ნისკარტს მიუგავდა". ახლა კი მაღალი წრის ქალი გახლდათ მისის დოლოვეი. ჰყავდა მეუღლე რიჩარდი და ქალიშვილი ელიზაბეთი.

მისის დოლოვეის პორტრეტის გაცნობისას მკითხველი გრძნობს, რომ კლარისა დოლოვეი უზარმაზარ სასახლეში გამომწყვდეული მარტოხელა და მარტოსული ქალია. ქმარი, რიჩარდი? მას სულ სხვა ცხოვრება ჰქონდა. უსიყვარულობა გადაჰკვეთს მეუღლეების ცხოვრებას.

ნუთუ კლარისა დოლოვეი ბედნიერია საკუთარი ცხოვრებით? მისი ქორწინება და ოჯახური თანაცხოვრება იდეალურია? რომელი უფრო უყვარს, პიტერ უილში თუ რიჩარდი? ვინ იცის? თუმცა რიჩარდის წყალობით ელიტარული ქალბატონი გახდა, პატივს მიაგებენ, მათთან წვეულებაზე მოდიან. მაგრამ მხოლოდ ესაა ცხოვრება! მათი ერთადერთი ქალიშვილ ოჯახისაგან ცალკე დგას, ლამის გარიყული, მონაწილეობას არ ღებულობს დიდი ოჯახის მართვაში. მას საკუთარი ცხოვრება აქვს. მშობლების „ცხოვრებაში" არ ერევა. ასეთია მისის დოლოვეის პორტრეტი.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, ვირჯინია ვულფი „მისის დოლოვეით" ვიქტორიანული ეპოქის ტრადიციულ მწერლობასთან არ წყვეტს კავშირს.

მისის დოლოვეი ზედმეტად დამჯერი მეუღლეა. უფრო მომთმენი, ვიქტორიანული ოჯახის დამცველი. მისი ქორწინება მოჩვენებითია, მაგრამ ამაზე არც ხმამაღალი საყვედურები, არც პროტესტის ფორმა იკვეთება რომანში. როდესაც მისი მეუღლე მაღალი წრის ქალბატონმა სტუმრად მიიწვია მისის დოლოვეის განრისხებას საზღვარი არ აქვს, მაგრამ ესაა მხოლოდ მდუმარე პროტესტი. ის ღიად ამის შესახებ არავის ესაუბრება. ის მთელი თავისი შეგნებით ვიქტორიანული ყაიდის, იდეების, დოგმების ერთგული დამცველია. „ვიქტორიანული ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო მტკიცე ზნეობრივი ნორმების ყოველგვარი დემონსტრაცია, ხაზგასმა, თუნდაც ეს გარეგნული და ამდენად არაგულწრფელიც ყოფილიყო... ოჯახის დარღვევა ვიქტორიანული ინგლისის ზნეობრივი კანონების მიხედვით საშინელი ცოდვა იყო, არა იმიტომ, რომ ყველას სჯეროდა ყველა დანარჩენის ბედნიერებისა, არამედ იმიტომ, რომ ამაზე საქვეყნოდ ყვირილი ცუდ ტონად ითვლებოდა“ (7,8). მისის დოლოვეი გულდაგულ მალავს თავის ოჯახურ დრამას, მაგრამ საზრიან მკითხველს არაფერი გამოეპარება.

ვულფი ცდილობს მეტი რეალობა შესძინოს რომანს, თავის პერსონაჟებს. ამ თვალსაზრისით ყველაზე რეალური სახეები რომანში არიან სეპტიმუსი და

ლუკრეცია. სეპტიმუსი „დაკარგული თაობის" უიშვიათესი ნიმუშია. ომს „გადარჩენილი" ცდილობს რეალობას გაუსწოროს თვალი, მაგრამ გარემო ამის არანაირ საშუალებას იძლევა. მისი დანგრეული ფსიქიკა ვერ უძლებს ზემოქმედებას და საკუთარი სხეულის კვლას ხელახლა ახდენს.

სეპტიმუს სმიტი პირველი იყო, ვინც ომში მოხალისედ წავიდა. იმ ინგლისის გადასარჩენად, რომლის განსახიერება შექსპირი და მშვენიერი სატრფო იზაბელა პოული იყო. ის იზაბელა პოული, რომელიც შექსპირზე ლექციებს კითხულობდა ვატერლოო–როუდზე. მაგრამ ომმა იზაბელა პოულს ჩამოაშორა და არა მარტო იზაბელას, ცხოვრებას, მომავალს, სიყვარულს. ომის დასრულების შემდეგ ფიზიკურად და სულიერად დაჭრილი მილანში გადაიყვანეს სამკურნალოდ და სრულიად შემთხვევით სასტუმროს მეპატრონის უმცროს ქალიშვილს ლუკრეციას ხელი სთხოვა. ცოლი უსიყვარულოდ შეირთო. ალბათ იმიტომ, რომ არ სურდა იზაბელას პოულს ენახა ასეთ მდგომარეობაში. ისინი უკვე ხუთი წლის ცოლ–ქმარი იყვნენ, მაგრამ მათ ცხოვრებაში რაიმე სანუგეშო არ იყო.

დიახ, სეპტიმუს სმიტს ფსიქიკური პრობლემები ძლიერ აწუხებდა. ხშირად აგონდებოდა ომში დაღუპული მეგობარი ევანსი, მოჩვენებები სტანჯავდა, გამუდმებით არა ამქვეყნიური ხმები ჩაესმოდა. ექი-

მებთან ხშირმა ვიზიტმაც ვერაფერი უშველა. ცოლ–ქმრის მდგომარეობა უნუგეშო იყო. კაცი გამუდმებით სიკვდილზე ფიქრობდა და ცოლსაც არწმუნებდა, თუ რატომ უნდა მოეკლათ ორივეს თავი. ექიმი ჰოლმსი დაბეჯითებით იმეორებდა: „სეპტიმუსს სერიოზული არაფერი სჭირდა!“ მაგრამ სეპტიმუსი ომმა მოკლა, მასში ჩაკლა ყველა ადამიანური რესურსი. ინტერესი დაკარგა ახალგაზრდა, მხიარული ლუკრეციას მიმართ, რომელიც ხშირად შეახსენებდა თავის მოვალეობებს. მას შვილი უნდოდა, თანაც ვაჟი, მაგრამ სეპტიმუსში ახლა ყველა უჯრედი გაქვავებული და მკვდარი იყო. ყველაფერი შესძულებოდა, გარემო, სამყარო და მეტადრე საკუთარი თავი.

სეპტიმუსი ახლა გრძნობებისაგან დაცლილი და გამოფიტული იყო. მისი სხეული დადნა, შეშლილობის ზღვარამდე მივიდა. გამხდარი და ავადმყოფური, ცივი იერი და სახე ჰქონდა. წიგნების კითხვა კი უწინდელივით უყვარდა. ის გამუდმებით თავს იდანაშაულებდა. რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ვერ ახერხებდა. კომუნიკაციის პრობლემა დარღვეული ჰქონდა. ეს ომის შედეგია. რას მალავდა, ან რის თქმას ცდილობდა? იქნებ იმიტომ იდანაშაულებდა თავს, რომ ომში ადამიანებს ჰკლავდა. მისი მაღალი სული (ესთეტი იყო) ვერ უძლებს ამ საშინელ სული-

ერ აგონიას და შემზარავ გადაწყვეტილებას ღებულობს. ან იქნებ ის სტანჯავდა, რომ ლუკრეცია უსიყვარულოდ შეირთო. დიახ, სეპტიმუსის მდგომარეობა უნუგეშო იყო. ლუკრეციას ხშირად სთხოვდა, რასაც გიკარნახებ, ქაღალდზე გადაიტანეო. ის წერდა ომზე, შექსპირზე, რაღაც დიდ აღმოჩენაზე, სიკვდილზე, ჭეშმარიტებაზე. ხან საათობით მდუმარედ იჯდა, ხან ყვიროდა. ამბობდა, ჭეშმარიტება შევიტყვე. ჩემი მეგობარი ევანსი, ომში დაღუპული, დაბრუნდაო. ხშირად ჩვენება ჰქონდა, თითქოს ზღვაში იხრჩობოდა, ხან ცეცხლში ვარდნის ძლიერი შეგრძნება სტანჯავდა. დიახ, წყალმა და ცეცხლმა უნდა განწმინდოს მისი დაცემული სული და ხორცი.

ლუკრეციას ყველაზე მეტად ის უკლავდა გულს, რომ ეს ძლიერი და მამაცი მეომარი ხშირად ტიროდა. „კაცთა შორის რჩეული, დამნაშავე, რომელიც მოსამართლეების წინაშე იდგა. ზეცად ამაღლებული მსხვერპლი, ლტოლვილი, დაღუპული მეზღვაური, პოეტი, უკვდავი ოდის ავტორი, ღმერთი, რომელმაც სიცოცხლეზე უარი თქვა“, – ასეთია სეპტიმუსის ამაღელვებელი პორტრეტი. ასე დაასრულა სიცოცხლე დიდმა მეომარმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სეპტიმუსის თვითმკვლელობამ მეტი ეგსისტენციალიზმი და ტრაგიზმი შეს-

ძინა რომანს. „თუკი დაეცემი, ადამიანური ბუნება შენზე გაიმარჯვებს“, -ამბობს სეპტიმუსი. დიახ, სეპტიმუსი დაეცემა. ომისაგან მიყენებულ სულიერ და ფიზიკურ ჭრილობებს ვერ უძლებს.

სეპტიმუს სმიტი განზოგადოებული ლიტერატურული სახეა. ფსიქიკურად დაშლილი და დასახიჩრებულია, კომუნიკაციის პრობლემა დარღვეული. ეს ომის შედეგია. სეპტიმუსი თავისი თვითმკვლელობით, სულიერი და ფიზიკური ჭრილობებით, ცხოვრებას ღიად უპირისპირდება. სწორედ ეს იყო ვირჯინია ვულფის სათქმელი. ომის შემდგომი ტრაგიზმი და უბედურება თვალნათლივ დაენახვებინა მკითხველისთვის, საზოგადოებისათვის, რაც ზედმიწევნით შეძლო. სეპტიმუსის კომუნიკაციის დარღვევა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიაზროთ. კომუნიკაციაზე უარის თქმით, სეპტიმუსი პროტესტს უცხადებს გარე სამყაროს, რომელშიაც უწევდა ცხოვრება.

რომანი იწყება კლარისა დოლოვეის წვეულების მზადებით და სრულდება ტრიუმფალური წვეულებით. ამავე წვეულებაზე სტუმრები შეიტყობენ, რომ ვიღაც ახალგაზრდას თავი მოუკლავს. ამით არაფერი იცვლება! წვეულება გრძელდება. აქედან გამომდინაე, რომანში ფიგურირებს მხოლოდ მაღალი საზოგადოება. როგორც ირკვევა, ომისაგან მიყენებულ ჭრი-

ლობას ინგლისის ელიტარული საზოგადოება მდიდრული წვეულებებით იქარვებს, რომელიც რომანის ბოლოსაა აღწერილი. წარმოდგენილი რომანი „მაღალი საზოგადოების" სულიერი ცხოვრების ჩვენებას ეძღვნება, მათ სურვილებს, ამბიციებს, ცხოვრებასთან პაექრობას. დაბალი საზოგადეოება არსად ჩანს. ისინი რომანში საერთოდ ნახსენები არაა. ჩნდება კუთხვა: თუ მაღალი საზოგადოება ომისაგან მიყენებულ ღია ჭრილობებს ასე იშუშებს, რა მდგომარეობაში არიან „პატარა ადამიანები?" როგორ ცდილობენ გაუმკლავდნენ დეპრესიას, ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს, უმუშევრობას, სოციალურ საკითხებს?

სამართლიანად ითქვა: „რომანი ცალკეული ადამიანების ბედში მთელ ქვეყანას ირეკლავს" (5,109). ვირჯინია ვულფმა „მისის დოლოვეით" ეპოქის მტკივნეული საკითხების ჩვენება და გააზრება დაისახა მიზნად. მიშელ ფუკოც ამ აზრისაა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ: „ტექსტები სიმართლეს ღაღადებენ" (6,82).

„მისის დოლოვეი" თავისი წყობით მოდერნისტული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. ამ რომანში ყველაზე უკეთ გამოიკვეთა ვულფის ხელწერა, პერსონაჟთა ხასიათის უიშვიათესი გამოძერწვა, გარემო, ფსიქოლოგიური რაკურსები, საზოგადოების ზე-

მოქმედება პიროვნებაზე, ამბივალენტური ხასიათი და მთავარი, ვულფის წერის კულტურა. მგრძნობიარე სტრიქონების მიღმა მწერალი ქალი ცდილობს უფრო ღრმად ჩაგვახედოს ცხოვრების ფსკერში, პიროვნების სულში, ხასიათის სიღრმეებში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ვირჯინია ვულფი XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისელი მოდერნისტი მწერალი ქალია. „მისის დოლოვეი“ არის უსაშველო „სულის მონოლოგი“ კლარისა დოლოვეისა, რომელშიაც ვირჯინია ვულფი მოიაზრება. ვულფმა თავისი ესეებითა და მხატვრული პროზით ინგლისურ რომანს, და არა მარტო ინგლისურს, ახალი მიმართულება მისცა. გააღრმავა, განავითარა, ახალი სული შთაბერა, უფრო რეალური გახადა. ვირჯინია ვულფს შთაგონება და წარმსახვა ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ მას ყველაზე მეტად სიმტკიცე აკლდა, შინაგანი სიმტკიცე, და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა მწერლისათვის თვითმკვლელობა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო! ის სიკვდილისათვის მთელი ცხოვრება ემზადებოდა.

ბიბლიოგრაფია

1. ბელიაშვილი მ., დროის პრობლემა მოდერნისტულ ლიტერატურაში, თბ., 2005 წელი.
2. ვულფი ვ., ესეები, თარგმანი პ. და რ. ჩხეიძეების, თბ., 1988 წელი.
3. ვულფი ვ., საკუთარი ოთახი, თარგმანი ინგა მაცაბერიძე – პაპავა, თბ., 2006 წელი.
4. ვულფი ვ., მისის დოლოვეი, თარგმანი გ.ძნელაძის, თბ., 2012 წელი.
5. კაკაბაძე ნ., თანამედროვე დასავლური რომანი და მისი პოეტიკა. წიგნში: პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971 წელი.
6. ფუკო მ., სიტყვები და საგნები, დიოგენე, თარგმანი დოდო ლაბუჩიძე–ხოფერია, თბ., 2004 წელი.
7. ყიასაშვილი ნ., „თანამედროვეობა" და „მოდერნიზმი." წიგნში: დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე) ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, თბ., 1988 წელი.
8. ცხვედიანი ი., ვირჯინია ვულფი . წიგნში: XX ს-ის I ნახევრის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია, ნ.კაკაურიძის რედაქციით, ქუთაისი, 2011 წელი.
9. Wussow Helen, "Virginia Woolf and the problematic nature of the photographic image." Twentieth Century Literature Spring, 1994.
10. Rosner Victoria, Modernism and the Architecture of Private Life. Columbia University Press, 2008.

ჯონ სტაინბეკის პერსონაჟების სოციალური გარემო და პიროვნების გაუცხოება

„ქვეყანა დაღუპული ხალხითაა სავსე. დაჰკრავს ჟამი, როცა ადამიანი უნდა აღესრულოს, ღირსეულად წავიდეს ამ ქვეყნიდან...“

ჯონ სტაინბეკი

ჯონ სტაინბეკის რომანებსა და მოთხრობებს „დიდი დეპრესიისა“ და მღელვარების კვალი ატყვია. ეს ის დეპრესიაა, რომელმაც არნახული სიმწვავით იფეთქა მთელ ამერიკაში. მწერალმა შეულამაზებლად ასახა ის მახინჯი სოციალური გარემო, რაც ასე იგრძნობოდა ომის შემდგომ ამერიკაში. მუშათა კლასის დუხჭირი ცხოვრება, კაპიტალიზმის მანკიერებანი, საზოგადოების სულიერ–ზნეობრივი გახრწნილება, სნობიზმი, გაუცხოება, „ოცნების ამერიკის“ სავალალო ყოფა.

ჯონ სტაინბეკი XX საუკუნის წარმატებული ამერიკელი პროზაიკოსი და ნობელის პრემიის ლაურიატია. 1962 წელს მწერალმა მიიღო უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო ნობელის პრემია. მანამდე კი ორგზის, 1937 –39 წლებში მიიღო პულიცერის პრემია რომანისათვის „მრისხანების მტევნები“. სტაინბეკმა

1947 და 1967 წლებში იმოგზაურა საქართველოში და ცნობილ ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად საინტერესო ფოტო–კოლაჟი გადაიღო თბილისში, გორში და ბათუმში. ჯონ სტაინბეკმა საქართველოში მოგზაურობა აღწერა წიგნში „რუსული დღიური". სამწუხაროდ, მისი არსებობა მკითხველთა ფართო წრისათვის დიდი ხნის მანძილზე უცნობი იყო. მხოლოდ 90-იან წლებში მოხდა მისი ხელახლა „აღმოჩენა."

1947 წელს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" რედაქციამ ჯონ სტაინბეკს უნგრელ ფოტოჟურნალისტ რობერტ კაპასთან ერთად საბჭოთა კავშირში მოგზაურობა და გაზეთისათვის რეპორტაჟების მომზადება შესთავაზა, რაზედაც მწერალი დათანხმდა. რობერტ კაპა (ნამდვილი გვარი ანდრე ერნო ფრიდმანი.1913–1954 წწ.) გასული საუკუნის ერთერთი ყველაზე გამორჩეული ომის ფოტოგრაფი იყო. მან მსოფლიოს ომზე გადაღებული უნიკალური ფოტომასალა შემოუნახა.

ჯონ სტაინბეკი მოხიბლულია ქართველი ხალხის წარსულით, ტრადიციებით, სტუმართმოყვარეობით, ფოლკლორით, ეთნოგრაფიული მასალებით, მუსიკით, ლიტერატურითა და პოეზიით. ამერიკელი მწერალი საქართველოზე და ქართველ ხალხზე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წერდა:

„ეს პოეტური, მუსიკალური და მოცეკვავე ხალხია და, მოარული აზრით, მხურვალე მიჯნურები ყოფილან. ღვთითკურთხეულ მიწაზე სახლობენ და, ცხადია, საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა ორიათასი წლის განმავლობაში ბრძოლებში უწევდათ“

„თბილისის მკვიდრნი, ჩვენ მიერ რუსეთში ნანახი ადამიანებისაგან განსხვავებით, უკეთ იცვამდნენ, უკეთესად გამოიყურებოდნენ და უფრო გახსნილებიც იყვნენ. ქუჩები ნათელი და მხიარული იყო. ადამიანებს ღამაზად ეცვათ... თბილისი საოცრად სუფთა ქალაქი აღმოჩნდა... მეფე თამარი, მშვენიერი, კეთილი და ძლიერი ყოფილა. ის სახელმწიფოს მართავდა და ამტკიცებდა. ციხე–სიმაგრეებით ამაგრებდა ქვეყანას, პოეტებსა და მუსიკოსებს მფარველობდა“.

„ქართულმა პოეზიამ და მუსიკალურმა ხელოვნებამ მსოფლიო კულტურას გარკვეული ამაგი დასდო. უძველესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც დიდი ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა, საქართველოში ნაციონალური გმირის დონეზე იყო დაფასებული. „ვეფხისტყაოსანს“ ბავშვები და დიდებიც ზეპირად სწავლობდნენ“.

ამერიკელი მწერალი თავის შთაბეჭდილებებს საქართველოზე ასე ასრულებს: "საქართველო ნამდვილად ჯადოსნური ქვეყანა იყო და ჩვენს მეხსიე-

რებაში თანდათან მშვენიერ სიზმარს დაემსგავსა. ამ მიწაზე მომაჯადოებელი სულის ადამიანები ცხოვრობდნენ. ის დედამიწის ზურგზე, ერთ-ერთი ულამაზეს ლანდშაფტის, მდიდარი კუთხე იყო. ქართველები კი ამ მიწას ნამდვილად იმსახურებდნენ. ახლა, კარგად გვესმოდა, რატომ იმეორებენ რუსები:

– სანამ საქართველო არ გინახავთ, თქვენ არაფერი გინახავთ" (6, 185–188–191–197–240).

ჯონ სტაინბეკის შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა," რომელიც 1962 წელს დაიწერა (თარგმანი ვახტანგ ჭელიძის). ამ რომანში ყველაზე უკეთ გამოიკვეთა სტაინბეკის მსოფლმხედველობა და წერის სტილი. ომისშემდგომი საზოგადოების დეპრესია, სოციალური გარემო, ეგსისტენციალური ფონი, ფასეულობების მსხვრევა, პიროვნების გაუცხოება, ბრძოლა არსებობისათვის. ყოველივე ეს „შიშველი რეალიზმი" გახლდათ, რაც ასე დამახასიათებელია ჯონ სტაინბეკისა და მისი პერსონაჟებისათვის.

ჯონ სტაინბეკის რომანებში მუდამ გამოკვეთილია სოციალური სივრცე, გარემო, სადაც მის პერსონაჟებს არსებობისათვის უწევთ ბრძოლა. გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან ბუნდოვანი ან სულაც გაურკვეველია. „მრისხანების მტევნების", „ტორტილა ფლეტის" პერსონაჟებს, და არა მარტო

მათ, ძლიერ სტანჯავთ სოციალური გარემო. დენისა და მისი მეგობრების ცხოვრება იმდენად ტრაგი–კომიკური აღმოჩნდება, რომ ჩნდება კითხვა: ხვალ რა მოელით, როგორი იქნება მათი მომავალი? მაგრამ ეს „ხვალ“ მათვის არ არსებობს, ისინ ერთ კონკრეტულ დროში ცხოვრობენ და ეს არის აწმყო, უფერული და ბუნდოვანი. გამოსავალი ბრძოლისუნარიანობასა და მოქმედებაშია, მაგრამ რამდენად არიან ეს ადამიანები მზად მოქმედებისათვის? რეზულტატი ამ მოქმედებისა გაურკვეველია. რამდენად იძლევა ამის საშუალებას გარემო, საზოგადოება?

სამართლიანად ითქვა: „მრისხანების მტევნები“ „მობი დიკისა“ და „ბალახის ფოთლების“ რიგს განეკუთვნება“ (10,649), და არა მარტო „მრისხანების მტევნები“, „ედემის აღმოსავლეთით“, „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა,“ „ტორტილა ფლეტი“, „მარგალიტი“, „თაგვებსა და ადამიანებზე“, „ქრიზანთემები“ და სხვა. ჯონ სტაინბეკის რომანები იწვევდა ღრმა პროტესტს, კრიტიკას, აღშფოთებას, რადგან მათში ძლიერი იყო „შიშველი რეალიზმი“. სტაინბეკის პერსონაჟები, მეტწილად, ქვეყნისაგან შერისხული, „ზედმეტი“ ადამიანები არიან, რომლებიც „დიდი დეპრესიის“ მსხვერპლი აღმოჩნდებიან. კაპიტალისტურ სამყაროში მათთვის ადგილი არ რჩება. მიუხე-

დავად ამისა, ისინი მაინც თავგანწირვით იბრძვიან უსამართლობის, ძალმომრეობის, საკუთარი უფლებებისა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

რომანში „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა" მოქმედება წარმოებს ამერიკაში, ქ. ნიუ–ბეითაუნში, სწორედ აქ გათამაშდება მღელვარე სცენა ჰოულეების ოჯახისა. ნიუ–ბეითაუნი ერთობ განზოგადოებული და დრამატული ადგილი აღმოჩნდება, სადაც პიროვნების სულიერი და ფიზიკური დაცემა, გაუცხოება, გარდაუვალი აღმოჩნდება.

რომანში მოქმედება ომის შემდგომ წლებში ვითარდება. საშინელი კრიზისი, „გახურებული დეპრესია" შეეხო ითენ ჰოულს და მის ოჯახს. და არა მარტო მათ. სოციალურმა კრიზისმა მოიცვა მთელი ამერიკა. მკაცრმა დრომ სულიერად და ფიზიკურად გაზნიქა ითენ ჰოული. რომანიდან ირკვევა, რომ ითენი თავისი ამჟამინდელი მდგომარეობით სრულიად არაა კმაყოფილი. ქ. ნიუ–ბეითაუნში მან დაკარგა ის პრივილეგიები, რაც ადრე მის ოჯახს გააჩნდა. მისი წინაპრები ამ ქალაქის ბატონ–პატრონი და ვეშაპზე მონადირეები იყვნენ, რითაც ამაყობდნენ და ამით კარგი შემოსავალიც ჰქონდათ. დიახ, ითენის წინაპრები ოდესღაც ძლიერი, დიდი კაპიტალის მეპატრონეები იყვნენ, მაგრამ მოულოდნელად გაკოტრდებიან და ახლა ითენი და მისი ოჯახი ქვაფენილზე გარ-

თხმული და დანარცხებული იყო. ითენს არც ის მოსწონდა, რომ ვიღაც იტალიელ მარულოს გამყიდველად ედგა მაღაზიაში. ყოველივე ეს დროებამ, კოჭლმა დროებამ მოუტანა. „ოჰ, ეული, მყრალი და ბრალი, ბითურმითურო დროო – ულაზათო – უმარიფათო დროო,"– ცხოვრებით უკმაყოფილო ითენი ჰოული ხშირად მწარე ირონიით დაიჩივლებდა (7,16).

მწარე ირონია და გროტესკი მსჭვალავს ითენის „საუბრებს" უსულო საგნებთან. ის კონსერვებს და ქილებს ხშირად „უქადაგებდა." ხშირად ოხუნჯობდა. გულმხიარული ეთქმოდა, მაგრამ მთლად ასე როდი იყო! მოვლენებს შორიდან, ექსპერიმენტატორის თვალით აკვირდებოდა. მისი იუმორი ზოგჯერ ოჯახისათვის ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. მისი სენტენციების გაგებაც უჭირდათ, ჰარვარდში ჰუმანიტარული განათლება ჰქონდა მიღებული და დიდი ადამიანების ნააზრევს ხშირად იშველიებდა, უფრო სახარებისეულ პერიფრაზებს მიმართავდა, ამაში კი უწინარეს ყოვლისა, პაპიდა დებორას მიუძღოდა დიდი ამაგი. ის ყმაწვილობიდანვე უნერგავდა წიგნებისა და სახარების გაცნობას.

ითენ ჰოულმა სრულიად განსხვავებული ცხოვრების გზა განვლო. ყმაწვილობიდან ტაძარში სტიქაროსანი იყო. „ეკლესიაში ვმსახურობდი, ხელში ჯვა-

რი მეჭირა და წკრიალა ხმით ვგალობდი“ (7,120). სიჭაბუკეში კი ომის საშინელება იწვნია. „სულაც არ მიმაჩნია თავი დამნაშავედ, გერმანელებს რომ ვხოცავდი... ომმა მკვლელად მაქცია.“ და იქვე: „არასოდეს გავუხარებივარ ჩემს საბრძოლო საქმიანობას“ (7, 235).

დიახ, ომმა თავისი ბასრი კლანჭები ძლიერ გაჰკრა ითენ ჰოულს. სწორედ აქიდან იწყება ითენ ჰოულის „სულის კვლა“.

რომანის პერსონაჟებს – ნაციონალური ბანკის დირექტორ ბეიკერს, ბანკის ადგილობრივ მოლარე ჯოი მორფის, მარჯი იან–ჰანტის, იტალიელ მარულოს, ითენ ჰოულს და მის მეუღლეს მერის, მათ შვილებს ალენს და ელენს, ერთობ განსხვავებული ფსიქოლოგია და ბრძოლის მეთოდები გააჩნდათ. ამ ადამიანებისაგან განსხვავებით ითენი ყველაზე მაღლა იდგა ზნეობით, შეგნებით, ადამიანური რესურსებით, მოქალაქეობით, პასუხისმგებლობით, პატიოსნებით, მაგრამ ყოველივე ეს მოჩვენებითი აღმოჩნდება. ისიც ნიშანდობლივია, რომ რომანის თითეულმა პერსონაჟმა უბიძგა და წააქეზა ითენი უღირსი საქციელისაკენ. განსაკუთრებით ოჯახმა, და არა მარტო ოჯახმა, საზოგადოებამ, მის ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა. ითენს ადვილად გადაუბრუნდა ფეხი და

სულ ადვილად შეელია შინაგან ხმას, უმაღლეს სამჯავროს – სინდისს.

იტალიელ მარულოს თავისი ცხოვების წესი და კანონები ჰქონდა: „ნაგავს ფული კი არ უნდა გააყოლო,“– ხშირად საყვედურობდა ითენს. „საქმე – ფულია. ფული და მეგობრობა კი შორიშორ დგანან... ფული მეგობარს არ ეძებს, ფული ფულს ეძებს“ (7,30). ასეთია იტალიელი მარულოს კომერციული ფილოსოფია.

მარჯი იანგ–ჰარტი კი სულ სხვა იყო! გახრწნილი, პატიოსნებითა და ზნეობით მოვაჭრე ავხორცი. როგორც ითენი იტყოდა: „ის იყო ქორი, მტაცებელი, შარვალზე მონადირე არტემიდა“. მარჯი ითენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს: „თქვენ დიდი ვინმე გახდებით. იცით თუ არა? რასაც ხელს შეახებთ, წამსვე ოქროდ იქცევა, ხალხის წინამძღოლო“ (7,25). ეს მხოლოდ შანტაჟი იყო და ითენიც ადვილად წამოეგო მარჯის ანკესზე. ითენის მეუღლემაც ადვილად ირწმუნა მარჯის ცრუ ხილვები და ითენს მუსვენებას არ აძლევდა, სახიფათო მოქმედებისაკენ უბიძგებდა. ის ზედმეტად პრაგმატიკოსი იყო. სურდა ყველაფერი ახლა და ამ წუთას. ამ ერთი ფრაზითაც ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი ხასიათი და პიროვნული პორტრეტი. „ჩემი ცოლი, ჩემი მერი, ისე

ხელად იძინებს, თითქოს საკუჭნაოს კარი მიგეხუროს, და მორჩა“. მას არ შეეძლო ღრმა ფიქრი, მოვლენების თანმიმდევრული ანალიზი. არც მეუღლის მღელვარებისა და სულის ფორიაქის ამოცნობა.

რომანში სხვა პერსონაჟებთან ერთად საყურადღებოა დენი ტეილორი – ქალაქის ლოთი. „მგონი ყველა ქალაქს ჰყავს ასეთი ლოთი“. დენი ითენის სიყრმის მეგობარი იყო. შეძლებული ოჯახიდან გამოსული. ისინი ბავშვობიდანვე ერთად იზრდებოდნენ. ითენის თქმით, სამხედრო–საზღვაო აკადემიაში რაღაც შეემთხვა და მას შემდეგ ველარ გაიმართა წელში, ველარ გაუსწორა თვალი რეალობას. მკითხველი გრძნობს, რომ დენი სულიერად და ფიზიკურად დაეცა. ეს არ ყოფილა უბრალო დაცემა. ეს იყო პიროვნული მარცხი, ცხოვრებასთან პირისპირ შეტაკება, განკვეთილობა. ომის შემდგომ წლებში დენი ტეილორის მსგავსად ბევრი დაეცა და ადგომაზე დიდმა ნაწილმა ჩაიქნია ხელი. ცხოვრებამ ისინი მეტისმეტად გარიყა, მათთვის სიკვდილი გარდუვალი აღმოჩნდება. დენიმაც სიკვდილი ამჯობინა. ალკოჰოლმა საბოლოოდ მოუღო ბოლო. სოციალურმა გარემომ და ფონმა, როგორც პიროვნება და ადამიანი, სასიკვდილოდ გაწირა.

დენი ტეილორი თავისი ფსიქოლოგიური მახასიათებელი ნიშნებით მოგვაგონებს ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეტის“ პერსონაჟს დენის, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო ტორტილა ფლეტში პაპისაგან ორი პატარა სახლი. ორი დენის „თავგადასავალი“ თითქმის რაღაცით ერთმანეთს ჰგავს. მათი ლოთური ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ფაქტორებით აიხსნება. ომის მსახვრალი ხელი ორივემ ძლიერ იწვნია. ორივე სიცოცხლეს ტრაგიკულად ასრულებს. და არის ამაში რაღაც სტაინბეკისეული ფარული ხელწერა, ტრაგიზმი, ირონიაც, გაწბილებაც, რომ საბოლოო ხვედრი ამ ადამიანებისა ასეთია, სულიერი და ფიზიკური განადგურება გარდაუვალია. აფსურდის ელემენტებით გაჯერებული პერსონაჟების მიღმა დიდი ადამიანური სევდა ისადგურებს.

მემკვიდრეობის სიხარულს, თან ორი სახლის, უნდა შეეცვალა ტორტილა ფლეტის მკვიდრი ღატაკი დენის ცხოვრება, მაგრამ ასე არ ხდება. ამ მემკვიდრეობით კიდევ უფრო ტრაგიკული შეიქმნება დენის მომავალი და არა მარტო დენის, მისი „მრგვალი მაგიდის“ საძმოს წევრების ცხოვრებაც.

ორივე პერსონაჟი ცხოვრებასთან, სასტიკ რეალობასთან პირისპირ აღმოჩნდებიან. მათთვის სიკვდილი გარდაუვალი პროცესი აღმოჩნდება და ამით,

იქნებ, უნდა დასრულდეს ცხოვრებასთან მასხარაობა, ბედთან ყოველდღიური ჭიდილი და... ზამთარი ჩვენი მღელვარებისა.

ორი „იდენტური“ დენის არსებობა ორ სხვადასხვა ტექსტში იმის მანიშნებელია, რომ მწერალი გულმოდგინედ იკვლევს პიროვნების მახასიათებელ თვისებებს, პარადიგმებს, ფსიქოლოგიურ გარემოს, ეგზისტენციალურ საკითხებს. ამ ორი პერსონაჟის მიღმა იკვეთება გაუცხოება, თვითგვემა, უღონობა, დაუძლეველი დეპრესია, შიში და მზადება სიკვდილისათვის.

ითენ ჰოულს სინდისი აწუხებდა, რომ დენის სათანადოდ ვერ დაეხმარა, თუმცა სცადა, მაგრამ ახლოსაც არ იკარებდა. მათი გზები მაშინ გაიყარა, როდესაც ითენი ჰარვარდში გაემგზავრა ჰუმანიტარული განათლების მისაღებად, სადაც ენები შეისწავლა. დენი კი სამხედრო–საზღვაო საქმემ გაიტაცა და მათი გზებიც საბოლოოდ გაიყარა.

ითენს მარტოობა უყვარდა და ხშირად ამოჩემებულ ადგილას ზღვის სანაპიროზე დარდს იქარვებდა. ეს იყო მაშინ, როდესაც „დიდი ცვლილებები ხდება ჩემს ცხოვრებაში, მაშინ მომიწევს აქით გული“, – ამბობს ითენ ჰოული. მართლაც, დიდი ცვლილებების დრო დასდგომოდა ითენ ჰოულს. დიდი სულიერი

გარდასახვის დრო, მეტამორფოზა. თუმცა სხვა საკითხი იყო, ეს გარდასახვა რა სახეს შეიძენდა.

ითენი იწყებს მოქმედებას. პირველი მარულო აღმოჩნდება, რომელიც დააბეზღა, როგორც არალეგალი. შემდგომ დენი ტეილორი. მეგობრის, თან სიყრმის მეგობრის გაწირვა ნამდვილად კარგი საქმე არ უნდა ყოფილიყო. გარდაცვალებამდე დენიმ ანდერძის დაწერაც მოასწრო. მაგრამ რამ აიძულა დენი თავისი მამული ითენისათვის ეანდერძა? რა თქმა უნდა, ამაში ითენის შორსგათვლილი ამბიცია იკვეთებოდა. მალე ითენი მარულოს მაღაზიის მეპატრონე გახდება. ამას ემატება დენის მამული. მალე ქალაქის მერის თანამდებობაზე წამოაყენებენ მის კანდიდატურას. აი, სრული ბედნიერება! ამქვეყნად მეტი რა უნდა ადამიანს?! მოკლედ, ითენი ზეცაში აიჭრება. მაგრამ ყოველივე ეს შელახული სინდისის ხარჯზე მოხდება.

ელენი, ითენის ქალიშვილი, მთვარეული გახლდათ. ადრეული ასაკიდანვე დაინტერესებული იყო სექსუალური საკითხებით. ჯერ კიდევ პატარა გოგონა დიდ ინტერესს იჩენდა მამაკაცის სასქესო ორგანოების მიმართ. ნაადრევად მომწიფებული ძმას და მამას ჟინიანი თვალებით უყურებდა. ხოლო ვაჟი ალენი არაფერში ინტერესს იჩენდა. ის „ბრწყინვა-

ლე“ პლაგიატი აღმოჩნდება. მერი კი... კარგ ცხოვრებაზე მადაგახსნილი ქალი იყო. ამ ახალმა „აღმოჩენებმა“ ითენი გამოაფხიზლა. თავის ამოჩემებულ მღვიმეში სამართლით გაეშურება. უნდა „განესაჯა“ საკუთარი თავი უმსგავსოებისა და უღირსი საქციელისათვის. უნდა დასრულდეს ეს მასხარაობა, თვალთმაქცობა, უტიფრობა, სულის ქეჯნა! რაც შეიძლება მალე უნდა გაეცალოს დიდ სამეფო ოჯახს. „ჩემი სინათლე ჩაქრა. არაფერია გადამწვარ პატრუქზე უფრო შავი და ბნელი...სინათლე რომ ჩაქრება, ერთბაშად ისეთი წყვდიადი ჩამოწვება, რომ იფიქრებ, ნეტავ სულაც არ ანთებულიყო. ქვეყანა დაღუპული ხალხითაა სავსე. დაჰკრავს ჟამი, როცა ადამიანი უნდა აღესრულოს, ღირსეულად წავიდეს ამ ქვეყნიდან – არავითარი დრამები, არავითარი დასჯა არც საკუთარი თავის, არც ოჯახის...“ (7, 324).

ეს უკვე ითენ ჰოულის სინდისის ყვირილი იყო.

დიახ, ქვეყანა დაღუპული ხალხითაა სავსე. დაჰკრავს ჟამი, როცა ადამიანი უნდა აღესრულოს, ღირსეულად წავიდეს ამ ქვეყნიდან, მაგრამ ითენმა ეს ვერ შეძლო!

მთელი რომანის მანძილზე ითენში იბრძვის გული და გონება. შინაგანი ხმა მოუწოდებს შეინარჩუნოს სიწმინდე და გულწრფელობა. ბრბოს ნაწილი არ

გახდეს, მაგრამ ამაოდ! მასში საბოლოოდ ქრება სინათლე და ბრბოს განუყოფელი ნაწილი ხდება. ითენმა დაკარგა ყველაზე ფასეული, ღვთისგან უხვად ბოძებული დიდი მადლი, უშუალობა, გულკეთილობა, გულწრფელობა, გადამდები იუმორი და ხალასი, რაც ასე გამოარჩევდა სხვებისგან. ამიერიდან მას არასოდეს შეაწუხებდა სინდისის შეტევა.

ითენს შეეძლო ამაო ქვეყნიერებაზე ამაღლებულიყო. დაეძლია ეგოიზმი და პატიოსანი გზით ეთამაშა. ცხოვრებაში ხომ ყველა თავის სვლას, თამაშს ელოდება. ისიც დალოდებოდა შესაფერის დროს, როდესაც ბედის ჩარხი მისკენ შემობრუნდებოდა, მაგრამ ცდა აღარ ისურვა, მოკლე და იოლი გზით ისურვა ერთბაშად დაებრუნებინა ყველაფერი. „ძველი სამეფო ოჯახის“ აღდგენის სურვილი ჰკლავდა და მიზანსაც მიაღწია. თუმცა პატიოსნებას ყავლი გასვლოდა, სხვა დრო იყო, სხვა ხედვა და მარიფათი სჭრიდა, უფრო რისკი.

თილისმის სახე–სიმბოლოს დიდი ადგილი ეთმობა რომანში. საგვარეულო მუქ–წითელმა თილისმამ თითქოს იხსნა და გადაარჩინა ითენი, იქნებ არც კი გადარჩენილა! უნდა ვიფიქროთ, რომ ითენი მხოლოდ ფიზიკურად გადარჩა. ის მეტისმეტად გაუცხოვდა, უკიდურესად დაეცა, გაუცხოვდა საკუთარი

თავის, ოჯახის, საზოგადოების მიმართ. საგვარეულო თილისმამ ფიზიკურად იხსნა, სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ ცხოვრების საზრისი მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლაა?

ჯონ სტაინბეკის პერსონაჟებს ხშირად სჯერათ ბრმა ცრურწმენის, მავნე ტრადიციების, რიტუალების, ავი თვალის, თილისმის, რასაც გარდაუვალი მსხვერპლი და ტრაგედია მოსდევს, ან სულაც კომიკურ ელფერს იძენს. ადამიანებს თილისმებისა და ავგაროზების უკვე დიდი ხანია აღარ სჯერათ, მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც ბრმად სჯერათ რიტუალებისა და ბედისწერის. მათ შორის დენის და მის მეგობრებს რომანიდან „ტორტილა ფლეტი", და არა მარტო მათ, ღატაკ ინდიელ ცოლ–ქმარს მოთხრობიდან „მარგალიტი".

დენის და მის მეგობრებს სჯერათ ცრურწმენის, სასწაულების, თითქოს, წმინდა ენდრიუსის დღესასწაულზე შესაძლებელია ადამიანმა დიდძალი განძი იპოვოს და ბედს ეწიოს, პოულობენ კიდეც „განძს", მაგრამ ისინი მალე მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან.

ითენ ჰოულს და მის ოჯახს საოცრად სჯერა საგვარეულო მუქ–წითელი თილისმის, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან, მაგრამ რომანიდან

ირკვევა, რომ ითენ ჰოულს და მის შვილებს ალენს და ელენს ვერაფერი სიკეთე მოუტანა საგვარეულო თილისმამ, ელენი ისევ მთვარეულია და საკუთარი ბიწიერი სურვილების ამარა რჩება, ალენი კი, ახალგაზრდა კაცი, არაფერში ამჟღავნებს ინტერესს და მიდრეკილებას.

უიშვიათესი მარგალიტის მფლობელი ღატაკი მეუღლეების ცხოვრებაც ტრაგიკულად სრულდება (მოთხრობაში „მარგალიტი"). „სტაინბეკმა კალიფორნიის ყურეში მოგზაურობის დროს ერთი დიდი მარგალიტის ამბავი ჩაიწერა და ამავე სახელწოდების ცნობილ მოთხრობას საფუძვლად დაუდო" (10, 646).

მოთხრობას სულისშემძვრელი სოციალური ფონი გასდევს. ქოხში დაბუდებული ცოლ–ქმარი ყოველდღიურ ამაო ცხოვრებას მედგრად უმკლავდებიან. მათი ნუგეში პატარა ბიჭუნა კოიოტიტო იყო, მაგრამ სახლში შემოპარულმა მორიელმა ჩვილი დაგესლა. ექიმმა კი უპოვარი ჩვილის განკურნებაზე უარი ბრძანა: „მეტი საქმე არ მაქვს, რომ ვიღაც ინდიელებს ვუმკურნალო მწერების ნაკბენზე. მე ექიმი ვარ და არა ვეტერინარი" (9,12). ექიმისაგან გაწბილებულმა უნუგეშო დედამ შვილს წყალმცენარეებისაგან შემზადებული მალამო დაადა და იღბალს და ღმერთს მიანდო შვილის სიცოცხლე. თითქოს იღ-

ბალმაც არ დააყოვნა. ბავშვის სხეულს მორიელის შხამი დაეძლია. ამ სიხარულს ისიც ემატება, რომ ოჯახის მამამ იპოვა უზარმაზარი მარგალიტი. „ზღვის თოლიას კვერცხისოდენა თვალი“. თითქოს სიღატაკე და შიმშილი დაძლეული იქნა! ფიქრმა და სურვილებმა იწყო დენა: „ჩვენ ჯვარს დავიწერთ ეკლესიაში“, „ჩვენ ვიყიდით ახალ ტანსაცმელს“, „ჩემი ბიჭი სკოლაში ივლის“ და ასე, უსასრულოდ.

როგორც ცნობილია, მარგალიტი ოდიდგანვე ბედნიერებისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ ითვლება. მარგალიტს ადამიანებისათვის სულიერი სიმშვიდე მოჰქონდა, მას მისტიური, ზებუნებრივი, ღვთაებრივი ფუნქცია გააჩნდა. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტს ეძებს; როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და იყიდის მას“ (მათე: 13;45), მაგრამ ასე ყოველთვის როდი ხდება. ღარიბი ოჯახისათვის მარგალიტის პოვნა უბედურების, ბუდის მოშლისა და აუნაზღაურებელი ტრაგედიის სიმბოლოდ იქცევა.

ხუანამ, ბავშვის დედამ, პირველმა იგრძნო მოახლოებული უბედურების საფრთხე. ის ქმარს დაჟინებით უმტკიცებდა: „ეს მარგალიტი ავი სულია, ცოდ-

ვით არის სავსე! ეგ დაგვღუპავს ჩვენ". ქმარი კი მას საწინაღმდეგოს უმტკიცებდა: „ჩვენმა შვილმა სკოლაში უნდა ისწავლოს, მან უნდა დაამსხვრიოს ბორკილი, რომელიც ჩვენ გვადევს" (9,34), მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარდა ვითარდება. მოთხრობის ფინალი სულისშემძვრელია.

დიდი დრპრესია და მღელვარება იგრძნობა ალენების ოჯახში (მოთხრობა „ქრიზანთემები"). მწერალი საოცარი მგრძნობელობით ძერწავს ახალგაზრდა ქალის ელიზა ალენის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ელიზას თავშესაფარი და ნუგეში მის მიერ გაშენებული ბაღი იყო. ბაღში საუცხოოდ ჰყვაოდნენ ქრიზანთემები. ქრიზანთემების მოვლითაა დაკავებული ქალი. ელოლიავება, უვლის, ჩითილებს ამრავლებს, ნიადაგს ამუშავებს, სხლავს, რგავს... შვილივით უვლის. ქალი ამ ყველაფრით ბედნიერია, მაგრამ თავს იტყუებს. მას თავისი დარდი და სატკივარი კლავს. მეუღლეებს შვილი არ ჰყავთ. (ამაზე მინიშნებაც არაა მოთხრობაში, ერთი ფრაზითაც კი). მაგრამ ელიზას ქალური ტკივილის დაფარვა არ ძალუძს და მოთხრობის დასასრულს გაცხადდება ელიზას გაუსაძლისი სულიერი მდგომარეობა. ელიზა „მოხუცი ქალივით უმწეოდ ტიროდა".

ქრიზანთემების სიმბოლური გააზრებაც საყურადღებოა. ქრიზანთემები ოდითგანვე ოჯახური

ბედნიერების, კეთილდღეობისა და სიმშვიდის სიმბოლოდ მოიაზრებოდა, მაგრამ არა ალენების ოჯახისათვის.

ამდენად, ჯონ სტაინბეკმა უბადლო სიტყვის ოსტატმა, რეალისტურად აღწერა ომისშემდგომი გარემოებანი, პიროვნების სულიერი მეტამორფოზა, სოციალური ფონი, რომელსაც უმკლავდებიან არსებობისათვის განწირული ადამიანები. ცხადია, ითენ ჰოული განზოგადოებული სახეა. ითენის მსგავსად „გახურებული დეპრესის“ მსხვერპლი მილიონობით ადამიანი გამხდარა. „შიშველი რეალიზმის“ ფონზე მწერალი საოცრად გულმართალია თავისი პერსონაჟების წინაშე. სწორედ ამაშია მწერლის დამსახურება და ამერიკული რეალისტური რომანის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე ი., გუშინ, გუშინწინ... (წერილები, მოგონებები), თბ., 1989 წელი.
2. გაზეთი „თბილისი“,1990 წელი, 31 მარტი, №74.
3. გაზეთი „რეზონანსი“ 2008 წელი, 1 დეკემბერი, № 329.
4. ჟურნალი „ქართული მწერლობა“, 2010 წელი, №8.
5. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2010 წელი, №14.
6. სტეინბეკი ჯ., რუსული დღიური, თარგმანი დ. გეგენავასი, თბ., 2005 წელი.
7. სტაინბეკი ჯ., ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 1979 წელი.
8. სტაინბეკი ჯ., ტორტილა ფლეტი, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 1979 წელი.
9. სტაინბეკი, ჯ., მარგალიტი, თარგმანი ანა რატიანის, თბ.,1979 წელი.
10. სტაინბეკი ჯ., მრისხანების მტევნები, თარგმანი, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები ბ. სივსივაძის, თბ., 1981 წელი.
11. სტაინბეკი ჯ., ქრიზანთემები, თარგმანი გ. კიკილაშვილისა და ა. ჭანტურიასი, თბ., 1966 წელი.
12. Benson Jackson J, The True Adventures of John Steinbeck, Writer. New York, Viking Press, 1984.
13. Ditsky John, John Steinbeck and the Critics. Rochester, NY, Camden House, 2000.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე ი., გუშინ, გუშინწინ... (წერილები, მოგონებები), თბ., 1989 წელი.
2. არისტოტელე, პოეტიკა, თარგმანი ს.დანელიასი, თბ., 1979 წელი.
3. ბელიაშვილი მ., დროის პრობლემა მოდერნისტულ ლიტერატურაში, თბ., 2005 წელი.
4. გამსახურდია კ., წერილები, ესეები, თბ., 1991 წელი.
5. გაჩეჩილაძე გ., შექსპირიდან გოლსუორსამდე, თბ., 1967 წელი.
6. გაფრინდაშვილი ვ., ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები მწერლის არქივიდან, თბ., 1990 წელი.
7. გაბუნია ე., ამერიკული ლიტერატურის პრობლემა, თბ., 2005 წელი.
8. დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე) ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, თბ., 1988 წელი.
9. ესეები, ინგლისელი და ამერიკელი მწერლები, თარგმანი პ. და რ. ჩხეიძეების, თბ., 1989 წელი.
10. ვულფი ვ., ესეები, თარგმანი პ. და რ. ჩხეიძეების, თბ., 1988 წელი.
11. ვულფი ვ., საკუთარი ოთახი, თარგმანი ინგა მაცაბერიძე – პაპავა, თბ., 2006 წელი.

12. ვულფი ვ., მისის დოლოვეი, თარგმანი გ.ძნელაძის, თბ., 2012 წელი.
13. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, თარგმანი გ. ნიშნიანიძის, თბ., 1985 წელი.
14. ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა მოთხრობები, პირველი და უკანასკნელი, თარგმანი ალ. გამყრელიძის, თბ., 1987 წელი.
15. კაკაბაძე ზ., ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1987 წელი.
16. კაკაბაძე ნ., პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971 წელი.
17. კლდიაშვილი დ., მემუარები, სახელგამი, თბ., 1932 წელი.
18. კაფკა ფ., ოთხი წერილი ფელიჩესადმი, თარგმანი მ. მირიანაშვილის, თბ., 2003 წელი.
19. კაფკა ფ., წერილები მილენასადმი, თარგმანი მ.მირიანაშვილის, თბ., 2008 წელი.
20. კაფკა ფ., პროცესი, თარგმანი ნ.ამაშუკელის, თბ., 1992 წელი.
21. ლირიკული მოზაიკა, ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები, თარგმანი ლ. ებრალიძის, თბ., 2006 წელი.
22. ლორენსი დ ჰ., ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ, თარგმანი თ. კოტრიკაძის, თბ., 2004 წელი.
23. ლონდონი ჯ., თხზულებანი, ტომი I, თბ., 1965 წელი.

24. ლონდონი ჯ., თხზულებანი, ტომი III, თბ.,1966 წელი.
25. ლონდონი ჯ., მოთხრობები, მარტინ იდენი, თარგმანი ვ. ჭელიძის, 1973 წელი;
26. მოემი უ ს., შეჯამება, თარგმანი ზ. გაჩეჩილაძის, თბ., 1986 წელი.
27. მოემი უ ს., მთვარე და ექვსპენიანი, ნოველები, წინასიტყვაობა თ. ერისთავის, თარგმანი ა. ჭეიშვილის, თბ.,1972წელი.
28. მოემი უ ს., მოხატული ფარდა, თარგმანი ქ. ტოროტაძის, თბ., 1992 წელი.
29. მორავია ა., ზიზღი, თარგმანი ზ. სტურუასი, თბ., 2010 წელი.
30. მორავია ა., მოთხრობები, ამ სხლში მოკლეს ადამიანი, თარგმანი ნ. სამუკაშვილისა, თბ., 1975 წელი.
31. XX საუკუნის I ნახევრის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია, ქუთაისი, 2011 წელი.
32. ნიცშე ფ., ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ე. ტატიშვილის, თბ., 1998 წელი.
33. პო ე., მოთხრობები, თარგმანი ზ. კილაძის, თბ., 1988 წელი.
34. რობაქიძე გ., წერილები, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, წიგნი II, თბ., 2012 წელი.
35. რობაქიძე გ., წერილები, პუბლიცისტიკა, წიგნი III, თბ., 2012წელი.

36. სტოუნი ი., გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, მეზღვაური უნანგირზე, თარგმანი ნ. ჩიქოვანის, თბ., 1965 წელი.
37. სელინჯერი ჯ დ., თამაში ჭვავის ყანაში, მოთხრობები, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 1963 წელი.
38. სელინჯერი ჯ დ., ჭერი ასწიეთ, დურგლებო, სიმორი - შესავალი, თარგმანი ვ. ჭელიძე, ლ. დუმბაძე, თბ., 2011 წელი.
39. სელინჯერი ჯ დ., ცხრა მოთხრობა, თბ., 2011 წელი.
40. სტეინბეკი ჯ., რუსული დღიური, თარგმანი დ. გეგენავასი, თბ., 2005 წელი.
41. სტაინბეკი ჯ., ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 1979 წელი.
42. სტაინბეკი ჯ., ტორტილა ფლეტი, თარგმანი ვ. ჭელიძის, თბ., 1979 წელი.
43. სტაინბეკი, ჯ., მარგალიტი, თარგმანი ანა რატიანის, თბ.,1979 წელი.
44. სტაინბეკი ჯ., მრისხანების მტევნები, თარგმანი, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები ბ. სივსივაძის, თბ., 1981 წელი.
45. უაილდი ო., კრიტიკოსი, როგორც ხელოვანი, თარგმანი ნ. ქაჯაიასი, თბ., 1997წელი.
46. უაილდი ო., დორიან გრეის პორტრეტი, თარგმანი თ. მაღრაძის, თბ., 1989 წელი.

47. უაილდი ო., ბროწეულის სახლი, წინასიტყვაობა გ. გაჩეჩილაძის, თარგმანი ქ. კანდელაკის და ნ. ჩიგოგიძის, თბ., 1991 წელი.

48. უაილდი ო., იდეალური ქმარი, ლედი უინდერმირის მარაო, სალომე, თარგმანი ლ. ინასარიძის, გამომცემლობა პალიტრა L , თბ., 2012 წელი.

49. ფიცჯერალდი ფ ს., ნაზია ღამე, თარგმანი მ. ხელაშვილის, თბ., 1986 წელი.

50. ფიცჯერალდი ფ ს., დიდი გეტსბი, თარგმანი პ. იაშვილის, თბ., 1985 წელი.

51. ფუკო მ., სიტყვები და საგნები, დიოგენე, თარგმანი დოდო ლაბუჩიძე–ხოფერია, თბ., 2004 წელი.

52. წურწუმია კ., ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპულ –ამერიკული პოეზია, თბ., 2009 წელი.

53. ხვითარია, ლ., ჯერომ დევიდ სელინჯერი, გამომცემლობა „განათლება“ 1970 წელი.

54. ჰემინგუეი ე., განუყრელი დღესასწაული, თარგმანი ვ. ჭელიძის, თხზულებანი, ტომი IV, თბ., 1965 წელი.

55. ჰორაციუსი კ ფ., პოეტური ხელოვნებისათვის, თარგმანი ა.ურუშაძის, თბ., 1981წელი.

56. ჰენრი ო., ნოველები, თარგმანი და წინასიტყვაობა მ. ნათაძის, თბ., 1956 წელი.

57. ჰენრი ო., მოკლე მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ი.ლომოურმა, თბ., 2009 წელი.
58. Alexander Paul, Salinger, A Biography, Los Angeles, Renaissance, 1999.
59. Coots Steve, Franz Kafka (Beginner's Guide), London, Hodder & Stoughton, 2002.
60. Curnutt Kirk (ed.), A Historical Guide to F. Scott Fitzgerald, Oxford, Oxford University Press, 2004.
61. Ditsky John, John Steinbeck and the Critics. Rochester, NY, Camden House, 2000
62. Kathleen Raine, William Blake, Oxford University, 1970.
63. Kershaw A., Jack London. New York: St. Martin's Press, 1999.
64. Meyers Jeffrey, Edgar Allan Poe, His Life and Legacy, Paperback, New York, Cooper Square Press, 1992.
65. O. Henry,The gift of the Magi and other short stories, Dover thrift edition series, Courier Dover Publications,1992.
66. Pearce Joseph, The Unmasking of Oscar Wilde, San Francisco, 2004.
67. Rogal Samuel, A William Somerset Maugham Encyclopedia Greenwood Press, 1997.
68. Slaymaker William, ~Holograms of Humanity: The Negative Reality of Alberto Moravia's Postwar Novels". South Atlantic Review, 1984.

69. Wussow Helen, "Virginia Woolf and the problematic nature of the photographic image." Twentieth Century Literature Spring, 1994.

Koba Tsurtsumia

CLASSICAL AND MODERN FOREIGN LITERATURE

Summary

The present work "Classical and Modern Foreign Literature" represents one group of foreign writers whose works have determined the further development of Western and American literature processes.

The book represents twelve writers of different ideologies, epochs and countries such as: William Blake, Oscar Wilde, Edgar Poe, O.Henry, Jack London, David Salinger, Scott Fitzgerald, Franz Kafka, Alberto Moravia, Somerset Maugham, Virginia Woolf, and John Steinbeck. Georgian readers are well aware of their creative and publicistic works and essays.

It's quite appropriate to add the very fact that the development of Western European and American Literature is incredible without these writers. Each writer has a prominent way of writing, style, manner of narration, aesthetic world and ideology. They are representatives of different visions, kinds, literature school or group.

The purpose of the work is to show the character of the epoch, to promote the main aspects that have appeared in

the works of the writers. The following main topics have been highlighted in the work: the fate of the world after a war, the tragedy and alienation of the personality, acute social issues, the results of ~The Great Depression", the mood of ~The Jazz Century", the fate of an artist, comprehending moral and ethical issues, a constant confrontation of a man and outside world, spiritual crisis, issues of absurdity and existentialism.

The present textbook is a result of long thinking and research. We hope that it will help students of the Faculty of Humanitarian Sciences and specialists who are interested in above mentioned issues.

ფოტოალბომი



უილიამ ბლეიკი
/ 1757-1827 წწ. /



ოსკარ უაილდი
/ 1854 – 1900 წწ. /



ედგარ პო
/ 1809 – 1849 წწ. /



ჯეკ ლონდონი
/ 1876-1916 წწ. /



ო. ჰენრი
/ 1862 – 1910 წწ. /



ფრანც კაფკა
/ 1883 – 1924 წწ./



ჯერომ დევიდ სელინჯერი
/ 1919 –2010 წწ. /



სკოტ ფიცჯერალდი
/ 1896 – 1940 წწ. /



ალბერტო მორავია
/ 1907 – 1990 წწ. /



სომერსეტ მოემი
/ 1874-1965 წწ. /



ვირჯინია ვულფი
/ 1882 – 1941 წწ. /



ჯონ სტაინბეკი
/ 1902 – 1968 წწ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

უილიამ ბლეიკის პოეტური და კოსმიური ხილვები 5

ოსკარ უაილდის ლიტერატურული და ესთეტიკური სამყარო 23

ედგარ პო - საშინელებათა თეატრი 44

ო. ჰენრი - „პატარა ადამიანების“ ფსიქოლოგიის მხატვარი 66

უილიამ სომერსეტ მოემის ლიტერატურული სივრცე 87

ჯეკ ლონდონი - ბედისწერის უტეხი გმირი 114

ფრანც კაფკას მარადიული სკეფსისი 137

სკოტ ფიცჯერალდის პერსონაჟები და „ჯაზის საუკუნის“ განწყობა 161

ჯერომ დევიდ სელინჯერი – ამერიკელი განდეგილის ამბოხი 185

ალბერტო მორავიას პერსონაჟების მაგიური სივრცე 211

ვირჯინია ვულფი - მოდერნისტული რომანის ფუძემდებელი 239
ჯონ სტაინბეკის პერსონაჟების სოციალური გარემო და პიროვნების გაუცხოება 262

ბიბლიოგრაფია 282
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 290
ფოტო ალბომი 292

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com